

**ჩანაწერები
ინგაჲს უბნიდან**

მზიანი გვირილები



მზიანი გვირილები

ბათუმი-2016

რედაქტორ-შემდგენელი: ინგა გოგიბერიძე
რედაქტორი: გიორგი აღინაშვილი
კომპიუტერული აწყობა: ნანა ჩიკვაძე
გარე ყდის დიზაინი-ნინო მემრელიძე
ინგას უბნის წევრები მადლობას უხდებიან
შხატვრებს დავით ბაძაღვას და გიორგი მელაშვილს
რჩეულის ლოგოსათვის
კრებულის გარე დიზაინზე იზრუნა ჩვენმა საყვარელმა
შხატვარმა მამია კვიციანი,
რითვის უღრმეს მადლობას ვუხდით მას!

©ISBN 978 - 9941-0-8732-5

დაბეჭდა შ.პ.ს „თევი“
ქ. ბათუმი, მ. კომახიძის 128

ტირაჟი 280 კალი

ჭურის თავზე თუ გიქეიფია? ხაპიდან ვაზის ნაჟური რომ ჩაიჩქაფუნებს ფიალაში, ბულბულს რომ დასვამს თამადა ფიალის ტუჩზე და ამბორივით დაეკონება ღვინოს მიჭნურივით; გულში დაღვინებული სტრიქონები, თავად პოეტს, რომ წერს მისივე ლექსები. განა სიყვარულზე ლექსის წერაა მთავარი? არა მეგობარო და ალბათ მეტყვი სიყვარულში ცხოვრობსო პოეტი, ასე გგონია? სიყვარულისთვის ცხოვრობს მგოსანი, მერწმუნე, რადგან ქნარს ბევრი შეხებია ხელით და მხოლოდ მგოსნებს აქვთ უფლება მისი სიმები „შეაკრონ“ რითმის ქარტეხილად, რომ შეერევა ლექსებს და ოფლს დაადენენ კალამს შენტვისვე სამსახურად მკითხველო.

გადაშალე ეს წიგნი, იპოვე პოეტი და სტრიქონებში ჩაქსოვილი თრთოლვა შენდამი, მოძღვნილი სამარადჟამოდ.

ფურცელი ზრუნვით გადაშალე მეგობარო, რადგან ეს არის პოეტთა საუნჯე შეურყვნელი, რამეთუ სიტყვაა უღალატო, მართალი და ეს ფურცლები სიტყვებით, რომ მოუქარგავთ, გზაა შენი კურთხეული, ისევ შენ, რომ დაგიფინონ შენდამი კდემოსილებით მეგობარო.

იყავ ნება შენი ჩვენო მკითხველო, ამინ!

გიორგი აღნიაშვილი-პროზაიკოსი

-რა შეუძლია სიყვარულს?

-გადადგას მთები და კლდეები.

-რა შეუძლია პოეზიას?

- კიდევ უფრო შეგვაყვაროს ერთმანეთი.

- რა ძალა აქვს წიგნს?

- უდიდესი. გაგვილამაზოს სული და ერთი ჩვეულებრივი დღე.

ჰოდა, ეს წიგნიც თქვენი სიყვარულით და სამშობლოს მონატრებით არის დაწერილი მკითხველო.

ნამდვილად ვიცი, რომ მისი წაკითხვა ერთ დღეს გაგილამაზებთ.

მუდამ თქვენი ინგა გოგიბერიძე



დღეებს ითვლის საუკუნე... შფოთიანი და ბობოქარი..
დღეებს ითვლის მზის სინათლეს მოწყურებული ჩვენი კრე-
ბული.. მწერალმა და პუბლიცისტმა ინგა გოგიბერიძემ სათუოდ
აკრიფა, შეაგროვა და სიყვარულის შარფში გაახვია. თითოეუ-
ლი ემიგრანტი შემოქმედის სულის ღირსება, უმნიკვლო, ტკივი-
ლითა და სიხარულით, მშობელი მიწის ნოსტალგიით გატყერებუ-
ლი ნაფიქრალი.. თითოეული ბრწყალი პიროვნული ღირსებით,
ცხოვრების წესით, ხალასი ნიჭითაა შემკული..

მკითხველო, თქვენ ამას დაუყონებლივ იგრძნობთ.. მზიანი
გვირილები უსათუოდ გაგიტობთ გულს, შვებას მოგგვრით და
ჩაგაფიქრებთ ჩვენი ცხოვრების დღევანდელობაზე.

სამშობლო ოჯახიდან იწყება.

ცის ქვეშეთში კი რაც მიწა და წყალია, ცის სამყაროში მზე და
ვარსკვლავებია, სადაც ღამის მთვარეული აჩრდილებია, ყველ-
გან არ გვეცხოვრება,

ყველგან არ გვემღერება.

ჩვენი სამშობლო,

ჩვენი საქართველო,

მარად ჩვენზე მლოცველი,

ყოველთვის ხელებგაშლილი გველოდება, რათა გულში
ჩაგვიკრას მისი სისხლი და ხორცი, საქართველო გეძახით...
გიხმობთ!

პოეტის მადლიანი კალამი ყველგან ტოვებს სიმშვენიერის
კვალს და შთამაგონებლად მოქმედებს მკითხველზე.

მამა გაბრიელი ამბობდა: „სამშობლოდან ქართველის გაქ-
ცევა ღვთისმშობელს ძალიან სწყინს. არ მიატოვოთ საქართვე-
ლო, არ განვირისხდეთ ღვთისმშობელი... ადამიანი სადაც
დაიბადა, იქ გადმოდის მასზე კურთხევა“. დავუჯეროთ ბერს. ვი-

ლოცვით ჩვენი ემიგრანტებისთვის, რათა მალე დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწა-წყალს და გაახარონ დედა ღვთისა.

ჩვენს კრებულში ემიგრანტთა შემოქმედებასთან ერთად ვართ თანამედროვე მწერლობის წარმომადგენლები და ჩვენს მოკრძალებულ შემოქმედებას ალალმართალი გულით გაგინა-ნილებთ... სათუთი გრძნობებით... სიყვარულისა და დღევანდელობის მკაფიო ნიუანსებით...

მზიანი გვირილებით შემოვალთ თქვენს თვალსაწიერში, სულსა გულში..

მაყვალა დავლაძე, პოეტი





ბიორბი აღნიაშვილი



დავიბადე 1965 წლის 6 დეკემბერს ქალაქ თბილისში. დედა ანელი ბაკურაძე ქიმიკოსია. მის ძირითად სფეროს სამეცნიერო საქმიანობა წარმოადგენდა. ამჟამად პენსიონერია. მამა მერაბ აღნიაშვილი მათემატიკოსია, პროფესორი, ამჟამად თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს უკვე 80 წელს მიღწეული პედაგოგი. ჩემი ძმა ზურაბი საქართველოს ერთ-ერთი უდიდესი კომპანიის თავკაცია, მეუღლე ხათუნა ცოფურაშვილი კი თი.ბი.სი ბანკის წარმატებული თანამშრომელია. ჩემი უფროსი ვაჟი მერაბი სტუდენტია და ერთ-ერთ მაღალი დონის პროგრამისტადაა აღიარებული თავის სფეროში. უმცროსი ვაჟი ანდრეა კი ჯერ სკოლის მოსწავლეა.

მე ინჟინერ ჰიდრო - მშენებელი ვარ, თუმცა გარდა 7 წლიანი სამეცნიერო მუშაობისა 19-20 წელი ვმუშაობდი როგორც სამთავრობო, ასევე კომერციულ სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ამ ეტაპზე ჩვენი საოჯახო მეურნეობის მშენებლობით ვარ დაკავებული, ძირითად საქმიანობას მევენახეობა და მემარცვლეობა წარმოადგენდა, მაგრამ თბილისის მეურნეობის განვითარებაც დავინყე. ლიტერატურ საქმიანობას საკმაოდ დიდი ხანია ვწევი. ვიბეჭდებოდი სხვა და სხვა ჟურნალებში. გამოცემული მაქვს 3 წიგნი და ვამზადებ მეოთხეს. ჩემს ძირითად ინტერესს რითმული პროზის განვითარება წარმოადგენს. ვარ პროზაიკოსი და რათქმა უნდა „ჩანაწერებები ინვას უბნიდან“ თანაავტორი და რედაქტორი.

ინტერვიუ 1 (ინტერვიუ გლეხთან)

- გამარჯობა პაპა.

- გავიმარჯოს, მობრძანდი შვილო.

- პაპა მე კორესპოდენტი ვარ და ინტერვიუ უნდა ავიღო თქვენგან.

- ხოლო შვილო, მაგრამა მე რად ამირჩიე? ჩვენი მთავრობა ინდე გამგეობის შენობაშია, მე კიდევ არც სიმღერა ვიცი და არც ცეკვა...

- პაპა მე თქვენგან მინდა ინტერვიუს აღება...

- კარგი შვილო ეგრე იყოს, აბა მკითხე.

- რთველი მორჩაა და ამ ცარიელ ვენახში რას აკეთებთ მარტოკა?

- ჰოოო, რთველი თქვენთვისა მხოლოდ ყურძნის კრეფაა, ჩემთვისა კიდევა წლის სარჩო-საბადებელი, ამ დალოცვილ ვენახსა მე ყოველდღე ვეფერები, ეს არის ჩემი მარჩენალი, მე აქა ნებიერი ვარ, იმიტომა რომა ეს ჩემი მიწაა.

- კი, მაგრამ გარეთ ნებიერი რატომ არა ხართ? ვინ გიშლით ხელს?

- ნებიერი ნიშნავს იმასა რომა, აქ ჩემს სიტყვას ძალა აქვს, მე საქმეს ისე ვაკეთებ როგორც მე მინდა და შედეგსაც შესაბამისს ვიმკვი, გარეთა კიდევა იმდენი ჭკუის დამრიგებელია რომა ტვინს აგირევენ კაცლო.

- პაპა რას ნიშნავს იყო ადამიანი?

- ადამიანი ბუნებით სამნაერია, ზოგსა დიდება მოსწონს, ზოგსა კიდევა ფულის შოვნა, მავანსა კიდევ სწავლა-განათლება, მაგრამ არის კიდევ ერთი, ამას შენი ქვეყნის უანგარო სიყვარული ჰქვია. თუ ეს ოთხივე ერთ ადამიანშია მოქცეული ისა უკვე

პიროვნებაა, მამულიშვილია შვილო რომელსაც შეუძლია ხალხსა სათავეში ჩაუდგეს და სწორი გზით წაიყვანოს.

- საინტერესოა, კი მაგრამ ეგეთ კაცს ბევრი მტერი ეყოლება, მეთანხმებით?

- იმანაც ისეთი მეგობარი უნდა დაიყენოს გვერდში ვისაც იგივე მტერი ჰყავს...

- ეგ როგორ გავიგო? და თუ გაიმარჯვეს საერთო მტერზე მერე რა მოხდება?

- როცა ბოროტებაზე იმარჯვებ თავი რაღაცა გგონია და გამარჯვებისგან გულდიდება გიპყრობს და თუ თავს ვერ დააოკებ შენს მიერ დამარცხებულ ბოროტებაზე დიდ ბოროტებად თავად შეიძლება იქცე.

- გამოდის რომ „დრაკონი მოკვდა გაუმარჯოს დრაკონს“?

- ადამიანის ფიქრი თავისი საქციელის სარკეა, რომლის ფიქრი ხშირად ბნელია და სულცარიელი, მაგრამ უბრალოდ გამოსაცნობია მიზანი, იმიტომ რომ დიდებასა და სუნჯისკენაა მიპყრობილი...

- სხვა ადამიანებიც ხომ არიან ვისაც იგივე მიზნები აქვთ, მაშინ როგორ უნდა მოიქცეს კაცი?

- შვილოსან თუ იცი სხვისი მიზანი რომელიც შენ დაგაზარალებს და წაუყრუებ სულელი ჰყოფილხარ და ეგ არიიი.

- მაშინ როგორ უნდა მოიქცეს კაცი თუ სხვასაც სურს საუნჯის დაპატრონება? უნდა იომოს?

- საუნჯეს შვილო სამი თვისება აქვს, პირველი ისაა რომ თავიდან უფრო მეტ თავისუფლებასა და სიამეს გგვრის, ხალხისსაც გმატებს. მერე როცა გემოს გაუგებ ისე ხდება რომ შენი საუნჯე ხდება შენი ბატონი, რადგან მის შექმნას მოახმარე შენი ენერგია, ძალ-ღონე და ცოდნა, ამიტომ საუნჯის მონა ხდება კაცი. მერე კი გარემოება აიძულებს და აკეთებს იმას რაც მის

სურვილის არ შეესაბამება და არ მოსწონს. მაგრამ ხიბლი სძლევს და ემორჩილება.

- პაპა, ოცნება გიყვართ?

- ოცნება შვილო თავის მოტყუებაა, მხოლოდ გზიდან გადაცდენა იცის ოცნებამ, რადგან სიცრუესა და რეალობას შორის საზღვრებსა შლის.

- ესე იგი არასოდეს გინატრიათ?

- ნატვრა სხვაა და ოცნება სხვა, კაცი მხოლოდ სანუკვარსა ნატრობს.

- რატომ იტყუება ადამიანი?

- ადამიანი ჯერა საკუთარ თავს ატყუებს უკეთური ქცევითა და ფიქრით, ხოლო ვინც სხვას ატყუებს ისა საკუთარ თავს სიცრუეში არ ამყოფებს. კაცის ერთგული მეგობარიც და მტერის, მხოლოდ საკუთარი თავია შვილო. წარმატება და დიდება ყველაზე დიდი მატყუარაა ამ ქვეყანაზე რადგან, ადამიანს ცხოვრებისეული ძიების სურვილს უჩლუნგებს და შეიძლება არა-რაობად გადააქციოს.

- საინტერესო საუბარი გამოგვივიდა პაპა

- არ ვიცი შვილო, მე ის გითხარი რასაცა ვფიქრობ.

- პაპა თქვენი რაიონის უფროსობაზე რას მეტყვი?

- აბა რა გითხრა? როცა ავადა ხარ და გტკივა ვინ გირჩევნია რომ გიმკურნალოს, გაპრანჭულმა უვიცმა ექიმმა თუ მცოდნემ თუნდაც მახინჯმა?

- რა საკვირველია მცოდნემ.

- ჰოო და მეც მანდა ვარ, ხალხსა შვილოსან გაპრანჭული რიხით ნათქვამი სიტყვა უფრო მოსწონს ვიდრე სიტყვა მართალი გონებაში ჩვენს ფიქრებს რომ დაგვიმახინჯებს, ასეა, ასე.

- რისი არ უნდა ეშინოდეს კაცს?

- სიმართლისა შვილო, იმიტომა რომა, თუ სიმართლის შეგეშინდა უფრო მეტ ბოროტებას დაუდებ საფუძველს და ისიცა სიცრუის სამართალს მისცემს ასპარეზს.

- ყველაზე მეტად რა გაინტერესებთ?

- ისა, რაც ჩემი საქმე არ რის, მეც ხომ ადამიანი ვარ.

- ეგ როგორ?

- როგორა და ეგრევე. შვილო ეხლა სახლში უნდა წავიდე თუ მესტუმრები გამახარებ.

- არა პაპა, სამსახურში უნდა მივიდე, დიდი მადლობა ინტერვიუსთვის.

- იხარე შვილო . . .

ინტერვიუ 2

(ინტერვიუ პოლიტიკოსთან)

- გამარჯობათ, ნება მიბოძეთ რამდენიმე შეკითხვით მოგმართოთ. ვეცდები დიდი დრო არ წაგართვათ.

- სიამოვნებით, გისმენთ.

- პირველი შეკითხვა, რას ნიშნავს იყო პოლიტიკოსი?

- იყო პოლიტიკოსი ნიშნავს, პირველ რიგში ფლობდე უნარს განსაზღვრო მოვლენები რომელსაც ექნება ადგილი ხვალ, ზეგ, ერთი წლის შემდეგ, თუმცა ისიც უნდა გესმოდეს რომ თუ მოვლენები ისე არ განვითარდა როგორც ელოდი ამის ახსნა, ლოგიკური ახსნა უნდა შეგეძლოს, პოლიტიკოსი სიტუაციების გადანაწილების დიდოსტატი უნდა იყოს, თუ პოლიტიკოსი სფინქსის ფენომენის თანაზიარი არ არის ამ საქმეს თავი უნდა დაანებო.

- რა არის საჭირო პოლიტიკოსისთვის მასებზე ზეგავლენის მოსაპოვეებლად?

- ჩემო კარგო მთავარია ხიდის აშენება შეპირდე ხალხს, ხოლო მდინარე არის იქ თუ არა მეორე ხარისხოვანია.

- გამოდის, რომ ხალხს ატყუებთ?

- არა, არ ვატყუებთ. რწმენა, იმედი ეს ის ნარკოტიკია რომლითაც ხალხს ტკივილი უნდა გაუყურო, დიდი იდიოლების მსხვერპლნი ყოველთვის მასები არიან. აქ ერთი რამ უნდა გავიგოთ, მრავალრიცხოვანი ერის ეროვნული და პიროვნული სიამაყე ბევრად უფრო მარტივად შეიძლება მართო ვიდრე მცირე რიცხოვანის, რადგან იმფორმაცია არა სასურველ თემებზე თითქმის მყისიერად ვრცელდება.

- თქვენ ერთერთი გავლენიანი პოლიტიკოსი ბრძანდებით, როგორ მიაღწიეთ ამას?

- იცით, საზოგადოების ცნობადი სახეები გვასწავლიან როგორ შევცვალოთ სამყარო, მაშინ როდესაც თავად არ სურთ საკუთარი „მე“ შეცვალონ. ჩემს შემთხვევაში, მე ჯერ „მე“ შევცვალე, ისე როგორც დღევანდელ რეალობა მოითხოვს ამას.

- პიროვნული ადაპტაცია, ეს პოლიტიკოსის აუცილებელი თვისება?

- გეტყვით, არსებობს რწმენა, იდეალი, რომელიც თვითონ ჩვენთაგანშია გამეფებული. თუ რწმენას გიკლავენ და ფეხქვეშ თელავენ, ერთადერთი თავშესაფარი რელიგია რჩება...

- თქვენ რამდენად რელიგიური ბრძანდებით?

- რელიგია ჩვენთვისაც თავშესაფარია, ოღონდ მაშინ როცა ეს გვესაჭიროება. პიროვნული ადაპტაცია, ლავირების და „ფასეულობების“ სწრაფი შეფასების უნარსაც განსაზღვრავს. თუ დინების საწინააღმდეგოდ მიცურავ მაღე დაილლები და სხვისი საკბილო გახდები, ხოლო თუ დინებას მიუყვები, მდინარის შუაში უნდა იცურო, თანაც ფსკერთან ახლოს, რომ „მებადურის“ მსხვერპლი არ გახდე...

- „მებაღური“ ვინ არის?
- ის ვინც ჩვენს ხარჯზე იკვებება.
- ესე იგი ოპოზიცია
- ოპოზიციაც, მხოლოდ განსხვავება ჩვენი ქვეყნის რელობიდან გამომდინარე პიროვნებისადმი მიმართულ ვექტორს გულისხმობს და ინსტიტუციონალიზმს.
- ვერ გავიგე
- მე მგონი სატია ჯიტრეიმ ბრძანა „მხოლოდ რეჟისორმა იცის თუ რაზეა ფილმი“
- საოცარია, რით ახსნით იმ ფაქტს რომ ამ ბოლო დროს მედია სივრცე ჩვენი მენტალიტეტისთვის შეუფერებელი და მიუღებელი ინფორმაციით და თოქ შოუებით აივსო?
- მერე? ვინ იღებს ხმას? ცალკეული ინდივიდები? სად არის მწერლობა? სად არიან სასიქადულო მამულიშვილები? იქნებ გაგვიმართოთ რა ხდება მასებში. თუ არ იქნა საზოგადოების პროტესტი ჩვენ პოლიტიკოსებს ხელფები გვაქვს შეკრული, რადგან მიიჩნევა რომ ის რასაც თქვენ პოპულარიზაციას უწევთ საზოგადოებისთვის მისაღებია, გასაგებია?
- რას ნიშნავს თანამედროვე აზროვნება?
- არა ის რასაც ტელევიზიით ქადაგებენ
- დამიკონკრეტეთ
- თანამედროვე აზროვნება, რამდენიმე მიმართულებით ვითარდება, ეს არის, პირველი კოსმოპოლიტიზმი და მეორე ნაციონალური პრიორიტეტების დამკვიდრება, როდესაც ამ ორი ფენომენის შერწყმა ხდება ვლებულობთ საზოგადოებრივ ვალხანალიას ანუ უსქესო საზოგადოებას, რომლისთვისაც მორალურ პრინციპებს, მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა აქვს და არა ეროვნული, ფუნდამენტალური მნიშვნელობა...
- და დღეს ჩვენი საზოგადოება ამ მიქსში ცხოვრობს?

- დიახ ასეა, ჩვენ ბევრი არჩევანი გავაკეთეთ თუ საით უნდა წავსულიყავით, მაგრამ ყველაზე ფუნდამენტური გამოგვჩა, ნაციონალური დოგმების დამკვიდრება, რომლის ბაზაზე შესაძლებელია ეროვნული მენტალიტეტის შესაბამისი თანამედროვე ელემენტების შემოტანა და დანერგვა.

- და დღეს რატომ არ აკეთებთ ამას?

- ვაკეთებთ, მაგრამ „მათთვის“ მიუღებელია, რადგან ამ შემთხვევაში ფულს ვერ იშოვნებთ.

- თქვენ გრანტებს და სოციალურ ინვესტიციების ზოგიერთ ფორმას მიიჩნევთ?

- ჩემს წინ მიკროფონია

- ვინ არიან ის ადამიანები ვინც ახალ, ჩვენი საზოგადოებისთვის მიუღებელ თემებისადმი შემწყნარებლობას გვაიძულებს?

- არ შეიძლება იმის ქადაგება რასაც თავად უარყოფ, მე ის ადამიანი მყავს მხედველობაში რომლებიც გარემოებათა გამო სჩადიან ამას.

- და ვინ არიან ის დანარჩენები?

- მრწამსის და შინაგან კეთილშობილებას გარეშე ადამიანები და პოლიტიკური ვასლები.

- როგორც ვხედავ არც თქვენ ხართ „დანარჩენით“ აღვრთოვანებული.

- ტუვიმმა ბრძანა „სიძულვილით ლაპარაკი შეიძლება, ოღონდ არა საზეიმო იერით“

- სად არის ხსნა? სად არის გამოსავალი?

- ინტელიგენციის აღზევებაში, ინტელექტუალური და შემოქმედებით და პროფესიონალური კადრების ქვეყნის მართვის სადავეებთან სიახლოვეში.

დღეს სისტემას ბევრად უფრო დიდი მნიშვნელობას ვანიჭებთ ვიდრე ადამიანებს, თქვენ მეტყვით, ეს დაუშვებელიაო, მე კი გიპასუხებთ, სისტემა მართავს კაცობრიობას და დღეს ჩვენ ერთ „მატრიცაში“ ვცხოვრობთ, რომელიც ჩვენვე შეუქმნით ჩვენს თავს.

- და რას წარმოადგენს ეს „მატრიცა“?

- ჰარმონიული თვითმკვლელობის ფუფუნებას, რომელიც მხოლოდ მოთხოვნილებაზეა აგებული და სულიერებას სრულად გამოირიცხავს. თქვენი დრო ამოიწურა...

- გასაგებია, დიდი მადლობა თქვენი დროისთვის.

ინტერვიუ 3

(ინტერვიუ მანდილოსანთან)

- გამარჯობათ ქალბატონო ნათია. დიდი მადლობა ინტერვიუს რომ დათანხმდით.

- მადლობა თქვენ ჩემო კარგო.

- მინდა თქვენი ოჯახის ისტორია გვიამბოთ, რამდენადაც ვიცი საკმაოდ რომანტიული და უჩვეულო იყო თქვენი სიყვარულის ამბავი.

- დიას ასეა, მაშ კარგი, ეს ამბავი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დაიწყო...

- გასკდა ლუკა შენი გაუმაძღარი მუცელი - ჯუჯღუნებდა და საჭმლით სავსე ჩანთით ხელში რესპუბლიკური საავადმყოფოს კიბეებზე მიაბიჯებდა ლუკას პატარა ძმა სანდრო - ჩემი მტრის ოჯახში შეხვედი მშიერი, ვაი დედა მომწყდა წელიიი...

სავადმყოფოში, ინტენსიური თერაპის პალატაში სანდროს ძმის, ლუკას პირველი სიყვარული ნათია იწვა, გოგონა ავტოკა-

ტასტროფის შედეგად უგონო მდგომარეობაში მოათავსეს და აგერ უკვე მესამე თვეა ექიმთა თავდაუზოგავი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. თხუთმეტი წლის პაციენტი გოგონას გადარჩენაზე ექიმები გარანტიას ვერ იძლეოდნენ. ლუკა ყოველ დღე ნათიას მშობლების უჩუმრად პალატაში აკითხავდა გულის-წორს, ესაუბრებოდა, სკოლის ამბებს უყვებოდა, ხანდახან გული ამოუჯდებოდა და ცრემლი მოერეოდა ახალგაზრდა კაცს. ექიმები უძლურნი იყვნენ. ლუკა ყოველთვის საღამოთი მიდიოდა საავადმყოფოში როცა ავდმყოფების მნახველთა და ჭირისუფალთა მიღება წყდებოდა, ერთადერთი გარეშე პირი ვისაც დაცვა და საავადმყოფოს ექიმები შენობაში შესვლის ნებას რთავდნენ ლუკა იყო, სანდროსაც ატარებდა დაცვა, ჩანთა გადაკიდებული რომ მიიჩქაროდა ძმასთან პატარა ვაჟკაცი.

იმ დღეს ტაძარში მამა გიორგის შეხვდა ახალგაზრდა მიჭნური. სიტყვებს თავს ვერ უყრიდა, ლულულებდა კაცი. კლასელები წამოეშველნენ, ნათიას ამბავი წვრილად მოუყვნენ მოძღვარს. მოძღვარი ჩაფიქრდა, ერთ ხანს იყუჩა და მიუგო ბავშვებს „ჯანმრთელობის პარაკლისს გადაუხდი ნათიას, მხოლოდ თხოვნა მექნება თქვენთან, ხვალინდელი ღამე აღდგომის პირველ დღეს გაათენებს, ლოცვებს, ხატს და სანთლებს გაგატანთ და პალატაში წაუკითხეთ ავადმყოფს დაუჯდომელი ლოცვა, სასურველია სამნი მაინც იყოთ, ეს ხატი თავთან დაუდეთ ნათიას“

ღვთისმშობლის ხატი, სანთლები და ლოცვები გამოატანა მოძღვარმა ბავშვებს.

„ნუ გეშინიათ, ხვალ დილით აქ მოდით, ნათიას ჯანმრთელობის პარაკლისი გადაუხადოთ“

მეორე დღეს, პარაკლისის შემდეგ ლუკა ტაძრის ეზოში განმარტოვდა, იქვე ხესთან ჩამოჯდა და მიწას დასჩერებოდა ყმაწვილკაცი.

- ლუკა - მორიდებით მიმართა სანდრომ უფროს ძმას - მეც წამოგყვები ნათიასთან, კარგად ჯერ ვერ ვკითხულობ მაგრამ... ხომ ვკითხულობ...

ლუკამ ალერსით გაადაუსვა ხელი სანდროს აბურძგნულ თმაზე.

- შენ უკვე დაძინებული იქნები მე რომ წავალ... - ღიმილით მიუგო ძმას

- კაი რააა, დედაჩემის ერთი ჩხუბი ველარ ამიტანია? - იწყინა სანდრომ

ძმებს ნათიას უახლოესი მეგობარი ქეთი მიუახლოვდა.

- ბიჭებო მეც წამოგყვებით ნათიასთან, ის ჩემი მეგობარია და უარს ნუ მეტყვით - მორიდებით მიმართა ქეთიმ

- ქეთი, დიდი მადლობაა მაგრამ სახლიდან გამოგიშვებენ?

- კი

- მაშინ ამაღამ თორმეტის ნახევარზე შენს სადარბაზოსთან შეგხვდებით, გთხოვ არ დაიგვიანო

- კარგი ლუკა, შევთანხმდით.

მოკლედ მოუჭრა ქეთიმ.

ცა მოიქუფრა, ცივი ნიაფი დაძრწოდა ქუჩაში, უკვე ღამდებოდა. ლუკა და სანდრო წასასვლელად ემზადებოდნენ, მხოლოდ ქალბატონი ელენე, ლუკას და სანდროს დედა იყო წინაღამდეგი. ოოოო როგორ განრისხდა ძმების განზრახვა, რომ შეიტყო.

„ნათია ჩემი ცოლი გახდება და იცოდე თუ ახლა არ გამიშვებ სულ წავალ სახლიდან, მე ის მიყვარს...“ - გაგულისდა ლუკა.

მამა, ბატონი ზურაბი მდუმარედ უცქერდა დედის და ძმების კამათს. ჯიბიდან საფულე ამოიღო და ლუკას ფული მიანწოდა „აილე, ყოველი შემთხვევისთვის ჯიბეში გედოს და კიდევ, სანდროს მიხედვით თორემ ვერ გადაამირჩები“

ქალბატონი ელენე ახლა ქმარს მისწვდა „გაგიჟდი? სად უშვებ?“

ბატონმა ზურაბმა მკაცრად შეხედა მეუღლეს „ჩემს შვილებს სხვა გადაწყვეტილება რომ მიეღოთ მე ის გამიკვირდებოდა, კაცები არიან და იბრძოლონ საკუთარი ბედნიერებისთვის . წადით შვილო, ოღონდ მობილურები არ გამორთოთ...“

ქეთი სადარბაზოსთან უცდიდა.

- წავედით? - მიმართა ლუკამ

- ხო წავედით - სლუკინით უპასუხა ასულმა - დედაჩემმა ისეთი მთხლიშა რომ...

- დარჩი, დედას ნუ აწყენინებ - მორიდებით მიმართა მეგობარს ლუკამ - ჩემი ბრაღია...

- მე მოვდივარ - ამაყად მიუგო გოგომ

სამივე საავადმყოფოს კარებთან იდგნენ და კარზე აკაკუნებდნენ, გარეთ წვიმდა, საშინლად წვიმდა. დაცვამ კარები არ გააღო. ლუკა კარზე კაკუნს განაგრძობდა, როგორც იქნა დაცვის თანამშრომელმა კარი გააღო.

- ბავშვებო ვერ შეგიშვებთ, წადით სახლში - მტკიცედ მიმართა ოფიცერმა მეგობრებს.

- გთხოვ, აი ხატი, სანთლები და ლოცვები წამოვიღეთ, ეს ღამე აღდგომის პირველ დღეს გაათენებს, გთხოვ შეგვიშვი... - ეხვეწებოდა ლუკა

- დაუშვებელია...

- მომისმინეთ, ამბობენ აღდგომისწინა ღამე უდიდესი მადლის მატარებელიაო, იქნებ ნათიასთვის ეს შანსი იყოს რომ

გამოვიდეს მდგომარეობიდან. აი თუ გინდა დაგიჩოქებ - და სანდრომ მუხლი მოიკვეთა - ...თუ გინდა მცემე ოლონდ შეგვიშივი...

- ბატონო, სანთლები უნდა ავანთოთ და დაუჯდომელი ლოცვა უნდა წაუკითხოთ, რატომ არ გინდათ რომ გულთან ახლოს მიიტანოთ ჩვენი თხოვნა - მიმართა სიცივისგან აკანკალებულმა ქეთიმ დაცვის თანამშრომელს და ნაძალადევად გაუღიმა.

- ბავშვებო, რომ შემოგიშვათ სამსახურიდან მომხსნიან...

- რა ამბავია? - თითქოს ცივი წყალი გადაესხათ შეცბნენ ბავშვები დაცვის უფროსის ხმის გაგონებაზე - მე ნებას ვერ დაგრთავთ...

- პალატის ექიმს სთხოვეთ ან მორიგე ექიმს, უკვე თორმეტი საათი ხდება, აღდგომის დილა იწყება... გემუდარებით - ხმა გაეზარა ლუკას

- კარგით დაფრეკავ - დაცვის უფროსი ოთახში შევიდა და ტელეფონის ყურმილი აიღო, მშვიდად აკრიფა მორიგე ექიმის შიდა ტელეფონის ნომერი, რაღაცას ესაუბრებოდა, ბავშვებს არ ესმოდათ მაგრამ... დაცვის უფროსმა გაიღიმა...

- მორიგე ექიმი თავად წაგყვებათ, ასე რომ...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა რომ ქეთი მიუახლოვდა და ლოყაზე აკოცა ოფიცერს „მადლობთ“ თითქმის ჩურჩულით მიმართა გაოგნებულ კაცს.

მორიგე ექიმი პალატაში შეუძღვა ბავშვებს. მოწინება და სიბრალული ეპუებოდნენ ერთმანეთს თეთრხალათიანის დაღლილ სახეზე.

- ბავშვებო გთხოვთ წესიერად მოიქცეთ, მე დაგტოვებთ და იმედი მაქვს არ გამანზბილებთ

- კი ქალბატონო... - მიუგო ლუკამ

ხატის წინ სანთელი აანთეს ბავშვებმა. დაუჯდომელი ლოცვის კითხვა ლუკამ დაიწყო „მამაო ჩვენო რომელი ხარ ცათა შინა“... მესამე სანდრო იყო, უჭირდა კითხვა, თითს აყოლებდა ტექსტს, ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს, საკუთარ თავზე ბრაზობდა მაგრამ არ ჩერდებოდა... კითხულობდა. თითქმის საათზე მეტი მოანდომეს ბავშვებმა დაუჯდომელი ლოცვის წაკითხვას. ერთმანეთს გადახედეს. პალატაში სამარისებული სიჩუმე მეფობდა.

- ეხლა რა ვქნათ ლუკა - ჩურჩულით მიმართა ქეთიმ

- მზეს დაუცადოთ - ძმის მაგივრად უპასუხა სანდრომ და იქვე ცარიელ სანოლზე ჩამოჯდა - ფეხები მეტკინა, ცოტას დავისვენებ...

- მაგარი კაცი ხარ სანდრო - მზრუნველი ხმით მიმართა ლუკამ ძმას

- ვიცი... - უპასუხა სანდრომ და სანოლზე წამოწვა.

ქეთის გაელიმა.

დრო გადიოდა. სანდროს ჩაეძინა. ქეთიმ ლაბადა გაიხადა და დაახურა ბავშვს. თავზე ხელი გადაუსვა და „უკვე კაცია, პატარა მაგრამ კაცი“. სავარძელზე ჩამოჯდა ასული, ეძინებოდა გოგოს. მხოლოდ ლუკა დასდგომოდა თავზე ავადმყოფს. თითებით შეეხო ნათიას სახეს. კოცნა მოუნდა. ოოო როგორ უნდოდა ერთხელ კიდევ ეკოცნა, ვნების გამოხატვას ერიდებოდა მიჯნური. ახლა ნათიას თითებს შეეხო. გაყინულ და უგრძნობ თითებს ეფერებოდა, დაიხარა და... აკოცა... „მიყვარხარ“ აღმოხდა ლუკას... მღელარე ცრემლი ჩამოგორდა ამაყი მიჯნურს ლოყაზე...

კორიდორში დაცვის წევრის რაცია ახმაურდა „...ყურადღება, პერიმეტრზე რაღაც მოძრაობაა, მთელი ეზო ხალხითაა სავსე“...

ლუკა პალატის სარკმელთან მივიდა, ქეთიც გვერდში დაუდგა მეგობარს. გაჩირალდნებულ ეზოში ხალხი იდგა, უამრავი ხალხი, მონასტრის დარბაზს ჰგავდა ეზო, ანთებული სანთლები ულიცლიცებდნენ ხელში ადამიანებს.

- ქეთი ხედავ?

- ხო, იქ დედაჩემი და მამაჩემიც დგანან, მთელი ჩვენი კლასი აქ არის...

- და მშობლებიც...

- თენდება ლუკა

- ხო თენდება

მადლიერი და გაოცებული თვალებით უცქერდნენ ეზოს ბავშვები.

- იმედის დილა თენდება ლუკა - მიმართა ქეთიმ ლუკამ ხელი გადახვია მეგობარს

- ლუკა, ლუკ - სანდროს ხმამ გამოარკვია ფიქრებში წასული ძმა

- რა იყო სანდრო?

- ნათიამ თითები გაატოკა

- კარგი ბიჭი ხარ სანდრო - გაელიმა ქეთის

- დედას ვფიცავარ, მართლა შეატოკა თითები - დაჯერებული ხმით მიმართა მეგობრებს სანდრომ - შეხედეთ...

ცალ ხელზე ნათიას თითები კიდევ შეირხა. ეხლა ორივე ხელზე აამოძრავა თითები ავადმყოფმა, „უმმმმ“ ამოიგმინა ნათიამ...

- ქეთი მელანდება?

- არა, არა, მგონი იღვიძებს, ლუკა ნათია იღვიძებს...

სანდრო წამოხტა პალატიდან გარეთ გავიდა და დაცვის წევრთან მიირბინა.

- ჩქარა, იღვიძებს... ექიმს დაუძახე, ჩქარა...

- რა მოხდა პატარავ?

- ნათია იღვიძებს - სანდრო უკვე ყვიროდა

სანდრო სხარტად მობრუნდა და ექიმის კაბინეტისკენ გაიქცა.

გულგახეთქილი შევიდა პალატაში ექიმი.

ნათია კვნესოდა. ერთადერთ ფრაზას „ვაიმე დედა“ -ს იმეორებდა ავადმყოფი.

ექიმმა დაცვის წევრი იხმო ...„გთხოვთ პროფესორ ჩოლოყაშვილს დაუკავშირდით, მეათე პალატაში განსაკუთრებული მდგომარეობაა, სასწრაფოდ აცნობეთ გთხოვთ...“

პროფესორი და რამდენიმე ექიმი ჩქარი ნაბიჯით შემოვიდნენ საავადმყოფოს ეზოში და შენობის კარისკენ გაემართნენ.

„რა ხდება? - ტალღასავით გადაუარა ეზოში მდგომ ხალხს- „ცუდი ხომ არაფერია?“

ნათიას მამამ შეაჩერა ბატონი პროფესორი

- რა ხდება ბატონო? მე ნათიას მამა ვარ, მეათე პალატიდან ...“

- დამშვიდდით, ჯერ მეც არაფერი ვიცი.

ნათიამ თვალები გაახილა „დედა“ აღმოხდა ავადმყოფს.

- ნუ გეშინიათ ყველაფერი კარგად იქნება - პროფესორი ავადმყოფის გასინჯვას შეუდგა - ბავშვებო პალატიდან გადით.

- არააა... ლუკა... არააა... - ნათია ლუკასკენ იშვერდა ღონე მიხდილ ხელს.

- გადავრჩით . . . - ბრძანა პროფესორმა

პროფესორმა სათვალე შეისწორა და მზერა ბავშვებს მიაკცრო.

- ახალგაზრდა თქვენ ალბათ ლუკა ბრძანდებით - ღიმილით მომართა ლუკას პროფესორმა

- დიახ, მე ლუკა ვარ

- ჭაბუკო მე არ ვიცი თქვენ რა მოიმოქმედეთ მაგრამ აშკარაა რომ პაციენტს ცნობიერება სრულად დაუბრუნდა, ჯერ

სუსტადაა, მაგრამ მალე გამოჯანმრთელდება, ჭაბუკო ჩემთან გაქვთ შეკითხვა?

- დიახ მაცქს, შეიძლება პალატაში დავრჩეთ?

- სამივე?

- დიახ, ეს ქეთია ჩვენი მეგობარი ეს კი სანდროა, ჩემი ძმა...

პალატაში ნათიას მშობლები შემოვიდნენ.

- ბატონო პროფესორო ბავშვი როგორ არის? - აღელვებულმა იკითხა ნათიას მამამ.

- უკვე კარგად, ცნობიერება აღუდგა, ჯერ სუსტადაა...

- ლუკაა... ლუკაა... დედაა... მამიკო - ლულულულებდა ნათია დედა ასულის საწოლთან მივიდა ხელებს უკოცნიდა პირმშოს..

- მამა, ეს ლუკაა... ჩემი ლუკა - მიმართა ღონემიხდილმა ნათიამ მამას - ის ჩემია...

პალატაში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ დედის ქვითინი არღვევდა მყუდროებას.

- მამა, მე ლუკა მიყვარს - განაგრძო ავადმყოფმა,

მამამ ჭიქურ გადახედა ლუკას, შემდეგ მოლობა, ლუკას ხელი ჩამოართვა და მიმართა ყმანვილკაცს.

- მადლობთ ლუკა, შენ მე შვილი დამიბრუნე.

- მე... მე... არა... დღეს აღდგომის პირველი დღეა, მადლობა მე არ მეკუთვნის... ქრისტე აღსდგა...

- ჭეშმარიტად - ერთხმად შესძახა პალატაში თავმოყრილმა საზოგადოებამ

- ქრისტე არსდგა,

- ჭეშმარიტად!

- ქრისტე აღსდგა,

- ჭეშმარიტად აღსდგა!

პალატის ექიმმა დაწვრილებით უამბო ნათიას მშობლებს ლუკას რამდენიმე თვიანი „ეპოპეის“ შესახებ, წუხანდელ თავგადასავალს ამაღლელებლად ყვებოდა დასტაქარი.

- მადლობთ შვილო ლუკა - ცრელმნარევი ღიმილით მიმართა ნათიას დედამ ახალგაზრდა რაინდს.

- მე ჩემი... ჩემი... მე მიყვარს... სიცოცხლეს მირჩევნია - სიტყვებს თავს ვერ უყრიდა კაცი.

ნათიას მამას გაელიმა.

- ნათია ჩემს ძმას უყვარს, ლუკამ იბრძოლა და ბედნიერება მოიპოვა - სიტყვა შეაშველა ძმას სანდრომ

პროფესორმა ნათიას მშობლების გარდა ყველას პალატის და შენობის დატოვება მოსთხოვა.

ბავშვები ებოში ჩავიდნენ. ხალხი შემოეხვია ახალგაზრდებს, კითხვების კორიანტელი დააყარეს ...ლუკამ ხელი მოჰკიდა და ქეთი მშობლებთან მიიყვანა.

- ბატონო დავით, ნება მიბოძეთ ბოდიში მოგიხადოთ, ქეთი რომ არა, არაფერი გამოგვივიდოდა, ის იყო ჩვენი მოამაგე და შემწე, გთხოვთ მომიტევოთ - მორიდებით მეტყველებდა ლუკა.

- ქეთი ჯიგარი ხარ - სიტყვა დააწია სანდრომ - თუ ვინმე გაგაბრაზებს მითხარი და მე მოუვლი.

ღიმილით შესცქეროდნენ გარშემომყოფნი პატარა კაცს.

- ეხლა რა ვქნათ ლუკა? - მიმართეს მეგობრებმა ლუკას

- ტაძარში უნდა მივიღე მამა გიორგისთან, ის მეტყვის როგორ მოვიქცე.

- ჩვენც წამოვალთ,

- მეც მოვდივარ - დაიჩემა სანდრომ

ლოცვას აღაფლენდა მამა გიორგი, ლუკას მეგობრები მადლობას უძღვნიდნენ უზენაეს. სანთელს ანთებდა სანდრო.

- აი ასე დაიწყო ჩემი ოჯახის ისტორია - დაამთავრა თხრობა ქალბატონმა ნათიამ.

- და მერე რა მოხდა? - მივმართე რესპოდენტს

- მერე? მე და ლუკა შუეულდით, ოთხი ვაჟუკაცის დედა ვარ და ბედნიერი მეუღლე. მე საკუთარი საბავშვო ბაღი მაქვს, ლუკა კი ბიზნესმენია, ბავშვები კი სკოლაში სწავლობენ...

- თქვენი მომავალი კარიერა როგორ წარმოგიდგენიათ?

- კარიერა? მე როგორც ქალმა კარიერის პიკს თითქმის მივაღწიე, ბებიობას ველოდები, მე დედა ვარ, ჩვენს ოჯახში სიყვარული და ურთიერთ პატივისცემა სუფევს...

- სანდრო?

- სანდრო დაოჯახდა, ორი შვილის მამაა პატარა ოინბაზი.

- მაღლობთ ქალბატონო ნათია ამ საოცარი ისტორიისთვის.

- საოცარი იცით რა არის? აღამიანებმა ვერ ისწავლეს ბედნიერების დანახვა, ის ჩვენს წინ დევს, მაგრამ თავს ვარიდებთ. გვეშინია რადგან სიყვარულის დეფიციტს განვიცდით, ბედნიერება მატერიალური საზომით არ განისაზღვრება, ბედნიერება უსიყვარულოდ არ არსებობს.

- მაღლობთ ინტერვიუსთვის, ულრმესი მაღლობა ქალბატონო ნათია.

- იხარეთ და უფალი გფარავდეთ.

დამლოცა ოჯახის დედამ. ბედნიერი დავბრუნდი რედაქციაში.

ინტერვიუ

(ინტერვიუ ტელევიზიის დირექტორთან)

- გამარჯობათ, მადლობელი ვარ ინტერვიუზე რომ დამ-
თანხმდით...

- გამარჯობათ, რით შემძლია გემსახუროთ?

- პირველი შეკითხვა მინდა დაგისვათ...

- ნუ ლელავთ, დამშვიდდით.

- რას ნიშნავს „საზოგადოებრივი აზრის ფორმირება“ ?

-პირდაპირ „გულიდან“ ვინყებთ? როგორც გენებოთ. საზო-
გადოებრივი აზრი ეს იდეოლოგიის „პროდუქტია“, მოცემულ
პირობებში „პროდუქტის“ დროული და კარგად შეფუთული
სახით საზოგადოებისთვის მიწოდების უზრუნველყოფა კი ჩვენი
დანიშნულებაა.

- თუ სწორად გავიგე საზოგადოებრივი აზრის ფორმირება
დამოკიდებულია არსებულ ან სიტუაციის შესაძლო განვითა-
რებასთან ?

- იცით ჩვენ ყოველთვის ვიტოვებთ საფეხურს რათა „ნაბიჯი
უკან“ გადავდგათ...

- ეს რას ნიშნავს?

- იმფორმაციას მოსახლეობა იღებს პირველი პირებისგან.
სასურველ პოზიციას სწორედ ისინი აფიქსირებენ, ჩვენ მხო-
ლოდ ამ ადამიანებს ვუთმობთ ჩვენს ხელთ არსებულ მედია
საშვალეებს...

- მაგრამ, ხომ არის განსხვავებული აზრი?

- ბუნებრივია, მაგრამ რეალობიდან გამომდინარე ჩვენ ვირ-
ჩევთ იმ სუბიექტს ვინც მოცემულ მომენტშია საჭირო, ასე
ვექმნით „კომპეტენტურ აზრს“. „განსხვავებული აზრი“-ს მიწო-

დებაც ხდება, მხოლოდ განსხვავება ამ ორ მხარეს შორის ექსპერტების რაოდენობასა და მათთვის დათმობილ დროშია.

- გამოდის რომ ერთგვარ მანუპულირებასთან გვაქვს საქმე

- ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ, მედია ეს ერთგვარი „საწარმოა“ რომელსაც გააჩნია საკუთარი „პროდუქტი“ ისევე როგორც ქარხანას ან საერთოდ საწარმოს. არსებობს „შემკვეთი“, ასე ვთქვათ დამფინანსებელი, არსებობს „თემა რომელიც კარგად იყიდება, არსებობს მოვლენათა ჯგუფი რომლებიც ერთმანეთთანაა კავშირში და შესაძლებელია მათი განხილვა დროში გაიწელოს, რაც ასევე მომგებიანია, ასევე თემები რომელთა ურთიერთ კავშირი ზედაპირზე არ ჩანს და შეიძლება არც არსებობდეს, მაგრამ ინტრიგა მათ შორის შესაძლო ურთიერთობისა დიდია და თუ მასაც კარგად „შეფუთავ“ „სენსაციის სინდრომს“ მიიღებ. ეს ყველაფერი კი ფულია.

- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის დამკვეთის ინტერესების დაცვა?

- უმნიშვნელოვანესია, ერთ „დამკვეთს“ მეორე „დამკვეთი“ მოჰყვება...

- გამოდის რომ თქვენ საკუთარი პოზიცია არ გაგაჩნიათ?

- რატომ? ჩვენ გვაქვს საიმფორმაციო ბლოკი და თოქშოუების მთელი კასკადი...

- ერთი კითხვაც მინდა დავისვით პარალელურ რეჟიმში.

- გისმენთ.

- რას ნიშნავს „მთავარი მოთამაშე“?

- კარგით, ჯერ ერთი საკითხი დავასრულოთ. მაშ ასე, საინფორმაციო ბლოკი იმის მიხედვით იგეგმება, რაც მოვლენათა ეპიცენტრში ანგარიშ გასანწევია და საყურადღებოა, თუ არსებობს „ნება“ შესაბამის საინფორმაციო ბლოკში ინფორმაცია მიწოდება ისე როგორც ეს „დამკვეთისთვისაა“ მისაღები,

მაგრამ რჩება „ნაბიჯი უკან“ რაც ტენდენციურობის ბრალდებისგან გვიხსნის ან უბრალოდ უგულებელჰყოფს მას. რაც შეეხება „თოქშოუს“ წამყვანი გადაცემაში იწვევს თემასთან დაკავშირებით დაინტერესებულ მხარეებს, რაც შესაბამისად საზოგადოებისთვის მისაღებია, მაგრამ არსებობს წამყვანის „საეთერო სიმპათია“, ეს დროა, რომელსაც რესპოდენტს, სტუმარს უთმობს წამყვანი და კითხვა, უფრო სწორედ კითხვის დასმის ვექტორი, აქ მთავარია მიმართულება და მძიმე...

- მძიმე?

- დიახ, ამ საოცარ სასვენ ნიშანს შეუძლია მთელი აზრი შეცვალოს.

- ეს ფაქტი იწვევს თუ არა „საეთერო სიმპათიის“ მიღმა დარჩენილი მხარის პროტესტს?

- ნაკლებად, რადგან ჩვენ ვირჩევთ ისეთ ადამიანებს ვისაც საკუთარი აზრის დაფიქსირება და დაცვა უჭირთ, შესაბამისად ნაკლებად ეფექტურიცაა ეს პიროვნება დისკუსიისთვის. ასეთ შემთხვევაში „დამკვეთის შეკვეთა შესრულებულია...“

- და თუ ეს მხარე მართალია? მაგრამ ნაკლებად მომზადებული, საზოგადოების სიმფატია ვის მხარესაა?

- ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის? თუ ის მართალია ჩვენ საშუალებას ვაძლევთ რომ აზრი გამოთქვას და საკუთარი სიმართლე დაასაბუთოს. თუ საზოგადოებამ იცის ამ ადამიანების სიმართლის შესახებ და ვერ ადასტურებენ, მაშინ „საზოგადოებრივი შემწყნარებლობის“ ან „საზოგადოებრივი დათმენის“ იმედი შეიძლება იქონიონ.

- ასე მგონია წერტილის დასმამდე გადავდივართ თემიდან თემამდე.

- გეთანხმებით და ეს ძალიან საინტერესოა.

- დაუდანაშაულებიხართ ტენდენციურობაში?

- კი, მაგრამ ჩვენი ფორმატი „ნეიტრალურ ზეწოლას“ გულისხმობს. საერთოდ „ტენდენციური“ მედია საშუალება საზოგადოებაში ავტორიტეტით ვერ სარგებლობს, მაგრამ ავანტურა საზოგადოებრვ ინტერესთა სფეროში მუდმივად იკავებს პრიორიტეტულ ადგილს და არის კიდევ შოუ, ეს განსაკუთრებული ფენომენია, რადგან მას შეუძლია მილიონობით ადამიანი მიაჯაჭვოს მედია კომპანიის „იმიჯს“.

- რა ჰქვია ამ „იმიჯს“?

- ამ მუდმივად განახლებად, მოტივირებულ, ორგანიზებულ და მკაცრ დისციპლინაზე დამყარებულ პროფესიონალთა გუნდის მიერ მართულ მედია ერთეულს „კლასიკური მედია საშუალება“ ჰქვია.

- ამ თემას ცოტა მოგვიანებით დაუბრუნდეთ.

- როგორც იხებებთ.

- რას ნიშნავს საზოგადოებრივი დაკვეთა?

- ის რამდენიმე სახისაა. პირველი, მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარების შესახებ იმფორმაცია, მეორე, „საზოგადოებრივი ინტრიგა“, რომელიც ძირითადად მსხვილი სახალხო გაერთიანებების ან „ინტერესთა ჯგუფის“ ინტერესების გათვალისწინებით არის შედგენილი. მესამე, საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად მიღებული, ინტერესთა განზოგადოების შედეგად მიღებული თემების ერთობლიობა. მეოთხე, საკუთარი „ბრენდული“ პროდუქტი, ამ „პროდუქტს ხშირ შემთხვევაში ექსკლუზიური ხასიათი აქვს და მას არც თუ იშვიათად „ჟურნალისტურ გამოძიებას“ ვარქმევთ.

- თუ შეიძლება თვითოეული მათგანის შესახებ მცირე კომენტარი გააკეთოთ.

- მამ ასე, „მნიშვნელოვანი მოვლენების განვითარება“. ეს ძირითადად ქვეყნის შიგნით ძალთა თანაფარდობის, მხარეთა

ურთიერთ დაპირისპირების და შიდა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ტენდენციებს ეხება...

- ამ შემთხვევაში არსებობს ცალკე დაინტერესებული მხარე?

- კი. უმეტეს შემთხვევაში ყველა მთავარი მოთამაშის ინტერესებშია იმფორმაციის სწრაფი და ეფექტური მიწოდება - გავრცელება მედია საშუალებებით, ბუნებრივია ობიექტურობის „მსუყე ულუფის“ ჩათვლით. რაც შეეხება ფორმატს, აქ საქმე გვაქვს საკმაოდ ლავირებად სქემასთან. ის იმის მიხედვით ყალიბდება თუ რამდენადაა შესაძლებელი „თემის დაყოფა“ საზოგადოებაში „მოვლენასთან“ დაკავშირებით მეტი დაინტერესების მისაღწევად.

- და სულ ეს არის?

- არის კიდევ „პერსონალური“ და „ფინანსური“ სიმფაქტია

- საერთო ჯამში თქვენ თითქოს ყველაფერს მეუბნებით და ქვიშასავით ხელში არაფერი მრჩება.

- კარგით... კარგით... მარტივად გაცემთ პასუხს თქვენს უმთავრეს კითხვაზე, „საზოგადოებრივი დაკვეთა“ განსაკუთრებული მნიშვნელობის შემცველი მცნებაა. რომელსაც ვიყენებთ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისთვის. უმეტეს შემთხვევაში არავითარი „დაკვეთა“ არ არსებობს. საქმე გვაქვს ინტერესთა „ვექტორის“ მიმართულების შეცვლასთან. არსებობენ აქტიური და პასიური პერსონაჟები. ასევე ადამიანები რომლებიც შესაძლოა ამა თუ იმ მოვლენას დაუკავშიროთ მათი შესაძლო მონაწილეობის ალბათობა. შემდეგ იქმნება „თეორია მოვლენის“ შესახებ და მოქმედებაში მოდის მისი უდიდულებობა „საზოგადოებრივი დაკვეთა“ ხშირად ჩვენ თავად ვქმნით რომელიმე ფაქტთან დაკავშირებით სკანდალს, რადგან მასების ყურადღების ცენტრში მოვაქციოთ ის ადამიანები რომლებსაც მეტ - ნაკ-

ლებად ცნობად სახეებს წარმოადგენენ. ეს ინტრიგაა და ერთგვარი შანტაჟიც. თქვენ ეს გსურდათ მოგესმინათ?

- და კიდევ...

- და კიდევ გახსოვდეთ, ტენდენციური მედია საშუალება არ არსებობს, არსებობს ინდივიდუალური ხედვა, ფაქტების „მინოდების“ ინდივიდუალური სქემა, „ფინანსური სიმფატია“, კონკურენცია და „მძიმე“...

- და კიდევ ერთი შეკითხვა...

- თქვენ მე უკვე დამლაღეთ, თქვენი დრო ამოიწურა კარგად ბრძანდებოდეთ...

ირანის ლომი

„გულმძვინვარეაო ირანის ლომი, ძალით ათი კაცისა მჭობნიაო იგი, არც დანდობა და შებრალება უწყისო მონინაღამდების თუ ხელთ ჩაიგდოო...“

აღბათ ჩვენს გასაგონად თუ ავრცელებდნენ ასეთ ხმებს ირანელნი.

მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციამ ირანში დაგეგმა ჩემპიონატის ჩატარება. ქართველნიც თავანუელნი ვენწიეთ ირანს. დიდებული იყო სპარსეთის დედაქალაქი. თითქოს აზიურ დარბაისელ გონს ჩაუქსოვია თავისი დიდებულება და ისე გაუშლია ვაკეზე თვალწარმტაცად სპარსთა დედაქალაქი. რამდენი ქართველის მკლავი და გონება შეეწირა ირანს... ვინ მოსთვალოს ...მშვენიერ ასულს ავაღვენე თვალი, თბილი, თვალემაყვალა, წარმტაცი გოგო ავიბლანდე თვალში... იქნებ ქართული სისხლი სჩქეფს მის ძარღვებში და თავად არ უწყის, რამდენი პირმშვენიერი ქალ-ვაჟი დააბიჯებს ისპაჰანს გურჯთა

გენი, რომ ბობოქრობს მათ სხულში დარისთვის ვიტანჯავ თავს ასეთი ფიქრით? განა მომისმენს ვინმე?

ფინალისკენ ჯიუტად მივიწვევდით ქართველნი. არც ერთ მეტოქეს არ დაუდეთ ტოლი და ჰააა, ფინალის დღეც დადგა.

მარცხენა მკლავი ტრამვირებული მქონდა, ვერც ექიმთა მეცადინეობამ გასჭრა, მკლავის ტკივილი წყევლასავით აეკრა სხეულს. ერთი ფიქრი მქონდა „ირანის ლომი“ ნუ იქნებოდა ჩემი მოწინაღამდეგე. შიში რას მიქვია? მაგრამ ფინალში შესაძლო დამარცხება გულს ეკლად ჩასობოდა და მოსვენებას მიკარგავდა. ყოველი სპორტსმენი ხომ გლადიატორს ჰგავს კოლიზეუმის არენაზე ბრძოლად რომ იყო შეწირული „სასიკვდილოდ მიმავალი მოგესალმები შენ“ ასე მიმართავდნენ ცეზარს. ჩვენი ცეზარი ჩვენი გულშემატკივარია, ჩვენი ერია მრავალგვემული და უიმედობის მთრგუნავი მარადუამს, ხოდა მათი სიხარული ჩვენი სიცოცხლეა, მათი მწუხარება ჩვენი სიკვდილი. „ფარით ან ფარზე“ მუდმივი დილემა სპორტსმენის თანამდევია მარადუამს.

„ირანის ლომთან“ მიწვედა შერკინება. ბოლო ბრძოლა იყო, გამარჯვებული ეუფლებოდა მსოფლიო თასს. ტატამზე ავედი, თვალი გაუსწორე მოწინაღამდეგეს. კომონოს იცვამდა ირანელი. კლდეში ნაკვეთ ტიტანსა ჰგავდა მისი სხეული. ზედ არ მიყურებდა „ლომი“. ბრაზი მომერია „ტატამს ბეჭებით დაგაკრავ ირანელო“ ბოლმას ვანთხევედი თავად. რკენა დაიწყო. ძალუმად მომქაჩა მარცხენა მკლავზე ფალავანმა, ტკივილის ყრუ ხმა აღმომხნდა და თითქოს ხელი შემიშვა, ილეთის ჩატარებასაც უგერგილოდა ცდილობდა ირანელი. დრო ვიხელოთ, ქართული გარეკაურით თძოზე შემოვიგდე „ლომი“ და ტატამზე ბეჭებით „დავაკარი“. „იპონ“, შესძახა რეფერმა, ზეზე წამოვიჭერი, ტატამს შემოურბინე გახარებულმა, მოწინაღამდეგეს მიუახ-

ლოვდი, ღიმილიანი მაგრამ ნაღვლიანი თვალებით მიმზერდა ირანელი. უზარმაზარი მკლავი მომხვია და „მარტყოფელი ვარ ბიჭო, ფერეიდნიდან, გამარჯვებას გილოცავ თანამიწიერო...“ ქართულად მითხრა „ირანის ლომმა“. გაეშრი, „ქართველი ხარ?“ ვკითხე გაოგნებულმა. „ხო ძმაო, ხო...“ ამოიგმინა დევკაცმა. უცბათ დაიხარა, ლომისა დარი მკლავი მუხლებზე მომხვია, ზე ამიტაცა, ტრიბუნისკენ შებრუნდა და მჭექარე ხმით შესძახა „დიდება ქართველთა“, ტრიბუნაზე ერთი ჯგუფი წამოდგა ფეხზე და „ამინ, დიდება...“ გრიალით მოედო დარბაზს.

დინჯად დამსვა „ირანის ლომმა“, „ონიკაშვილი ვარ გვარად ... „ მხოლოდ ეს სთქვა, შებრუნდა და თავისი გუნდისკენ წავიდა. მხრები უცახცახებდა გოლიათს. ჩვენებთან მივედი „ბიჭებო ის ქართველია, ონიკაშვილია გვარად, ფერეიდნელია“... სიტყვებს ძლივს მოუყარე თავი. ირანელებისკენ გავიხედე. გოლიათის გვერდით კიდევ ორი კაცი იდგა, ღიმილით შემოგვცქეროდნენ ქართველებს ...ჩვენივე ქართველები...

წერილი მოიტანა ვილაც გოგომ, „იმ ბატონისთვისააო“ მიმართა მწვრთნელს და თითით ჩემზე ანიშნა. ორად იყო გაკეცილი ფურცელი, გაფშალე და კითხვას შეუდექი

„აქ თეირანში ქართული სკოლა გვაქვს, ჩვენცა გვყავს ჩვენი „იაკობ გოგებაშვილი“ დედა ენის დავიწყების უფლებას რომ არ გვაძლევს ფერეიდნელ ქართველებს. აქ ჩვენ ერთი დიადი ნატვრა გვაერთიანებდა რომ გურჯობა შეგვენარჩუნებინა და რწმენა, ცისარტყელის ქვეშ ვინც გაძვრებოდა სამშობლოში დაბრუნება ელოდა უცილოდ. ეს ღვთის ნების ტოლფასი იყო ჩვენთვის. დამარცხებისთვის ჯერ არ მიამაყია დღემდე და ბედნიერი ვარ თქვენი გამარჯვებით, თუ დღეს გურჯესტანი მსოფლიო თასის მფლობელია ჩვენც ხომ გურჯები ვართ“. წერილის

კითხვა დავასრულე, ფურცელი დავკციე, გამარჯვება გაუფერულდა...

საქართველოს ჰიმნი გუგუნებდა ჩემპიონთა სადიდებლად, დავაკვირდი „ირანის ლომს“ ტუჩები ქართულ ჰიმნს „მიყვებოდა“. სამახსოვრო ფოტო გადავიღეთ... მედალი მოვიხსენი კისრიდან „ონიკაშვილო გამომართვი ეს მედალი, შენს შვილებს წაუღე, ამაზე ძვირფასი არა გამაჩნია რა“ - მივმართე „ირანის ლომს“.

„ქართველი ქართველით არის და საქართველო ქართველებისთვის, მკლავი მოსტყდეს ქართველზე გამარჯვებულ ქართველს თუ მისი გამარჯვება საქართველოსთვის არ არის...“ მიპასუხა ონიკაშვილმა.

ჩვენი ნაკრების არც ერთ წევრს არ ჩამოუტანია მედალი ირანიდან, ფერეიდანში დაიღო ბინა გურჯთა დიდებამ.

გოგონა

- თურმე ერთ შენხელა გოგონას კოცნებით გაუესია ყუთი და მამიკოს მაგიდაზე დაუდევს, უტვინო მამიკოს კი ყუთი გადაუგდია და თან ბავშვი დაუსტია „რატომ დადე ყუთი ჩემს მაგიდაზე“...

- მერე დედიკო...

- მერე რა? ბავშვმა ტირილი დაიწყო „მე ეს ყუთი კოცნებით გავაგე და შენ გაჩუქე, შენ კი გადააგდეო“ სლუკუნით უპასუხა თურმე პატარა გოგონამ...

- დედიკო, ამას რატომ მიყვები? შენ და მამამ ისევ იჩხუბეთ?

- რატომ ფიქრობ ასე შვილო?

- რატომ? იმიტომ რომ ყოველი დილა შენი ჩხუბით იწყება და მამიკოს გინებით მთავრდება... მე მამიკოს ვეტყვი რომ ბევრი ფული გიყიდოს...

- აბა ჩქარა მოუსვი შენს ოთახში, გამომივიდა მამის ქომაგი.

გოგონამ მოიხსენა, სარკმელთან მივიდა და ცას მიაპყრო მზერა. ერთი პატარა ცრემლიც ჩამოუცურდა ლოყაზე. გოგონა რაღაცას ნატრობდა ან ოცნებობდა... მაგრამ რაზე?

დედიკო შემოვიდა ოთახში. გასაუთოვებელი სარეცხი მაგიდაზე დაალაგა, შემდეგ საუთოვებელი გაშალა და საქმეს შეუდგა.

- დეე, მამიკო მაღაზიაშია?

- ხო, მაღაზიაში ჩავიდა, ამოვა და მერე სამსახურში წაეთრევა...

გოგონა საძინებელი ოთახისკენ წავიდა, ჩუმად, ფეხაკრეფით მიდიოდა ბავშვი...

მამა მაღაზიიდან დაბრუნდა. ორი სავსე ჩანთა სამზარეულოს მაგიდაზე დადო და სამსახურში წასასვლელად მოემზადა. უცებ გოგონა გამოიქცა, მამიკოს ჩაეხუტა და ლოყაზე მაგრად აკოცა.

- ჩემი ლაბუა გოგო - სიყვარულით მიმართა პირმშოს მამამ და გულში ჩაიკრა ასული

- მამიკო, დედიკომ მომიყვა, რომ თურმე ერთ ბავშვს გაუვსია ყუთი კოცნებით და მამიკოს ის ყუთი გადაუგდია, იმიტომ რომ ვერ დაინახა შიგნით რა იყო, მე კი პირდაპირ გაკოცე...

- მაღლობთ შვილო...

- მამიკო სარკეში ჩაიხედევე

მამა ეხლაღა დააკვირდა, ბავშვს ტუჩები პომადით ჰქონდა მოთხუპნული. მამიკომ სარკეში ჩაიხედა და სიცილი აუტყდა... ბავშვს ეგონა დამცინისო და...

- მამიკო მე მოგწმენდ ჩემს კოცნას...

- არავითარ შემთხვევაში, მე ხომ ჩემმა ანგელოზმა მაკოცა... ასე წავალ...

- რა კარგიააა - გაეხარდა გოგონას

- მოინმინდე, რას ჰგეგხარ - მიახალა ცოლმა

ყურადღება დედის სიტყვებისთვის არც შვილს მიუქცევია და არც მამას. მამიკო სამსახურში წავიდა. დედამ უთოობა განაგრძო. გოგონა იქვე სკამზე ჩამოჯდა და დედას მიაპყრო თვალები.

- დედიკოოო, არ გინდა პარიკმახეროში წავიდეთ?

- სად წავიდეთ?
 - პარიკმახეროში...
 - საპარიკმახეროში? რატომ?
 - გთხოვ როგორც ქალი ქალს.
- დედას გაელიმა...

სილამაზის სალონში შევიდნენ დედა - შვილი, სტილისტმა დაკვირვებით შეათვალიერა დედა და ჰკითხა

- როგორ ვარცხნილობას ისურვებთ ქალბატონო?
- ბავშვმა არ აცალა დედიკოს და...
- ისეთი რომ მამიკოს კიდეც უფრო შეუყვარდეს...

სტილისტს გაელიმა, დედიკო განითლდა. თითქმის მთელი საათი დასტრიალებდა თავს სტილისტი დაააა... დედიკო მშვენიერი იყო, ახლა მანიკურითაც დაუფარეს ფრჩხილები...

- დეეეე, რა ლამაზი ხარ!!
- მადლობთ ჩემო პრინცესა - ღიმილით მიმართა ასულს
- დეე, სალამოს სანამ მამიკო მოვა ლობიანი შეუკვეთოთ, მამიკოს უყვარს და მეც მიყვარს...
- კარგი წავიდეთ...
- ხო, წავიდეთ...
- საიდან გქონდა ფული პატარავ?
- მამიკომ მომცა...
- მერე? აქ იმდენი დავხარჯეთ და იცი რამდენი რამე უნდა მეყიდა...

- დედაა, ჩვენ ხომ ქალები ვართ?
- ხოლო
- ხოდა გავებრანტოთ მამიკოს...

სალამოს მამიკო სახლში დაბრუნდა, დაღლილი სჩანდა ოჯახის უფროსი. ბავშვის ტუჩების ანაბეჭდი ისევ ეტყობოდა სახეზე.

- დედაა, შეხედე, ჩემი ნაკოცნი არ მოუნმენდია მამიკოს - სიხარულს ვერ მაღაუვდა ბავშვი.
- აბა რააა, მას ხომ ამ დილით ანგელოზმა აკოცა.
- შენ არ გინდა სალამოს ანგელოზი იყოლო?

დედამ არ უპასუხა. მამა სამზარეულოში შევიდა, მაცივარი გამოა-
ლო, შიოდა კაცს.

- ლობიანი შეუკვეთეთ... ახლახანს მოიტანეს... ჩაი გინდა? - ნაწ-
ყვეტ ნაწყვეტ მომართა დედამ.

- ხო, კარგი იქნებოდა... რა ლამაზები ხართ ორთავე, დედოფლის
სილამაზე დაგიჩრდილავთ ქალბატონებო...

- მამიკო ლოყას გაგინმენდ რააა

- რატომ? - იუარა მამამ

ბავშვმა ყურში ჩასჩურჩულა „ახლა დედიკომ გაკოცოს“

ღამე გაეღვიძა გოგონას, გვერდით არც დედიკო იწვა და არც მა-
მიკო. წამოდგა, ჩუმად გამოვიდა საძინებლიდან. მისაღები ოთახიდან
წყნარი მუსიკის ხმა იღვრებოდა... ცოლს ქმრის მკერდზე დაედო
თავი, მკლავებიც მოეხვია კისერზე და ასე ნელა ცეკვავდნენ გოგონას
მშობლები. გოგონა ჩუმად საძინებელში დაბრუნდა, კედელზე დაკი-
დებულ ღვთისმშობლის ხატს მიეახლა და მიმართა:

- მადლობთ ღმერთის დედა, რომ ჩემი დედიკო და მამიკო შეა-
რიგე, მე შენ მიყვარხარ...

თითქოს ხატიც უღიმოდა გოგონას.



ნანა აბესაძე



დავობადე 1965 წლის 25 თებერვალს, ქ.თბილისში. 1971 წელს შევედი ქ.თბილისის 55-ე სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1982 წელს. 1983 წელს ჩავაბარე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე 1998 წელს. შემდეგ შევისწავლე ფსიქოლოგია. 1997 წლიდან 1999 წლამდე ვმუშაობდი გადაუდებელი ფსიქოთერაპიული დახმარების სატელეფონო სამსახურში კონსულტანტად. 2000 წლიდან 2008 წლამდე ვმუშაობდი ნარკოლოგიურ კლინიკაში.

მყავს ვაჟი-საბა გორგაძე. რომელიც დაიბადა 1990 წელს. არის არქიტექტორი.

პირველად 6 წლის ასაკში დავწერე ლექსი.

ქალბატონი ნანა ჩვენი უბნის ახალი წევრია და უდიდესი წარმატება ვუსურვოთ მას.

არ მეპატია, ბევრი რამე არ მეპატია

სიმართლე, მხოლოდ მცნებაა და არავის უნდა.
როდესაც ვცადე, დახუჭული თვალის ახელა,
მწარე სიტყვები დამიბრუნდა მცდელობის ხურდად.
არ მეპატია, ბევრი რამე არ მეპატია.
ზოგს არ მოსწონდა, რომ ვსუნთქავდი, კი ასეც იყო.
ზოგს კი უბრალოდ სათამაშო ნივთი ვეგონე
და გაგულისდა, როცა მიხვდა, ასე არ იყო.
არ მეპატია, ბევრი რამე არ მეპატია.
აღმართში ქვები დამადევნეს ბედის მსტოვრებმა.
მე შენს წინ ვდგავარ დაჟინებით გიმზერ და ვცდილობ,
შენი ღიმილის სამუდამოდ დამახსოვრებას.
არ მეპატია, ბევრი რამე არ მეპატია.
მე ამ ცხოვრების კანონ-წესებს ვერ შევეჩვიე.
ჰოდა მივდივარ სხვა სამყაროს ავირჩევ სადმე,
შენ კი ეცადე და როგორმე გადამეჩვიე.

ისეთ ლექსს დავწერ

ისეთ ლექსს დავწერ, რომ სუყველა ოცნებებს ერთად,
მოვეყრი თავს და მერე მზესთან პაემანს დავთქვამ.
იქ გავაჟღერებ სიტყვებს უთქმელს დედამინაზე,
და დაფიქსივებ ყველა წყენას და აუგ ნათქვამს.
ისეთ ლექსს დავწერ, რომ მოყვარეს ღიმილებს მოვგვრი
და მტერს ნაღველი ჩაუდგება ალბათ თვალებში.
მერე მივუთვლი ამ ცხოვრებას სიცოცხლის დღეებს,
აუცილებელს და წასაღებს თავის ვალებში.
ისეთ ლექსს დავწერ, რომ ბალახი მინას გახეთქავს,

და ყვავილები დაპენტავენ მდელოს ცარიელს.
ისეთ ლექსს დაფწერ, ბოლოს შვებით ამოვისუნთქავ
და სიმსუბუქით შევეყრები ცის დასალიერს.

შენ, ჩემს სამყაროში ვერ მოხვდები,
იქ, სულ სხვანაირი დღეებია.
შენთან, მზის სხივები ნავარდობენ,
ჩემთან, სულ შიშველი ხეებია.
ჩემი ზეცის ნაგლეჯს ხშირად აწევს,
მუქი და საავდრო ღრუბლის ქულა.
შენ, თუ აპრილები გილიმიან,
მე, სულ მიმატოვა გაზაფხულმა.
ნადი და იარე შენს სავალზე,
და არც შეეცადო ჩემთან მოსვლას.
შენ, გითენდება და გიღამდება,
მე, სულ ველოდები მზის ამოსვლას.
შენ, ჩემ სამყაროში ვერ მოხვდები,
ეკლით დაისერავ სულ მთელ სხეულს.
შენ, შენს სამყოფელში მშვიდად დარჩი,
მე, ჩემს შევასკდები გადარეულს.

ზეცის ცრემლებით გამივსე თასი,
შესანდობარი დავლიო უნდა,
ვისაც იმედმა უმტყუნა ბოლოს,
არადა მისგან სულ ცოტა სურდა.
ვარდის ფოთლების ხალიჩა მინდა,
რომ დავასვენო ოცნება მკვდარი.
ამ ცხოვრებას რომ გაძლება მისცა,
სანამ სიცოცხლემ ჩაკეტა კარი.
ზეცის ცრემლებით გამივსეთ თასი,
და დანანების გაშალეთ სუფრა.
თქვენ გაგიმარჯოთ ჯავრამოყრილნო,
ამ ცხოვრებისგან ერთ ამოსუნთქვად.

იქ, სადაც მე ვცხოვრობ, არწივებს ფრთებს კვეცენ,
სვავები ჩემობენ ფრინველთა მეფობას.
იქ, სადაც მე ვცხოვრობ, ადგილი ბევრია,
თუმცალა გგონია, რომ აღარ გეყოფა.
იქ, სადაც მე ვცხოვრობ, მგლები სულ განწყვიტეს
და აფთრებს უჭირავთ იმათი ადგილი.
იქ, სადაც მე ვცხოვრობ, ცხოვრება კი ქვია,
მაგრამ სულ არ არის მშვიდი და ადვილი.
იქ, სადაც მე ვცხოვრობ, მზე გვიან ამოდის
და ზეცას ატყვია, რომ მთვარემ იმეფა.
იქ, სადაც მე ვცხოვრობ ღიმილი არ უჩანთ
და ბედნიერებამ მოსვლა არ ინება.

არ გინდა ახსნა და ნურც დროს ნუ დაკარგავ,
ყველაფერს ცხოვრება დაუსვამს წერტილებს.
მერე რა მე თუკი, ტირიებს მაკლებს და
ბოლოსკენ მიტოვებს სულ მრავალწერტილებს.
არ გინდა ახსნა რომ, ასე ან ისეა,
რაღაცას ხომ მაინც ვხედავდი ხანდახან.
მერე რა, თუ თვალში ნაცრები მეყარა,
მერე რა, ცხოვრებამ თუ მწარედ გამლახა.
მე მაინც ვხედავდი ყოველთვის აისებს,
თუმც ყველას ვეგონე მეხოტბე დაისის.
მერე რა, თუ უკვე ვაცილებ ცხოვრებას,
მე ვიცი, რომ ჩემი მზის ჩასვლა დაიცდის.
და როცა სამყაროს ჩასუნთქვად ვეყოფი,
სულში, რომ მზე დამაქვს, ლაქები დატარავს.
სადღაც კი მწვანე ბორცვს გულს დაუსერავენ
და მის სილამაზეს იარა დაღარავს.

მანდ სხვანაირი აპრილი მოვა,
და სხვა ხიბლები ექნება ზეცას.
ყოველ სისხამზე მოისხამ დილას,
ოდესღაც მეც, რომ შენსავით მეცვა.
მანდ სხვანაირად იწვიმებს ჩემო,
სულ სხვა სურნელი ექნება მიწას.
ეს გაზაფხული იქნება უცხო,
სიმშვიდეს სულის სხვისას რომ იცავს.
მანდ ყოჩივარდებს ექნებათ ფერი,

ჩემი ბავშვობის სიმრეების ლაღის.
მე მომეხვევა გამცვლადარი სევდა,
ჩემი ცხოვრების თმენისგან დაღლილს.
მანდ სხვანაირი აპრილი მოვა,
და სხვა ხიბლები ექნება ზეცას.
ყოველ დაისზე გაცვდება სხივი,
იმ მზისა მანდ, რომ სისხამზე მეცვა.

ატმის ყვავილი გააშიშვლეს ციფმა ქარებმა,
და იასამნებს სურნელება შემოაცალეს.
მერე, ყაყაჩოს სიხასხასე გართხმული მიწად,
სიცოცხლისაგან უმონყალოდ უმალ გაცალეს.
უყვავილობამ დაამწუხრა მზის სხივები და
ველარ გაუძლო გაზაფხულმა სიშიშვლეს ხეთა.
ბევრი იგლოვა სურნელება მომკვდარ ყვავილთა
და სილამაზე აყვავებულ აპრილის ფერთა.
მერე ადგა და მზის სხივისგან დაწნა ბანარი,
დიდ მუხის ტოტზე ჩამოჰკიდა განაჩენივით.
ჩაისუნთქა და მიიწვალა მშვიდი ღიმილით,
ბედისწერისგან კვლავ დაცინვას გადარჩენილი.

მე დავიბადე

მე დავიბადე, როცა დაისს მზე აწვალედა
და როცა ცისპირს მოუჩანდა მრავალი ფერი.
როცა მთვარის შუქს ცად წამოსვლა ეჩქარებოდა,
წვიმა კი ლალად ერთობოდა წვეთების ჟღერით.
მე დავიბადე, როცა ვარსკვლავს გული ეტკინა,
როცა ცას მოსწყდა მისი სხივი და გადაიკარგა.
მას მერე მუდამ უცნაურად ვაჩნივარ მიწას,
ჩემმა ცხოვრებამ თითქოსა და ველარ ივარგა.
მე დავიბადე სიცოცხლესა და სიკვდილს შორის,
მას მერე ხშირად გასაყარზე ვხედავ მანძილებს,
ყოფნა-არყოფნის ზღვარი, რომ სჩანს შებინდებისას,
ყოველღამე, რომ ბედის ვარსკვლავს სადღაც აცილებს.

მე დავბრუნდები

მე დავბრუნდები, არ ვიცი როგორ
მაგრამ, არმოსვლით ვერ შევძლებ წასვლას.
ზოგჯერ ყოფნა სჯობს, სადაც ხარ, ზოგჯერ,
სხვა გზა არა გაქვს და არჩევ გაცლას.
ძნელი ყოფილა პოვნა ადგილის,
სადაც სიმშვიდეს არასდროს სძინავს.
და ამიტომაც წავალ მოვძებნი
დაუმაღლებელ და მყუდრო ბინას.
თუ მაინც მოსვლა შემავგიანდა
და დამამარცხეს ბედის მსტოვრებმა,
დამპირდი, ჩემი ყოფნაც, არყოფნაც,
რომ სამუდამოდ გემახსოვრება.

ვინმემ მითხარით, რომ გაივლის ყველა ტკივილი
და მერე დრონი სიმშვიდისა ჩამოდგებიან.
თუნდ მომატყუეთ, მოლოდინი მაინც გაჩნდება
და იმედები სიცოცხლესთან შეთანხმდებიან.
ვინმემ მითხარით, რომ სიმართლე გაახელს თვალებს
და არაფრისთვის ნაგვემ სულებს ნუგეში უცდის.
თუნდ მომატყუეთ, ძალას მაინც შევინარჩუნებ,
თორემ სულს მტაცებს ეს ცხოვრება, ავი და ძუნწი.
ვინმემ მითხარით, რომ ყველაფერს თავის ბოლო აქვს,
დამთავრდებიან ამქვეყნური სამართალები
და შემომხედავს თვით სიმშვიდე მუდამ ნანატრი,
სიზმრად ნანახი ზეცასავით ლურჯი თვალებით.

ცოტაც და უკვე მივდივარ,
დიდ გზას ვადგავარ დამლოცე.
არ გააციო კერია,
ზოგჯერ სურათსაც აკოცე...
გამომადევნე სიტყვები,
არასდროს რომ არ გითქვია,
რადგან შენ სულში გული და
გონება მუდამ იბრძვიან...
თუ არა უხმოდ წაგივალ,
და გისახსოვრებ დუმილებს.
დარჩები მარტო მათთან და

წამოგიშლიან სურვილებს.
ფიქრებს მოგგვრიან მტკივნეულს,
სიტყვა, რომ დაგრჩა უთქმელი,
ნათქვამზე გული დაგწყდება
და წარსულს ველარ უშველი...
ცოტაც და უკვე მივდივარ,
დიდ გზას ვადგავარ დამლოცე.
დამპირდი, რომ ჩემს გაცრეცილ,
სურათს ხანდახან აკოცებ...

მე მაშინ მომკლეს

მე მაშინ მომკლეს, როცა ზეცა წამოწვა მთაზე
და ნისლებისგან არეული იყო ამინდი.
მე მაშინ მომკლეს, როცა სიტყვა სერავდა ჰაერს
მე შენ მოგსდევდი, მაგრამ მაინც გამინაპირდი.
მე მაშინ მომკლეს, შენი თავი რომ დავიფიცე
და ზეცად წასულს, აქ მიწაზე, ისევ დაგეძებ.
მე მაშინ მომკლეს, როცა ეშმა კაცი მეგონა,
და გულუბრყვილომ, წილი ვყარე მასთან ჩემს ბედზე.
მე მაშინ მომკლეს, როცა გავჩნდი ამ ქვეყანაზე.
მერე კი, დრომ და ბედის მწერმა გამტეხეს წელში.
მე მაშინ მომკლეს, ამა ქვეყნის საშვი რომ მომცეს,
ჯერ კიდევ ციდა და შეურყვნელ პატარა ხელში.

ცხოვრება რად ღირდა

სახელიც, დიდებაც თქვენთვის დამითმია,
მე ერთი ოცნების ახდენაც მეყოფა.
ძვირფასი ნივთები სხვას უფრო ამშვენებს,
მე უბრალოება ვარჩიე მეგობრად.
რატომ და ვერ ვირგებ მე ლამაზ სამოსებს,
არც სიმაღლეები მიზიდავს არაფრით.
მინაზე ხარობენ ჩემი გვირილეები,
და დროთა მეფობა სიშლეგით არ დაჰქრის.
ამქვეყნურ დიდებას ვადა აქვს, მერე კი
კვალია, რაც რჩება ჩვენს მერე მთავარი.
რა გზებით იარე და როგორ გათელე,
მინაზე რთული და დამლელი სავალი..
და თუკი ამ კვალზე, თუნდ ერთი ნამცეცი,
სადმე გამოჩნდა და კიდევაც გაბრწყინდა,
ეგ მორთავს სახელსაც და სულსაც შენსას და
მანდგეა პასუხი, ცხოვრება რად ღირდა.

გამიღეთ კარი

გამიღეთ კარი, გამომიშვით ჩემი თავიდან,
მე უკვე სული მეხუთება აუტანლობით.
და საერთოდაც აღარ მინდა თამაში ბედთან,
როცა არასდროს ვნებივრობდი მისი წყალობით.
გამიღეთ კარი, გამომიშვით ჩემი თავიდან,
ყველაზე დიდი საპყრობილე ყოფილა თურმე,
როდესაც შენი ფიქრის ტყვე ხარ, შენშია ტვირთი,
ველარ ერევი ვერც თავსა და ველარც ურვებს.
გამიღეთ კარი, წავალ სადმე და მოვშორდები,

ჩემსავე ფიქრებს, სიხარულს რომ არსად აჩენენ.
თუ არ გამიშვებთ, მე მოვძებნი ძალას დაკარგულს,
და ვერაფერი ამ დიღეებში ვერ გამაჩერებს.

დრო

თუ არ გაულებ კარებს მათხოვარს,
თუ არ განუხებს სხვისი ტკივილი,
თუ პურს ჭამ მარტო, სხვას არ მიანვდი,
თუ ბოლმას მოგგვრის სხვისი ღიმილი,
თუ პატიება არ შეგიძლია,
თუ აქეთ ელი სხვისგან შენდობას,
თუ შენ გგონია რომ მართალი ხარ,
თუ თავზე დასცქერ შენ, შენს მეგობარს,
მე შენ, გულწრფელად შემებრალები
დრო რომ გაჩვენებს თავის მეფობას.

მე უნდა მერქვას ქალი- ოცნება
არა იმიტომ-ვარ საოცნებო.
ოცნებას, ხშირად თავს რომ ვაფარებ,
გადასარჩენად და საარსებოდ.
მე უნდა მერქვას ქალი - სიზმარი,
რადგანაც, ხშირად რასაც იქ ვხედავ,
ცხადმა არასგზით არ მაღირსა და
სინამდვილისთვის არ გაიმეტა.
მე უნდა მერქვას ქალი - არყოფნა,

თავად ყოფნაში გადაკარგული.
რომლის ამქვეყნურ უთავბოლოობას,
არც სანყისი აქვს, არც დასასრული.
მე უნდა მერქვას მტვრიანი წიგნი,
რალაც, რთული და არწაკითხული.
რომ გადაშალეს, დაეზარათ და
დარჩა ეგრევე,
გადაფურცლული...

ხალხი რას იტყვის? ის თქვან რაც უნდათ.
სად არის ხალხი, როცა შენ გტკივა,
ან თუნდაც მაშინ, როცა მარტო ხარ,
ან ცხელ ზაფხულში სასტიკად გცივა?
სად იყო ხალხი, როცა შენ გაჩნდი
და ჩასუნთქვისას იგრძენ ტკივილი.
მარტო იყავი სანამ აქ მოსვლის,
რთულ და მძიმე გზას გამოივლიდი...
და როცა წასვლის ჟამი დადგება,
მაშინაც ვიცი, იქნები მარტო...
სიკვდილს პირისპირ შეეფეთები,
რაც უნდა ბევრი, ხალხმა იდარდოს.
ხალხი რას იტყვის? რაც უნდათ ის თქვან.
სინდისთან იყავ მართალი მარტო.

თუ გინდა დამხატე გაცრეცილ ტილოზე,
ისეთი, როგორსაც მიცნობდი ოდესღაც.
ასეთი ახლა რომ დავდივარ ლასლასით,
მგონი ჩემს ჩრდილსაც სასტიკად მობეზრდა.
დამხატე ისეთი, როგორიც გახსოვარ,
ახლა ხომ ვერ შევცვლით ვერაფერს, ბინდდება.
არ მინდა ცხოვრებას ჩამქრალი შემოვრჩე,
მე ზღაპრის ლამაზი ფინალი მინდება.
ფიქრები ქარიშხალს ფეხდაფეხ დასდევენ,
ამ გზებით ვინ იცის ველარც კი გადავრჩე.
დამხატე, როგორიც გახსოვარ სულისავე,
იმ ტილოს მაინც რომ ფერადად დავაჩნდე.

კარს აქეთ ზამთარი მძვინვარებს,
კარს იქით მზეა და თბილა.
კარს აქეთ სიზმრებში დავდივარ,
კარს იქით ცხადს შვენის დილა.
კარს აქეთ მტკივიან გრძნობები,
კარს იქით სიმშვიდეს ღვიძავს.
კარს აქეთ სულ მუდამ საფრთხეა,
კარს იქით სულს ვილაც იცავს.
კარს აქეთ შევკაზმე ულაცო,
კარს იქით მინდოდა წასვლა.
ვაჰ ბედო, ჩემს ლურჯას ფლოქვები,
უფსკრულის საზღვართან წასცდა...

გაივლის წლები და გაცვდება ყველა სურვილი,
აღარ ექნება მნიშვნელობა რა, რატომ, როგორ.
დაიკარგება უთვალავი წუთის სიღრმეში,
ოდესღაც ცელქი და ჭიუტი პატარა გოგო.
გაითელდება გზასავალზე ყველა ყვავილი
და გამუქდება დილის შუქი, მზის სხივთან ერთად.
მერე ვინ იცის სულ აღარც კი მინდოდეს შენტვის,
ასე ძალიან რას ვცდილობდი და სიტყვაც ვერ ვთქვა.
შლეგი მუშები დაღვინდება როგორც მაჭარი,
და უცნაური მათრობელა მოვა ამბორი.
შეუცნობელის და ახლისკენ წავა სიცოცხლე,
დაიწერება ის სტრიქონი რომ ვერ ვამბობდი.

სულო, რა ყოფილხარ ასეთი,
ყველა ჩარჩოები დაღეწე.
გულო, როგორ შესძელო, რამხელა
სიყვარულის კალო გაღეწე.
თვალო, ეს რამდენი გინახავს,
მიკვირს, ისევ გერჩის სინათლე.
თავო, რა ყოფილხარ ასეთი,
როგორ ცხოვრობ, თუ არ გიმართლებს.
მგონი, თვით სიკვდილი გაოცდა,
ფეხზე როგორ დგასო, ვერ იგებს.
ეს, რამდენი შხამი გისვია,
ზოგი, დედის რძესაც ვერ ირგებს.
სულო, რა ყოფილხარ ასეთი,
რა გაძლებით ცოცხლობ, ვერ ვიგებ.

გადავიღალე, ვინმემ შუბლზე დამადეთ ხელი,
დამაიმედეთ, რომ გაივლის ყველა ტკივილი.
თორემ,საცაა დავეცემი სადმე, ვფიცავარ.
ჩემი სხეული, სულს დატოვებს ღონემიხდილი.
ვინმემ მითხარით, რომ ოცნება ბოლოს ახდება,
და იმედები საიდანლაც მობრუნდებიან.
ერთხელაც დილას, ჩემი მზე, რომ ამობრწყინდება
მისი სხივები ჩემთან თამაშს მოუნდებიან.
ვინმემ მითხარით, რომ ცხოვრება არ არის გვიან
და მოსასწრები უამრავი ლამაზი დღეა.
თორემ, წავალ და საკუთარ თავს შემოვაკვდები,
გთხოვთ, მაგრძნობინეთ რომ სიკვდილი ჩემთვის აღრეა.

ვლენავ ჩარჩოებს, და მივდივარ თავისუფალი,
ეს იყო ჩემი ნანატრი და ნათმენი ნება.
ვერ ჩავეტიე, ვერ ვისუნთქე, ჰოდა წავედი.
ვიცი,ჭორები ფეხაკრეფით დამედევნება.
ვერ ივარგაო, განა სხვაზე მეტი რით იყო,
წამომანწევნ მწარე სიტყვებს, მეტად ღვარძილანს.
არაფრით მეტი, ნაკლები ვარ,გაძლება არ მაქვს
მადლობას ვიტყვი, მშვიდად წასვლას თუ დამაცდიან.
აჰა და თქვენთვის დამითმია ჩემი წილი მზეც,
და გაზაფხულის უეცარი შემოფეთებაც.
არ ვარ ამ ქვეყნის, უნდა ვნახო სადმე ადგილი,
სადაც სიცოცხლე, შიშისაგან არ დაფეთდება.

შენ დაუკარ, მერე რა, რომ მტკივა გული,
მერე რა, რომ სიცოცხლის დღეს თვლიან სადღაც.
რა მოხდა თუ ზოგჯერ ცრემლი შემომშრალი,
ნასროლი ქვის ნამსხვრევევით სულს მიკანწავს.
შენ დაუკარ, მერე რა, რომ ეს ცხოვრება,
სულს მაცლის და მაინც კიდევ ვერ მერევა.
მერე რა, რომ ჩამოდგება ერთი დღე და,
ყველაფერი სულ ერთმანეთს შეერევა.
შენ დაუკარ, მერე რა, რომ სულ ვეცემი,
მერე ვდგები და მივდივარ ისევ ჭიქურ.
მერე რა, რომ ჭრილობები არ შეხორცდა,
ახალი კი ისე მტკივა სული მიხურს.
შენ დაუკარ და როდესაც დამთავრდება,
ამ ჩემს დღეთა სასიცოცხლო შერკინება,
მერე წავალ ჰორიზონტთა გასაყართან
და იქ უკვე არაფერი მეტკინება.

მოდის, გადავქანდეთ ბავშვობაში,
ისევ ვითამაშოთ სახლობანა.
თორემ, ეს დიდობა გამიჭირდა,
თავს რომ, დამატეხა ქარბორბალა.
მართლა, წამომყევი გეხვეწები,
იქნებ, ბავშვობაში დავისვენოთ,
ისევ გავლადღეთ და ვიტუტუცოთ,
ჩვენი ოცნებები გავიხსენოთ.

თორემ, სადაცაა სული გამძვრეს,
ველარ, ვუმკლავდები ქარტეხილებს.
წამო, ცოტა ხანი გავერიდოთ,
საფიქრალეებს, თავზე დატეხილებს.
წამომყევი, ვნახოთ ვინც გვიყვარდა
წარსულს შერჩენილებს მოვეფეროთ.
მათი სითბო საგზლად წამოვიღოთ,
რომ, შევძლოთ და ყოფნა გავაგრძელოთ.

რა გზით არ ვიარე და რა არ შემომხვდა,
საით არ მაქროლეს ბედ-იღბლის ქარებმა.
თუმც მაინც ვერ მოკლეს ჩემში რომ ბავშვია,
ხანდახან ჯიუტი და მეტად თავნება.
და ახლაც ის ბავშვი დამყვება სუყველგან,
კარებსაც ის უღებს მზით გამთბარ აისებს.
ღამესაც ის ხვდება სიზმრის მოლოდინში,
და ოცნებებითაც სულს კვლავაც აივსებს.
ხშირად დაღონდება და მხრებსაც ჩამოჰყრის,
მერე კი ისევე ლურჯ ზეცას ახედავს.
როგორ არ ეცადა ცხოვრება თუმცაღა,
ეს ბავშვი უტეხი ვერაფრით გახედნა.

ვგავარ ნასახლარს, სულ ახლად დაცლილს,
ჯერ კიდევ, თბილი როა ბუხარი.
ბუნაგს, რომ ტოვებს ბებერი ძალლი
და ცაა ახლად დანაქუხარი.
რომ წვიმს და რეცხავს თქეში ყველაფერს,
მაგრამ რაღაცას, რომ ვერ ერევა.
რომ მიდის კაცი ნაფუძარიდან,
და თან კერიას ვერგზით ელევა.
რომ მოსჩანს სივრცე დიდი და შორი,
თუმცა უცხო და თითქოს საშიში.
გზა რომ ერთია და ვერ გადუხვევ,
ვერც დროში მოჭრი და ვერც მანძილში.
ვგავარ ნასახლარს სულ ახლად დაცლილს,
ქარმა შეშლილმა აწენა დარდი.
ცარიელ სულში მძიმე ნაბიჯით,
სევდა ყოფნისა მღუმარედ დადის.

დამიმახსოვრე, შემხედე და დამიმახსოვრე.
მალე ჩემს კვალსაც ველარსაით გადააწყდები.
მივდივარ, სადაც თენება სცვლის მღუმარე ღამეს
და ეფაკლებათ ალიონებს თეთრი ღანწები.
დამიმახსოვრე, თორემ მერე ინანო ვინძლო.
შანსი ერთია ცხოვრებაში და ჩვენ გავუშვით.
მე ახლა უკვე აღარ ვებრძვი ქარის წისქვილებს
და ჩემი ღუზაც ცრემლის ტბაში უკვე ჩავუშვი.

დამიმახსოვრე და გაგყვება ჩემი ნაწილი
სულის, რომელიც შენ წამგვარე ოდესღაც ნებით.
მოუფრთხილდი და გაიარე შენს გზაზე მარტო,
შენ ჯერ სადა ხარ, ვაი როგორ გაგახსენდები.

მეწამულ ალიონს გაგყვები ცარგვალში,
ამტკივდა სუყველა ჩამკვდარი ოცნება.
ჭრილობის მალამოს მოვძებნი ღრუბლებში,
მიწაზე არაფრით რომ არ მიხორცდება.
არა აქვს დარჩენის მცდელობას აზრი და
სულ უფრო მიიწევს სურვილი იქ სადაც,
წყენა და ტკივილი ერთისგან მეორის,
არაფის მოუვა უაზრო ფიქრადაც.
ერთხელაც, მზის ჩასვლას, ჩემთვის რომ დადგება,
წაყვები შორეულ და ლამაზ მხარეში.
იქ, სადაც არავინ არაფის ჩაგრაფს და
არ არის კეთილზე ბოროტის თარეში.
მე, აქაც ვეძებე ეგეთი ადგილი
და ლამის გიჟადაც შემრაცხეს ბრძენებმა.
ახლა კი მივდივარ, სულ კარგად დამირჩით,
სიცოცხლე დაცალეს ამ ჩემმა ფიქრებმა..

ის გაზაფხული არასოდეს არ მოვა ჩემთან,
სადაც ალუბლებს ეღებებათ წითლად ტუჩები.
სადაც ტყემლები ირთვებიან პარატძლებივით,
მიწიდან მზისკენ ცას უმზერენ დღენი ურჩები.
არც გვირილები არ მორთავენ ჩემს სამოსახლოს,
ყაყაჩოები ჩაქინდრავენ თავებს დარცხვინით.
ჩემი დრო უკვე წაიყოლეს ბედის მსტოვრებმა,
იღბლის წიგნი, რომ გადაშალეს ხელით მარცხენით.
არც ატმის ყვავილს ვისურნელებ ღანვებშეფაკლულს
და არც ენძელებს აღარ ვნახავ მიწაგახეთქილთ.
გადამიარა ამ ცხოვრების შტორმმა მთლიანად.
და სულის ფსკერზე დამიტოვა დიდი ნახეთქი.
ხო, გაზაფხული ალბათ უკვე არ მოვა ჩემთან,
შემომეჩვივნენ შემოდგომის დღენი სევდებით.
და ასე ვივლი მე ჩემს გზაზე სანამდის მკლავებს,
მარადისობის გამონვდილებს არ დავნებდები.

როცა სათქმელი არაფერია
და როცა სიტყვებს არა აქვთ ძალა.
როცა შიგნიდან ბობოქრობს სული,
თვალეებით ცლილობ და ამას მაღავე,
მაშინ იღვიძებს შლეგი მუზა და
რითმები ჰგვანან მცივან ბელურას,
მთელი ზამთარი მზის მოლოდინში,
ცა გაყინული ძლივს რომ ეხურა.
ზოგჯერ სათქმელი კი გამოჩნდება,

თუმცა გამგონე არავინ არის.
მაშინ შეჰყურებ ღამის სიმუქეს,
ცდილობ დანახვას ცარგვალზე მთვარის.
და წვალობ, წვალობ ზოგჯერ ლექსებად
ზოგჯერ კი დარდი უთქმელი გსერავს.
და მერე მაინც, გინდა არ გინდა
გგონია აჰყევ ბედსა და წერას.
მერე ვილაცა იტყვის გიჟია,
რა არ ასვენებს, რითი გვტობს ნეტავ.
არაფრით ხალხნო, სიტყვაზე მენდეთ,
მე მივდივარ და ჩემს ჭიშკარს ვკეტავ.

ჯერ არ დამდნარი თოვლი, ცრემლად ჩამოდის კლდიდან,
არადა უკვე ზაფხულია მორთული როგორც
კავკასიელი პატარძალი, ლოდინში მაყრის.
მასში კი ტირის თავნება და ჯიუტი გოგო.
ზოგჯერ მგონია რომ წესები თავადვე ხდიან
ადამიანებს მორჩილებად, აცლიან პრინციპს.
მერე კი თხზავენ მითებსა და საოცარ ზღაპრებს,
იქ, სადაც ბაყაყს ქალად აქცევს ნამდვილი პრინცი.
ასეა, ასე. თავს ვიტყუებთ, რისთვის არ ვიცი,
თუმცა ამ ტყუილს გამოვყავართ ზოგჯერ მართლები.
ხშირად კი გვიწევს სიცრუეში ხოლმე დამალვა ,
რომ არ შევფხოთ სისუსტეებს თავის მართლებით.
ჯერ არ დამდნარი თოვლი ცრემლად ჩამოდის კლდიდან,
არადა უკვე ზაფხულია მორთული, როგორც
კავკასიელი პატარძალი, ლოდინში მაყრის
და მასში კვდება თავნება და ჯიუტი გოგო.

ბავშვობა კუთხეში ატუზულა,
დაკონკილ-დაძონძილ კაბით.
მიყურებს შორიდან, ეტირება
მე შენო სხვაგვარად მწამდი.
დიდობამ რატომო გაგიმეტა,
რად დასვა შენ სულზე დალი.
რა სჭირთო ენძელებს, სად არიან,
რად გახმა ატმების ბალი.
დრომ მეტყეი წაილო საიდანაც,
წამიც არ ბრუნდება უკან.
მას გაჰყენენ ის, რაც შენ გენანება,
და იქ არ არსებობს რუკა.

არ იბადება უტკივილოდ მშვენიერება,
მუდამ თან ჰყვება ტანჯვის კვალი, მოუჩანს სადღაც.
ცისფერ კესანედ ან გვირილად დაბადებული,
ძლივს, რომ მიჰყვება საზღაურად უმძიმეს აღმართს.
მერე არ უყვართ ეკალ-ბარდებს მათზე კარგნი და
სულ ცდილობენ, რომ სამოსელი მაინც წაჰგვარონ.
არ ვიჭერებდი, თუმცა თვითონ რამდენჯერ ვნახე,
თურმე წესი აქვს ამისთანა დედასამყაროს.
ყაყაჩომ მითხრა, მერჩივნაო ბალახად მოსვლა,
არ გამართხამდა მინაზეო გულცივი ქარი.
წითელ ხალებად დედამინას ვილა მორთავდა?
მე თვითონ შემრცხვა ეს სიტყვები როცა ვუთხარი...
არ იბადება უტკივილოდ მშვენიერება,

და ისე ქრება, რომ მიწაზე არც იყო თითქოს.
არადა ამ დროს ვგრძნობ, რომ სული მილენწავს სხეულს
და მისგან სადღაც უგზოდ-უკვლოდ გაფრენას ითხოვს.

სულის სიმთა ჟღერადობა აიშალა,
რექვიემის პარტიტურას უკრავს თითქოს,
ის ორკესტრი, წვიმის ხმა, რომ რითმად გასდევს
და მაესტროს თვით სიკვდილი ბისზე ითხოვს.
ბოლო აკორდს შემოაკვდა ნოტები და
უსასრულო მოლოდინი გაირინდა.
ღრუბლებს შორის თითქოს ფრთები გამოჩნდა და
უნებურად შერცხვენილი ცა გაფითრდა.
ღირიჟორმა ტაშის ხმაში გაიგონა,
ჩაცინება მაყურებლის-კაცთა იღბლის.
სინამდვილე უხერხულად შეიშმუშნა,
თვალეებზე, რომ გადაჰკროდა მუქი ლიბრი.

შენ ამბობ, ნუ დარდობ, რაღაცა იქნება.
„რაღაცა“ არ მინდა, მე ჩემი ნატვრა მაქვს
და თუკი არ ახდა, მიწაზე გაძლებას,
ნისლი და ღრუბელი ბინდებით დაფარავს.
მე სხვისი არ მინდა, სულ ჩემსას ველოდი
და ვატყობ გაძლებას ძალ-ღონე ეცლება.
ყოველდღე ვუყურებ როგორ იყიდება,

სინდისი, ნამუსი, ოქროდ და ვერცხლებად.
სულ მეუბნებოდი, ამ ქვეყნის არა ხარ!
ასეა, მე ისეთ სამყოფელს ვერ ვუძლებ,
იქ, სადაც სიმართლე ღალატით კვდება და
სიცოცხლე თავს იკლავს მტკივან და ცხელ გულზე.

გეცლებით ყველას, ჩამოვგლიჯე იმ სცენას ფარდა,
დრამამ რომ ბევრჯერ აფრიალა ტაშის გუგუნში.
საინტერესო სცენარმა და სანახაობამ,
მოურჩენელი დამიტოვა ტკივილი გულში.
მზერას მომართულს დაეღალა თურმე თვალები,
მაყურებელსაც სხვა სწადია სანახაობა,
გაჰქრა სიმძაფრე და მოუნდათ სხვა სიუჟეტი,
გაჩნდა ახალი დრამისათვის მათი მზაობა.
სუყველამ ვიცით, თუმცა ხშირად არ გვახსენდება,
ამ ცხოვრებაში ყველაფერი ცვალებადია.
დღეს რომ თეატრში, სხვის დრამაზე ლოჟაში ვზივართ,
ხვალ მაყურებლად, ჩვენს სპექტაკლზე სხვები ივლიან

მე დავასრულებ მალე ჩემს ტილოს
და მივახატავ ბოლოში ბილიკს.
იქ, ყველა ყვავილს ექნება ფერი,
სუნი ექნება სისხამი დილის.
ბოლოსკენ დიდ მზეს დავხატავ ცაზე

და გაბათხულის ფერად აისებს.
იქ, სადაც წვიმა სვამს სადღეგრძელოს
და ჭამს თავისი ცრემლით აივსებს.
აქა-იქ ცისფერ ღრუბლებსაც მივყრი
და რუხი ფერის გავფანტავ ნისლებს.
ჩემსკენ მომართულთ გზა-კვალს ავეურევ,
ბედ-იღბლის ხელით გასროლილ ისრებს.
მერე კი ბილიკს გავყვები სადმე,
იქნება ჰქონდეს ლამაზი ბოლო.
იქნებ მომისწროს მზემ გაბათხულის
და სანუხარიც დრომ გაიყოლოს.

შეშლილი ქარი დათარეშობს ჩემს სარკმელს იქით,
სარკმელს აქეთ კი სიჩუმეა, არაფრისმთქმელი.
ვცდილობ ვაჭობო, უსახური ცხოვრების დღეებს
გული კი მაინც არ დადინჯდა, გელის და გელის.
ვინ იცის რამდენ ქარბორბალას თუ მზიან დილას,
შემომახვედრებს ამ ცხოვრების ნება-სურვილი.
თუმცა იმ გზაზე, ბევრ ეკალს რომ დავეკანრივარ,
რაც უნდა მოხდეს, არ გადგუხვევ, მაინც სულ ვივლი.
და თუკი არსად არ შემომხვდა მწვანე ბილიკი,
იქ, სადაც ყველა მოლოდინი ერთად იღვიძებს.
წავალ სიზმარში, ოცნებები ფრთებს, რომ გაშლიან
და არასოდეს, არასოდეს გამოვიღვიძებ.

ჩამაცვით სიმართლე რომლითაც მივლია,
გამხადეთ მოხვეულ ჭორების ძონძები.
მაცხოვრეთ, იქ სადაც სუნთქვა შემიძლია,
სანამდის მიწიდან არ აღვიხოცები.
მანამდე მატარეთ ჩემს რჩეულ ბილიკზე,
უხეშიც რომ იყოს, სავალი ჩემია.
მე არც დაბადება, არც წასვლის თარიღი,
არასდროს ვიცოდი, არ ამირჩევია.
და თუკი მაინცლა დაფდივარ მიწაზე,
ჩემი შეცდომებით და ჩემი ტვირთებით,
მადროვეთ ბატონო, სიცოცხლეს ჯერ ვჩემობ,
თუკი ერთ ვინმესაც რამეში ვჭირდები.
მერე კი, იცით რა? დე იყოს ნება და
ამ სხეულს ნაჯიჯგნს და ნაწამებს დავტოვებ!
სული კი წინ წავა, და თუ დავეწიე,
იქ უკვე ჩემს გრძნობებს მე დავიმართოვებ.

შემომახიეს მანდილი,
ნაწნავი შემიკვეცესო.
სულ შარა-შარა მათრიეს,
რად არ სცნობ ამ ჩვენს წესებსო.
არც ქვების სროლა დამაკლეს
და არც ზურგსუკან ქილიკი.
მეგონა სულსაც დავლევედი,
არადა, მოხდა პირიქით.

კლდესავით შეუვალი ვარ,
რაგინდ ლოდები მაყარონ.
მე ჩემი თვალით ვუყურებ,
ამ უთავბოლო სამყაროს.
არავის დავემონები,
არც ვისმეს ყმობა მჭირდება.
თუნდაც ვიცოდე ცხოვრება,
სულ მუდამ გამიჭირდება.
სადაც ვინჩროა იქ განყდეს,
მე თოკს არ ჩავეჭიდები,
თუკი ვინცა ვარ ისეთი,
არავის არ დავეჭირდები.
შემომახიეს მანდილი,
ნაწნავი შემიკვეცესო.
ჩემი სავალი ბილიკი,
კეცეს და ვერ დაკეცესო.

ჩემნაირები ვერ იზრდებიან,
მუდამ რჩებიან ნაწყენ ბავშვებად,
თითქოს ვილაცა რომ გაებუტათ,
და აღარავინ ეთამაშებათ.
ჩემნაირები ადრე კვდებიან,
არა, ამქვეყნად დადიან მაგრამ,
დაატარებენ მძიმე გულებს და
დროდარო სვამენ ცხოვრების ბალღამს.
ჩემნაირები დროსაც არ უყვარს,

თითქოს თავისთავს აჩერებს მათში
და მედიდურად რომ ითარეშოს,
ხელს მუდამ უშლის ნაწყენი ბავშვი.

ჰე, ვარდობისთვევ, ააყვავე ჩემი ვარდებიც,
მერამდენჯერ გეგებები, არა გრცხვენია?
რატომ მექცევი უცხოთ, მე ხომ მიყვარხარ,
სიყვარულს არ გთხოვ, მითანაგრძნე, ასე ძნელია?
თუ გინდა, კიდევ მოთმინებით დაგელოდები,
თუმცაღა წინ ხომ, ბუნდოვანი ერთი წელია...
ვინ იცის რაღა არ მოხდეს და აღარც კი ვიყო,
ამიყვავილე, სანამდისაც გული ცხელია...
სანამდის კიდევ გადამირჩა მოლოდინი და
ეს მოლოდინი ჩემთვის, თითქმის ყველაფერია...
ჰე, ვარდობისთვევ, ააყვავე ჩემი ვარდებიც,
არახდენილი ოცნებები გადამლღელია...
ნუთუ, იმისთვის დამსაჯე რომ გადაგეკიდე
და რომ ღალატი ჩემი რწმენის, არა მჩვევია?

ანა ბელაშვილი



შენი ასაკი? „ოცდა ნათქვამი“ უკვე ზრდასრული!
მცირე სურვილი? მშვიდობა ჩემდა! მშვიდობა თქვენდა!
და აქვე ჰობი? ჰობი? სიცილი ზღვარ გადასული!
ერთი მიზანი? საღამოს, ციდან ღრუბლის მონმენდა!
და ხასიათი? გულის ყოფიდან გამომდინარე!
სულის მუსიკა? წმინდა ღვთისმშობლის საგალობელი!
ერთი ციტატა? „ვერ აადიდებს ცრემლი მდინარეს“
ერთი პოეტი? ა.კალანდაძე, სულის მთრობელი!
თვალეების ფერი? როცა ვიღიმი, თათლისფერია!
და როცა იწყენ? უკუნ ღამეზე შავია, ვგონებ...
ხელის ხელობა? თითქმის გამომდის სულ ყველაფერი!
სიყვარულისთვის? ახალ მიზეზებს გამოვიგონებ...
სარწმუნოება? გულში მიღვივის უფლის სიონი!
ფერმწერ-მხატვარი? ბერთა მორიზო, სალვადორ დალი!
აქვე საჭმელი? ბავშვივით ფაფა, ხან - ბულონი!
წვენი თუ წყალი? რაღა თქმა უნდა წყალი და წყალი!
სულ დამავიწყდა... ალბათ რაიმე მნიშვნელოვანი...
შენი სახელი? უბრალოდ ანნა, გრძნობის ასული!
ბოლოს რას გვეტყვი? კარგი სახელი მრავალწლოვანი, სულში
იმედი! სულ გაზაფხული...

სიზმარია თუ ცხადია...

ქედმაღალ ამ ჩემს სამშობლოს,
ყურები ჩამოუყრია,
ვერ გაუგია თავ-ბოლო
ნეტავ შია თუ წყურია?
ცას აზიდული ჭადრები,
ვაკეზე დაუნწენია,
სამრეკლოს წმინდა ზარები,
მზის გულზე გაუფენია...
ოხ, ეს კრიალა სინათლე,
ბურუსში გაუხვევია,
ტაძარი, მე რომ მომნათლეს,
უკულმა დაუნწენია...
სინწინდეს, მე რომ ვხედავდი,
მტერში და მოყვარეშია,
ვეცადე, მთელ დღეს დავდევი,
ის კი ჩაინთქა ხრამშია...
თელა - ჩემს სულს რომ თან ერთვის,
მტარვალებს დაუხერხიათ,
მერე იმისგან სათვისო,
ბარდაგი შეუჭედიათ,
აგე, ჩემს წინ რომ ტაბლაა,
სავს იყო მედალ-ჩინებით,
ახლა იქ ხდება, (სვლა დაბლა!),
მრუშობა ზე-წარჩინებით...
მშობლიურ ეზოს ხეხილებს,
ჭიები მიმორევიან,
ვაზსაც სიცივე ახელებს,

დახუნძლულსა და მტევნიანს,
მირონცხეული ბუნებაც,
გახელდა, „ბრჭყალი“ აშალა,
მზე, საჩვენოდ არ ისურვა,
წვიმა თავს შემოგვატარა...
რა უქნეს ამ მთას მშვენიერს,
ან ამ დალოცვილ ქალ-კაცებს,
სიკეთის ნაცვლათ ჰაერში,
ავს და შურს რომ იტაცებენ...
როგორ ვთქვა, აი ჩემს სულსაც,
ეშმაკი დასჩემებია,
ტაძარში მისულს, ღვთის ნაცვლად,
ბარაბა შემგებებია...
იქნებ მე მერჩის განგება,
ან იქნებ სიზმარს ვნახულობ,
მაგრამ, ეს მთებიც, ვეება,
იგივეს რატომ ნატრულობს?!
აღბათ გონი თუ წაართვეს,
სხვა აბა რა სურს, რა უნდა,
თუ არა იმის სათავეს,
სულს... ბზარი რამ გაუჩინა?!

მკვიხარა

ის იყო ღამე გამოძვრა მზიდან,
ბუხ...და რალაცა განათდა ჩემთვის,
მითხრა- შენთან ვარ, აი ამ დღიდან,
დამიარა და უთქმელად მეტრფის...
თმების ღერიდან ამომხსნა ჭირი,
უნგართ და წაილო სულ თან,
უიღბლო სევდა სიმწრისგან ტირის,
ო, წ უ ხ ე ლ ღ მ ე რ თ ი მ ე ს ტ უ მ რ ა ც ი დ ა ნ...

არჩევანი

აქ, ქართულმა მზემ, იქ, კიდევ „უცხომ“
გულ-მკერდზე სხივი დამასო ტრფობის,
არა გავნოსო წყეულმა ჩერომ,
უჭკნობ-უკვდავო, დედოფალობის...
"უცხოურმა" მზემ ვაი-ვაგლახმა,
მახე დამიგო, (ჯაფრი მაყარა),
არ გაიგონა ჩემი გულის ხმა,
და საქორწილო სუფრა გაშალა...
და ის ის იყო დღე დაიბადა,
ვხედავ ჩემი მზე საშველად მორბის,
და მანამ ის მზე პირს დაიბანდა,
ტკბილად დავინვი ჩემი მზის შორის...

მზაჯვარედინი

ოთხი გზის შუაში ვაგდივარ ნემსივით,
შენი ხმა, შენი თქმა, მერევა დენივით,
მინდა, რომ მოვიდე შენამდე ყველა გზით,
ვაი, რომ ვერ ვხვდები, ვერაგზით, ვერაფრით,
ვერაფრით, ვერაფრით დავმაღე სისუსტე,
ვიცი თქო, შენი გზა მეასედ ვიცრუე,
არა და ოთხი გზის შუაში ვაგდივარ,
და ასე უგონოდ, ავდივარ - ჩავდივარ!
მინდოდა, მინდოდა ყველა გზით მენახე,
და ამ ფიქრს, ამ განცდას, ვეომე, ვენამე...
მასწავლე, მე ის გზა (როდემდე ვენვალო),
რომელიც შენამდე მომიყვანს უფალო...

* * *

ამ ქვეყნად არაფერი არ მათვლებს, არც აღარაფრის არ
მნამს, მაგრამ უშენობა ჭირის დღესავით და ცუდი სიზმარივით
მზარავს, ჭირი გამუდმებით თან რომ მსდევდეს, ჭიქურ! შეუ-
პოვრად! სწრაფად...

მხოლოდ ეს მანუხებს, სევდა შენს სახეზე ნანატრ ღიმილებს
რომ მპარავს...

სონეტი გიჟზე

შენი სურვილი, ფიალასავით ჩემში ავაგსე,
ვცდილობ...და ვითვლი, მეათასედ გივიწყებ მგონი
და რაც არ უნდა მყარად ვიდგე, შენს დანახვაზე,
მკერდში დაჭრილი სკვინჩასავით, მეღევეა ღონი.
მე ისე მინდა, შენს ფართო მხრებს, ჩემო ხსნის ხანავე,
ნედლი ვაზივით შემოვეხვიო, სიტყვა უთქმელად,
სულ თავისუფლად დავუთმობდი, ჩემს სულს სატანას,
გულს კი, შენს გულში, ჩავმარხავდი ფიც მიუცემლად.
მინდა მოგკლა და აღგადგინო ისევ, ხელახლა
და ჩემთვის შენი სურვილები მსხვერპლად გავიღო,
ხანაც კი მზად ვარ, შენი დარდი სულ მე გადავხრა...
ამიტომ მინდა ბუნებასავით მეც გიჟი ვიყო!
გიჟი რომ ვიყო, მერე ხომ არ გამამტყუნებდი,
რომ ასე ნორჩი, ვიშლები და შენთვის ვხუნდები!

* * *

თუ კი შენს თავს არ ვაკარებ კალთას,
შენ გგონია დავძრწი ალთას-ბალთასა!

* * *

დაგხატავ ფურცელზე ხელგაკვრით, უგულოთ,
რომ მერე შენს სახეს მხოლოდ მე ვუყურო....

ის ბიჭი მომგვარეთ საჩქაროდ...

ის ბიჭი მომგვარეთ საჩქაროდ,
წუხელ, რომ თვალებით მთელავდა,
ეცქირა, ვინვოდი თუ როგორ,
წამებს, რომ ჭინაზე წელავდა...
ის ბიჭი მომგვარეთ საჩქაროდ,
საჩქაროდ მომგვარეთ ის ბიჭი,
ვანახებ თუ როგორ მაჯობა,
და მხოლოდ სიმორცხვე თუ ვიცი...
ის ბიჭი მომგვარეთ! მომგვარეთ!
თვალებით სადარი დღე-ღამის,
ეს გული ვაჩუქო ვაპირებ,
ნანახი ათასი ვარამის!
მომგვარეთ! მომგვარეთ! მომგვარეთ!
საჩქაროდ ის ბიჭი მომგვარეთ!
წუხელ, რომ თვალებით მთელავდა,
ჩემს გულში
ჩააგდეთ!
დამარხეთ!

ტრიოლენტი

რა რიგად მინდა სატრფოვ, გავხდე შენი შარბათი,
მაგრამ რა ვუყო, თან მოყოლილ უთვისტომობას,
უდედ-მამობას განა შველის მწირი ბარათი?
რა რიგად მინდა სატრფოვ, გავხდე შენი შარბათი,
და ამით მორჩეს ბედ-იღბალთან ცხარე კამათი,
ვგრძნობ, ჩემს სხეულში დამკვიდრებულ ამ უღონობას,
რა რიგად მინდა სატრფოვ, გავხდე შენი შარბათი,
მაგრამ რა ვუყო თან მოყოლილ უთვისტომობას?!

* * *

მე ხომ არა ვარ თექვსმეტი წლისა, სატრფოვ ჩემო,
რომ სიყვარულში არაფერი ხელს არ მიშლიდეს,
სხვისთვის მფეთქავი შენი გული რომ დავიჩემო,
მე ხომ არა ვარ თექვსმეტი წლისა, სატრფოვ ჩემო,
თავი დაგვარგო...შენი ტრფობა ამოვიჩემო,
თუნდაც ეგ ბაგე, ერთგულებას ბევრჯერ დამპირდეს,
მე ხომ არა ვარ თექვსმეტი წლისა, სატრფოვ ჩემო,
რომ სიყვარულში, არაფერი ხელს არ მიშლიდეს...

ია და მგზავრი

წუხელ შევესწარ იის ამოსვლას,
მთელი სიმორცხვით ამოჭრა მინა,
ელოდებოდა მგზავრის გამოვლას,
ზედ რომ ვილაცამ გადააბიჯა,
შემიბრალო ურცხვო, თავნება,
გადამრგე სადღაც უფრო მზიანში,
თორემ ერთხელაც დამეზარება,
მეც აყვავება ქარში, ყინვაში,
და ვნახოთ მერე როგორ იხარებთ,
ია-იაო დაგკრიფოთ ტყეში,
ან როგორ მიხვალთ თქვენს სატრფოებთან,
გახარებული იებით ხელში,
ეს თქვა და თოვლში ჩარგო ფოთლები,
ხელი რომ დანვდა მინას მოგლიჯა,
მწარედ ატირდა მისი ფესვები,
იამ მტრის ხელში თავი ჩაჰკიდა...

* * *

ცისფერ თვალებს ზღვას ვადარებ,
მწვანეს - მინდორს ნამიანს,
შავ თვალებს კი ღამეს ვადრი,
ღამეს ოლონდ - მთვარიანს...

ბამონავალი

დალახვროს ეშმამ, დღე არის ისეთი შავბნელი,
დღე არის ისეთი შავბნელი, დალახვროს ეშმამ,
სალამოს მიწურულს ვიპოვნე ხსნა და დავთვერი...
დავთვერ და როგორც, მაგ შენმა ლხენამ,
თვალეებში მოსულმა სინათლემ გამიპო ბაგე,
და თუმცა სრულდება, ქრება, სინათლე სულს დაფავს,
ჩემში რომ სულ იყო მატებით ის გმირი „გავადე“
და მაინც ვიგონებ, სატრფო რომ რჩება იმ ზღაპარს...
სულ, სულ, სულ ყველა შეგრძნება მოვპარე შენს სხეულს,
ბოლოს კი, (თუმცაღა ვეცადე დაწყება თავიდან),
შენს მიზეზს ჩემიდან გასაქცევს, უღონოდ გალეულს,
შევასხი ფრთები და თვითონ გაგიშვი ჩემიდან...
და თუმცა დღე არის რარიგად შავბნელი,
ხელის ჩაქნევის სანაცვლოდ საშენოდ დავთვერი...
სიჩუმე?

იყოს შენ თუ დაარღვევ...

საქართველო

ს-ხვანაირად დალოცვილო! გამოცდილო...
ა-რნახულო, ჭირნახულო ,ლხინნახულო,
ქ-ვა-ლოდებში გამოწრთვნილო! გამოზრდილო...
ა-კიაფდი! ძველის-ძველო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!
რ-იონს გულზე დაწოლილო ცა მართალო,
თ-ბილი ქვეყნის მშობელო და მარჯვე ხელო,
ფ-არამისგან მინდა გიხსნა, თან დაგლოცო,
ე-ძიებდე! სულ სიკეთეს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!
ლ-ომ ვაჟკაცის მშობელო და მეპატრონევ,
ო-დიდგანვე დალოცვილო ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

მთის იმედი

„ოხ, წუხელ რა დამემართა,
ღიმილმა ბენვათ გამასწრო,
ცრემლებით მთა დავასველე,
ახლა ის უნდა გავაშრო...
მერე იქნება მან მაინც,
შემიფაროს და დამიხსნას,
საით ვეძებო ღიმილი,
გამაგებინოს, ამიხსნას“...

* * *

მომაშორე მზევ სხივები, მ ო მ ც ი ლ დ ი!
სანამდე არ მოგისროლე გადაღმა,
ჩამოგიღებ მაგ თავნება ზეციდან,
და ჩაგკიდებ შუა ზღვაში თავდაღმა...
ჩ ა ვ ი დ ე ს ო! დაგვასვენოს ცოტახანს,
ყველამ მითხრა, დავიარე კარდაკარ,
რა იქნება ზაფხულში რომ განელდე,
და ზამთარში ამოხვიდე ხანდახან?!

საჩივარი ბუნებას

რომ არა ვთქვა არ მომოთმენს გონება,
შემანუხა თოვლის ცივმა ფანტელმა,
გაგონება რატომ არ სურს ბუნებას,
რომ წაგვლეკა მისმა წესმა, კანონმა?
მოდო! წყენა მივატოვოთ წარსულში,
მხოლოდ ერთი ეს მითხარი, გამანდე
რა იქნება შუა მზეში, ზაფხულში,
თბილ ხელებზე, ყინულად რომ დაგვადნე?

* * *

სულაც არ ვფიქრობ ცხოვრებაში,
დღეს ვინ მაჭობა,
არც სიყვარულზე არ მჩვევია,
ანცი ვაჭრობა,
მესმის ოდიდგან არ მიზიდავდეს,
მოყვრის მტერობა,

და რომ გინდოდეს ბევრი გქონდეს,
არის ღორობა!
ზოგს კი იზიდავს ერქვას მეფე,
და სურს მერობა,
მე კი ცხოვრება, სიმართლითაც,
კარგად მეყოფა...

* * *

ლაცობაში რომ სიბრძნე ვიპოვნო,
ხომ უნდა ითქვას რალაცა კარგი?!

* * *

შენს ღიმილს, ჩემს თავთან, რომ სძინავს,
ის დილა მგონია თენდება,
ოდესმე სუნთქვას რომ შეწყვიტავს,
ოდესმე რომ ქრება, თავდება...

სანატრელი ერთგულება

ჩემშია ახლა იმდენი სევდა, იმდენი შფოთი,
იმდენი ურვა, მუჭით, რომ ზილო და ჯარასავით,
დატრიალებდე ამ ჩემს ნუხილებს,
არ ეშველება, მაინც მომიწევს სიხარულისთვის
გულის დახურვა,
თუ სანატრელი, ეს ერთგულება,
ჩემი გულისთვის არ დაიქუხებს...

* * *

აღარ შემწევს ძალა ყოფნის,
ცელქისა და მარდისა,
ქვეყნად აბა სად გინახავს,
შეკავება დარდისა?!
მესმის სევდა შეინახო,
არვის არ გაუმხილო,
მაგრამ ასე გაგონილა,
ერთხელაც არ მოიღობინო?

* * *

გულის კარნახს რომ მივებდე,
გამაცილა საჩვენოს,
ახლა გონებას მივტერი,
სწორი გზა რომ მაჩვენოს...

მახარობელი ჩიტი

ოცდა უკვე დავიძახე,
თმა ჭალარამ გადაფარა,
მაჭანკალებს დამიძახეთ!
ააფრინეთ ფეიქარა...
ზეცას თოკი გამოაბით,
დამიფინეთ ზურგ-ქვეშ ლებად,
თაიგული ამიკინძეთ,
იაგუნდის ყვაფილებად,
უნდა მტერი დავამწუხრო,
ფეხი შევდგა ამბიონზე,

უფლის სახე დავინახო,
განათებულ ლამპიონზე...
მომიგლიჯეთ ხორნაბუჭი,
შემომადგით ტვირთად ზურგზე,
ოლონდ ბიჭი მხნე და ბურჭი,
ჩამიკონეთ კოხტა გულზე....
ზამთარია... მაკანკალებს,
მზე ღრუბელმა გადაფარა,
დამიძახეთ მაჭანკალებს!
ააფრინეთ ფეიქარა!

* * *

სუნთქვა შევიგრძნო მინდა,
შენი სულ უფრო ახლოს,
იქნება გულმა ასე,
შვება მაშინლა ნახოს...

ლაშარელა

მზის სხივების კონა,
მივატოვე ყველა,
ჩემო გულის დარო,
ლაშა, ლაშარელა...
სევდისფერმა ზეცამ
დამიმართოხელა,
გეყურება ჩემო,
ლაშა, ლაშარელა?
გრძნობა არის ჩემი,

ცისა, ცისახელა,
ჰაერივით ტკბილო,
ლაშა, ლაშარელა...
სიყვარული შენი
მეპარება ნელა,
მზის ამოსვლავ ჩემო,
ლაშა, ლაშარელა...
სინანული, დარდი,
დავივიწყე ყველა,
როცა შენ გამოჩნდი
ლაშა, ლაშარელა...

* * *

შენთან ერთად ყოფნა მინდა,
უღრუბლო ცის ფონზე,
ერთი მითხარ ჩემო კარგო,
როდის მოხვალ გონზე?!

სალამო

სალამომ იცის თავისი,
მოვა და დაგეტაკება,
მუქად შემოსავს სამყაროს,
სინათლეც არ ენანება,
დაგეფინება იარებს,
მთვარის შუქი და ნათება,
ამ დროს მიხედები სწორედაც,

ოცნებები რომ ახდება...
გაგახვევს თავის საბანში,
თვალს რული მოეკიდება,
ისე წაგართმევს სინათლეს,
ერთიც არ მოერიდება,
ეს ყველაფერი კარგია,
დღე მოვა! ღამე წავიდა!
ერთი ეგაა საღამო,
მე რომ უშენოდ არ მინდა!

სიკვდილ მისჯილი სიმართლე

ფიალო კლდეზე აზიდეს,
თან მიაყარეს ქოქოლა,
პირიდან სისხლი აღინეს,
ტყუილს უბრძანეს გაძლოლა,
ფარჩის პერანგი ჩააცვეს,
გასვრილი ფურთხით, ტალახით,
სიკეთე თან მიაგავეს,
ცა შეაჯერეს ტრაბახით...
თვალიდან ცრემლი აღინეს,
მანც თან სდევდა სიმართლე,
ფიალო კლდეზე აზიდეს,
სიკვდილ მისჯილი სიმართლე!



ინგა გომიბერიძე



დავიბადე ულამაზეს ქალაქში, 1964 წლის 19 აპრილს, იმ თვეში, როცა ბუნება ყველაზე ლამაზია, სითბო იღვრება ყველა მხრიდან. ამიტომაც მზემ გადანყვითა, ჩემს გულში ჩასახლებულიყო და მზისფერი გავმხდარიყავი. ოქროს მედალზე დავამთავრე ქ. ბათუმის ვ.ი. ლენინის სახელობის №1 საშუალო სკოლა.

სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში გავაგრძელე (ნუცას სკოლას რომ ეძახდნენ თბილისელები). გავაგრძელე და წითელ დიპლომზე დავამთავრე კიდევაც, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, რუსული ენისა და ლიტერატურის განხრით.

რამდენი ქართველი გადაიარა ჩვენმა ქვეყანამ, სწორედ ის დრო იდგა რუსული ენა მჭიდროდ, რომ იკიდებდა ფეხს სახელმწიფო დანესებულებებში, ამიტომ სიხარულით ამიყვანეს აჭარის კულტურის სამინისტროში კადრების განყოფილების უფროსად. მხოლოდ ეხლა ვხდები, რომ იქ გატარებული წლები იყო ჩემი ლიტერატურული ბიოგრაფიის დასაწყისი. თეატრალური ფესტივალები, ბათუმური მუსიკალური საღამოები, შეხვედრები მწერლებთან, მხატვრებთან, ცნობილ მუსიკოსებთან, თეატრალურებთან - ეს ქმნიდა ჩემს მესხიარებაში ყოველივე იმას, რაც მხოლოდ სამი წელია გადმოვიტანე ფურ-

ცელზე. ბათუმის საბავშვო ბიბლიოთეკაში მუშაობამ მომცა ის უნაპირო შესაძლებლობა, რომელიც საყვარელ ადამიანებთან, მწერლებთან და პოეტებთან შეხვედრებმა მაგრძნობინეს.

სოციალურ გვერდზე შევექმენი ლიტერატურული-ფორუმის სახით ჯგუფი „ინგას უბანი“, სადაც უამრავი შემოქმედი ადამიანია გაერთიანებული. პოეტ ხათუნა შავგულიძის სიტყვებით, თუ ვიტყვი მათ ნიჭიერების ძებნაში ჩემი მუზაც მოფრინდა და გამოვეცი შემდეგი წიგნები:

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები - (იმედის დირიჟაბლი)-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე -„შენც წაიკითხე“- პუბლიცისტური წერილები-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და მინიატურული შტრიხები თქვენი პორტრეტებისათვის-2014 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ინტერვიუების კრებული- „....ერთი ტონა ბლის მურაბა ჯილდოდ“- 2015 წელი

-ინგა გოგიბერიძე-ამბავი ერთი ქალისა-2015 წელი

-ინგა გოგიბერიძე-მინიატურები და ეპიტაფიები-2016 წელი

ვარ ხუთი კრებულის „ჩანაწერები ინგა უბნიდან“ რედაქტორ-შემდგენელი, მონაწილეობა მივიღე ლიტერატურულ ფესტივალში „ზე კართან“ და ლიტერატურულ კონკურსში „ოდევონი“...

სიციჰა

აღბათ მეტკინება ხელს, რომ ჩამომართმევ და გამახსენდება ძველი დამლა.

აუხდენელი ოცნებები, ვარდისფერი გზა და ტკივილის ფარდა. აღბათ შემცივდება, შენ რომ დაგშორდები.

აღბათ.

მე ხომ სიცივე და თოვლი მიყვარსახლა კი შენ ხარ ცივად, ახალი წლის დილას.

აღბათ.

აღბათ მეტკინება ხელს, რომ ჩამომართმევ და გამახსენდება შენი დამლაც.

აუხდენელი ოცნებები, კეთილი თამაშები და ტკივილის ფარდა. შორიდან მოსული ტანჯვა, თავს შემახსენებს ახლად, დილას და საღამოს, უჩინარ ღამეს და მზიან დღეს.

მე ხომ სიცივე და თოვლი მიყვარსახლა კი შენ ხარ ცივად, ახალი წლის დილას.

აღბათ.

აღბათ მეტკინება ხელს, რომ ჩამომართმევ და გამახსენდება ძველი დამლა.

აუხდენელი ოცნებები, ვარდისფერი გზა და ტკივილის ფარდა. აღბათ შემცივდება, შენ რომ დაგშორდები.

აღბათ.

დაგვიანებული გზავნილი საქართველოს ფოსტას!
(ექსპრომტად-ერთ წუთში, ამიტომ მაპატიეთ)

როგორ მინდოდა ერთი წერილი მიმელო შენგან,
ლალი და მხიარული სიტყვებით სავსე.
უმისამართო, ლურჯი ლენტით კრული ქაღალდი,
რომ ამბნეოდა გზა და კვალი შორეულ გზაზე.
არც მისამართი დაგეწერა და არც სახელი
ჩვენთან ხომ არის ფოსტა მართალი,
ის მომაგნებდა, მომიტანდა ამ ლენტით შეკრულ შენს
წერილებს
ის მიაწერდა მისამართს და ჩემს უცხო სახელს.....
მე ველოდები ამ ბარათებს,
რადგან არსებობს ფოსტა ასეთი,
ვინც დაარიგებს ბევრ სიხარულს და
სიყვარულის ლამაზ კონფერტებს....
გინდა მოგიყვე ამ ფოსტაზე? უბრალოდ მიდი
და მიიტანე ამ ფოსტაში შენი კონფერტი.
ის ჩემთან მოვა!
როგორ მინდოდა ერთი წერილი მიმელო შენგან,
ლალი და მხიარული სიტყვებით სავსე.
უმისამართო, ლურჯი ლენტით კრული ქაღალდი,
რომ ამბნეოდა გზა და კვალი შორეულ გზაზე.

შენთან მოსვლამდე

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო.

ქვად ქცეულ სიზმრებს ვაშორებდი პატარა ხაზებს, გულში ვიკრავდი არნახული გზების ნაპირებს. მზია და ზეზვა შემეცოდა, ამ სიყვარულით, გამოძერწილი უსასრულობით, შენთან მოსული. ჩამოშლილ კლდეებს ვეფარებოდი, წვიმების გუბეს დავეძებდი, კლდეებზე კი - ქვების ნატეხებს, შენი სახების გამო-საკვეთად.

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო.

უძირო ტბის ფსკერს ვუგზავნიდი ჟუჟუნა წვიმას, რომ ანარეკლი შენი სანდო გამოსულიყო. ამირანის ჭაჭვს ყოველდღიურად ხელს ვავლებდი, იქნებაც ერთ დღეს განყვეტილიყო. ხელის მტევნები სკდებოდა მხოლოდ ...ჭაჭვი? მეორე მხარეს, ახალ ჭაჭვს ქმნიდა!უსასრულოს და გაუნყვეტელს!

შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო. მიწიდან ცამდე - ციდან მიწამდე. - უსასრულობამდე. შენთან მოსვლამდე დიდი გზა იყო. დიდი და გრძელი პერგამენტის ერთი ნაჭერი.

იქ კუნძულია

იქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან შორი. გადაქსაქსული მდინარეებით, ჩანჩქერებით და ვულკანებით. აქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან ახლოს, დაფარული ჩემი ფიქრებით და გულისთქმებით, გეიზერის ამოფრქვევებით. და განსხვავება ამ კუნძულთ შორის, ჩემი სულია, მოფარფატე, ალუბლისფერ-მომწვანო ფერის უხორცო ვნება... კი. მიწისძვრაა ის თბილი

გრძნობა, ქარს რომ ატან და ჩემთან მოაქვს. იქნებ შეჩერდეს სადმე ახლოს ოკეანესთან, რომ გადაყლაპოს ვეშაპმა იგი და დავრჩე მარტო ქარებთან და თბილ წყლებთან ერთად. იქნებ კიდევაც მომღერალმა შენმა თევზებმა, ვერ მიამაგრეს წითელ ფიჭვებზე განსხვავებული ალუბლისფერი და მომწვანო ეს ჩემი სული..... იქნებ და მინდა უფრო მაღალი კუნძული მქონდეს, კუნძულში სული, სულში კუნძული და ვერ მიაგნოს, ვერც ცუნამმა და ვერც ტორნადომკი, იქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან შორი. გადაქსაქსული მდინარეებით, ჩანჩქერებით და ვულკანებით. აქ კუნძულია, მიუსაფარი, ძალიან ახლოს, დაფარული ჩემი ფიქრებით და გულისთქმებით, გვიზერის ამოფრქვევებით.

ისე-იბაჰიჰი

სამოთხის ვაშლის მურაბიდან წინაკაზე გადაინაცვლა...
სხეული ისე უთრთოდა, როგორც შვლის ნუკრის გული კანკა-
ლებს შიშით.
ქლიავის მწიფობის შემდეგ რკოს საძებნელად ტყეში წავიდა, იქ
კი წაბლი დახვდა ფხვიერი და ნოყიერი.
მხოლოდ თაფლის ერთ წვეთზე და სამოთხის ვაშლის
მურაბაზე ოცნებობდა. ეგონა ტკბილი ცხოვრება კაკლის,
თეთრი ბლის, შინდისა და ალუბლის მურაბეებით ტკბილი
უნდა ყოფილიყო მუდამ, მურაბის წვეთები კი მარგალიტებად
ყელზე ჰქონოდა შემოხვეული.
ძნელი იყო სიტკბოს პოვნა....
ყველგან წინაკა იყო მოშენებული, წითელი და მწვანე,

ჯანმრთელი, ლამაზი, გარეგნულადაც ჯანსაღი ფერთა და ხორცი, ულამაზესი ფოთლებით.....

სიტკბოს წვეთს მზე სჭირდებოდა, რომ სამუდამოდ დაშაქრებულიყო მურაბები და ეს ცხოვრება შაქრად გადაქცეული თბილად შეგენახა ცივ სარდაფში..... ეს ჩვენი მზე კი სამოთხის ვაშლსაც და წინაკასაც ერთნაირად ანათებდა და ატკობდა, ამიტომაც იყო ძნელი სიტკბოს პოვნა წინაკასა და სამოთხის მურაბას შორის.....

სამოთხის ვაშლის მურაბიდან წინაკაზე გადაინაცვლა...სხეული ისე უთრთოდა, როგორც შელის ნუკრის გული კანკალებს შიშით.

ზარი

(ლიტერატურული კონკურსის „ოდეონის“ ერთ-ერთი გამარჯვებული მინიატურა)

შორიდან მოსულ ზარის ხმას მოჰყვებოდა შენი სევდა ცოცხლად დამარხული ცხოვრებისა.

ფანჯრები მოიხურე და შინ ჩაიკეტე.

კედლები ისე მოხატე, თითქოს გარეთ არასოდეს ყოფილხარ. არ გინახავს მეზობლის ფერადი ტანსაცმელი, მუდამ მწვანე თოკზე გაფენილი.

არ შეგიგრძენია ყავის სურნელი, სიტკბოების მომასწავლებელი.

არ შეგისვამს ბადაგი სიყვარულისა.

უარყავი გაზაფხულის მოახლოება, ყვავილების ჩურჩული და ჩიტების ჭიკჭიკი.

ზამთრის სიცივეს მიენდე, გაიყინე.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ მიიმალე. ფარდებზე წითელი პეპლები მიამაგრე გარეთ რომ არ გაფრენილიყვნენ და შენს მარტობას სისხლის წვეთებივით შეერთებოდნენ.

ასე იჯექი უნაპირო სევდასთან, სიღარიბესთან, ორ ლუკმა შიმშილთან და მოუნელებელ ტკივილთან ერთად. ასე იჯექი მყინვარწვერივით ამაყი, ზვიადი და არ უსმენდი ცად აზიდულ მთების ხმას, ქუჩების ხმაურს, მატარებლის გაბმულ კვილს, ვერ გრძნობდი ახალშობილის თბილ სურნელს.

არ გივლია მთვარიან ღამით და ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის უსასრულო ოცნებითა და ნატვრით არ შეგვიხედავს.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ დაჯექი.

შინ, სადაც არ შემოდის ხმები.

შინ, სადაც არ იყო სიხარული.

შინ, სადაც არ რეკავდა ზარი.

შინ, სადაც დახურული იყო ფანჯრები.

შინ, სადაც არ ისმოდა ზარის ხმა, იმ ზარისა, რომელმაც შეცვალა შენი ცხოვრება.

შორიდან მოსულ ზარის ხმას მოჰყვებოდა შენი სევდა ცოცხლად დამარხული ცხოვრებისა.

ეს ხმებიც გაქრა, როგორც ცის ნამი, პირველი თოვლი, ციციანათელას ხანმოკლე სიცოცხლე, გაუზიარებელი სიხარული და ცალმხრივი სიყვარული.

აღარ მოდის შენთან ზარის ხმა.

უბრალოდ ფანჯრები მოიხურე და შინ ჩაიკეტე.

და მაინც, შორიდან მოსულ ზარის ხმას, მოჰყვებოდა შენი სევდა, ცოცხლად დამარხული სიყვარულისა.

ეპიტაფია ყასაბი

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს, ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე.

დანა, რომელიც სულ თან დამქონდა, ერთნაირად კლავდა პატარა გოჭუნას, ხბოს, ძროხას, ცხვარს და ადამიანის გულს.

დანა, რომლითაც ძვალსა და ხორცს ვაცლიდი ერთმანეთს, ვაშორებდი და ვაცალკავებდი, ისეთივე მწარე იყო, როგორც ადამიანის ტკივილი.

ეს დანა არასოდეს ბლაგვდებოდა, იმიტომ რომ მე ყოველდღე ვლესავდი, ვლესავდი და ვლესავდი მას, რათა კვლავ მომეკლა, გამეტყავებინა, დამეჭრა და დამენაკუნებინა სინამდვილე არსაიდან მოსული.

დანა, რომლითაც მე ვმუშაობდი, თან ჩამატანეს, რათა არ დამეინყებოდა, რომ დაბადებას გარდაცვალება მოსდევს, სიხარულს ტკივილი, ბედნიერებას უბედურება, ღღეს ღამე და მზეს მთვარე.

დანა?

დანა, რომლითაც ვატყავებდი საქონელს ისეთივე ბასრი გახლდათ, როგორც ადამიანთა ენები, საქონლის ხორცის საყიდლად მოსულნი და მოლაპარაკე.

.....მაგრამ დანა ეს, საჭრეთელი იყო ჩემი, ჩემი სიყვარულის ჩუქურთმა, ჩემი სიხარულის ნაქარგი, ჩემი ხეხილის დამცნობი, ჩემი ვაზის ყლორტის წამალი და ჩემი ბედნიერების საძირკველი.

ბებოს საფლავზე წასაკითხად!

ჩემს ბებოს არ ჰქონდა მამიანიანი პერანგი, არც ჭრელი, პეპლებიანი სარაფანი, არც განჯინა, სადაც ულამაზესი სკივრი იდო, რომელშიც წერილებს ინახავდა.

უბრალო ქვედატანი ეცვა და ცისფერი მაისური.

ულამაზესი თვალები კი მწვანედ უბრწყინავდა.

მან ოთხი ენა იცოდა-ქართული, რუსული, სომხური და ქურთების, მეფხოვეების ენა.

იმ ხალხის ენა, რომლებსაც ყოველ დილით ესაუბრებოდა.

იმ ხალხის ენა, ვინც ძალიან უყვარდა.

მას ერთი დიდი ოთახი ჰქონდა.

ეს ოთახი მე ძალიან მიყვარდა.

აქ უბრალო ავეჯი იდგა.

მასთან, რომ მივეჯროდი, დერეფნიდან ყვავილნარი მეგე-ბებოდა.

ეს ქოთნის ყვავილები არ იყო ჰოლანდიიდან.

მას ჩემი ბებო ახარებდა. ეს ყვავილები სხვა ბებოებსაც უყვარდათ.

მაშინ, მგონი მე არ მიყვარდა ეს უბრალო ყვავილები.

ახლა მეც ბებო ვარ და მიყვარს ეს სურნელი და ამ ყვავი-ლებს, რომ დავინახავ, გულში ნემსები მესობა.

იქ კიდევ კამის სურნელება იდგა და ფილთაქვა ყოველთვის სავსე იყო ნიგვზიანი სურნელით.

ორი რკინის ლოგინი იდგა, ოღონდაც ერთად კი არა, ცალკე!

ჰო, ახლა ვფიქრობ? ნეტა ჩვენც ასე დავდგამთ ლოგინებს მალე?

ლოგინებს ძვირფასს და არა რკინისას!

ასე დავდგამთ ლოგინებს მალე? ცალკე?

კიდევ ვფიქრობ, რატომ არ ვნაყავ ფილთქავაში ნიგვზიან სუნელს და არ ველოდები ჩემს ბავშვობას.

ალბათ მეშინია...

მაგრამ ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ უბრალო ყვავილების სურნელებამ ჰოლანდიური ორქიდებისა და ძვირფასი ფრანგული სუნამოების სურნელი ჩაახშოს.

ჩემი სახლის სურნელი მინდა ისეთი იყოს, როგორც ბებოს ჰქონდა.

ისეთი, რომელიც მხოლოდ ჩემი და მისია.

არა, ჩემს ბებოს არ ჰქონდა მაქმანიანი პერანგი, არც ჭრელი, პეპლებიანი სარაფანი, არც განჯინა, სადაც ულამაზესი სკივრი იდო, რომელშიც წერილებს ინახავდა და ამ წერილებს წარსულის სურნელება მოჰქონდათ.

არა, ჩემს ბებოს მხოლოდ სიყვარულის სურნელი ას-დიოდა!!!!



ნანა ბობოლაური



დავებადე 1967 წლის 29 ნოემბერს, 1990 წელს დავამთავრე შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, მყავს ორი შვილი, ამჟამად ვიმყოფები ემიგრაციაში.

მეკითხებიან რატომ წერო?

სიტყვას ისეთი ძალა აქვს, წერა ისეთი რამაა, ერთი თუ შემომიჩნდა, თუ თვალის დამადგა თავს აღარ დამანებებს, მხარზე ხელს მომხვევს, დამიყვავებს, გვერდით მომიჭდება, ამბავს მეტყვის და მეც მათქმევიწებებს ჩემსას, თუ გავჯიუტდი ყავის სურნელით გამაბრუებებს, მუსიკის ჰანგებს მოიშველიებებს, სულში ჩამიძვრება, გრძნობებს ამიშლის, გონებას ამიფორიაქებს და როცა ყავის სურნელი შეერევა მუსიკის ფერებს, როდესაც გრილ კალამს ტანი გაუთბება ჩემს ხელის გულში, უხმოდ მომანწვდის, მომიჩოჩებს, ქალაქის ნარჩენს. სიტყვათა თოვა კორიანტელს რომ დააყენებს... გავედევნები ქარაფებზე ნისლეების ცეკვას, ღრუბლის იალქნებს ცრემლით სავსეს, სულს შევუბერავ, ყაყაჩოს წითელს, ხალებიანს ამბორს ვაჩუქებ, და შემოვახევ დამეს ლურჯად დაბინდულ პერანგს, მერე მხატვარი გაიღვიძებს ჩემს სულში უცებ, ლამაზ ასოებს თვალხატულებს

გულში ჩავიკრავ და ხელის თრთოლვა აყოლილი ასოთა როკვას, ჰანგებს აჰყვება შეერევა მიტნურთა ცეკვას და აჩქარდება პულს მშვიდი, დაგლიჯავს ძარღვებს, სუნთქვის სიხშირე ჩამოადნობს ყინულის ლოდებს, ფრთებგამოსხმული გადაუფრენ უცნობ ქარაფებს, ტალღები შმაგი შემომაცურის სახეში ქაფებს.

მერე...ერთბაშად მოვარდება ყივილი სულში, ჯაჭვებს დავგლიჯავ, გადავამსხვრევ ბორკილს ჩაჭედილს და გავიზრდები, გავიზრდები სამყაროს გულში, მთვარის სივრებით შევანებებ ღრუბლებს დაგლეჯილს... და მერე ნელა, მშვიდად მოვა სინყნარე თბილი, და ჩემი აზრი, ჩემი სუნთქვა და ჩემი ფიქრი ფერს დაინმინდავს და თუნდაც ზღაპრად მოგეჩვენოთ, ერთ რამეს მივხვდი

წერა ტრფობას ჰვავს....

ეს წიგნი უკვე წაუკითხავთ, ფურცლებზე ვატყობ.
შავი ლაქები ამჩნევია დაღვრილი ყავის...
ოცნებებივით მიმოფანტულ ჟასმინის ფიფქებს
ვეფერები და მაგონდება როგორ მიყვარდი.
ფურცლები ისე გაცრეცილა, ფერი აქვს მარტის.
ნიშანი კითხვის, გაუფურჩქნავ ენძელას მოჰვავს.
თუ დაგიძახებ უნებურად, მიჩვეულ სახელს,
შენ მაინც დარჩი, ნუღარასდროს ჩემთან ნუ მოხვალ.
ეს წიგნი, სუნთქვით დაწერილი, გეცნობა ალბათ,
მოგონებები შეუნახავს გარინდულ წამებს,
და ყდას მდუმარეს, მლაშე ცრემლის კვალი რად ახლავს?
ნუთუ მანამე საყვარელო? ნუთუ განამე?
დაუხანძრია სტრიქონები ატკრეცილ აღმურს,
მდუმარედ იწვის იისფერი გრძნობების ტალღა,

ჩვენ ორში ვილაც, დამნაშავე თუ იყო ნეტავ?
ანდაც ორივეან არცერთი არ მახსოვს მართლა.
უერთმანეთო სიწყნარეა, ირგვლივით მშვიდი.
ქალაქი თითქოს უშენობას წვიმებით გლოვობს,
წიგნში დამთავრდა ისტორია ჩემი და შენი.
სიყვარული კი გადაგვირჩა, ეს ვიცი მხოლოდ !

სევდა რა ფერია?
იქნებ დამიხატო,
მინდა გადავლებო ცისფრად.
მერე გამიღიმო, ცოტაც დამიყვავო,
ასე ჯობიაო მითხრა.
დარდებს რის სუნი აქვთ,
მოდის, მომიყვები,
ანაც დამავინწყე დარდი.
ნისლებს გაატანე, წვიმას მოცეკვავეს,
ნიავეს, ტალღებზე, რომ დადის...
ისე სხვანაირად, ლურჯად მოვიწყინე
ღამეც გამებუტა თითქოს.
წითელ სახურავზე მთვარე მელოდება,
სცივა, ჩახუტებას ითხოვს.
სევდა რა ფერია ?
ველარ გავიხსენე,
ცოტა მეშინია მარტის,
მოდის მომიტანე კაბა ლალისფერი,
რუხი უშენობა მაკრთობს

დაბვიძახი...

მოდოდა ფიქრი გზაზე. თოლიები მალლა ცაზე
მივდიოდი თან მომდევდა ქუჩა...
სისინებდა ჩუმაღ ქარი, ცოტა სურდო ჰქონდა წვიმას,
ზღვას ქალაქი შეეღება ლურჯად...
ზამთრის პირი ეცვა ქალაქს, ხანაც თოვდა ალაგ- ალაგ,
ხეებს ნისლი დაეხურად ქუდად...
მონატრება მქონდა დიდი, არ ვიყავი არსად მშვიდი,
ჩემს ქალაქში ბოდიალი მსურდა...
დედინაცვალ უცხო ქალაქს, ხან მოლუშულს, ხანაც
ლამაზს... შევამჩნიე ცოტა ჩემი შურდა,
ჩემს მკერდზე რომ დადიხარო,
მაგ ფიქრებით სად მიხვალო,
ჩემთან ხშირად საყვედური ჰქონდა...
ყველაფერი გავდა ნამდვილს...
ამ ქუჩებზეც ბევრჯერ ჩავლილს,
მომწყენოდა უცხოელად ყოფნა...
უცხო ქალაქს არ ვეთმობი, შენ კი სულ არ გაგონდები,
გელოდები, დამიძახო იქნებ...
მე მიყვარხარ, შენ კი არა. საქართველოვ გულანკარავ,
გადამაგდე.... მომისროლე... კარში.
იმ დღის შემდეგ, სულ დაგეძებ,
ვნატრულობ, რომ კვლავაც შეგხვდე...
მოლოდინი, გადალლილა გზაში...

მოიშორე აზრი მცდარი, ქარი ფლიდი და ავშარი,
შეიბერტყე... მოიცილე ნისლი.
გამაგონე კარგი სიტყვა.. ჩამიხუტე მკერდში მშვიდად...
დამიძახე... შენს მადლიან სახლში.
ამ ფიქრებმაც გადამლალა... ვერც აქა ვარ...
არც მანდა ვარ,
გაორება შემჩენია უშნო.....
ჩვენც ხალხი ვართ სხვის მიწაზე.....უშენობით განანამებს...
გვენატრები..... ჩვენო იეთიმ გურჯო...

ანდერძი... 100 წლის შემდეგ...

როცა, ისრები საათისა, ჩემი ჟამის უჩვენებს ზეცას,
ნუ გამაჩერებთ გამზადებულს, მიწაზე დიდხანს...
ნუ ამიტეხავთ კვილს ყურთან და ბარს შემზარავს,
ჩამაცვით ერთი ჩითის კაბა და ნაქარგი ბებოსგან წინდა,
ძლიერ ნუ მომრთავთ..
ერთი მარაო ჩამაყოლეთ და ერთიც შალი...
(ზოგნი ამბობენ იქ ცივაო.. ზოგს კიდევ სცხელა,)...
ხო, რომ იცოდეთ,ცრემლებს ვერ ვიტან.. და კიდევ ერთი-
ნუ ჩამისვამთ წრეში ბურთივით...არა აქვს აზრი,
თვალდახუჭული ან რა ვიცი აბა რას ვხედავ,
არ დამანახოთ შავი ძაძი და მუქი ბრანძი..
მე მწვანე მიყვარს და შინდისფერი, ფერიც გამბახის...
ნუ გამიწვრილებთ გულს ორკესტრის მწუხარე ჰანგით
მიმღერეთ რამე მხიარული, ლათინური... ძალიან ლაღი...
ან დამწვარი ბოშური სევდა...

და ცეცხლოვანი რამ ფლამენკო....
და პასადობლე...ტანგოც კარგია..
კიდევ ჩვენი ქართული ცეკვა არ დაგავინწყდეთ..
(ოჰჰ ვენაცვალე რა შეედრება?.)
ხო ნუ ჩამისვამთ შავ ჩარჩოში პასპორტის სურათს.
(ა, ეს პასპორტი, სააქაოშიც ძალიან მზლუდავს)...
გამიშვით ლაღად...
თუ მიამაგრეთ კედელზე „კოცნას” გუსტავისას,
უფრო მომხიბლავს!
სუფრაზე სოკო...(უწუ-პუწუ არ მინდა ბევრი)..
მწვადი, ხინკალი,
ხაჭაპური...კაცური ლხენა..
სასმელი ვისაც რა უხდება, მიირთვას ყველამ..
მერე? ხო, კიდევ... გადამთვრლები არ დამენახონ..
(არ მიყვარს კაცის ფეხარეულის...ტვინარეულის...
აზრარეულის...ახლოში ყოფნა.)
და ნუ დამალვრით სისხლს საკლავისას,
არ მინდა მსხვერპლი...
მსუბუქად მინდა ავინიო...ავიდე ბეცას...
ბოლო დღე ჩემი, თქვენთან ყოფნის, იყოს ისეთი.....
როგორც მე მნებავს...
სანთლები მინდა, ბევრი, ბეევერი...არ დაიშუროთ...
მიყვარს ზეცისკენ აალებული სინათლის ცქერა...
და მერე ყველას დაურიგდეს საჩუქრებად....
ბარათი ღმერთის...სამოთხის საშვით.
ღმერთს ჯოჯოხეთში წასასვლელად ვიცი,
არავინ არ ემეტება..
რა ვიცი მაინც...100 წლის შემდეგ იქ გამოდგება...
ჰოლო, ქეთისა ვთხოვ...რომ ბრეგოვიჩს, ხმა მიაწვდინოს,

ჩამოვიდეს თავის ორკესტრით. თუ ვერ ჩამოვა.
ჩქარი დოლოც კარგად მეყოფა,
თქვენ ნუ იტირებთ ...წვიმა მოვა უხილავ მთებზე...
ის იყვეს ჩემი თანამგზავრი იღუმალ გზებზე...
თქვენ ტაშ-ფანდურით გამაცილეთ,
ამას გთხოვთ ყველას...
გარდაცვალება გადასვლაა სხვა სამყაროში...
და იქ შესვლისას მინდა მქონდეს დიდი ხალისი
...და არა ცრემლი და არა გლოვა..
და არა ბარი და არა ოხვრა!
ბოლო შეხვედრის წვეულება იყვეს ზემი..
არ დამიდარდოთ .
მიძღერეთ რამე მუხამბაში .. ან გუთნის დედა..
თქვენ კარგად მყავდეთ, მე ავყვები ღრუბლებთან ზეცას...
100 წლის მერე დასაწერი, დავწერე რა ვქნა,
ვერ ვენდე სკლეროზს ოხერტიალს...
იქნებ რა ხდება...

წაღი...

აღარ ავანთებ ცეცხლს ბუხარში, მაინც არ მათბობს,
აღარ მოვუცდი გაზაფხულებს, ფერად კაბიანს...
ნულარ შემისვს ღვინოს, წითელს ველარც ეგ მართობს
ჭაღარა ზამთარს ვეთხოვები, აბადს დარდიანს...
წაღი...ნუ მოხვალ...დაპირებულს ნუ შემისრულებ,
სიტყვებს...ღიმილებს, მიმოხედავს კენკავს ბელურა,
ისევ მოვუსმენ მოვარდნილ ქარს, ავს და შარინს...
ოცნებებს აღარ ამოვირჩევ მაცდურ მეგზურად.
მართო დამტოვე... თავს ვეყოფით ავად და კარგად

მე და ზამთარი ვიბასებთ მზეზე და შენზე.
მეც წამსვლელი ვარ ზამთარივით, ერთ დღეს დამადნობ,
იყო და არა იყო რაო...დავრჩებით ლექსზე...

გული როდი ბერდება...

რა გითხრაო იმან ჩემზე?
რა უთქვამსო შენზე მას?
სიყვარულის ქარბორბალა
სახიფათოდ დაფრინავს!
გაიგეო რა უთქვია?
ჭორი უცებ ვრცელდება,
უი, მეხი დავაყარე...
მერე რაო?ო... კიდევ სხვა?
ჰეეეი გიდი... მიდის მივდევთ...
დღეს მიჰყვება დღეები...
ერთხელ კიდევ გადვირიოთ
სანამ გადავბერდებით...
ვინ წაუვა გულის ძახილს,
ცეცხლი, რომ გახელდება...
გული, ჩვენ რას გვეკითხება
გული, არა ბერდება.

მომინწყვიტავ ვარსკვლავს რომ დამპირდი?
გამალეძებ დილით ვარდის კოცნით?
გამომყვები გზაზე უკვალავზე?
გაათენებ დილას ჩემზე ლოცვით?
ჩამოჰკიდებ მთვარეს ჩემს სანოლთან?
შეაჩერებ ქარებს შორგზამოვლილს?
დამიჯღები თავთან როცა მტკივა?
იმედი გაქვს თავის....? მაშინ მოდი!

ჰინა ჰარ?

ცდილობ რომ,.. მთლად დამისაკუთრო,
მიზეზობ...არავის ენდობი...
გინდა რომ გალია შემიკრა,
მაჩუქო ფრთათეთრი მტრედები.
არა ვარ არავის კუთვნილი,
ვინ ვარ და ...სამყაროს ნაწილი..
ვისი ვარ? მაღალი მთების და
წვიმების... შხაპუნად ნაწვიმის.
ვერ უძლებ ჩემს სურვილს ბობოქარს.
დარდი გხრავს, გიძვრება ეჭვები,
რად მიშლი მთვარესთან საუბარს
ასეთსაც რატომ არ მეჩვევი?
დამეძებ ლექსებში გაბნეულს...
სტრიქონის რითმებთან გლალატობ,
მე სულით სამყაროს ვეკუთვნი,
შენი არ გავხდები არასდროს...
სულ მოგცემ ეჭვების საფუძველს
ვნუხვარ და.....ვერ დამისაკუთრებ!

ხილვები...

თენდება და ისევ არ მძინავს,
ხელდება ფიქრები აშლილი,
ძნელდება თვალეობთან ჭიდილი,
გრძელდება.. წუთები დათვლილი.
დამღალა, დამღალა ქარებმა,
წაშალა სტრიქონი ნაწერი,
მოგელი სარკმელთან მოგელი,
ვეღარ ვძლებ და მაინც არ ვწვები.
თითები... ლოდინით განვდილი,
მითები... ზღაპარზე აცრილი,
ფიქრები... გრძნობები დჭრილი,
სიზმრები... მრავალჯერ ახსნილი,
ვჩუმდები... დუმილში ვერევი,
შეჩვეულს ისევ ვერ გელევი,
თენდება და ისევ არ მძინავს,
ლამე კი ონავარ ქარს მიაქვს.

დადალულივით სული რომ მენვის შენი,
როცა შენთან ვარ მაშინაც რომ შენ მენატრები,
ალაზნის ველზე მაგონდება ფშავის არაგვი,
შავი ზღვის ქაფში მენატრება მთების ქარაფი.
ისე სათუთად გადაგმალე სულის ხლართებში,
ისეთ სიღრმეში გადაგჩქმალე, ვერვინ მიგაგნებს,
ხელს ნუ შემახებთ! მე სამშობლო ისედაც მტკივა,
თუ თავი გიყვართ, ხელს ნუ შემახებთ!!!
შენი სიშორე მხარმოტეხილ არწივს მამსგავსებს,

ფესვმონატრებულს ნუ მიხსენებთ სამშობლოს ცუდად,
ხელი განიეთ, არ შეეხოთ ჩემს ტანჯულ მიწას,
ცოდვას ჩავიდენ, ვერ მოვითმენ, გამჩენსა ფეიცავ,
ხელისკანკალით დაწერილი სტრიქონი ცრემლის,
ჩემი სამშობლოს თბილი გულის მონაკვნესია,
ხელს ნუ შეგვახებთ ჭრილობაზე, თუ თავი გიყვართ!
შორს დარჩენილებს უფრო მეტი დარდი გვჩვევია.

საიდუმლო

ამ სარკმელის წინ რამდენ ვინმეს ჩამოუვლია,
რამდენი კვალი შეუნახავს მტვრიან შარავგას,
ქუჩას გავყურებ, ეგებ ვინმეს გამსგავსო ეგებ,
მაგრამ არავინ, სულ არავინ, შენ სულ არა გგავს.
იქნებ მზის სხივმა გამახსენოს შენი შეხება,
სხვას ვის ექნება შენნარი თბილი ხელები...
იმედს არ ვკარგავ და მოგელი სულგანაბული,
ნეტავ სადა ხარ? ჩემს მაგიერ ვის ეფერები...
ლოგინს დაფუგებ თბილ ბუხართან,
ზამთარს სუსხიანს,
კვლავაც მრავალჯერ დაფუკემსავ მარტს
ფერად წინდებს,
უცხო გამოვლელს შევაჩერებ და ვკითხავ შენზე
იქნებ იცოდეს, სად გიპოვნო, მირჩიოს ვინმემ...
შეუბრალებლად წამომადგებს ჩრდილები ღამის,
ბევრჯერ ჯიუტად შემინდება მთვარეულს ჭინკა,
ამ საიდუმლოს, გაუმხელელს, თან ვერ წავიღებ,
როგორ მიყვარდი დაულლელად, მოდი რომ გითხრა.

გამშორდი ფიქრო,
განაფიქრო, ასჯერ, ათასჯერ...
ველურ მუსტანგებს შეჩვეულო ეიფორიავ,
რად მისვამ კითხვებს,
სასწაულს და ღმერთის განსასჯელს
ისეთს.....
პასუხი, ვერავის რომ მოუგონია.
გამშორდი ფიქრო, არნაფიქრო,
რა გსურს ამ ჯერზე....
გულის ფიცარზე თარეშიო,
ეს რაჰობია?
სანამდის ოდნავ ნებისყოფა შემომჩენია,
სანამ, სულ ცოტა მოთმინება, გამომყოლია..
გამშორდი ფიქრო,
გზა მონახე, სადღაც უფრო შორს
„საღაც არა სჯობს, გაცვლა სჯობს“-გაგიგონია?
წადი წაბრძანდი... ნისლებს გაჰყევ, მზემ შვიდობისა,
მოვისაკლისო უშენობა,
არ მგონია.

მოგონებები ლექსებად მოდის,
როდის და რატომ, არავინ იცის.
რამ გამახსენა ან ის ზაფხული,
ანღაც ის ურჩი შავტუხა ბიჭი.
ღობებზე ენთო ვარდების წვიმა,
შავ თუთას მზესთან ქორწილი ჰქონდა.

გიჟ კაცს უბნისას უმისამართო,
უბით წერილი სულ თან დაჰქონდა.
ნეტავი ვისთვის, ნაწერი ვისგან,
იქნებ მე ვიყავ ჩუმი ავტორი.
შენ წაგეკითხა გაუბედავი,
ის სტრიქონები, როგორ ვნატრობდი.
მერე გეფიქრე, გედარდე მერე,
მერე გეპოვნე დიდხანს ნაძებნი.
და მხოლოდ ერთი, ერთი რამ მეთქვა,
იცი?
სიცოცხლის ძალას მაძლევდი.

ჰოდა ნუ მოხვალ,
ნუ მასწავლი სიყვარულს, ღიმილს,
ხელისგულებში ნუ ჩამიდებ
სიტბოს ნაღვერდლის,
ნუ შემეყვარებ,
ნუ მაკოცებ,
ნუ დამეყვავებ,
ჩემს სულში უდრეკ ბედაურსაც,
ნულარ გახედნი,
ჰოდა, ნუ მოხვალ
ნუ მიწოდებ" ჩემო გვირილაგ",
მქონდეს უბრალო...
განუყრელი ჩემი სახელი.
ნუ მანუგეშებ ,
ჩახუტებულს ნუ მიმაძინებ,

სიზმარმორეულს ასე ტკბილად ნუ მესახები.
ჰოდა, ნუ მოხვალ.
ნუ დამინთებ ბუხარს გათოშილს,
დამტოვე ვიყო ყინვისაგან ხელშენახები...
და მერე... მერე ... რას მიპირებ
ერთ დღეს, რომ ვნახო,
ჩემგან სადღაც შორს ...
უცხოსავით...
უხმოდ წახვედი.
ჰოდა, ნუ მოხვალ...

თავშესაფარი, ღამე ჩემი გაპარულა თითის წვერებზე.
გრილი მანტია, მიუკიდავს ალაყაფის ცისფერ ჭიშკართან.
ღამე გასულა, გარდასულა ეს მერამდენედ.....
გათენებულა...
გაცისფრებულა ირგვლივეთი მალე ინათებს...
სადღაც მამალი დაიყვივლლებს ალბათ, სოფელში
კერას შეუნთებს ბერიკაცი , სულისშებერვით
გათენებულა...
ას-მეთასჯერ შევეუდგები ჭაპანს ჩემეულს,
ტკივილებს მხრებზე ამოტვიფრულს, არად ჩავაგდებ
და მზის ჩასვლამდე ...დაისამდე გავლენწავ კალოს,
გათენებულა.....
თავშესაფარი, ღამე ჩემი
გაპარულა თითის წვერებზე.
გათენებულა.

ეს სევდა...

არ მყოფნის ეს ერთი სიცოცხლე...
ერთი და იგივედ დარჩენა...
ხან მსურს, რომ გადვიქცე გვირილად,
ხან, კლდიდან მოვარდნილ ჩანჩქერად.
ხან, ვინმე აშული ყარიბი,
სატრფოსთვის შორ გზაზე წასული.
ხან ზვაფი, მთის რისხვად ქცეული,
ხან თქეში, ხანაც გაზაფხული.
ხან მინდა ბავშვივით მჯეროდეს
ათასი მითი და ზღაპარი.
ჩურჩხელის გემო კვლავ მახსოვდეს,
ბებიას სკივრიდან ნაპარის.
ხან, ფილოსოფოსის აზრებით,
ხან, სოფლის გიჟი და ხალისი.
ხანაც, მოვარდნილი გრიგალი
უცებ, რომ წყნარდება თავისით.
ხან, ხელმოცარული მხატვარი...
სულში ნაგროვები სიმდიდრით.
ხანაც, ასხლეთილი მწვერვალი,
ცას ვეტოლებოდე სიდიდით.
არ მყოფნის ამ ერთი სიცოცხლეში,
მხოლოდ ოცნებებად დარჩენა
და როცა ზარები ჩამოჰკრავს,
ეს სევდა, ღრუბლებად გამყვება .

ჯაზი...

როცა ჯაზს ვუსმენ, მავინწყდება ავან-ჩავანი,
ამაყი ვხდები და ცოტათიც ამპარტავანი.
რიტმების ქროლოვა, ჩემს ნერვიულ თითებს
ეხება, მუსიკა თითქოს ვულკანია... სულში ფეთქდება
ჰანგები ყურთან მოვარდნილი,
ჩემში შემოდის,
სცენაზე ვინმე ზანგის ქალი,
ჯაზის გემოთი,
კლავიშებს, ნოტებს აყოლილი, კაპრიზი ხელი
თითქოს ეს ქალი კი არა და... სამყარო მღერის.
როდესაც ვუსმენ... კი არა ვგრძნობ,
მე ჯაზსა ვხედავ.
მკერდთან მოსული, მახლოვებს,
მუსიკის ცეცხლთან,
შავი სმოკინგი... ღრმა სული და რაღაც უცნობი..
საიდუმლოთი მოცული და გამოუცნობი..
ჰანგები ყურთან მოვარდნილი, ბინდში შემოდის
სცენაზე ვინმე ზანგის ქალი,
დიდი დეკოლტით.
ვისკის შხეფები გარინდებულ საღამოს ათრობს.
თითქოს ეს ქალი,
ვერ ამოთქმულ ჩემს სათქმელს ამბობს.
როცა ჯაზს ვუსმენ, მავინწყდება ავან-ჩავანი...
ამაყი ვხდები,
და ძალიან ამპარტავანი.

ამ თოვლის ღამეს მსურს ვიდარდო კვლავ ჩემი დარდი... უმწეო ღრუბლად მოვიკუნტო მთვარის სანოლზე... მინდა ვიტყვო, უმიზნოდ, ვინმე მიჯნური... სულგათოშილმა, სუნთქვა შეეკრა ფიქრის ნათოვზე, მინდა ტკივილმა მთლად დაზაფროს ფიფქის ფარდები... მინდა. მიყვარდეს ვილაც ძლიერ... ტკივილის მსგავსად.. მინდა გადახსნილ ვენას მივცე სუნთქვა ახალი... გონდაკარგულმა მსურს ვიხილო ზეცის ხანძარი.. მინდა, რომ ცრემლებს გემო ჰქონდეს და სუნი რაღაც... სიტკბო მოსდევდეს... მწარე სიტკბო.. სიმლაშის ნაცვლად.. ყელში ბურთივით გამეჩხიროს სურვილი შენი... მინდა, რომ ტანჯვით ვეზიარო. სიყვარულს მარადს... იმ მუსიკოსის სევდასავით, სულში, რომ გრძნობს მუსიკის ჩხვლეტას... მინდა, მოვჰგავდე მოცახცახე. მრავლისდამტევე, ამოხეთქილ, ამოთქმულ ბგერას, მინდა ვიდარდო, ყველა ძარღვი მითრთოდეს შენით და მისტიური ღმერთებივით გადაგეფსკვნა შეშლილი და ვერჩამცხრალი შიშველი ვნებით. მინდა, დამტანჯოს ღამემ შავმა, უშენობით გაყინულმა, ძაძით მოსილმა... ფანჯრებს მიასკდეს ჩემი გრძნობის ქარიშხალი. კვლავ მითოსიდან... ამ თოვლის ღამეს, მსურს მოგიძღვნა, აუხსნელი სასწაულის, ლურჯი ზმანება, რომ სიზმრად ნახო, მომაკვდავი შენს მკლავებში, უშენობით გათოშილი სიყვარულის, ტრაგიკული გარდაცვალება.

ალიონს ეცვა გამჭვირვალე პერანგი ტანზე,
ღამენათევი პოეტები თეთრ კარავებს შლიდნენ.
ლექსი მიუღვნა უცაბედად ერთ-ერთმა რიჟრაჟს,
რიჟრაჟს ალანძულს ვარდისფერად...
შემკრთალს და შიშველს,
აჰყვა მეორე და მესამე..... გათოვდა უცებ,
რითმის ფანტელთა კორიანტელს, ახლდა.... რაღაც სხვა,
ამოფრენილი სტრიქონები ზეცას შეეხო,
მზემ გადაიძრო პირბადე და ღამეც დამარცხდა.
მუზების ცეკვა... ცეცხლს იკრეფდა კოცონის ირგვლივ,
პოეტი.... ღამე განატეხი, თეთრ კარავს შლიდა.
და მე ვიდექი სადღაც ახლოს, შორისგან იქვე
სიზმარი ურცხვად,
სინამდვილეს ფურცლიდან შლიდა,
ალიონს ეცვა გამჭვირვალე პერანგი ტანზე,
სავსე მკერდიდან მოუჩანდა ღრუბლის ნატუჩი...
თითქოს მენახა მე ეს ღამე-ნატეხი დილა,
გადავინწყებულ, ვერამოთქმულ,
ღამაზ წარსულში.

ულელში შებმული ფური გინახავთ?

დაბნეული და სასონარკვეთილი, ჭაპანის წვეისაგან ქედ
გადასხეპილ-გადატყავებული...

ყამირი ჩვეულებრივზე მეტად რომ ჭიუტობს,
გუთანი რომ ველრ ერევა ქვიანს.

კლდედქცეულ ყამირზე ფეხდასისხლიანებული წაჩოქილი
ფურის თვალეები თუ გინახავთ ოდესმე?

მე მინახავს.... ბევრჯერ მინახავს და ხმამალლა მიყვირია
-სად გაგიგონიათ ფურის ულელში შებმა ადამიანებო!

სად ნახულა ცალუღელა ფურის ასეთი მძიმე უღლის ქვეშ
გამეტება...

სადაური ადათ-წესი შემოგიტანიათ, დაგიმკვიდრებიათ, და-
გიკანონებიათ, ჩვეულებაში შემოგიღიათ, დაგიწესებიათ,

მერე ხმანართმეული თუშფალანგზე იმედებჩამონურულ,
ჩამონრეტელ, ჩამოღვენთილი საცხეველში, მოხვედრილი
კორკოტა ხორბლის მარცვალივით, შევხეთქებივარ გულქვა
იღბალს და ჩემი გაჩენის დღისათვის შემიკურთხია.

ამ წესის დამწესებელი შემიჩვენებია... შემირისხია...

შემიბღავლია უდარდელი ღრუბლებისათვის, ძალაგამოც-
ლილს.

მერე ისევ გამიგრძელებია გზა ქედგადასხეპილს...

ისევ შევჭიდებივარ ჭაპანს შუბრალებლად მძიმეს, კისერზე
წყლულგაჩენილი.

ულელში შებმული ფური გინახავთ თქვენსკენ?

მე მინახავს, ბევრჯერ მინახავს...

ჩვენსკენ წესად შემოულიათ....

კანონი დაუკანონებიათ,

დაუმკვიდრებიათ,

ბედისწერასაც ბეჭდად დუსვამს მძიმე ხელი.....

ულელში შებმული ცხოვრებამობეზრებული ფურის თვალები
გინახავთ ვინმეს სადმე?

მე მინახავს!

ერთ დიდ ქალაქში, ოპტიმისტი ვინმე ქალი ცხოვრობდა, ერთ დროს.

ქალი ისეთი გამოუსწორებელი ოპტიმისტი იყო, შეწუხდნენ დიდი ქალაქის მშვიდი მოქალაქენი და ძლიერთა ამა ქვეყნისათა დახმარება სთხოვეს: ან გაასახლეთ, ან დაადუმეთ ეს ქალი, დარდი გულიანად ველარ გვიდარდიაო.

იფიქრეს ძლიერებმა რა მოგუხერხოთ ამ ქალსო და მიჰგვარეს ექიმებს;

ფსიქოლოგები და ფსიქიატრები დაასიეს თავზე;

ბავშვობაშია ჩარჩენილი ეს საცოდავი, უშველოთ რამეო. ზრდასრული და ასეთი ოპტიმისტი მხოლოდ ზღაპრებში თუ გაგიგიათ ამ ქალაქშიო.

ექიმები ფრიად დაინტერესდნენ ამ უცნაური დაავადებით და შუშის ოთახში მოათავსეს ოპტიმისტი ქალი.

ჩაურთეს ტელევიზორი, მიაყარეს ჟურნალ-გაზეთები და 24 საათიანი დაკვირვების ქვეშ აიყვანეს.

ატყდა ინფორმაციის ქარაშოტი, ტელევიზია მოუღლეღად გადმოსცემს ათას დამთრგუნველ ამბავს:

აბა, უცხოპლანეტელების ხუთი ჯავშნოსანი ხომალდი დაიძრა დედამიწისაკენ, უეჭველი ჩვენი განადგურება აქვთ ჩაფიქრებული, საიმედო წყაროებიდან გამოჟონაო. მეტეორი მოჰქ-

რის, სინათლის სისწრაფით, უნდა გაგვაცამტვეროსო, რალაც ფასკუნჯის გრიპი ვრცელდება, სასწრაფოდ აცრები ჩაიტარეთ კი ვერაფერს გიმველით, მაგრამ ბიუჯეტს ცოტა მაინც წაადგებაო. ბოლო ათას წლეულის ყველაზე ცივი ზამთარი მოდის, გათხარეთ სანგრებიო, მზე დაგვიბნელდება, მთვარე საერთოდ გაქრება, ნაზუქად გადაიქცევაო. კუდიანი ვარსკვლავები ცოცხზე ამხედრებულნი დაჰქრიან, ჯარს აგროვებენ ჩვენს საწინააღმდეგოდ, ხარკი უნდა დაგვინესონ დედამიწელებსო...

პანიკაშია ქალაქი, დარდობენ ...ვიშვიშებენ... ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებიან მოქალაქენი. წარმატებით უხეთქავენ ერთმანეთს გულებს, ბავშვებს აშინებენ, ახლგაზრდებს უწყრებიან. მოხუცებს სულ ცხარე ცრემლით ატირებენ. ცისფერი ეკრანებიდან იფრქვევა შემზარავი ინფორმაციები, გაზეთები წერენ და წერენ ტყუილ მართალს განუკითხავად.

ნაცრისფერ დარდშია ჩაძირული დიდი ქალაქი.

ზის გამოუსწორებელი ქალი და და პატარ - პატარა ბარათებს წერს. ვერცხლისფერ პრიალა ქალაღლებზე, მოისმენს რაიმე გადაცემას, გადაიკითხავს გაზეთებს, ერთ კალამს თმაში გაირჯობს, მეორეს აწრიპინებს და აწრიპინებს ვერცხლისფერ ფურცლებზე.

დაინტერესდა ექიმთა დაინტერესებული ჯგუფი... რას წერს ასე მშვიდად, ეს მართლა ოპტიმისტიო და წაკითხვა მონილომეს.

ქალმა პირობა წაუყენა: ვერტფრენით გამასეირნეთ და კიდევ წაგაკითხებთ და საავტორო უფლებებს თქვენ დაგიმტკიცებთო. თუ არა და სათითაოდ შევახრამუნებ ჩემს კალმით ნახატ ბარათებსო.

ექსპერიმენტი, რომ არ ჩაშლოდათ დაეთანხმნენ.

ჩააბრძანეს ოპტიმისტი ვერტმფრენში, შემოუსხდნენ გარ-
შემო თეთრხალათიანები. აინია ვერტფრენმა მალლა და მალ-
ლა, ქალაქი დარჩა დაბლა.... დარდიან - სევდიანი მოქა-
ლაქეებით .

უცებ იყვირა ოპტიმისტმა: კომეტა, კომეტა მოჰქრისო. ყველა
მიანყდა ილუმინატორებს, ატყდა პანიკა, გამოუსწორებელმა
ქალმა დრო იხელთა და მოხსნა პირი ბოხჩას, წამოვიდა
ფრიალ - ფრიალით პატარ პატარა ვერცხლისფერი ბარათების
კორიანტელი ქალაქის თავზე.

მზეზე ალაპლაპებულ - ათასფერადებული, მოედო ყველა
ჩიხსა და ქუჩას ბარათების ბარდნა.

ხალხი დაიბნა, ზოგი ხეს ამოეფარა... ზოგი სახლში ჩაიკეტა,
ზოგმა უკვე დიდი ხნის შეკრული ბარგი რის ვაივავლახით
გამოათრია და სადღაცისაკენ გასწია. ერთმა პატარა ბიჭუნამ,
გაბედა მხოლოდ ბარათის ხელში აღება და წაკითხვა, მერე
იყვირა ნახეთ რა ვიპოვე.

ყველა გაისუსა, შიშის კანკალით მიაჩერდნენ ბიჭუნას, ბიჭუნა
იცინოდა კიდევ და კიდევ კითხულობდა და ხმამალლა იძახდა
ნახეთ რა წერია. უცებ ყველა დაესია ბარათებით სავსე ქუჩებსა
და ჩიხებს. კრეფავდნენ, კითხულობდნენ და ისევ აგროვებდნენ
ბარათებს.

ვერცხლისფერ ფურცლებზე ერთი და იგივე წინადადებები
ეწერა:

„მე შენ მიყვარხარ, არასოდეს დაკარგო იმედი, მენდე და
დაგიფრავ“

ხელმიწერით:

ღმერთი.

ხალხი ზეცას შესცქეროდა და იცინოდა, ერთმანეთს ეხვეოდა, ულოცავდა, ყველას გულში იმედი გაფურჩქნულიყო, შიში უგზო უკვლოდ გადაკარგულიყო ქალაქიდან.

გამოუსწორებელი ოპტიმისტი კი იჭდა ვერმფრენში მშვიდად და ღიმილით ათვალიერებდა ფუმფულა ღრუბლების ქათქათა ქალაქს.

ჯერ, არავისთვის მითქვამს, თქვენთნ ვამბობ პირველად....

მე ნაშვილები ვარ.

ეს ამბავი არც არასოდეს დაუმალავთ ჩემთვის მშობლებს.

როდესაც ვიკითხე ჯერ კიდევ ძალიან პატარამ თუ საიდან მოვედი მათთან, როგორ და რანაირად გავჩნდი,

მამა ცოტა შეყოყმანდა და მაინც გულახდილად მითხრა, რომ მიპოვეს...

თურმე წითელ-ყვითელ თავშალში ვყოფილვარ გახვეული და კაკლის მურაბასავით თვალებს ვჭყვიტავდი.

ასე მიმხვდარან რომ ბოშების ბავშვი ვიყავი.

ბოშებს დავეკარგე თურმე.....

მერე.....

მერე სულ მინდოდა მათი მოძებნა, ჭრელ-ჭრულა კაბიანი, ფერადმძივებიანი, უდარდელი, ლალი და მხიარული ბოშები, რამდენჯერ მინახავს სიზმარში. აბრიალებულ კოცონთან დაბანაკებულნი, ბნელ ღამეებში გიტარის ჰანგებზე აცეკვებულნი. მენატრებოდნენ ჩემი ბოშები. მათი მოძებნის სურვილი ღამეებს მათენებინებდა.

სად იქნებოდნენ? დედამიწის რომელ კუთხეში?

ნუთუ არ ვაკლდი ბოშათა ბანაკს? ნუთუ არ მომძებნიდნენ არასოდეს?

პატარა ძმა, რომ შემეძინა ძალიან გამეხარდა, მივულოცე მშობლებს.

უკვე საკუთარი შვილი ჰყავდათ. გილოცავთ. გამოვუცხადე საზეიმოდ.

მამამ გაიცინა შენ ვისი ხარ? ჩვენი საკუთარი არ ხარო?

მე ხომ ციგნის გოგო ვარ თქო, გავიოცე.

არაო, რა ციგნის გოგოვო, ჩვენი ხარო, ჩვენი პირველი სიხარულიო, საიდან მოიგონეო.

სასწაული

მე მოვიგონე?

თქვენ არ მითხარით შარშან თქვე დალოცვილებო, თქო ვფიქრობდი.

აბა გაიგე ახლა რომელია მართალი. ამათი ვარ თუ იმათი...

მე კი, ისე შემომეპარა გულში ბოშების სიყვარული იმ შორეულ ბავშვობაში,

ამდენი წლების შემდეგ ისევ მეჩემებიან

ფერადი მძივები... ჭრელჭრულა კაბები... აბრილებული კოცონის გარშემო დაცემული ბოშათა ბანაკი, შავთვალეობა ღამეს შერეული მუსიკის ჰანგები, გულთმისანი ბოშათა დედოფალი, ბრჭყვიალა ყელსაბამით და სამაჯურებით....

არა, ისე არ მოვკვდები, ერთხელ მაინც რომ არ ვიცეკვო ატკრცილებული კოცონის გარშემო ჩემს ბოშებთან. წელზე შემოხვეული ჭრელი თავშლითა და საფეთქელთან დაბნეული წითელი ყაყაჩოთი.

ერთხელ მაინც მოვტაცებ მუსიკის ჰანგებს , კოცონთან მინაბულ მთვრალ ღამეს და გრილ ნიავეს განეწილ თმებში ჩავეწნავ.

ერთხელ მაინც გავესაუბრები, ბოშათა დედოფალი, მოციმციმე ვარსკვლავებსა და თვალეზმინაბულ მთვარეს,

ერთხელ მაინც ავისრულებ, ბავშვობის დროინდელ ღამამ ოცნებას

არჰალალე ერქვა სოფლის გიჟს, ანდა სოფელი ეძახდა ასე, დედა არ დაარქმევდა ამ სახელს.. (ან კი როგორ დაარქმევდა. ჩვილს სანამ ხელში აიყვანდა, მზენვია ჩითივით ცისკენ გაფრენილიყო, მიწაზე კეთილ ანგელოზებად დაეტოვებინა ახალშობილნი)

ტყუპისცალი ძმა ჰყავდა... დარჰალალე.

ერთი ანჩხლი ან ცხოვრებისაგან გაანჩხლებული დედინაცვლის მეტი არავინ გააჩნდათ.

მშრომელები იყვნენ ძალიან, აბა სოფელში საქმეს რა გამოლევდა. ეხმარებოდნენ თანასოფლელებს, შრომობდნენ მხარ და მხარ, სადაც ერთი იქაც მეორე...

მათ გასამრჯელოს დედინაცვალი იღებდა.

-აბა მაგათ ფული რად უნდათ ქაა, სად უნდა გამოიყენონ ეგეც არ იციანო.

პირველი თოვლი, რომ მოვიდოდა არჰალალე სოფელს აახმაურებდა...

-ხალხო, ციდან ბარაქა ცვივა... ბარაქა. გამოდით გამოიშალენითო.

ააჟრიამულებდა, ააყიჟინებდა ბავშვებს. თოვლში ამოგანგლული, ფიფქებს დასდევდა დასაჭერად, თბილ ხელისგულებში მოსაგროვებლად.

გვალვაში? ან გვალვების მერე უცებ მოვარდნილ შხაპუნა წვიმაში, დავლურს ჩაუვლიდა, გახარებულ-გალაღებული ისე, თითქოს წვიმის ღმერთს მადლობას სწირავსო.

-ცის მადლი მიწაზე ჩამოსულა, ხალხოოო...

იმდენს იყიჟინებდა, სანამ სოფელს კარში არ გამოახედებდა, დარჰალალე წყნარი იყო, იქვე ახლოში იდგა ხოლმე და ღიმილით უყურებდა ძმას...

ქორწილი იყო თუ ნიშანი, რთველობა თუ ბიჭიანობა, პირველი მახარობელი იყო არჰალალე...

სიხარულის მაცნე და გამზიარებელი იყო...

ძველი საყდრის სამრეკლოზე უყვარდა ჯდობა.

ზარები, რომ ახმინდებოდნენ, ფეხზე წამოდგებოდა ჩიტივით ხელებს გაშლიდა და სახეგაბადრული ზეცას შეჰყურებდა, ლოცვა იყო ეს არჰალალესი...

სოფელს არჰალალე უფრო უყვარდა....

ღმერთის გიჟიას ასე ამბობდნენ...

ერთ დღეს სოფელში ხმა დაირხა, დარჰალალე მოკვდაო.

დაიძინა და აღარ გაიღვიძა... აღარ აჰყვა ალიონზე მზის სხივებს. სოფელმა თავისი ვალი მოიხადა, დაასაფლავეს დარჰალალე.

არჰალალე ისევ ისე დადიოდა თითქოს არაფერი მომხდარაო. სოფელი ზურგიდან ქოქოლას აყრიდა...

- ეგ მარტო აცეკვე და ამღერე, დარდს გულს არ შეატყვევინებსო...

სოფელს ღამღამობით ტანში გამცრელი ხმა ზაფრავდა ბოლო დროს, ვერ გაიგეს ინი იყო თუ ჯინი.

მოხუცებმა ტყის ქალებზე და მაქციებზე უმატეს ზღაპრებს. შუალამისას ვერც ვერავინ ბედავდა გორაზე ასვლას..

პირველ თოვლს ისევ ისეთი ხმაურით შეხვდა არჰალალე, არა.. თითქოს უფრო მეტად უხაროდა...თავისი ძმის მაგივრადაც უხაროდა თითქოს... ფანტელებით დაფიფქული, საღამოხანს ფიფქებში გაქრა, გაუჩინარდა....

აღარ გამოჩნდა იმ ქარბუქიანი ღამის შემდეგ, ზოგი ამბობდა - დედინაცვალმა გააგდოო..

ზოგიც - მოსწყინდა ანჩხლი დედაკაცი და გაიქცაო...

ქალი იფიცებოდა - მეც არ ვიცი ქაა, სად გაქრაო.

მეზობელ სოფელში მოიკითხეს არჰალაღე, ავტობუსის მძღოლსაც კითხეს ქალაქს ხომ არ გამოგყოლიაო, მინამ ჩაყლაპა, თითქოს ვერსად იპოვეს სოფლის გიჟი და ხალისი.

სამი დღის მერე ნიკა პაპა მიეზარა სასუფეველს.

კაცები გორაზე ავიდნენ საფლავის გასაჭრელად,

მალევე მოტრიალდნენ უკან, მარხილზე არჰალაღე იწვა, თეთრად გადაპენტილი, ძმის სასაფლაოზე გადამხობილი ეპოვათ კაცებს, გაყინული.

საყდრის ეზოში მოგროვდა სოფელი, დედინაცვალი თოვლში ჩამხობილი მუხლებს იცემდა, შენ შემოგველე შვილოო დუდუნებდა ჩუმად, თმებზე ეფერებოდა, სახეს ხელებით უთბობდა, სული ჩაედგა უნდოდა თითქოს, არჰალაღე იწვა თითქოს ბედნიერი... თითქოს ამ სიტყვების მომლოდინეს, სიკვდილისას ღირსებოდა ნამდვილი სითბო,

შვილოოოო, იმედს კარგავდა დედინაცვალი. დედად გადაქცეულიყო დედაკაცი, შვილოოო მოგიკვდეს დედაა, ტიროდა..... ბზარი შერეოდა ხმაში.

სოფელს თავი ჩაელუნა...

დადუმებულიყო..

უძვლო ენა პირში, რომ ვერ დაეტია იმას ნანობდა.

უგულობა, რომ დაენამებინა დიდი გულის კაცისთვის, იმას წუხდა სოფელი...

ბოდიშის მოხდა უკვე გვიანი რომ იყო, გულში ხინჯად ჩარჩენოდა...

მხოლოდ ქუდის მოხდალა შეეძლო სოფელს, იმ ქარბუქიან ღამეში, ტყუპი ძმის გასათბობად საფლავზე დამხობილი ტყუპისცალის წინაშე.

ახლა უკვე ღმერთის გიჟისა კი არა, ღმერთის კაცის წინაშე, ქუდებმობილი დუმდა სოფელი.

სიყვარულისა და მთვარის კინო

ერთი ოცნება მქონდა ბალღობაში, კინო მინდოდა მენახა, რა იყო, როგორი რამ იყო, გამეგო მინდოდა, გაზრდა მეჩქარებოდა, ბარში ჩასვლა... იქ, სადღაც, ვიპოვიდი ვიცოდი, ნეტავ თუ მომეწონებოდა... თუ შემეყვარებოდა... ერთ საღამოს, ბინდის პირას, ლომას გამოვხედე ჩემს ლეკვასა, ვაშლის ხესთან ვილაცხები დავლანდე ორნი... შევჩერდი, დავაკვირდი... მთვარემ, რომ გამოყო თავი მთიდან ვიცანი გოგოლაანთ ზეზვას განიერი მხრები, გაშლილ გულმკერდზე თეკლა მიეკრა, მთვარემ კარგად რომ გამოაშუქა, სახეებიც დავინახე, იმ ორის. სულმუდამ წარბშეკრულ ზეზვას სახე გახსნოდა... თვალეში რაღაცა დიდი, აი, თოვლზე, რომ მზე ასხივოსნდება, ისეთი ნათელი ედგა. ხმა? ხმაც სხვანაირი გახდომოდა.

-წამამყევ ქალაუ, ნუ მამკლავ მარტოდ ტიალსაო.

ისე ამბობდა, თითქოსდა ლოცულობდა. თეკლას თვალეები დაეხუჭა, გაზაფხულის ნიაგავით გატრუნულიყო ვაჟკაცის გულისცემას მინდობილი. ტუჩებთან ციცინათელებივით უკრთოდა ღიმილი. თეკლა ლამაზი იყო, მაგრამ ასეთი ლამაზი არ მენახა მანამდე. გედს გავდა ყელმოღერებულს. სასწაული დამდგარიყო თითქოს.... მთვარე ანათებდა. აყვავებული ვაშლის ტოტებიდან, ნიაგი თეთრი ყვავილის ფურცლებს აკორიანტელებდა, თეკლა ზეზვას ჩაჰკროდა გულში, მთვარე ვარსკვლავებს. თვალს ვედარ ვაცილებდი, ვიდექი მონუსხული და რაღაცა მიხაროდა, სახელი ვერ მეპოვა რა, ფერხქვემ ფიჩხი გამიტკაცუნდა, თეკლა შეკრთა. ზეზვამ ჩემსკენ გამოიხედა.. ღიმილი გადაეშალა სახეზე, აი ისე, შენს ბედნიერებას, სხვას რომ უამბობ თვალეებით ... შემეხმიანა სიცილით:

...რას გვიცქერ ბალღო, კინოა?

...და მე კინო უცებ შემიყვარდა,
ბარში ჩაუსვლელად... უნახავად მოვეჯადოვებინე ულამაზეს
კადრს...
მთვარის ქათქათა ფარდაზე, რალაც დიადი კინო ვიხილე იმ
სალამოს.
სიყვარულისა და მთვარის კინო...

მისმინე დედა

ეს ერთხელ გეტყვი შვილო, თავს არ შეგანწყენ მეტად (ბევ-
რი ლაპარაკი არა მჩვევია იცი)

ცხოვრება ლამაზია, დედა ...ვარდისფერი სათვალით მით
უფრო ლამაზი, მაგრამ მკაცრია. ბრწყინვალე მწვერვალს, მზე
რომ დანათის იმას ჰგავს, მიმზიდველი ჩანს, სანამ მიუახლოვ-
დები. ახლოდან ციცაბოა შვილო...გამძლე მუხლი უნდა, მაჯა
უნდა მაგარი, გონება უნდა გჰქონდეს განათებული, მწვერვალს
რომ შეეჭიდო. სული უნდა ძლიერი. მართალი გული უნდა
შვილო, იქამდე მისვლას. ცოტახანს მოეშვი ღრუბლების
ცქერას დედა, აქეთ მომხედე. ეს ერთხელ გეტყვი, თავს არ
შეგანწყენ იცი. მიზანი უნდა გქონდეს, უმიზნო კაცი ერთ წრეზე
ტრიალებს მოჯადოვებულივით.

მარტო შრომა არაა საკმარისი შვილო, უნდა იცოდე, რატომ
აკეთებ და რასაც აკეთებ აზრიანად უნდა გააკეთო დედა.
რწმენა უნდა გქონდეს, მყარდ უნდა იდგე, არ უნდა გაუტყდე
სიძნელეს, უკან არ უნდა დაიხიო. გაცემაც უნდა შეგეძლოს
შვილო და მიღებაც, ორივე ძალიან მნიშვნელოვანია,

სად უნდა გასცე და ვისგან მიიღო გზადაგზა ისწავლი მაგას.
მთავარია თვალი არ მოგჭრას ცხოვრების ციცაბოზე ასხლე-

ტილმა მზის სხივმა. თუ ნაიბორძიკებ... არ შეგეშინდეს დედა, მე აქა ვარ. ფეხი თუ აგისრიალდა, ისევ ისე ჩაგიკრავ გულში, როგორც მაშინ! (მაშინ ერთი წლის იყავი და არ გემახსოვრება, ლაპლაპა ყინულზე ფეხი, რომ აგვისრიალდა და ჰაერში შევძელი შენი დაჭერა. ხანდახან ახლაც წამომტკივდება ხოლმე მარცხენა მუხლი გაქვავებულ ყინულზე რომ დავცხე, მაგრამ ეგ არაფერია დედა)

ახლა შენი დროა, შენი გასაკვალი, შენ უნდა გაიკვლო უკვე, შენ თვითონ უნდა აიარო შენი ბილიკი შვილო. დასაყრდენი უნდა აარჩიო სწორად, ცხოვრების მეგზური საიმედო უნდა იყოს ...მეგზური მნიშვნელოვანია. ფუმფულა ღრუბლები გაფანტულა დედა, ხედავ მწვერვალი რა მომხიბვლელად შემოგყურებს. გაუღიმე და მიიღე გამონწევა ...მყარად დააბიჯე ცხოვრების გზას. შენ ნაფეხურზე შენმა შვილებმა ადვილად, რომ ამოიარონ, ისე ლამაზად იარე შვილო... ჩემი ნაფეხურები გახუნებულა დედა... შენს მკვეთრ ნაფეხურს ელოდება ციცაბო. დამილოცნიხარ შვილო ...შენ შემოგველოს დედა.



მაყვალა დავლაძე



მაყვალა დავლაძე 1959 წლის 30 მარტს დაიბადა ყველაზე ლამაზ ქალაქ ბათუმში. 1976 წელს წარმატებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის მე-2 საშუალო სკოლა. 1979 ჩაირიცხა და 1984 წელს დაამთავრა ქალაქ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი დაწყებითი განათლების და მეთოდის სპეციალობით. 2007 წლიდან ეწევა შემოქმედებით საქმიანობას. ლექსებს და მუსიკას პატარაობიდან წერს. 2010 წლიდან კი მუშაობას იწყებს მომღერალთა დუეტთან - „არტი“. ლექსზე „გზამდეს ჩემი სიყვარულის“ ახალი სიმღერა შექმნა, რომელმაც მაყვალა დავლაძეს და დუეტს წარმატება მოუტანა. (დათო შამილიშვილი და ვერა ბაბუციძე უკვე 2010 წლიდან ერთად მღეროდნენ, როგორც დუეტი და ჩვენთვის კარგად არიან ცნობილი მათი ტკბილი ხმებით.) 2013 წელს გამოცემულ პირველ კრებულს მაყვალამ „ფერთა ჰარმონია“ შეარქვა. მაყვალა გახლავთ „ჩანაწერები ინგას უბნიდან „პირველი და მესამე კრებულების ერთ-ერთი ავტორი. ის შესანიშნავი პოეტი და გულისხმიერი ადამიანია. უამრავი წარმატება მას!

მე ქართან ერთად გამოგიგონე!

ოცნების კოშკში გაჩუქე მზე.
ბევრი ბილიკი გამოვიარე
და გეტყვი: ესაა მზე!!!
ხელს გამოგიწვდი...ორივე ხელს
და გავფრინდებით...ცის საოცარ
ფერებში.....
მინდა გაჩუქო ცა და ღრუბლები,
ზამრთის ფიფქები ვიქნები,
რბილი ნიაფით შეგმოსავ
გათოშილ სხეულზე...გულთან
ახლოს ბუდობს სითბო შენი,
პატარა ბარტყივით ვაპურებთ
მე და მზე.....
ფიქრით კვლავ დავიბრუნე
გზად მომავალმა შენთან
ნდობა, სილაღე და სიყვარული.
ნუ მივენდობით წვიმას ბოლომდე...
მე ქართან ერთად გამოგიგონე
და უსაზღვროდ გავკვივივარ
ჩემს მარტოობის სიცარიელეს.
ოცნების კოშკში გაჩუქე მზე,
მინდა გაჩუქო ცა და ღრუბლები,
ფიფქებად მოგეკრა გათოშილ სხეულზე,
მამხნევებს შენი ფანტაზიები..

მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს

გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავექეცი მზერას დარდიანს,
დასალიერში, მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობები სევდიანია.

ნისლის საბანით გაგიტობო სულს და
ცის მნათობების კოცონს დაგინთებ,
მინდა გიამბო იმ უთქმელ დარდზე,
რაც მოხდა ჩვენში, ფოთოლცვენის დროს.

მე შენთან მოვალ და გაგახარებ,
გაზაფხულს ისევ შემოდგომა ცვლის,
მოვალ და ყვითელ ფერებით მოვრთავ,
მარტოობის შენს სიცარიელეს.

ათოვს ქალაქის უბნებს და ქუჩებს,
თოლიის წივწივს ზღვა ახმოვანებს,
უფლება არ გვაქვს გადაგვარების,
ცრემლი მიივებად ცვივა წამწამებს.

მე შენთან მოვალ ფოთოლცვენის დროს,
შენი თვალები მეტყვის ყველაფერს,
ჩემი ღამიდან მოპარულ ზღაპარს,
სევდიანი ხმით ქარი იმღერებს.

გიტარა მძაფრად აჟღერებს აკორდს,
ვერ გავექეცი მზერას დარდიანს,
დასალიერში, მზის ჩასვლის გამო,
ჩემი გრძნობები სევდიანია.

წლებს ღალა დაებეგრებათ

თითქოსდა ძალით მამხნევებთ,
დღეც კი კანკალებთ ფიქრებო,
ვისი თვალეზი გაგათბობთ,
ან ნუგეშს რისთვის მახვევთო.
დღე ემატება წარსულს და
წლებს ღალა დაებეგრებათ,
გაზაფხულს გულში მიტოვებთ,
თავად არ გეზაფხულებათ.
უკეთეს დღეებზე მლოცველს,
მზემ მომაგება სიმხნევე,
გზად ანგელოზნი შემომხვდნენ,
მღუმარე ციხე კოშკებთან.
მე აქ ვარ მხოლოდ სტუმარი,
ქვითინი არც კი მჩვევია,
ვაჟები მხარბეჭიანნი
დედის იმედად მრჩენია.
აღმართს ვადგავარ, გავცქერი,
წარსული თავს არ მანებებს,
გავწვალეზულვარ ქარ-თქემით.
ფიქრთა ზვავეზი მამხნევეზს.
ვერ ვუერთგულე ჩემს აღთქმას,
ვერ დავიცავი სინმინდე,
ფსკერზე დარჩენილ შლამიფით,
გულზე მადგია სიმძიმე.
ისევ ავარდნენ ქარეზი.
მარტის ჭირვეულ ამინდებს,
ვერ გადაფურჩი ამ დარდს და
ვერ გავილიმე ბოლომდე,
სიცოცხლით სავსე სხეული,
უჩინო ღანდად ქცეულა,
დღეც კი კანკალებთ ფიქრებო,
დარდს ველარ გადავჩვეულვარ.

გესმის ეს სევდა?

მიყვები ბილიკს სოფლის შარაგბა არ ჩანს და არ ჩანს,
მავანთ ვერ ვხედავ, თუმცაღა სულში მარტო არა ვარ.

ეს ჩემი სული ორად მომძახის და მეც ვპასუხობ კითხვების
ჯალათს,

ამ ბილიკზე კი სევდის მძივები გაბნეულა და ვკრიფე
დილამდე.

დაღლა გამქრალა,სადღაც ჩამქრალა სანთლის ფარფატა
შუქივით თითქოს, დავმარცხდი, ჯალათი მკობნის, აზრებს ვერ
ვთოკავ.

კიბის საფეხურს, მიწის ბელტებს, ზღვის ათინათებს მოჰგავს
მირაჟი.

გესმის ეს სევდა? ჩემი და შენი ერთად შერწყმული იღუმალ
ჩინად,

ვაიმე, მინდა გავფანტო სევდა, დავცალო ჯამი წყენის და
მტრობის,

ნუ მესხმი, ნუ მცდი, ვინა ვარ, იცი, მე ასეთი ვარ და ჩამომ-
შორდი.

ღამეს დღე შეცვლის და დღეს კი ღამე, მე კი დავეძებ
გაბნეულ მძივებს...

რატომ და რისთვის ვერ გამიგია...ასე რთულია ყველა გზა
ჩემთვის, მიყვები ბილიკს, სოფლის შარაგბა არ ჩანს და არ
ჩანს,

მავანთ ვერ ვხედავ,თუმცაღა სულში მარტო არა ვარ.

ის რაც არასდროს ბრუნდება

რამდენი დრო გასულა ძვირფასო,
სისხლი შემცვალეს ძარღვებში,
გული გამებზარა დარღვებში,
მარტოსულს მცივა და მათოვს.
სიყვარულს ვატარებ იარად,
ზამბახის სურნელს კი მალამოდ,
ვაპკურებ სულსა და სხეულზე
და მიცავს ზეცის მზე ფარად.
გავყურებ სასრულის დასაწყის,
ფერების გამხმარი ქათიბით,
ვერ ვალწევ შენამდე ფიქრებშიც,
სადა ხარ... დუმილი კმარა...
დაფლეთილ უგრძობო ქვაფენილს,
ზაფხულის ოხშივარი ასდით
ბევრჯერ სიყვარულით მთვრალეები,
სილალით ვატარებდით ღამეს.
აქ შენი ნაფეხური მიპოვის,
ქარი შენს ჩურჩულებს მეტყვის,
სიყვარულს ეხლაც მღერის ქუჩები,
ჩვენი მონატრების წუთებს.
ოცნება გაგვიფრინდა ამ წლებში,
იქნებ დროის ექომ გვითხრას,
ის, რაც არასდროს ბრუნდება,
პირველი სიყვარული, წმინდა.
რამდენი დრო გასულა ძვირფასო,
სისხლი შემცვალეს ძარღვებში,
გული გამებზარა დარღვებში,
მარტოსულს მცივა და მათოვს.

ზარდახშა

ოქროსფერ ზარდახშას ხანი დასტყობია,
დრო-ჟამმა იერი ჩააქრო ბრწყინვალეების,
ფრთხილად შევეხე და გრძნეული ისტორია,
თვალწინ გადიშალა წარსული ეპოქის.
ეხლა ამ ზარდახშას ტონი მისცემია
წლების, რომლის მიღმა წარსული ტრიალებს,
ეხლა მოგონებას ხანი გაცვეთია,
მაგრამ მომავალი მის კვალზე ცქრიალებს.
აქ ამ ზარდახშაში ჩემს ფიქრებს ჩავალაგებ,
სურვილებს, რომელნიც არა და არ ახდა,
ვინმე საუკუნის მერე გადახსნის და
იქნებ ასრულება ებოძოს წუთს და წამს.
აქ, ამ ზარდახშაში, ლექსებს ჩავალაგებ,
სიყვარულს გაჩუქებთ ყველას მოწინებით,
აქ ჩემს მეგობრობას კრძალვით შემოგფიცებთ,
რადგან მეტი განძი მე არ გამაჩნია.
ჩემს შვილებს, შვილიშვილებს არც კი ვიდარდებდი,
მათთვის ყველა სიტკბო ვხარჯე რაც მქონია,
თუ კი გადახსნიან, ამ ყუთს, წლების შემდეგ,
ჩემი სიყვარული მათი ნაპოვნია...
ოქროსფერ ზარდახშას ხანი დასტყობია,
დრო-ჟამმა იერი ჩააქრო ბრწყინვალეების,
გზას გავაგრძელებ სანამდის შევძლებ და
მანამდის მიბოძეთ თქვენი სიყვარული.

პირველ პაემანზე.....

მათ ერთმანეთი უყვართო, ამბობენ..
ქვიშაზე გრძნობების ნაკვალევს ტოვებენ....
ქარები, წვიმები სულაც არ ადარდებთ,
ყვავილთ უდაბნოში დადიან დილამდე.
მათ, ერთმანეთი უყვარდათო ამბობენ...
ანა კარენინა, ვრონსკისთვის ჩალვრილა.
სიტყვებით, ფიქრებით გულამდის, დილამდის
და მერე ლიანდაგს მსხვერპლივით შეეწირა..
მათ უკვე აღარ სწამთ, ძველი სიყვარულის...
რტოებჩამოყრილი ბებერი ხესავით,
ნაქცეულ ღობესთან, ხავსიან მინდორზე..
ასე უყურებენ წარსულის ექოდან...
დღეს, კიდევ შევნატრით ძველ ვოდვეილებს
სკოლის ფანჯრებიდან... დარაჯად მოსულ
მიჯნურებს... რომელნიც ბაფთიან გოგონებს
ელოდნენ, პირველ პაემანზე...
ია კი, სადღაც ჩრდილში ამოსული,
ჩურჩულებს ერთგულებას ვერხვის ჩეროში,
ჯერ არვის არა ხარ, სუფთა ხარ ფაქიზი,
მეცხრე ცაზე დახვალ ამ წუთისოფელში...
-მათ ერთმანეთი უყვართო, ამბობენ..
ქვიშაზე გრძნობების ნაკვალევს ტოვებენ....
ქარები, წვიმები სულაც არ ადარდებთ,
მათ, ერთმანეთი უყვართო, ამბობენ..
ქვიშაზე გრძნობების ნაკვალევს ტოვებენ....
ქარები, წვიმები სულაც არ ადარდებთ,
ყვავილთ უდაბნოში დადიან დილამდე.

ნატვრად ქცეული
მოგონება ევითინებს

ნატვრად ქცეული მოგონებები ევითინებს.
ერთი ულუფა სავსე ცრემლით აფუებული,
დღის ცისფერ მოტივს სახრეს უშვერს მოურიდებლად,
უნდა იპოვოს სილამაზის ნათელი კვალი.
ვერ მივწვდი მიზანს, ცამდე ასულა და ზეცას ეკვრის,
მზის თბილი სხივი უშურველად სითბოს მანოდებს,
მაგრამ არ მყოფნის ძალა, უნდა შეეცვალო როლი,
რომ ერთი ციდა პეშვის სიტკბო, მეც მომანოდონ.
თვალეები საგნებს დაითვლიან, დროუამით ნაცვეთს,
მერე კი ბებერ მეზურნესავით უპე ჩაშლილი,
ცრემლით ავსილი აიხედავს, ცის ნათელს შესთხოვს,
ღმერთო მადლობა! არაფერი მაქვს უკვე სათქმელი!
ნატვრად ქცეული მოგონება ევითინებს.
ფერად სიზმრებსაც ველარ ვხედავ, ფერთა მსახურმა
ჩამომართვა და გრძელ აბრაზე შავ-თეთრად დასვა,
ფერი ხუნარი,უფერული, სივრცეში შთანთქა...
ასეა მართლაც,იმედის ძაფს გავუფრთხილდები,
ერთი ნაგლეჯი სითბოს მსხვერპლად გადავიქცევი,
ნატვრად ქცეული მოგონება ეხლაც ევითინებს,
ძალა არ მყოფნის, ვერ ვიპოვე ღმერთო სათქმელი!!.

ნისლი წარსულის ეპიზოდი

რამდენი გზები არ ერთდებიან,
რამდენი ფიქრი დაკარგულია,
მინდვრად ყვავილი რომ ამოსულა
ჩემი ოცნების ნამსხვრევებია.
ბილიკს მიყვება ბედის შიკრიკი,
მთელი ცხოვრებაც მას მიუყვება,
გაუჩინარდნენ წლების მოტივით,
თაღს სამოსელში ბედი ირთვება.
წარსულა და მომავალს, შორის,
ჩვენი სიცოცხლე გალიას მოჰგავს,
ვით მიწისქვეშა მდინარეები,
განზიდვის ძალა წუხილით ბორგავს.
მჭიდროდ ნაქსოვი ზნეობის ფარდა,
ბურუსს მოუცავს გზებზე ჩანოლილს,
ბადაგი სულის ივსება შურით,
კეთილის წრაფვა... დატყვევებული...
მთელი სიცოცხლე აქეთ მომყავდა,
მზის ნათელისკენ სული სალებით,
ისინი, ვინაც თავს მირჩვენოდნენ...
ჯერ ფონს ეძებენ მღვრიე მდინარის.
გზა და გზა სევდის კენჭებს შევყურებ,
ზღვის ნაპირებთან გამორიყულებს,
ზნეობის ფარდაც ჩამოირეცხავს
სილას შლამიანს, დღის სიბინძურეს.
ჯავლნი ტალღებად გადაქცეულნი,
მლაშე წყლის ნოტიო განიკურნება
და იზეიმებს კვლავაც სიცოცხლე
და სიზმრის კვალიც ცუჩინარდება,,
მინდვრად ყვავილი რომ ამოსულა
ჩემი ოცნების ნამსხვრევებია.
ნისლი წარსულის კომმარია და
წარსულ დღეების ეპიზოდი.

სანთლის შუქვა

მოგონებად იქცა სანთლის მკრთალი შუქი,
სევდიანი რითმით გაჰკიოდა ქნარი,
ულამაზეს ფიქრებს დაბნევია გზები,
სანთლის ალალ შუქზე და ფარფატებს ხანი.
ჩაბნელებულ ოთახს ახალისებს სხივი,
სანთლის ალის შუქზე აკიაფდა ცრემლი,
გამხნელების მსხვერპლად შეპარული სევდით,
ისევ ნამიანი და მტირალა ხვედრით.
სუნთქავს ნაზი სიო, გეფერება ღანჯზე,
გადაირბენს მინდვრებს, მობრუნდება ისევ,
მოგახარებს იმედს, სიყვარულით მთვრალი,
ჩაბნელებულ სარკმელს შემოუტევეს ქარი.
სანთელი კი ქრება, ნიავს მიაქვს კვამლი,
დარაბების მიღმა იკლაკნება კვალი,
ულამაზეს ფიქრებს დაბნევია გზები,
სანთლის ალალ შუქს კი გაჰყოლია ხანი.

ალავერდს ამბობს ფიქრები

ქარმა ყვითელი ფოთლები,
ჭაღარის სევდათ გაფანტა,
ფრესკად დაგხატე ფიქრებში,
ნეტავ ვინ იცის სადა ხარ.
ზღვაზე ფარფატებს თოლია,
ლივლივა ტალღა აქაფდა,
მზის სხივსა კორდი ებოძა,
ნეტავ ვინ იცის სადა ხარ...
ალავერდს ამბობს ფიქრები,

მონატრების წუთს დალოცავს,
სხივებმა წამი მომტაცეს,
სამყარო ზღვის ფერს მოქარგავს.
მზის აჩრდილების რითმია,
ცად აზიდულან ღრუბლები,
წვიმის ცრემლები მოჰქრიან,
მიწას ერთხმინ ვედრებით.
ქარი ალერსით შეეხო,
ყვითელ ფოთოლთა ხეივანს,
ჩაეხუტა და გაათბო,
შენ კი ვინ იცის სადა ხარ...

როგორ მჭირდები.....

მინდა ვიპოვო გასაღები შენი სულისა,
შენზე მლოცველი ალიონზე ზარებს ჩამოვკრავ,
სამარადისოდ დავიჭერებ შენს ერთგულებას,
ფიქრთ ჰორიზონტს უსაშველო სევდა ესტუმრა.
თვალების მიღმა მოჩანს გული მოსიყვარულე,
შენი ჩურჩული შევიყვარე, შენი სულისთქმა.
მთვრალი ვარ შენით, ოქროს სიზმრებს ვხედავ იმედად,
დავიხარჯები... ოცნებებში, ჩვენ ხომ ერთნი ვართ.
მიყვარს სიცოცხლე, სიყვარულით გულის ფრიალი,
მიყვარს ტაძრები, სამლოცველოს სანთლების ალი,
მხრებზე იმედად მოხვეული შენი ხელები,
როგორ მჭირდები.....
წვიმის ფარდა გამოისროლეს ზეცის ფერებმა,
სველი ქუჩების ლამპიონებს ამბორს ვუგზავნი,
როგორ მჭირდები.

შავი ზღვა...თეთრი აფრები

შავი ზღვა მოსჩანს თეთრი აფრებით,
ლივლივა, მშვიდი, უკიდევანო,
ცისფერ ზღვის ფონზე მწველი მზის სხივი,
ზღვის ტალღის ნარნარს უგზავნის ამბორს.
დავიარები... ქვიშის სალმური,
წვავს ფეხის გულებს და ვინაბები,
და ვეძებ იქნებ ზღვამ დამიბრუნოს,
ლალი დღეები ჩემი ბავშვობის.
მზის მცხუნვარება ვნებას ამიშლის,
ზღვის ფორიაქი ჩამოყრის ფიქრებს,
და ავზვითდები მეც ტალღასავით,
შადრევანივით მოვხატავ რითმებს.
პალმების ჩრდილში სულსაც მოვითქვამ,
სავარძლის ზღუდეს მივეტმასნები,
გავირინდები ზღვის ასულივით,
და ავლელდები ტალღათა რითმზე.
შავი ზღვა მოსჩანს თეთრი აფრებით,
თეთრი ქალაქით, პალმების ჩრდილით,
მე ვეფერები ყოველ ქვის ნაწილს,
ჩემი ქალაქის ქათქათა ქუჩებს.

საქმიანი მხარე

ახალგაზრდა ქალს სარკის აჩრდილმა სევდიანი მზერით უპასუხა. ფიქრების ქაოსით დაკნინებული გონება წუხდა. უიმედოდ ილიმებოდნენ ტუჩები, დრომ შეგრძნება დაკარგა.

ყურებში ექოსავითი ჩაესმის მშობლიური ხმები.... მძაფრი, მტკივნეული მღელვარებით ეხება ყოველი ფიქრი მამულისა მის გულსა და სულს. სამშობლო - შენი განუყოფელი ნაწილია.... ჩურჩულებს გული. ტირილი უნდოდა, ვერ ტიროდა, თითქოს გამომშრალიყო, გამოფიტულიყო, როგორც მზისაგან დახრუკული უდაბნო. ფიქრების ქარავანს კი აეკიდა უზარმაზარი ტვირთი და ტკივილისაგან იკლავებოდა, იკრუნჩხებოდა.... დაქანცულა... არავის ესმის ის, რაც მან გამოიარა, რაზედაც უფალმა აუხილა თვალი!

ფიქრები კი ხან კვდებოდნენ, ხან ცოცხლდებოდნენ, ხანაც მიწისქვეშ იმალებოდნენ... ველარ ამჩნევდა დღისა და ღამის მონაცვლეობას აუტანელი შრომისა და ჯაფის გამო. შვილებზე საზრუნავით დაღლილა მისი დედობრივი მზერა, შვილები თითქოს საუკენეა არ ენახა, სუნთქვა უჭირდა, გული ისე ელევოდა, როგორც სანთლის ალი, როგორც ზარის ხმა, ყურში ისე ჩაესმოდა შვილების ბაგედან წარმოთქმული ულამაზესი სიტყვის აკორდი - დ ე დ ა! თითქოს შორეული ფიქრებით უნდა გაათბოს მათი მონატრებული მზერა, ცრემლიანი თვალები დაუკოცნოს, დედის მოლოდინში შემოთენებული ღამეები, უნუგეშო და მიმქრალი ბავშვური განცდები დაუამოს და გაათბოს მშობლიური ალერსით. მუხლები მოეკვეთა, პირ-ბაგე მოეკუმა, თითქოს გაუნელებელ ცეცხლში ჩავარდნილიყოს მისი სხეული.... გული უტიროდა... შვილები, მოხუცი მშობლები, ყველანი მისი საზრუნავია.

სამშობლო ოჯახიდან იწყება. ცის ქვეშეთში კი რაც მიწა და წყალია, ცის სამყაროში მზე და ვარსკვლავებია, სადაც ლამის მთვარეული აჩრდილებია, ყველგან არ გვეცხოვრება, ყველგან არ გვემღერება. ჩვენი სამშობლო, ჩვენი საქართველო, მარად ჩვენზე მლოცველი, ყოველთვის ხელებგაშლილი გველოდება, რათა გულში ჩაგვიკრას მისი სისხლი და ხორცი, საქართველო გეძახით.....გისმობთ!

კედელზე საათი წიკნიკებს. დრო მოვიდა... დაყოვნება აღარ შეიძლება. მადლობა ღმერთს! არავის არ ესმის ის, რაც მან გამოიარა, რაზედაც უფალმა აუხილა თვალი.

სარკის აჩრდილმა სევდიანი მზერით უპასუხა. მოგონებებში ჩაფლულა ფიქრები... გზა კი ერთია, სანუკვარი და სასურველი, გზა საქართველოსკენ მომავალი.

ბულის ნუხილის ბაზიარება

ფეხაკრეფით მივუყვები ზღვის სანაპიროს. ალიონია. ბუმბერაზი, დაბურულ ხის ტოტებიდან მზის ათინათი მამხნეებს. ახალ გზატკეცილს ფაფუკად დასდებია მტვერი. ჰაერი ჩაიხუთა. ზღვის სანაპიროდან ყრუდ ისმის ლივლივა ტალღების შხაფუნის ხმა. საქართველო... უკიდევანო, ლაჟვარდი ცით, წარმტაცი გაზაფხულის ფერებით მორთული, მრავალჯერ ჭირნახული და მრავალჯერ აღორძინებული. სად გადახვეწილან ჩემო ლამაზო ქვეყანავ შენი შვილები? რად ტირის ქართველი უცხო მიწაზე? რად ჩამუქებულან მათთვის ხეთა ფოთლები ამ ზღაპრული გაზაფხულის პერიოდში? მშობელთა საზრუნავი რად

გამხდარა შორეული ქვეყნიდან მოპოვებული ლუკმა-საბადებელი? რად?..... ასე მგონია თავად ვირთულებთ ცხოვრებას და თავჩალუნულნი, დაობლებულნი დავდივართ უცხო მიწაზე საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად.

როგორც ტალახი ისე აიზილა სათნოება, სიყვარული, სიწმინდე.... საათი კი თითქოსდა დადუმდა, გაიყინა წამები და წუთები.... ღიმილი ჩაკვდა. დაფიქრებული ვაგრძელებ გზას... ათრთოლებული ხელებით მოვიფშნეტ თვალს... ზღვის სურნელი ნესტოებში იბლანდება... ძნელია იცხოვრო სხვისი სისხლითა და ოფლით გაპოხილ მიწაზე, შეხვდე დილის ალიონს, მოეფერო მზის სხივებს. ძნელია გული არ გაგიტბოს შენი მხარის თვალუყუუნა მაისმა.... ფიქრები ისევ თქვენთან მოდის... გვიყვარხართ... გიგზავნით უამრავ სიტბოს და ნუგეშს.... ჭირსა შიგან უნდა გამაგრებაო.... ქართული სიტყვითა და ქართული სულით მოგეფერებით... ასე დაფარფატებს ათასი ფიქრი და გონებაში, მუდმივი ქაოსია. ეს ხომ გულის წუხილის გაზიარებაა.... მშობლიურ სახლამდე კი ნაბიჯებს დაითვლი... ნაბიჯები კი ათასობით კილომეტრს აღიქვამს... საბოლოოდ რწმუნდები გადანყვეტილების შეცვლაში... ლამაზი ფიქრებით გახალისებული, გაამაყებული, შორიდან ელოლიავები შენს ულამაზეს საქართველოს.... ისევ თქვენთან ვარ ჩემი ფიქრებით.... მზე მიიმალა ღრუბლებში, ჩუმი ვედრებით....



მარინე თოფურია



ემიგრანტი პოეტი ქალბატონი-მარინე არჩილის ასული თოფურია-გახოკიძე წარმოშობით მარტვილიდანაა. ქალაქ წყალტუბოს მკვიდრი გახლავთ. დაამთავრა ქალაქ თბილისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის მარტვილის ფილიალი, ბულალტერ ეკონომისტის კვალიფიკაციით. წერა 14 წლის ასაკიდან დაიწყო. ჰყავს მეუღლე თენგიზ გახოკიძე, შვილები: ზაზა და ნანა. ეს ქალბატონი მარინეს პირველი კრებულია. წარმატება ვუსურვოთ მას.

დედას!

(82 წლის ნათელა იოსელიანს)

მე ვარ ფესვები!
ცაში აწვდილი შენი შტოების,
მარადისობის სამოსელით შემოფარული.
შენი სიცოცხლის გავრძელებაა
რომ ფეთქავს ჩემში,
ეს შენ ჩამბერე სამომავლოდ სული ქართული,
შენ განანდლე,
ჩაამზადე ფესვი ხვალისთვის,
აღმოაცენოს შენი ყოფის განდიადება.
მე ამას შევძლებ! შენი ყოფა ვამარადისო,
ალურაცხელი დღე მოგანიჭოს
განთიადებმა!

შემოეცალა მარტს სიჯიუტე
აპრილის მიჯნას....
...კორიანტელობს ნოემბერი
ჭინკების ხარჯზე
წვიმის თქიშინი, ზამთრის სუსხი,
მე ვერას მიზამს
კვლავ გაზაფხულის მოლოდინი,
იმედით მავსებს.

გზა არ მაშინებს არანაირი
გზები, ირიბიც უნდა ვასწორო,
ულოდნელობის მძაფრი შაირი
სიბრძნის ყალიბში ვანონასწორო.
აფეთქებულან კვლავაც გრძნობები,
დახვეწილობის ფერში გართული
არ ვმარჩიელობ, გამოცნობებით
მწირი არა ვარ, არც სულწასული.
გზა არ მაშინებს არანაირი,
მრავალფერია მართლაც სამყარო,
ზოგჯერ ნაღდია, ზოგჯერ შაირი,
მაინც ვიფერებ, მხიბლავს და ვხარობ.
რაც სიყვარულად დავთესე -ვიმკვი
არ უშინდები ზვირთებს რისხვიანს,
ზედ სიყვარულის გავდევი ხიდი,
გრძნობა არასდროს გამიყიდა..

ადამიანო!

ექებ, ილტვი და მოუსვენრობ,
რალაც არ გკმარა,
ამ ძებნაში კი გეკარგება
წლები და ძალა...
კვლავ არ ისვენებ,
გულს უნდა და
არ მოგდევს ძალი
ადამიანო ო ო
რად ხარ ასე მოუსვენარი?!

ძალა ქართული სულისა!

შევსვით სამშობლოს სადიდებელი
ზედაც შევირგოთ ტკბილი ზედაშე
ეს საქართველო უფლის საუფლო
წრფელად დავლოცოთ ერთად, მე და შენ.

უფლის სახელი ვახსენოთ, დავეხდეთ გავტეხოთ პური,
ქართული რწმენით დავლოცოთ, სამშობლოს სიყვარული.
გულწრფელ გრძნობების დავლიოთ,
თვალეებს რომ გახდის წამულს,
იმ სუფთა გულის დავლიოთ, ვინც შეეწირა მამულს,
ვახსენოთ ვინც შეეწირა, წმინდა ღვთისმშობლის მიწას,
იმ თავგანწირვის დავლიოთ, რაც თავგანწირვად ღირდა.
მიჯნურთა გრძნობა დავლოცოთ, სავსე დავცალოთ ყანნი,
ხოტბა მივუძღვნათ ამაყად. ცაში აფრენილ არწივს,
ლომის ბოკვრების დავლიოთ, სადიდებელი მოძმის,
ვადიდოთ; ვინაც დანერა წიგნი: „ვეფხის და მოყმის“,
ვახსენოთ ვინაც აკვალა: უშბა, თეთნულდი, შხარა,
ვინაც ქართული წიგნები, ქვა-ბანაკებში ჩქმალა,
შეგვინარჩუნა მეობა, რწმენით გაუძლო გმინვას,
ვინც მათიანე შეგვიქმნა, სამშობლოს უკვდავ ჰიმნად!
ის გუთნის დედა დავლოცოთ, ვინც ალალ ლუკმას იწევს,
იმ მჭედელისა დავლიოთ, მარცხენით ოფლს,
რომ იწმენდს,
ნუ დავივიწყებთ დალუპულ, იმ თავქოჩორა ბიჭებს
მტერთაგან წავგრილ მიწებზე უსაფლად რომ გვინევს!
იმ ვაჟკაცების ხსოვნისა, მამულს რომ ედგნენ ფარად

ვინც დაამარცხა სიკვდილი, უკვდავების გზა ჰკვალა,
იმ დიდოსტატებს მიუძღვნათ, სადიდებელი მარად,
ვინაც ააგო ქართული ციხე კოშკები მყარად,
ვინც გამოჰკვეთა ვარძია, ხელში გონიო ეპყრა
იმ ბერ-პაპათა დავლიოთ, ვინც საუბრობდა ღმერთთან!
აკვნის გამთლელთა მარჯვენის, დამალოცინეთ, მადლი
გაძლიერებულ ერის გზა, ქართულ აკვანზე გადის!
შევსვათ ქართველი დედისა,
ფრთხილად შეუშროთ ცრემლი
გადამთიელი ხო... მაგრამ, შინაურიც რომ გვებრძვის,
„ჰკაფე და ლენეს“ ყიჟინით, ვაფეთიანოთ მტერი
არვის ვეგონოთ ჯაბანნი, ძალა ვაჩვენოთ ჩვენი!
დავაგუგუნოთ სიმღერა, გალაღებული ხმებით.
ცად, სავსე მთვარე დავლოცოთ,
ზედაც ვარსკვლავთა ხლებით,
ბრიალა მზიდან ავკრიფოთ; სითბო, სინათლე, ძმებო,
ერთმანეთს მიუწილადოთ, ...გული სიკეთით ვკვებოთ!
ქარგულ ქართულით მოვექარგოთ,
სადღეგრძელოთა მადლი
რადგან უფალი ყველგან მუდამ „ამინით“ დადის!
ყურძნის ნაჟურის ძალა ხომ, თვით სიყვარულზე გადის!
დამალოცინეთ ყოველი, ქართულ მიწიდან ცამდის.
დავლოცოთ: ჩანჩქერ-წყაროთა, აღუნერელი ხიბლი,
მთა-ჭიუხებში ორწოხნი და ზედაც ბენვის ხიდნი,
ჩემი სამშობლო დავლოცოთ, ერი, ამაყი ზნისა!
დავლოცოთ მადლი მიწისა, მშვენება ქართული ცისა!
ქართული ვაზი დავლოცოთ მუხლმოყრით ნასათუთევი
ქართული ძმობა გატანა, მირონის ძალა ურყევი!
ყველა მოკვდავი დავლოცოთ, ვინც, სიყვარულად მოვა,

თვე თორმეტივე დავლოცოთ, ორომტრიალი დროთა,
დავლოცოთ ოდა, ნალია, ფაცხა, სასახლე, ხატა,
მხატვრის თვალი და გონება. ვინც სილამაზე ჰქარგა
ეს მთა და ბარი დავლოცოთ, რომ აარწივებს ქართველს!
ბოკვრებს, ლომებად რომ აქცევს,
გულიდან ამბობს სათქმელს!
ვადიდოთ ფშავ ხევსურეთი, ერის მგოსნები ყოვლნი,
სვანეთის ცად შეკიდულნი, ზვავებთა გამძლე კოშკნი,
დავლოცოთ სამცხე ძირ-ძველი, ნაფეხურები შოთას
დღესაც, რომ რუსთველისეულ სიყვარულითა შფოთავენ!
საჭავახო და გურია, ენამახვილთა კუთხე,
რაჭა, ლეჩხუმი, სვანეთის, მშვენიებას ველარ უძლებ,
ლაზეთი, კოლხის ასული გაუტეხელი ლაზი,
ძირძველ ადათთა ღირსება, დღესაც უცვლელად აზის!
დავლოცოთ კუთხე მეგრელთა,
დავლოცოთ პორტი ფოთის,
ფეხბურთის „პირველ მერცხალთა“ გზა ხომ აქედან მოდის!
დავლოცოთ ქართლი, კახეთი, უერთგულესი გულით,
ვადიდოთ მუხრანნიანთი „ქეთევან ნამებული“,
სამაჩაბლოში დაღვრილი სისხლი, ისევ გვთხოვს შველას
აფხაზ და ქართველ დედებსაც გამთლიანების გვჯერა!
ვაი, შვილებო... სიკვდილი ყველას ხვედრია ვიცით,
მაგრამ ყველაზე ძნელია- ძმებში დაღვრილი სისხლი!
შენდობა უთხრათ მათ სულებს - მოხარბეობამ მტრისამ
აბობოქრა და გაჰყარნა ძმანი თვისად და თვისად,
„რაც ნებით არ დაგვიკარგავს,
დაკარგულად ვერ ჩავთვლით“
მნამს ისევ ამომთელდება, ბარი ძმობათა მაღლით!
დავლოცოთ თავისუფლება, მშვიდობის გზათა გეზით,

ძმანო შეჩერდით! გეყოფათ!
ერთმანეთს ნულარ ებრძვით!...
უფლის სახელი ვახსენოთ. ძმურად გავტეხოთ პური
ამერისა და იმერის დავლოცოთ სიყვარული!
ჩემი მამულის დიდების. ბარემ შემისვით ერთიც
მე ქართველად რომ მაკურთხა, მადიდებინეთ ღმერთი!.

რაც ყველა მოკვდავს ამშვენებს

სიყვარულს შევჭიდებივარ,
ზოგჯერ ტკივილიც მერევა,
მაინც ოცნებებს ვეხლები
იმედი კვალავ არ მელევა
ტრფიალის გიჟად ქცეული
ვარდის კოკორში ჩავძვრები
და ამბორ მონყურებულებს
ბაგეზე ზედ დავადნები.
ოცნებით კოშკი ავაგე,
საძირკვლად გრძნობა ჩავკირე,
და სიყვარულის კედელი
გულებით მოვრთე, ვაწყვილე.
გზნებას შემომგვრის ფიქრები,
ფერების ჟინით ნახელებს,
სიყვარულს ჩავჭიდებივარ ,
რაც ყველა მოკვდავს ამშვენებს.

დაუწერებლობა

ოი!... რამდენჯერ დამიმიზნეს
გულში მახვილი
ოი!.. რამდენჯერ, სულის სარკვეს
ეცნენ სამსხვრევად
გამჭვირვალე მაქვს გული, ამად
შესცდნენ სამიზნეს
სულმაც, სინრფელე შეირჩინა
გადასარჩენად
მრავალჯერ სცადეს გული ორად
გაეპოთ ჩემთვის
მაგრამ, ჩემს წრფელ გულს
ორგულობა არა სჭირდება.
ვინვი ერთია, მაგრამ მე გული
გულად შემრჩება!
სხვათა გულივით
არასოდეს დანახშირდება!

სისხამ დილაზე ველურ ყაყაჩოს
ცრემლი წასკდება
სულ სათითაოდ ჩამოყრის ფოთლებს
და გათავდება.
გულში შავ წერტილს თავს შეუხვევს დაასამანებს,
უთქმელ სიყვარულს შეფუთავს და დაასამარებს.....
..ახალ გაზაფხულს გასაშლელად დაელოდება,
გრძნობა თავიდან გაუახლოდება და გაოცდება.

ეს ცხოვრებაა

ლიანივით მახვევია
სიყვარულის რიდე
სურვილები ჩანკეპილან,
ვით იარალის მჭიდვე.
მე ცხოვრების წკიპურტები,
კვლავაც შურიტ მზვერავს
მაგრამ, სადღაც გულის ნდომას
ბედი დროში წელავს.
სურვილი გაქვს აიწყვიტო,
მაგრამ რალაც გაბამს
ხან გაამებს, ხოლო ხშირად
ებორკები ხაფანგს
არა!!!

მინც ვეტმასნები ყოფის ყველა დეტალს,
წუთისოფლის მარწუხებთან
შეჭიდებას ვბედავ.
შეხსნილია,
ურჩი გულის ნდომის ყველა კარი,
დღეის ყოფა მატრფიალებს
ბრძენიც ...შლეგიც... ჩქარიც!
თუმც კი, ზოგჯერ ჩამომარჩენს
ვერ აუბი მხარი
რადგან ყველას გვაკისრია
თითო მძიმე ჯვარი.
თუმც მოკვდავთა საწერტელი
ვერც მე ავირიდე
მინც შემოტმასნილი მაქვს
ოცნებების რიდე,

სურვილები ჩანკეპილან,
ვით იარალის მჭიდვე
ვერ იქნა და გულის ნდომას
ველარ გავერიდე
ნეტარია ეგ ცხოვრება,
თანაც ბობოქარი.
ზოგჯერ სრბოლას ჩამოვრჩი და
ვერ ავუბი მხარი,
რადგან ...
ყველას გვაკისრია
თითო მძიმე ჯვარი.
მინც მხიბლავს ეს ცხოვრება
ბრძენიც, შლეგიც ჩქარიც!

შენს დანახვაზე

მყისიერ რაღაც შეროკდება გულის არემო
გამალეებული სისხლის ჩქერი გულს
მიასკდება.
შენი სილაღე, უმნიკვლობის დალით
ნაგეში
როდის იქნება? ჩემს ნდომას რომ
შემოადნება.
ან რად ტოკდება ასე ურჩად, გული
წყეული,
ან რა ათროლოებს? ამ ჩემს სხეულს
ასე ძალიან.
არადა ჯერაც, არ უგემნია შენი სხეული
გამალეებული რაზედ ტოკავს ,
რისი ბრაღია?!

ერთი დრო არვის შერჩების

დრო არ შეგვრჩების ეგეცა
კარგ თქვა, ქმნა ეგეც ვალია.
ყველას მოჰკითხავს უფალი
ვინ, სად, გზა როგორ გალია.
ნუთისოფელი მიგორავს,
დრო მაინც დაედინება
საქმე და სიტყვა ყოვნდება
დროს შერჩენია დიდებად!
ამ სოფლის ავან-ჩავანი
საქმეს უკვალავს დღემდღო,
„კეთილსა ზედა იღვანე“
ვიდრე გაცოცხლებს ღმერთიო!
კეთილ ნაქნართა, ბოროტთან
ჯერ არ გაუდევს ხიდია
ორთავ ქვეყანას ზედაცა
სხვადასხვა გზითა მიდიან!
ბჭობად დაესხდეთ და გამოეხსნათ
თავი ვერ ამირიდია,
სახელ-დიდების მქონენი
უდიდგვაროდაც დიდია!
შვილი თუ გმირად მოჰკვდება
დედამ იშალოს თმანია,
თუნდ უსახელოდ მკვდარიცა
დედისთვის საგლოვარია!
და თუ დრო აღარ შეგვრჩების,
საქმემან დრონი გათელოს,
კარგისა გიჯობს უცილოდ
თქმაცა და ქმნაცა ქართველო!

ღამეა !...

კარგა ხანია გასცდა შუალამეს, მთვარე შეიმალა სადღაც, გაცურდა არ ვიცი სად, ვფიქრობ გაერიდა ჩემს მწუხარებას და აჰა მწუხრისფერმა მდუმარებამ შეალიონებული დღეც ჩამოაღამა!

დღე გამოხრა. დღე შესჭამა. დღეც გადაკარგა გულთა ნდომის მიღმა და ისევ ღამე შემოიჭრა ღამისეულად! ღამე თავისთავად ღამეა! დღეც ბნელი! ისევ ღამე დადგა და ვაი უსასობავე, უსამშობლობავე! განწყობილი მიცვალებულივითა ვდევარ თვალდახუჭული საწოლზე, სირცხვილის გრძნობით აფორაჩებული, რამეთუ აქ სიკვდილის მრცხვენია, კი არ მეშინია, აქ სიკვდილის უფლება არ მაქვს. ოჯახისა და სამშობლოს ღალატს ნიშნავს ჩემთვის.... ჩემი საქართველოს სანუკველ მიწაზე კი, ოი! რა სიამოვნებით დაგხუჭავდი უკანასკნელად თვალებს და ნეტარებით ჩავიკეცებოდი უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად. ჩემი თავსასთუმლის გარდა სხვაგან არ მინდა ქართული სული აღმომხდეს... უთავსასთუმლოდ არ ვარ, სასთუმალი აქაც მაქვს, მაგრამ მე მას ქვად აღვიქვამ, იმიტომ, რომ სწორედ ეს სასთუმალია, რომ არ მასვენებს, არა ჩემეული და არა ჩემი სახლისეული! მაინც არ მინდა ქართული ცრემლი აქ დავღვარო, არ მინდა აქ დამიგორდეს თვალთავან... და არცა ვტირი არასდროს, უბრალოდ ეს არის, რომ გულით ვქვითინებ, უცრემლო, მშრალად, გამშრალი და ნუ იზამ უფალო, შემდგომ თაობას ენატრებოდეს მამული, წინაპართ საძვალე და ქართული მიწა. დაუძლეველი ყოვლად თავშეუკავები სურვილი ჩამეჭიდა ქართულ მიწაზე დამხობისა და გულთან პანა ტოპრაკით დაკიდულ ქართულ მიწას ორთავ ხელეებით ვესათუთები. და ისევ ღამეა იდუმალ მოთქმით დამძიმებული და ნათლის მომლოდინე.

მამას არ უყვარდა ცეცხლსასროლი იარაღი,
მამამ თოფი თვალდახუჭულმა გაისროლა.
სამი ასულის მერე... დაიბადა გია არჩილის - ძე.

სოფელში თოფი გავარდებოდა
ვაჟიანობის იყო დასტური.
მერე საკლავი აბლავლდებოდა ,
გაიშლებოდა სუფრა ზღაპრული,
და საამაყო იყო ძეობა,
გულს ალალებდა სიტყვა ქართული,
სადღეგრძელოთა რიგში მზეობდა
ადათ-წესები მამა-პაპური.

ემიგრანტი ქალის გოდება

მე გაიოზის დედა ვარ ისევ,
გაიანე ვარ კევრში გაბმული
განსხვავებაა- მხოლოდ ეგ ერთი
„გასწი'ო' მომწვდეს -სიტყვა ქართული.
ჩემით გავები უღელში მარტო,
ტაბაკებს თოკი შემოვუჭირე,
ვერვინ გამომხსნის -გავთავისუფლდე
მანამდე ვიდრე ჩემს ერს უჭირდეს!
ამორძალივით შევჭიდებულვარ,
ამ წუთისოფელს უნდოს და უძღებს,
დღეს სხვის ტაიჭზე ამხედრებული
ყოველ გასაჭირს უსიტყვოდ ვუძღებ!

ჩანასახი მოდება

დედა!!! ფეხის ცერიდან - კვინიხამდე ასული, სასიამოვნო ჟრუნტელით შემოვიჭერი შენს არსებაში და ვიდრე ვნების თრობიდან გამოგარკვევდა მკაცრი სინამდვილე, უკვე შენს შინაგანს ვიყავ მიკრული და შენეპებული. პირველი კვირა სიცოცხლის ნიშანწყალს არ ვიტყობდი, რათა არ მინდოდა გაგეძევიბინე თბილ სანეტარო სამყოფელიდან, პირველი კვირის შემდეგ უკვე ყოველივეს ვგრძნობდი და ნელინელ ვიწყე შევსება შენი სასიცოცხლო ენერჯის ხარჯზე.

თვრამეტ კვირაში უკვე მოძრაობაც შემეძლო, სასიამოვნო შეგრძნებას გიტოვებდი სულში და სხეულში და ნებიერად ჭიპს მინდობილი ვსაზრდობობდი იმ ყოველივე საუკეთესოთი რაც შენ გაგაჩნდა დედა, მაგრამ შეგრძნება შიშისა არ მასვენებდა ასე მალულად და ქურდულად შემოჭრილს შენს არსებაში და ყოველნაირად შენზე დანდობილს თუ მიგუებდი სულ რაღაც ოცდათექვსმეტი კვირა, ვიდრე მზის სხივის პირვალ აღქმამდე.

კიდევაც გამართლდა ჩემი შიში.

შენი ნებით, რაღაც ორკაპა რკინის ურჩხულმა, შემოყო წვერი შენი სხეულის ჩემს სამყოფელში და ნებიერად განაბულს დაუნდობელი სისასტიკით მეცა დასანაკუნებლად. ამაოდ ვაწყდებოდი კედლებს, ყველა კუთხეში მპოულობდა მასისხლიანება, მასახიჩრებდა.

შენ კი ეს ჩემი იძულებითი გადაადგილება უსაშველო ტკივილს გაყენებდა, და ეს უსაშველო ტკივილი, კივილად გაკრთებოდა, სწორედ იმ დროს, როცა ეს ორკაპა ურჩხული მანაკუნებდა და მერე ეს კივილი ამაოდ იკარგებოდა ისევე, როგორც ყოველივე ჩემი ცდა, თავის გადასარჩენად.

ამაოდ იკარგებოდა ჩემი უხმო გოდება და აუნერელი ტკივილი გარეთ ვერ გამოლწეული სიცოცხლისა დაკარგვის გოდებით...

და შენის ნებით გაქრა და ჩაქრა ჩემი არსებობა, შენ არ ისურვე ის, რასაც, ერის გამრავლება ჰქვია, მამულიშვილობა ჰქვია და შენი ბედნიერი დედობა ჰქვია.

და ყველაზე მთავარს ახლა გეტყვი გაქრა არსებობა იმისა, რომელსაც შენი სიკვდილის შემდეგ არა სიკვდილი არამედ სანეტარო გარდა-ცვალება ჰქვია.

მე გედავები!. მე გაფრთხილებ და მე შეგაგონებ!

მე გედავები - რატომ უნდა შევეწირო მხოლოდ ხორციელ ვნებებს, სად არის ადგილი ფაქიზი სულისათვის?

მე გაფრთხილებ!

ნუ დამარხავ ბედნიერ დედობას !

და მე შეგაგონებ...

განა ყველაზე სანუკველი, ყველაზე ამაღლებული და ყველაზე ძვირფასი რაც არსებობს, მამა უფალის ძალითა და მადლით დ ე დ ო ბ ა არ არის ქვეყნიერებაზედ?!

დ ე დ ა - მინა - საყრდენი ჩვენის ყოფადობისა.

დ ე დ ა - ბოძი - საყრდენი ჩვენის სახლისა.

გუთნის - დ ე დ ა - დვრიტა ჩვენის სარჩოს მოპოვებისა.

და თვით ყველაზე სანუკველი საამაყო და ამაღლებული ქალური მისია ამა სოფლისა დ ე დ ო ბ ა ა!

.....და დ ე დ ა უნდა გერქვას შენ ქალო ჭეშმარიტო!

და ისმინე მუდარა ნაყოფისა მუცლისა შენისა:

ნუ იყოფინ მოკვდინებად ჩემდა, რამეთუ არ არსებობს აღმატებული ცოდვა ამიერ!

მოდო

მოდო, ვესესხოთ გარდასულ წლებს
ყრმობის სილაღე....
ამოვეფაროთ მოვარის შუქზე მუხას
ტანიანს
მოვიაღერსოთ ერთმანეთი ვინძლო
დილაძდე.....
შეხება შენი მენატრება ისე ძალიან....
არც დღე შემაკრთობს, მოდი ოლონდ,
მოდო გაბედე,
იქნებ მოვპაროთ დროს გარდასულს
სიტკბოს მარცვალი,
ოლონდაც მოდი, გაბზარულ გულს
ამოგიმთელებ,
ისე მიგიღებ, არაფერს გკითხავ
- იყოს რაც არი.
მოდო ეს გული გელოდება
ლოდინს ჩვეული,
გადააგორე დარდი, ვიცი ვისაც
დასტირი
მოდო, გაახლო ტკბობა ნამდვილ
გრძნობისეული,
ვნებათა ზვირთში გაპოვნინო
მშვიდი ნაპირი.

განა ახალ წელს? ყოველ ცისმარე
შენთვის ვლოცულობ სამშობლოვ ჩემო
ყოველ მიმწუხრზე, სანთელს გიალებ
წრფელად მიყვარხარ -კი არა ვჩემობ!
განა ახალ წელს? ყოველ-ჟამ ყველგან
შენთვის, შენეულ ფიქრით ვირთვები
ერის შვილებით! კულტურით! რწმენით!
აღზევდები და გამობრწყინდები!!!!

რა ბედნიერი ვყოფილვარ შენთან
ჩემო ქალაქო,
დღეს მონატრებამ სიხარული
შემომახია,
სამშობლოს იქით, ქართველობას
შენით ვამაყობ.....
ხოლო ტკივილებს სულმა ძაძა
შემოახვია.
ცხოვრების ეკლებს, სიხარული
შემოეფლითა,
მზე, სად ამოდის უძნელესი
დასანახია,
რა ბედნიერი ვყოფილვარ შენთან,
ჩემო ქალაქო,
უშენოდ ჩემს სულს, უმკაცრესი
ძაძა აცვია.....

ოო...! რა ცოტა მსურს არსებობისთვის
დიდო უფალო!
სიკეთის ძალა მოავლინე
უზღვავად ჩემში,
რომ ეს სიკეთე მარცვალ- მარცვალ
ყველას უსაგზლო
და სიყვარულად დამიბრუნონ
სიკეთის თესლი!...
...მაგრამ ვიცი, რომ
დიდო უფალო, ეგრე როდია,
რაც გინდ მიუძღვნა ადამი-ანი
უმადურია
ქვეყნად, რომ მოხველ სიკეთის ქმნა
მუდამ სჯობიან!
სიკეთის მქმნელთა, ორთავ ქვეყნის გზა
მართებულია.

საახალწლო სუფრასთან

დედის ხელით შემზადილი
სუფრის ეში,
ლორის თავი, მოხარშული თახჩით ბედაც,
ინდაური - შიგ საცივში ჩაფუყული,
პანა ნაჭერს ვენვალები მისაგნებად.
დედა კვლავაც კერიასთან მოფუსფუსე,
კეცზე მწვადი აშიშხინდა,
მჭადთან მიჯრით,
წინსაფარზე ხელებს იწმენდს ტკბილი

დედა,
უი, ეს დამვიწყნიაო, მოდი მიდის!!!
და ადესის სისხლისფერი ნაცრემლარი
ფიალაში ჩაღვრილი და, სიტყვის რიხი!
სადღეგრძელო! ერთგულებით
წარმოთქმული
სიყვარულის ჰოროლოს ისვრის
გულში მიჯრით!
სუფრის თავში, ტკბილ ქართული ხმა მამისა,
უფლის ხატთან უტყვ-მეტყველი სანთელია,
კერიაზე ნაკვერჩხლებს ყრის ცეცხლის ალი
უტყუარი ძლიერება ქართველისა!

ქრისტეშობა

სარკმელთან წმინდა ცრემლი სცვივა
მდუმარე სანთელს...
ერთსულოვნება გააღვივოს დღეს
ქართველ ერში...
ჩემო ქვეყანავ...! გვჩაგრავენ და
რით უძლებთ ამდენს
შინაური თუ გადამთიელი
ყველა ჩვენ გვებრძვის.....
დ ე დ ა ო ლ ვ თ ი ს ა ვ.....!



ნიკო მარი

(ნიკო იმედაძე)

მოგესალმებით ბატონო ნიკო, ვიცი, რომ ქუთაისში დაიბადეთ და გაიზარდეთ... რა არის თქვენთვის ქუთაისის სიყვარული, მითუმეტეს მაშინ, როცა ასე შორს ხართ საქართველოდან?

- „ქუთაისში ხშირად ვარ, მაგრამ მურმან ლებანიძის სიტყვებით ვიტყვი: „შენთან ვარ, მაგრამ მაინც დაგეძებ, როგორც დაეძებს საჭმელს მშიერი.. „ჩემი პირველი „აკუშერი“ - ბებიაქალი თავად ქალაქი იყო. დედამ სასწრაფოს მანქანაში, გაბაშვილის

პარკთან იმშობიარა, ასე რომ პირდაპირი მნიშვნელობით ჩემი „დედა“ - ქალაქია“

- ასეთი რამ მხოლოდ კინოში მინახავს... მე არ ვიცნობ ქუთაისის უბნებს კარგად, მაგრამ, როცა თქვენს ნაწერებში სხვადასხვა ფსევდონიმებს ვაწყდები, მაშინ უფრო ვრწმუნდები, როგორ გიყვართ თქვენი ქალაქი.... რა არის ის წარუშლელი, რაც წამოიღეთ მოსკოვში ქუთაისიდან?

- მოსკოვში, დავით გარეჯელივით მისტიური ბაგრატის ვალაენის ჩამონატეხი პანია ქვა მაქვს, რომელიც ხატებთან მიდევს.

- „მე დავრჩი მარად იქ, იმ ქალაქში სადაც არასდროს არ მომწყინდება, სადაც იწყება და არ მთავრდება სულ - ელი გულის გამობრწყინებას, სადაც ანგელოზს ეძახის დედას და მამის ხელი ღმერთის გგონია, და შენი ცრემლის ჩამოვარდნაზე ოთხი მფარველი ერთად მორბიან, სადაც ზღაპარი ცხადია თითქმის და ცხადი სიზმარს გამოქცევია, სადაც ფერები ათასებს ითვლის და ეს ათასიც შენი ფერია. მე დავრჩი მარად, იქ იმ ასაკში, სადაც გულს დიდი ღმერთი იტევდა და როგორც მთვარე ღრუბლის ჰამაკში „ბატონებისას“ ღამეს მითევდა, მე დავრჩი იქეთ, მწვანე ჭალაში, ჩემი სამოთხე გულით თან დამაქვს და ვუცდი ისე როგორც ზღაპარში, ჩემი ბავშვობის უწმინდეს ქალაქს!“

-შესანიშნავი ლექსია, ისიც ვიცი, ჩიტმა მომიტანა ამბავი, რომ ძალიან მუსიკალურ ოჯახში გაიზარდეთ, თქვენი მშობლების სიმღერებზე და მუსიკალურობაზე, ლეგენდები დადიოდა თურმე ქალაქში... რას მომიყვებით ოჯახურ ტრადიციებზე და მშობლებზე?

- „მშობლები, ბებია - ბაბუა ყველა მუსიკალურები იყვნენ, ჩემი შუათანა და კომპოზიტორია მანანა იმედაძე, მას თბი-

ლისში საკმაოდ პოპულარი საბავშვო სტუდია აქვს 51 ე საჯარო სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბებული. უფროსი და კი ექიმი, რომელიც პერმში მოღვაწეობს, საკუთარი პედიატრიული კლინიკა აქვს, შესანიშნავად მღერის და ისეთ მომღერლებთან აქვს შინაურულ წრეში ნამღერი როგორიცაა: ნანი ბრეგვაძე, ნინო ქათამაძე... ასე რომ ამ გარემოში მომიწია აღზრდა ნაბოლარას.

- ალბათ ამიტომაც მღერიხართ კარგად... თავად რომელ მუსიკას უსმენთ და რა არის თქვენთვის მუსიკა?

- „მე ნებისმიერ კარგ მუსიკას ვუსმენ, კლასიკიდან დაწყებული „ჯაზ-ბლუზ-ფოლკით და ქალაქურით დამთავრებული, ხარისხიანი რეპიც მიყვარს, შანსონი“.

-რა არის თქვენთვის ქართული ტრადიციები და სამშობლოს სიყვარული?

- „სამშობლო ჩემთვის ღვთის შესაცნობელი მოცემულობაა, რომელმაც მარადიულის სიყვარული მასწავლა. ყველაფერი მისი წიაღიდან წამოსული უსაზღვროდ მიყვარს, ის ცოდვა– „სირცხვილებიც“ კი, რომელიც ჩვენი სინდისის და სულის სანართობად მოგვევლინა“.

-რა საოცარი პასუხია - „მიყვარს, ის ცოდვა - „სირცხვილებიც“ კი, რომელიც ჩვენი სინდისის და სულის სანართობად მოგვევლინა.“ თქვენი სოციალური გვერდიდან საოცარი სიტბო და სიყვარული იღვრება, (არც არის გასაკვირი, იმიტომ რომ ზოდიაქოთი ვერძი ყოფილხართ, როგორც მე) არაჩვეულებრივი ლექსები გაქვთ, ახლა მგონი ახალი კრებულისათვის ემზადებით... გაგვიმხილეთ საიდუმლო მუზის?

„დიდი მადლობა ქ-ნო ინგა კომპლიმენტისთვის, ყურადღებისთვის და ზოგადად იმ ქართული საქმისთვის, რომელსაც ასე რუდუნებით აკეთებთ. საკუთარ კრებულს, რაც შეეხება, ჯერ

იდვის, ჩანასახის ეტაპზეა. ორი მინინოველა კი საერთო კრებულში შევა, რომელიც ამ წლის ბოლომდე უნდა გამოიცეს ქუთაისში!“

-სიხარული და სიყვარული მინდა გისურვოთ.
მომავალ შეხვედრამდე საქართველოში.

ინგა გოგიბერიძე
ნიკო იმღეაძე ბათუმი.
მოსკოვი.
2015 წელი. 24 ივლისი

P.S. რას ვიფიქრებდი, რომ ეს საოცარი ნაწერები, რომელსაც ახლა წარმოგიდგენთ მკითხველო, ჩვენს კრებულშიც მოხვდებოდა.

ჰილი

სკოლის უკან, სადაც „კაჩიგარია“ იდგა და ათასი სამეურნო ნარჩენები ეყარა, მრავალტონიანი ცისტერნის მრგვალი, ჰერმეტიული ლუქი, დირექტორდაცაცხანებულ - დარეტიანებულ დამწყებ ტოქსიკომანებს ხშირად ღია რჩებოდათ და თავპირისმტვრევით გარბოდნენ კიკვიძე - სხირტლაძის ქუჩის ჩიხეკუნჭულ-ლაბირინთების მიმართულებით.

მეოთხე-მეხუთე კლასში იქნებოდა ვილი, როცა ლუქახდილი ცისტერნიდან უცნაური ჭყივილი მოესმა, ბაკზე აბობლდა, ჩაიხედა და დახრილად გდების გამო, ფსკერის ერთ მხარეს მოგროვილ ცისარტყელისფერება სითხეში ჩავარდნილი ბელურა დაინახა, რომელიც მაზუთის მაგვარი, ბლანტი სითხისგან ფრთებდამძიმებული სიკვდილს ებრძოდა... ვილი არც დაფიქ-

რებულა, ახალი კურტკა და შარვალი გაიხადა, ბაკში ჩახტა, ჩიტს დასვრილი ფრთები გაუნმინდა, ამოსვლა დააპირა, მაგრამ თავსახურის ყელი, სადაც მოსაჭიდათ რკინის საფეხური მიედუღებინათ, აშკარად შორს იყო მისგან. რამდენჯერმე ახტომა სცადა, მაგრამ ცალხელში რუდუნებით ჩაბლუჯული ბედურა არ აძლევდა საშუალებას, ხელს უშლიდა მთელი ძალისხმევით ახტომის. ჩიტს მოეფერა, ნისკარტზე აკოცა, მუხლები ზამბარასავით დაძაგრა, ახტა და მთელი ძალით ასტყორცნა ლუქის მიმართულებით, ბელურამ ჰაერში წრე გააკეთა და გაქრა. ვილიმ ღიმილით გააყოლა თვალი, შემდეგ მიიხედ - მოიხედა, სვეტად ჩამომავალი სინათლის ფონზე, წყალქვეშა ნავად ქცეული ლითონის ფსკერი, ონავარი ბავშვების მიერ ჩაყრილი კენჭებით და საღებავის თუნუქის ქილებით იყო მოფენილი, რომელიც ამ წუთას ვერაფერში გამოადგებოდა, არადა უკვე აცეტონის თუ რალაც მსგავსი ქიმიური სუნი თვალებს და ცხვირს უწვავდა. დაიყვირა, არაფინ გამოეპასუხა, შემდეგ მოზრდილი კენჭი მოძებნა და ლითონის კედელზე მძლავრად დაუწყო კაკუნი, თან პერიოდულად მშველელს უხმობდა. ბაკის ყელიდან ჩამომავალი სინათლის სვეტი თანდათან ბაცდებოდა, ვილიმ საღებავის ქილები ერთმანეთზე შემოაწყო, ზედ შედგა, მაგრამ დაუცურდა, ბაკი შეტორტმანდა და ცისტერნის ახდილი, ცერზემდგომი სარქველი ავად დაიძაგრა. მეორე ცდაზე მყარად დადგა ქილებზე, მუხლები დაძაბა და თავგანწირული გაფრინდა მაცოცხლებელი ღიობის მიმართულებით, თითებით მიდუღებული რკინის საფეხურს წაეპოტინა, თითქმის მიწვდა კიდევ, თითქოს ჩაისუნთქა თავისუფლების ჟანგბადი, რომ მთელი ძალით დაენარცხა ლითონის ფსკერს, ბაკი დაცემისგან შეზანზარდა, სარქველმა დაიხრიალა და საცობივით დაეცო ცისტერნას.

მთელი ღამე ეძებდა ოჯახი და უბანი ვილის, ზოგი „პრობკის“ ტყეში, ზოგი მისი საყვარელი ყვავილების ბაღში და სამტრედიეებში, მაგრამ ამაოდ. გამთენიისას სკოლის „კაჩიგარმა“ შეამჩნია ცისტერნასთან დაყრილი ბავშვის ტანსაცმელი და ბელურა, რომელიც ყურისწამლებად წიოდა.

უსულოდ ამოიყვანეს ვილი. ვილაცამ სუნთქავსო, ვილაცამ ხელოვნური მასაჟები დაუწყო, ამასობაში სასწრაფო მოვიდა, წაიყვანეს, უმკურნალეს, გადარჩა, მაგრამ ინტოქსიკაციამ საბოლოო ფსიქიური დადი დაასვა ვილის ჯანმრთელობას. არ ვიცი პარათესიქოლოგია რამდენად რეალური მეცნიერებაა და რამდენად ზემოქმედებს სული ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე, მაგრამ ფაქტია ბელურა მფარველი ანგელოზივით დაჰყვებოდა საავადმყოფოებსა და ფსიქიატრიულ კლინიკებში მის გადამრჩენს, რომლის უბეშიც ჰპოვა სამუდამო ბინა. როცა ექიმებმა იმედი გადაწურეს, ვილი და ვილეღურა (ასე შერქვა უბანმა ჩიტს) ერთად დაუბრუნდნენ საკუთარ ბუდეს. ხშირად ნახავდით „აღამის ენაზე“ მოსაუბრე ვილის თავის ანგელოზთან ქუჩაში, ხეივანში, ყვავილების ბაღში. გადიოდა წლები, ვილი ბავშვად რჩებოდა, მაგრამ მის უბეებზე ნაადრევად ჩიტის ნაფეხურებმა გაიარა, გამოითეთქვა და ხშირად ავადმყოფობდა. საკვირველი ის იყო, რომ ბელურები 4-5 წელზე მეტს ვერ ცოცხლობენ, ის კი არა ბევრი პირველივე ზამთარს იღუპება, ვილეღურა კი ბარე შვიდი წელი ცხოვრობდა ვილის უბეში.

ვნების კვირის ოთხშაბათს მიაბარა ვილიმ სული უფალს, ვნების შაბათს დავკრძალეთ გოჭოურის საძვალეში, ოთხი დღე სასახლეს არ მოშორებია ჩიტი, ოთხი დღე უთევდა ღამეს, ოთხი დღე ეფერებოდა ნისკარტით, დაგმარხეთ. ყველა წამოვედით, ვილის გამწარებელი დედაც. ვილეღურა კი სახელ-

დახელოდ ჩასობილ ხის ჯვარზე, ცივ წვიმაში მობუზული, ელოდებოდა ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!

P.S. ცისკარზე, ეკლესიიდან სახლში მიმავალმა მრევლმა დაინახა, თუ როგორ აფრინდა ახალმინამიყრილი საფლავიდან ორი ბელურა და როგორ შეერია რძისფერი ცას!

თირე

სასაფლაოების არაცნობიერი სიჩუმე, არაყურისმიერი, უნდა დაინახო, რადგან არაცნობიერს ენა არა აქვს, სახვით მეტყველებს, ვერც თვალით აღიქვამ, მხოლოდ გულით გრძნობ. გულისყურია სისხლის გენურ ინფორმაციას რომ კითხულობს და აბსოლიტურ სიჩუმეში მიწისქვეშა ჩანჩქერებივით გააქვს გუგუნი. ეპიტაფიებს, ამ სიკვდილის კაფიებს, ერთნაირი წარწერით, ციფრებს შორის ტირეს, როგორც გრამატიკულ ყალიბს არც კი ვაძლევთ მნიშვნელობას, არადა სწორედ „ტირეა“ - ცხოვრება და არა თარიღები. ტირეშია დაშიფრული როგორ იცხოვრა კაცმა, მე ვისწავლე ტირეების წაკითხვა, ტირეები ტირიან თარიღების ციხეში და როგორც ყველა პატიმარს „თვალეები სველ ადგილზე“ აქვთ. აი აგერ თემურის საფლავი, ტირეს ხელისგული დავადე:

- არ წახვიდე თემო დღეს, ხვალ ადრე წადი, აჯობებს, ნასვამი ხარ.

- არ იდარდო დე, არა ვარ მთვრალი. ასე დავდივარ სულ.

- ღმერთმა დაგლოცოს შვილო... მერე გზა, მუხრუჭის კივილი, სიბნელე და თარიღი.....

ეს კი შუქრის საფლავია:

- როგორა ხარ მამი?

- კარგად შვილო, როდის გიმთავრდება გამოცდები, როდის ჩამოხვალ? სულ გალენინგრაფელდი.
- ერთ თვეში ალბათ მა.
- რა ხმაური ისმის ტელეფონში შვილო, სტუმრები გყავს?
- ჰო მა, თანაკურსელები.
- კარგი აბა, ჭკვიანად, ხვალ ფულს გიგზავნი და აიღე.
- მადლობა მამი... მერე სიმაღლე, მერვე სართული, დაბალ-მოაჯირიანი აივანი, ვილაც მახინჯი, ხელის კვრა, ჰაერის ხშირი ნაკადი და ციფრები.....
- გამარჯობა ფილო! აქ კი „ტირე“ ჩემი ცხოვრების ნაწილი იყო, ამიტომ არ მჭირდება ჯადოქრობა და „შტრის -კოდები“.
- რას დადიხარ და და მკითხაობ ნიკუშია, მთლად გამობენტერ-დი ამ სიბერეში?
- კაი ბატონო, გევიარ.
- მეიცა ბიჭო.
- რა გინდა?
- რა მინდა და შოკას გადაეცი, ბაბუაშენს მელანი და ფურცლები გამეღია და გამოატანოს ვინმეს, ან თვითონ წამეილოს, მაინც ტყულაა მაქეთ, თუ არა მეიწყინა ბაბუაშენმა წამეტანი თქვა, განცხადების ლომკა აქ, მამალი! არ იცი ბოლო საჩივარი ვის სახელზე დანერა?
- არა!
- მიქელ - გაბრიელს უჩივლა ღმერთთან, თანხმობის გარეშე წამომიყვანა დროზე ადრეო.
- მერე?
- მერე კანცელარიიდან მოუვიდა სამედიცინო რეზიუმე, რაფერ ეპატია ორიინფარქტი, ინსულტი, ომარის თავში ჩარტყმული ტაბურეტი, შოკას ყურში ჩაყრილი მარილი და შერცხვა,

რადგან ბოლო ორი ფაქტის შესახებ არ იცოდა, მიპარვით იყო გაკეთებული..

- კაი, გადავცემ, წვედი. დათოიას შევპირდი შანიძეს გამოგვივლი თქვა.
 - აუჰ, აბა არ დალევთ თქვენ დღეს.თუ რამე აგერ ვარ....
- გზაზე ტუაიას „ტირემ“ მომადახა:
- ნიკუშია, ჩემ ბოვშებს უთხარი ანუ სასაფლაოდან ანძისკენ მიატრიალონ ანტენა, მომკლა ტელევიზორში საკუთარი თავის ყურებამ თქვა...
 - დათკას გაუმარჯოს!
 - როდის ჩამოდი ბიჭო?
 - ეს წუთია.
 - უბანში არ გადი?
 - სადღაა დათკა უბანი? ზოგი გაქცეულია, ზოგი დაჭერილი, ზოგი ემიგრაციაში, ზოგი დეპრესიაში.
 - რატომ ჩამოდი ასე მოულოდნელად,ქორწილია ვინმე ჩვენთანის?
 - არა დათკა, ნათლია გარდამეცვალა, მათა, იცნობდი შენც.
 - ვაა, როგორ არა, რა დაემართა ახალგაზრდა ქალს?
 - ცხოვრება.
 - რა ცხოვრება?
 - ცხოვრებამ მოკლა დათკა.
 - ჰო, ეგ ცხოვრებაა ტირედ რომ სვამენ უმნიშვნელო სასვენ ნიშანივით ჩვენს ქვაზე და იმას ვერ ხვდებიან იმ ციფრების ავტორი, რომ სწორედ ის ტირეა. კარგი არ იდარდო ნიკუმ, მივაქცევთ მაიკოს ყურადღებას.შენც სახლში წადი ანუ, ღამდება უკვე ძამიკო. ბინდდებოდა, გოჭოურის საფანის პალმები ფარაონის მონებივით იდგნენ ჩამავალი მზის ფონზე და უზარმაზარ მარაოებს მორჩილად უნიავებდნენ აკლდამებს.

ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და „ტირეები“ ტიროდნენ ვარგი წამკითხველის მოლოდინში.

პრემიანტი

შუალამეს ტალანებში ყრუ ექო გავარდა. ხელები სარეცხი საპონით საგულდაგულოდ დაიბანა, ონკანი მოუშვა და აქა-იქ დახეთქილი რეზინის შავი მილით შეყვითლებული თეთრი მეტლახისა და კედლების რეცხვა დაიწყო, ჩაჟანგულ თუჯის ცხაურში ხმაურით ჩადიოდა მოვარდისფრო წყალი. შემდეგ თუნუქის სამედიცინო დოლურა გახსნა, სადებინფექციო ხსნარი ხელებზე გადაისხა, შეიმშრალა, გაზეთში გახვეული სამონადირეო ძეხვი, შავი პური ამოიღო და საიქიოდან მობრუნებულივით სულწასულ ჭამას შეუდგა. ცოტა სული რომ მოითქვა, დოლურადან სამედიცინო სპირტის შუშას თავი მოხადა და პირდაპირ ყელიდან გადაუშვა, ძეხვი ცხვირში შეიტენა, ღრმად შეისუნთქა, ამოაბოყინა, ქონიანი ხელები სისხლიანი წინსაფრის დაუსვრელ კალთაზე შეინმინდა და გამაძლარი კაცის ნეტარ ფიქრებში წავიდა:

- ესეც ასე, დღეს პრემიას დავირტყამ. რა გამიმართლა, ჩემი ბიჭის ძვირიანი წამლის ფულიც გამიჩნდა.

უცბად გონებაში გადაითვალ ხელფასი და სოლიდური პრემია.

- ეხ, თვეში ორჯერ ასე რომ „გამიჭედავდეს“ ჩემს ბედს ძალლი არ დაჰყეფს, არადა კომისია რომ არ მამონმებდეს რა უნდა მაგ ფოკუსის გაკეთებას, ერთი „პუსტოი“ გამოკვრა და მეორე ჯერზე ხუთასი მანეთი ღმერთის „კუროკით“ ჯიბეში გივარდება.

ამ დროს დერეფანში მძიმე ნაბიჯის ხმა გაისმა, რკინის კარი გაიღო და კარებიდან დაუძახეს:

- მოემზადე №7 კამერა მოჰყავთ.

პრემიანტმა წინსაფარი მოიძრო, ყელზე ღილი შეიკრა, გაღებული კარის უკან დადგა, მოემზადა. რამდენიმე წუთში არეული ნაბიჯების ხმა გაისმა, ზღურბლთან ნაბიჯები შეწყდა, ერთმა ზღურბლთან შეყოვნებულს შეუძახა:

– შედი და გაიხადე, დუში უნდა მიიღო. შეყოვნებულმა ზღურბლზე ფეხი გადააბიჯა, სავარაუდოდ სპეციალურად დატოვებული დუშის მაკეტისკენ ნაბიჯი გადადგა, რომ კარსუკან ჩასაფრებულმა პრემიანტმა კეფაზე იარაღი დაადო და გამოკრა, სისხლი „ბრიზგით“ შეესხა კედლებს, მაგრამ მოწყვეტით დაცემის ნაცვლად, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდებოდა, ტყვიანაკრაფი ოთხზე დადგა, ყრონტიდან შადრევანით ამოსხმულ სისხლს ცალი ხელით იფარებდა, მსროლელს მოხედა და თვალებით შევლა სთხოვა. პრემიანტმა პირველად ჩახედა მსხვერპლს თვალებში და მოჭადლოებულივით გაშეშდა. მსხვერპლში ავადმყოფი შვილის თვალები დაინახა

- ესროლე მეორე სასწრაფოდ, რას უცდი?! გაგიმართლა დღეს, მეორე პრემიას იღებ, პირველი - „ატსეჩკის“, მეორე – „კანტროლკის“. უყვიროდნენ კომისიის წევრები.

პრემიანტი მომაკვდავი შვილის თვალებს ჰხედავდა, მაგრამ ბრძანებამ და პროფესიონალის ინსტიქტმა თავისი ქნა, „ღმერთის კუროკს“ უნებლიედ გამოჰკრა და მიხვდა, რომ იმ წუთას შვილი მოკლა, რომლის გაყინული თვალები უფრო მეტი დაჟინებით უცქერდნენ.

ვილაცამ ჩაიქირქილა:

– პრემიამ თავისი გაიტანა... მილოცვის ხმები არ ესმოდა, ვერც მხარზე ხელის მოთათუნებას გრძნობდა, ვერც მაშინ გა-

მოერკვა, როცა კომისიის ერთ - ერთმა წევრმა ხელში პასტა მიაჩეჩა და განაჩენის სისრულეში მომყვანებლის აქტზე ხელი მოაწერინა, ვერც მაშინ როცა მსხვერპლი საკაცით გაიყვანეს, მხოლოდ რკინის კარის ჭახუნმა გამოაფხიზლა, სწორედ იმ კარის ხმამ, რომლის რკინის ზურგს ამოფარებულმა მთელი ცხოვრება გაატარა, ის კი არადა სახლშიც სასადილო მაგიდა და საწოლი კარებთან გადაატანინა და ღია კარის უკან ამოფარებული ჭამდა და იძინებდა. თავს სახელმწიფო უსაფრთხოების კარისმცველად თვლიდა, გრძნობდა და დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფო მის გარეშე ფიქცია და თეორია იყო, რადგან უზარმაზარი სახელმწიფო მანქანის უმაღლესი სასჯელის სისრულეში მოყვანის საბოლოო გზა მის ზღურბლზე გადიოდა...

თავი კონტუზიანივით გაიქნია, მეწამულ კედლებს თვალი მოავლო, იარაღი გადატენა, საფეთქელთან მიიტანა და... დერეფანში მიმავალი სიკვდილის კომისიის წევრების ყურთასმენას, გასროლილი ტყვიის ნაცნობი ყრუ ექო მისწვდა.

აშოთა მარტიროსიანი

ერთმანეთი ოთხმოცდაათიანებში, მოსკოვში, რესტორანში გაიცნეს. გელა მეგობრებთან ერთად მორიგ წარმატებულ „ნაბრეგ“ საქმეს აღნიშნავდა. ტუალეტთან შემთხვევით ორი ქსენოფობის ლაპარაკს მოჰკრა ყური, რომლებიც ვიღაც სომეხი აშოთას ცემის გეგმას, მხოლოდ იმის გამო აპირებდნენ, რომ ჩამოსული ვიღაც კავკასიელი მათ ტერიტორიაზე, მათზე კარგ დროს ატარებდა და ილხენდა. გელამ მიზანტროპებს ვითომ აქ არაფერი, გვერდი აუარა, თავის კომპანიას შეუერთდა და დარბაზში სომეხების შეკვეთილ მაგიდას შეავლო თვალი,სადაც

სავარაუდოდ აშოთა თავის თანამემამულე ძმაკაცთან და ორ გოგონასთან ერთად ქეიფობდა.

გელას თავის ბრიგადა ჰყავდა, რომელიც ინკასაციის მანქანებს აყაჩაღებდა, სერიოზული „ნაკოლშიცა“ ჰყავდათ, რომელიც გადაადგილების მარშუტს და თითქმის ზუსტ დროს ატყობინებდათ. მოკლედ მოსკოვის და მოსკოვის ობლასტის ბანკების უსაფრთხოების დაცვის უფროსის ცოლი იყო, „ლედი მაკბეტი“, ყურებად შეყვარებული ჩვენს გელაზე. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ათ-თხუტმეტ წუთში აშოთას სუფრას ხუთი თავგასიებული მიადგა, წავიდა გაქაჩვა-გამოქაჩვა, ერთი უკნიდან მიეპარა, აშოთას თავში დუბიკა ჩაართყა, მისი ძმაკაციც ფეხქვეშ გაიგდეს, გელა წამოდგა, ძმაკაცებმა გააჩერეს, არ გვინდა შარი, არაა ჩვენი საქმეო. გელამ ვიცნობ კაი ბიჭია, აშოთა ქვიაო, ამის თქმა და ქუთაისური „ბასოტა“ პაჭანიკებივით შეესია სკვითურ კვინტეტს, დისნეის მულტფილმში, ცხოველების ფეხბურთის გუნდი რომ გადაიჭლიგინებს მსაჯზე, ისე გადაუარეს „ბესპრეძელებს“. აშოთა თავის სვითით მანქანაში ჩაიჭინეს და იქაურობას გაარიდეს.

აშოთა, მოსკოვის „შუკინოს“ რაიონის მილიციის უფროსის, ბაგრატა მარტიროსიანის ერთადერთი ვაჟი აღმოჩნდა, რომელიც მამის ღირსეულ პროფესიის გზას ადგა და იურიდიული ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მამისვე განყოფილებაში თანამდებობას ელოდებოდა. ასე რომ გელა ხუმრობდა ამ ამბის შემდეგ:

- ბიჭებო, „პასტუპკა“ ქურდული გვექონდა, შედეგი ბოზური, მარა გული არ გეიტეხით მთავარი „პასტუკააო“.

რამდენიმე დღეში გელამ დამირეკა.

- ბიჭო ნიკუშია, საღამოს აშოთას მამამ, ბაგრატამ, დაგვპატიჟა რესტორანში, მაგ კარგი ხალხი უნდა გავიცნოო, ეს „ნა-

ბოიკები“ არ მომყვებიან, როგორც გადაარჩინე, ისე გადაათრიეო. სიმართლე გითხრა კარგიცაა, რომ არ მოდიან. ოსტაპის არ იყოს სახეზე აწერიათ: "ТАЛАНТ К ОБСКУРАНТИЗМУ ЗАЛОЖЕН С ДЕТСТВА". ასე რომ ნუ გამიშობ მარტო, წამომყვი ძმურად.

„სერებრიანი ბორი“- ს ცნობილ რესტორანში ცოტა დაგვიანებით მივედი, ოცკაციანი სუფრა კავკასიური გულუხვი პურმარილით იყო სავსე, შეხვედრა საოცარი, თბილი, ეს იყო მაიორზე ნაკლები ჩინის არ იცდა სუფრასთან არავინ და ეს მაიორიც ქართულად მოლაპარაკე მოსკოველი, მიმა ბესონოვი აღმოჩნდა, რომელსაც ბავშვობა ბაქოსა და თბილისში ჰქონდა გატარებული, ქართველების და ზოგადად კაცთმოყვარე პიროვნება, რომელთანაც წლობით, მის გარდაცვალებამდე გვაკავშირებდა მეგობრობა. მაგრად ვიქეიფეთ, მოვილხინეთ, ვიმღერეთ, ბაგრატამ თავის სპეც-ვიზიტკები გადმოგვცა წარწერით: "ДРУЖБА, ПОНЯТИЕ КРУГЛОСУТОЧНОЕ", რომელსაც მხოლოდ უახლოეს გარემოცვას აძლევდა და დიდი პატივისცემით სახლებში ჩამოგვარევა.

ამ დღის შემდეგ მეგობრობა საარაკ-აგარაკო მდგომარეობაში გადავიდა, თევზაობა, არაყი „ბანია“. გელა მხოლოდ ერთხელ წამოვიდა, ისიც აშოთას ხათრი ვერ გაუტეხა, რადგან აშოთა უფროსი ძმასავით უყურებდა გელას და მალე შევამჩნიე მის მანერებსა და დინჯ საუბარშიც როგორ ცდილობდა მიეხატა გადამრჩენისთვის. ბაგრატამ ავტომატური სანადირო თოფი „საიგა“ აჩუქა ნიშნად პატივისცემისა და მადლიერებისა გელას. მას შემდეგ გელა თავს არიდებდა ამ კომპანიას, ხან რას იმიზეზებდა, ხან რას, მაგრამ როცა აშოთამ ინსტიტუტი დაამთავრა და მამის შემოთავაზებულ თბილ სავარძელს რიგითი დაცვის პოლიციელობა არჩია, აღსანიშნავ ბანკეტზე გელამ

ბრილიანტისთვლებიანი ოქროს სამაჯური აჩუქა, დალოცა, ცოტა ხნით გაჩერდა, გამოგვემშიდობა და წავიდა.

რამდენიმე თვეში დიმიტროვის შოსეზე ინკასაციის მანქანა დააყაჩაღეს, შუა ქალაქში პირდაპირი მნიშვნელობით ომი გაიმართა, სამი ინკასატორი გაათრეებით იგერიებდა თავდამსხმელებს, რომლებსაც დაჭრილი „პაძელნიკის“ მიტოვება არ სურდათ. ერთი ნიღბიანი დანინაურდა, ძალიან ახლოს აღმოჩნდა ინკასატორებთან, დაიხარა დაჭრილის გასათრეევად, რომ ამ დროს ნიღბი ჩამოუვარდა, ინკასატორმა ყაჩაღის მიმართულეებით სროლა შეწყვიტა და გაოგნებული მიაჩერდა მეგობრისადმი თავგანწირულ დამნაშავეს, უცებ გამოერკვა:

–НЕ СТРЕЛЯТЬ! НЕ СТРЕЛЯТЬ! მაგრამ არავის ესმოდა მისი ხმა. ერთი დაინახა, რომ უნიღბოს ნახევრად ატატებული, დაჭრილი ძმაკაცი და იარაღი, ორივე ძირს დაუვარდა, დაიხარა. საფარი კუთხიდან კი დაცვის თანამშრომელი კოლეგა რამდენიმე ნაბიჯი და პირისპირ აღმოჩნდებოდა განიარაღებული თავდამსხმელის წინ, რომ ყაჩაღის მიმართულეებით გადახტა და მთელი ტანით აღიმართა უკვე იარაღმომარჯვებულ ყაჩაღსა და კოლეგას შორის, სასოწარკვეთილმა მთელი ძალით დაიღრიალა: НЕ СТРЕЛЯТЬ!!!! მაგრამ უკვე გასროლილი კოლეგის ავტომატის ტყვიამ პირის ღრუში გაუარა, კეფა გაუხვრიტა და ზურგს უკან მდგომ ყაჩაღს მარცხენა თვალი ამოუგდო. ორთავე უსულოდ დაასკდა ასფალტს, სამარის სიჩუმე ჩამოვარდა, მერე სასწრაფო, სირენა, პოლიცია.. ქუჩაში სიკვდილის სუნი იდგა.

გელა ქუთაისში გადავასვენეთ, აშოთა ექვსი თვე ებრძოდა სიკვდილს და ძმაკაცები ერთი ღამით არ მოეშორებივართ გვერდით. ერთი საყვედური არ დასცდენია გამწარებულ ბაგრატას გელას მისამართით, პირიქით ექიმებისგან იმ იმედგადაწურულ დღეს, როცა

ექვსი თვე კომაში მყოფი აშოთა, აპარატით წუთში 24 ჩასუნთქვის ნაცვლად 7-ს აკეთებდა, ლამისთევაზე მითხრა: "НИКО, Я ТОЖЕ ТОЧНО ТАК ПОСТУПИЛ БЫ"..ჩვენ ვტიროდით, პალატაში კი კაცთ-მოყვარეობის ღმერთკაცი ახელდა თვალებს.

ჩემი აფხაზი ძმა-ჩერმენა

თავი 1

თოთხმეტი-თხუთმეტი წლის ბიჭები ვიყავით, პირველად გუმისტის ხიდიდან ფრთებდაკეცილი ორბივით გადმოფრენილი რომ ვნახე ტურისტების ოვაციების ფონზე, თითქოს მოპიკირეს მდინარის ფსკერზე ნისკარტის ცემით სურდა ახალი სიცოცხლის დაწყება, ორბებს აქვთ ღვთისგან ბოძებული მსგავსი განმაჭაბუკებელი ნიჭები. ეს არ ჰგავდა ქუთაისის თეთრი ხიდიდან აკრობატულ ჟონგლიორობას, მასში იყო რალაც დიონისური, თავგანწირული, რომელიც ბოლო შანსის ბენვის ხიდზე გავლას ჰგავს. გული ამიჩქარდა, მძლავრად ვიგრძენი ადრენალინი, ლამის თირკმელები ამტკივდა, ერთის მხრივ ჩასახტომი ადგილის უცოდინარობა მაშინებდა, მეორე - ყმანვილური ჟინი აუდიტორიის წინაშე თავმონონების არ მაძლევდა მოსვენებას. წამოვდექი, ჩემმა სოხუმელმა დეიდაშვილმა მაჯა დამქაჩა:

–გიჟი არ იყო ნიკუშ, ვა ლოლა წიე.

დეიდაშვილის სიფრთხილემ სურვილი გამიორმაგა. ასეა, როცა კრიტიკულ მომენტში საკუთარი გადაწყვეტილების მიღებამდე რამეს გიშლიან, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად გიბიძგებენ იმისკენ, რასაც თითქოსდა ცდილობენ აგარიდონ. „ტახის“ იგიჟე გამახსენდა, ცურვა რომ არ იცოდა და მაინც გადახტა ვილაცის გადასარჩენად წყალწითელას ხიდიდან, მაშინ მთელი ქუთაისი მაგაზე ლაპარაკობდა. მაჯა გამოვგლიჯე, უნდა გადმოვხტე მეთქი, ჩემი ხმა მეუცხოვა, ხიდის ქიმზე ავბობლდი,

მახსოვს გულივერის თვალით დანახული მინიატურული არსებები, რომელთა წრიაზინი აღწევდა მხოლოდ ჩემს ყურთასმენას, მზით გახურებულ რკინის შველერზე ფეხის გულები მენვოდა, არ მახსოვს დრო, მაგრამ ეტყობა შევყოვნდი, სამარისებურ სიჩუმეში, სადაც მხოლოდ მდინარის ჩურჩული აღწევდა ჩემი მეტოქის ხმა ჩამესმა, რომელიც ქვემოდანაც ცდილობდა ტრიუკზე მონოპოლიის ტიტულის მფლობელის უპირატესობის დამტკიცებას და მარიგებდა:

—ვერა, ვპრავა პრიგნი, ვპრავა..

მახსოვს ფსკერმა ჯერ ხელები მომანგრია და მერე თავი, გონება არ დამიკარგავს, ცხვირიდან თითქოს ძმარმჟავას ხსნარი შეუშვეს ჟანეს შპრიცით ტვინში და ტკივილისგან ვიბლავლე, ვიგრძენი როგორი წნევით შემოვარდა ქვიშანარევი წყალი ყელში, რომ ვილაცამ თმებში დამქაჩა, ხელები გავანძრიე, იმ ვილაცამ ერთი ზემოთკენ მიბიძგა, ხელი გამიშვა და ხველებ-ხველებით ამოვასკდი ზედაპირს. მირაჟივით ვხედავდი აცანცალეებული ხვატის ფონზე აღტაცებულ ტურისტებს და გაფითრებულ ჩემს ნათესავს, ერთი სული მქონდა ნაპირზე როდის გავცურავდი, რომ ყურთან აქოშინებული მეტოქის ხმა გავიგონე:

—ია ჩერმენ, ვიძმაკაცოთ.

მადლიერების ნაცვლად, რალაც ზიზღნარევი გრძნობა გამიჩნდა მისი დასახმარებელი რომ გავხდი, თუმცა წყალქვეშ რაც მოხდა მე და მან ვიცოდით მხოლოდ. ნაპირზე ფეხის დადგმა ისე გამიხარდა, როგორც ნაწარღვნარი კიდობნის პატრიარქს მიწის ხილვა, მეც მეორე სიცოცხლე მინიჭებული ახალშობილის სიმსუბუქით ვიმშრალებდი ტანზე ნათლობის მადლს და სულიწმინდა გადმოსულივით რამდენიმე ენაზე აღტკინებული ვლაპარაკობდი:

- აუ ჯიმა, მანგარიე, ტი ტოჟე დოლჟენ ეტო პაჩუესტვოვატ.
- რაა მაგარი, ცხვირი რომ გაქვს გახეული? მითხრა დეი-
დაშვილმა და ვილაცის ველოსიპედის სარკე სახესთან მომიტა-
ნა. ცხვირის კეხზე სიმწიფით გახლეჩილი ლელვის კანის ჭრი-
ლობა მიყურებდა და შიგ ლელვის კაკლებივით შავად კიაფობ-
დნენ გუმისტის ქვიშის მარცვლები.

- ეტა ერუნდა ვასია. იხტიბარი არ გავიტეხე და ჩაცმა გა-
ვავგრძელე. ამ დროს ჩერმენაც მოგვიახლოვდა ძალიან მოდუ-
რად ჩაცმული „ლაკოსტას“ მაისურით „ლევისის“ ჯინსებით,
ფეხზე „რომიკებით“. ისედაც სიმპათიური ბიჭი იყო, მაღალი,
ბეჭბრტყელი, ჟღალი თმით და ზღვას ხშირად ნაცქერი მისივე
ფერის თვალებით. ზღვას ახასიათებს მსგავსი პიგმენტაციის
თვისება.

-შენი სახელი არ გითქვამს ვარა!

-ნიკო მქვია,ეს კობაა ჩემი ნათესავი.

-მოჟუეტ ნა „ამრე“ პასიდიმ ბრატცი. პაზნაკომისია..

ასე დაიწყო ჩვენი ძმაკაცობა, მერე თითების გადაჭრა და
ფიცვერცხლის ჭამა..

ჩერმენას დედა ემხვარი ჰყავდა, იმ ძმები ემხვარების შთამო-
მავალი, რომლებიც შვიდი წელი სისხლს უშრობდნენ „ნკვდ“-ს
და საბჭოთა მილიციას და ბოლოს ნესტორ ლაკობას მიერ
მობილიზებულ მოსკოვის სპეც. ბატალიონსაც არ ჩაბარდნენ
ცოცხლები. მის სახლში კატაც კი არისტოკრატიულად აზმო-
რებდა, მიყვარდა ქალბატონ ცაბუსთან ტიბეტური ტრადიციით
მომზადებული ჩაის სმა და საუბარი პლატონზე, სოკრატეზე და
მათი შედარება დეკარტესა და ჰობსზე. მე მსგავსი კდემა, ინტე-
ლექტის და სულიერების ერთობლივი ჰარმონია აქამდე არ
მენახა ...

თავი 2

-დეიდა ცაბუ, ძალიან მაინტერესებს თქვენი გვარის ისტორია, ალბათ გამსახურდიას შემთხვევით არ ჰყავს თარაში თქვენი კეთილშობილი გვარის წარმომადგენლად მოხსენიებული.

-წაკითხული გაქვს?

-კი, მე და ბაბუა ხშირად ვსაუბრობთ ლიტერატურაზე, სქოლასტიკოსებზე, აეროპაგელზე, პეტრინზე, მაგრამ ჰობსზე და დეკარტეზე არაფერი გამიგია.

-თარაშ ემხვარი ეს თავისუფალი, იგივე ევროპული აზროვნებაა, არზაყანი ახალი ადამიანის, ათეიზმის პროდუქტი, კაც ზვამბაია დიონისური, ძველი ალთქმის გაგების კაცი, შერვაშიძეების ოჯახი, კერძოდ მოძღვარი კი საუკუნეობით დაღუპილი, გაუაზრებელი რწმენის, წესების, როგორც აღმაშენებლის ტეტრალოგიის „ქუსლმოქცეული ეპისკოპოსი“, გარეგნული ქრისტიანობის წარმომადგენელი და სწორედ ეს „ნაკრები“ კლავს და შეიწირავს ნამდვილ ქართულ იდეას თარაშის სახით, როგორც ჩემი წინაპრები შეიწირა საბჭოთა რეჟიმმა და ეგზარქოსული ეკლესიის აგრესიამ.

-დეიდა ცაბუ, ევროპული აზროვნება რას ნიშნავს, როგორი აზროვნებაა? ბაბუა, მაგალითად კაროლინგურ რენესანსს, ელინურ კულტურას და რომის იმპერიას მისახელებს, თითქოს გასაგებია, მაგრამ ბოლომდე გულწრფელად ვერ ვწვდები.

-ჩემო ნიკუშა, დავიწყოთ იმით, რომ ევროპა, როგორც კონტინენტი ან მოცემულობა არაა, ის გეოგრაფიულადაც კი აზიის ნაწილია. პირველ რიგში ის იდეაა, აზროვნებაა, მუდამ განვითარებადია. აი მაგალითად, პლატონი მუდამ უნივერსალიებს გვთავაზობს, როგორც სოკრატე და ათას წელზე მეტი, ვიდრე შუასაკუნეებამდე ღვთისგან, აბსოლუტისგან გამომდინარე, ობიექტური რეალობიდან გამოსულ იდეას ანვითარებდა კაცობ-

რიობა, რომ დემიურგს, მსოფლიო გონს ყველაფერი უნივერსალურად, კანონზომიერად აქვს შექმნილი და ჩვენც ამ მოცემულობაში უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს ჯერ ვინმე ავგუსტუსმა თქვა ერთი სუბიექტური აზრი: „ვეჭვობ, ესეიგი ვარსებობ“, შემდეგ დეკარტემ განავითარა და თქვა: „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“, შემდეგ ლუთერმა ლათინურიდან გერმანულად თარგმნა ბიბლია, ხალხს დაურიგა და უთხრა, რომ პაპის ინდულგენციებზე აგებული ეკლესია შუამავლად არ გჭირდებათ სახარების აღსაქმელად, თავად იაზროვნეთ და მთელი გონებით გაცნობიერეთო.

–მერე და ამაში ცუდი რაა, ინდულგენცია მართლა ორ ბატად იყიდებოდაო ბაბუამ.

–ცუდი მხარე ის გახლდათ ჩემო ფილოსოფოსო, რომ სამყაროს ეგოისტურმა აღქმამ უამრავი სექტის, მიმდევრების, შეშლილთა კომიტეტების წარმოქმნა განაპირობა, აზროვნება თითქოს განთავისუფლდა, მაგრამ სული შეიქმნა სურვილების ტყვეობაში. საბჭოთა წყობაც მაგ „თავისუფალი აზროვნების“ პროდუქტია და მაგათი მამა ევროპელი კარლ მარქსია.

შეკითხვას სულის თაობაზე ვაპირებდი, რომ ჩერმენამ ჩამჩურჩულა:

–მეუ ასე, თუ არა ჩამოფრინდნენ უკვე ჩვენი ქალბატონები და დარჩები ნაფალოსოფოსევი.. ორივეს ერთად გაგვეცინა ტროპულ იუმორზე, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით უკავშირდებოდა ჩვენი საღამოს გეგმებს.

–დედა, ჩვენ წავედით, დაფრეკავთ თუ დაგვაგვიანდა.

–დაგლოცოთ შვილო ილორის წმინდა გიორგიმ. ჯვარი გადაგვსახა ქალბატონმა ცაბუმ, ჩერმენამ გულზე აკოცა, მე თავი დაფუკარი, გულში გავიფიქრე, ეჰ რომ იცოდეთ სად მივდივართ დეიდა ცაბუ თქვენი ამალღებული ლექციის შემდეგ

აღბათ ლოცვა კი არა ხატზე გადაგვცემდით. ცოტა ხანში ბიძაჩემზე მოპარული ჟიგულით, მივფრინავდით აეროპორტის მიმართულებით, მოსკოველი სტუმრების დასახვედრად.

ჩემენა ჩემზე ერთი წლით უფროსი იყო, მაგრამ ბარე ათი წლით მისწრებდა ფლირტოლოგიასა და აშიკობაში, მისი გამოცდილება ამ სფეროში სცდებოდა ჩემს ფანტაზიებს ქუთაისელი „შლაჭანიასადმი“, რომელიც შორით წვასა და შორით დაგვით შემოიფარგლებოდა. ამიტომ გზაში ჭაობივით ვისრუტავდი მის თითოეულ სიტყვას და პერიოდულად ვგრძნობდი სახეზე თუ როგორ ვწითლდებოდი შმაგი სურვილით, შეუცნობელის დაუფლებით. მერე ყვავილები, რესტორნები, მამაბიძების საძმაკაცოს ფულის გადახდისას მოკრძალებული გაქაჩვები, ბულვარები, ნირვანა, ისევ აეროპორტი, გაცილებასისხლითა ცრემლდათხეული, პირველი სუროგაცია სიყვარულის, რომელიც ირონიის და დაცინვის მეთოდით თანდათან ითრგუნება შენში და ხვდები, სოციუმი როგორ გიწესებს თავის მკაცრ დაუნერეულ კანონებს, რომელსაც უნდა დამორჩილდე პირადი ნების საწინააღმდეგოდ, მერე პროტესტი, თავის გადახოტვრა, უდაბნოდ გაჭრა, უმისამართო წერილების და ლექსების წერა, მერე ისევ ახალი შეხვედრები და ხვდები შაგრენის ტყავივით თანდათან როგორ ილევა შენში ღვთიური სიყმანვილე.

ზაფხული ნაგვალავი ოლასკურასავით მიწანწკარებდა დასასრულისკენ და ჩვენც მშრალზე დარჩენილი თევზებივით სულისღაფვით განშორების დღეებს ვიხანგრძლივებდით, ჩემენას სოლიდარობის ნიშნად გადახოტრილი თავი თხლენარეცხი ჭურის სარცხივით ჟღალად დაჭაგოდა და საერალაშე ბიჭივით გეგონებოდა სულ იცინოდა, მე კი მოხოტრილი თავის ფონზე ისედაც დეპარდიეს ცხვირი იმხელა მიჩანდა მაიაკიდან ვსუნთ-

ქავდი კელასურის ჰაერს. მოკლედ ბირჟაზე რომ გამოვ-
დიოდით...

თავი 3

(ჩემი აფხაზი ძმა ჩერმენა)

ლოთი გრიშა შემოგვხედავდა:

-პრივეტ კატოვსკიმ!

ვალში არც ჩვენ ვრჩებოდით აფხაზურად ვეკითხებოდით, ვიცოდით მის მშობლიურ ენაზე სხვა ასოციაციებს იწვევდა ეს კითხვა.

-ვარა ბაცუა ძიადია გრიშა? /სად მიდიხარ/

-კაკოი ებატსია, ნა რაბოტუ ედუ.

ჩვენ ვიჭაჭებოდით, გრიშა ჭაჭის საძიებლად აგრძელებდა გზას ფარდულებისკენ.

გრიშა მაგრად გვიყვარდა, მაიაკში ზღვის პირას პატარა ქოხი ჰქონდა, გვერდით „ნავესში“ თევზის შესაბოლო ოთახი, სადაც შუაცეცხლი კებურივით ჰქონდა მოწყობილი. ვიცოდით რომ აღ-
რე თანამდებობის პირი იყო, მერე რაღაც შეემთხვა, დაიჭირეს და წლები ციხეში იჯდა. ხშირი სტუმრები ვიყავით, წყლის თოფს, გადაჭრილ კეგოს და სამხედრო „შტიკ-ნოჟს“ გრიშას შალაშში ვინახავდით მე და ჩერმენა. დეიდა ცაბუ ხშირად გვატნევდა ხან შოთის პურს, ხან მურაბას, ჩაის, გრიშასთან. სულ მიკვირდა, რა საერთო უნდა ჰქონოდა ცაბუს ნაცხიარ გრი-
შასთან, მაგრამ ყველაფერს ცაბუს უკეთილშობილეს თვისებებს ვაწერდი და კითხვებიც ქარწყლდებოდა.

—ძიადია გრიშ, ხვალ ნიკოს ვაცილებთ ქუთაისში და სალამოს შენთან შევიკრიბოთ.

—აბიზატელნა!! ნიკო, ბიძაშენის არაყი წამოიყოლე. ტაკ გავარიტსია, ვშალაშე, ნო პო დუშე. უდიომს!

საღამოს ჩერმენამ შალაშში ცეცხლი დაანთო, ცაბუს ორ-ცხობილა და კიტრი-პამიდორი ამოალაგა, მე ბიძაჩემის არაყი დავაძვრე, გრიშამ ზეთომდინარე, შებოლილი თევზი შემოდ-გა ტაბლაზე და გამოსამშვიდობებელი სევდანარევი პურობაც დავიწყეთ. სამი-ოთხი ჭიქა დავლიეთ, შევზარხოშდით, რომ გრიშა წამოდგა, ახლავე მოვალო, თქვა და ქოხში შევიდა.

-დათვრა. ვთქვი მე.

-შანსი არაა ნიკუშ, მაგას აქ ლიტრიანში ჭაჭა ეგულეა და დაიძინოს? ალბათ კვასის მოსატანად გავიდა, თვითონ აკეთებს, მაგარს.

ამ საუბარში გრიშაც დაბრუნდა, ხელში ტყავის თასმაზე ჩამოკიდებული პატარა ხის ჭვარი და სიძველისგან გაყვითლე-ბული ქალაღდის ნაგლეჯი ეჭირა.

-ხომ გითხარი. ჩაეცინა ჩერმენას.

გრიშამ არაყი შეივსო, შიგ ჭვარი ჩადო, წამოდგა, პირჭვარი გადაიწერა, სადღაც ზღვის უსასრულობაში გაიხედა, „ცარსტვა წებე ნებესნოე“ ჩაილაპარაკა, სულმოუთქმელად გადაკრა და დატდა.

- ვისი ხსოვნა თქვი ძიადია გრიშა, გვითხარი, ჩვენც ვიტყვით.

- ჩერმენ, რამდენი წლისა ხარ ახლა შენ?

- 16-ის ვხდები მალე.რატომ მეკითხები?

- შენ უკვე კაცი ხარ,მართალია 18-ი რომ შეგისრულდებოდა მაშინ უნდა მეთქვა ეს ყველაფერი, მაგრამ ვინ იცის, ვიცოცხ-ლებ კი მანამდე? თან ჭკუა ასაკში ნამდვილად არ არის, მზად ხარ უკვე ამ ამბისთვის.

-"ЖИВИ ЕЩЕ ПОЛ ВЕКА,ВСЕ БУДЕТ ТАК,ИСХОДА НЕТ!"

ჩავუბლოკე გრიშას ალკოჰოლოგიური სენტიმენტალიზმის შემოტევა და ჩერმენას თვალი ჩავუკარი, დაიწყო უკვე ალკო-სოფოსობა.

გრიშამ გვაცალა დაშოშმინება და განაგრძო:

–მამაშენი, ბეგია ლაკრბა ჩემი ძმაკაცი იყო, საკონსერვო ქარხანას ერთად ვხელმძღვანელობდით.

–რას ამბობ ძიადია გრიშა, მამაჩემს ქელეჯბეგი ერქვა, ოფიცერი იყო და სამხედრო ოპერაციაზე დაილუპა რუსეთში, თან გვარად ლაკრბა კი არა ანჩაბაძე იყო.

–ქელეჯბეგი ერქვა კი, ძმაკაცები შემოკლებით ბეგიას ვეძახდით. არ შემანწყვეტინოთ ბიჭებო, ისედაც ძლივს გადავწყვიტე ამ ამბის მოყოლა და ისევ მის თხოვნას ვასრულებ, თორემ თითოეული სიტყვის წარმოთქმა იმ კოშმარს მაგონებს. მოკლედ სამნი ვიყავით საქმეში: მე, ბეგია და ბეგიას ბიძაშვილი ასლან ლაკრბა, რომელიც მომარაგების უფროსი იყო. საკავშირო რევიზია დაგვეცა, აღწერა ჩაატარეს, ბულალტერია გაჩხრიკეს და სამივე დაგვაპატიმრეს, დახვრეტის მუხლი მოგვიყენეს და ბუტირკის ციხეში შეგვასახლეს, სადაც დახვრეტები სისრულეში მოჰყავთ დღემდე, მეექვსე კორიდორია სიკვდილის დერეფნად წოდებული ასეთი. ასლანმა გაგვყიდა მაშინ, ითანამშრომლა გამოძიებასთან, „პეტლი“ თხუთმეტით შეუცვალეს. მე მრავალშვილიანობამ მიშველა, თუმცა დღემდე დაკარგული ვყევარ ცოლშვილს, მაგრამ მაშინ სიცოცხლე შემინარჩუნეს. მამაშენს ხელიც არ ჰქონდათ მონერილი, ცაბუ შენზე ფეხმძიმედ იყო ეს უბედურება რომ მოხდა. კამერაში ყოველნუთს სიკვდილს ველოდებოდით, ვიცოდით ჯალათები გამთენიისხანს, შუალამე-გადასულზე შემოდოდნენ გასაყვანად.

თავი 4

—ეს იყო „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“, როცა მკვლელი და მსხვერპლი ერთმანეთს ყოველდღე ხვდება, ყველამ ყველაფერი იცის და საშველი არსად სჩანს, გარდა საკუთარი თავდაცვის განგაშის ინსტიქტებისა, რომლის სამი ვარიანტის: თავდასხმის, გაქცევისა და თავის მომკვდარუნებისაგან, მხოლოდ უკანასკნელია შენი და ფსიქოლოგიურად თავს იკლავ, მკვდარი გინდა იყო, მაგრამ არამცთუ სიკვდილი, ძილიც კი გტოვებს რეალობასთან პირისპირ და გავარჯიშებს რა პოზაში ჩაგადგებენ კუბოში. სხეული გომბეშოს კანივით ცივი ოფლით გაქვს დანესტიანებული, მორყეულ კბილს თითებით ისე ამოიძრობ ტკივილს ვერ გრძნობ, მუდმივი გულისრევის შეგრძნება, დერეფანში ჩექმის ხმაზე გახშირებული მაჯისცემა და დარჩენილი სისხლით ტვინის დაცლა, გრძნობ სახეზე როგორ ფითრდება, ტუჩები როგორ გილურჯდება, გიბრუყდება და როცა სხვა კამერას მიადგებიან ველური სიხარული გიპყრობს სხვაზე წვეული სიკვდილის. იქ ფიქრები არ არსებობს, არის მუდმივი სულის ტკივილი, ჯოჯოხეთური ტკივილი. სულის მიტომ, რომ სხეული და გონება ატროფირებულია. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეა. მამაშენს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ცაბუც იქ გაიცნო, ცაბუ ფილოსოფიურზე სწავლობდა. ულამაზესი წყვილი იყო, ძალიან უყვარდათ და უხდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ იყო ერთი „მაგრამ“, რომელიც აქარწყლებდა მეტაფიზიკურ გრძნობებს. ლაკრბები ნესტორ ლაკობას შთამომავლები იყვნენ და გვარში ერთი ასობგერის შეცვლით ემხვარების სისხლის ჩამორეცხვა ვერ შეძლეს. ბეგია ვაჟკაცი იყო და აფხაზური ტრადიციისამებრ გაბედა მაინც მისვლა ემხვარებთან, ცაბუს მამას მაგიდაზე ხანჯალი დაუდო და ერთადერთი ქალიშვილის

ხელი სთხოვა, აქ ან სისხლს აიღებთ როგორც წესია, ან ახალგაზრდებს მოგვცემთ კურთხევას წინაპართა სისხლი სიყვარულით მოვიბანოთო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, მათ მოკრძალებულ ქორწილში მე ვიყავი თამადა და მისი სიკვდილის წინა დღეს მისი აღსარების და მაზიარებელი მღვდლის ტვირთი არსთა განმრიგემ მე დამაკისრა. შუაღამე ახლოვდებოდა, წაგვთვლიმა რომ გასროლის ხმამ გამოგვაფხიზლა, ვილაცას განაჩენი სისრულეში მოიყვანეს. ბევიამ ალუმინის ჭიქები წყლით შეავსო, ჯვარი მოიხსნა შიგ ჩადო, შესანდობარი თქვა და დალია, მეც იგივე გავიმეორე. მერე კედელზე განცხადებების მუყაოს ყუთიდან ფურცელი და ფანქარი ამოიღო და ნაჩქარევად შეუდგა წერას თვითმკვლელის საბოლოო წერილის წყურვილით, რომელსაც გადაწყვეტილების შეცვლის შიშით უნდა ანდერძი მალე მიაგდოს, ცნობის მოყვარეებისთვის და თავი რაც შეიძლება მალე ჩამოიკიდოს.

გრიშამ დაკეცილი ქალაღი გაშალა:

„სარა ბარა ბზია უბ ბოიტ ცაბუ, სიცოცხლეზე მეტად, რომელსაც რაღაც წუთებში წაიღებენ. არ დაგვცალდა ჩვენი შვილის დაბადებით ტკობა. ერთი თხოვნა მაქვს, ბიჭი თუ გაგვიჩნდა ჩერმენა დაარქვი, ეს ლაკობების მიერ მოკლული ემხვარების უმცროსი ძმის სახელია, გვარიც შენი ატაროს იმის ნიშნად რომ სიყვარული იმარჯვებს. პირნათელი მინდა შევხვდე წინაპრებს და არც მკვლელის გვართ მინდა იაროს ჩემმა შვილმა. შენთან კიდე ერთი თხოვნა მაქვს, გათხოვდი ცაბუ, ბევრი ვებრძოლე ჩემს თავს ეს რომ არ დამეწერა, მაგრამ ასე აჯობებს ჩემო სიყვარულო!

P.S. გრიშა ჩემი ძმაა, იცი შენ. რუსმა მიძმო და ღვიძლმა გამყიდა. დანარჩენს თავად მოგიყვება. გკოცნი, მუდამ შენი ქელეჯბეგი.“

დღეს ერთ აფხაზს მოკლავენ, მაგრამ აფხაზეთს ვერასოდეს!

/27 სექტემბერი 1972წ. ჯვართამაღლება/

–გამთენიისას გაიყვანეს ბეგია. გრიშამ ჭიქა ბოლომდე შეავსო, დალია. ჯვარი და წერილი თავჩაქინდრულ ჩერმენასკენ მიაჩოჩა და ქოხისკენ წავიდა.

თენდებოდა, ზღვა თეთრ ბისონს იცვამდა და მზე ღმერთივით მოდიოდა წყლის ზედაპირზე....

შობა

შქერის ალებს ბუხარში მეჭლისი მოეწყობთ, ატკვარცალე-ბული კეცები ნეშოს მოლოდინში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ პირველშენიერული ცომის ჩასაკრავად. ნაჭას ღმერთის ხელივით ეჭირა ათუხთუხებული კარდალა დედამიწასავით და თითქოს ჯოჯოხეთურ კევრში ჩასაგდებად ვერ იმეტებდა, ნედლი ჩიჩილაკი საუცბათოდ გამომშრალიყო და ბუხრიდან დრაკონის გამონასუნთქი ოხშივარით ფთილები შიშისგან თრთოდნენ და კედლებზე ჩრდილების წარმოდგენას მართავდნენ. ოთახი საფეი იყო ტკბილი კვერის, ჩირის და რძეში მოზელილი ფქვილის სურნელით, რომელიც საოცრად ჰგავდა ახალშობილი ჩვილის ყირმიზყელში ამოკოცნილ ჰაერს. ქრისტეშობის ვარსკვლავი გამოქცეოდა ნაზარეთიდან მდევარს და გაჭვარტლული ბუხრის ყელიდან აჩახჩახებდა გაღალანებულ ღარიბ კერიას, ქვასანაყი რიტმულად სცემდა: ქრისტე მოდის! ქრისტე მოდის! ქრისტე მოდის!.. და მოდიოდა თეთრ კვართში შემოსილი ჩვილი იესო მწყემს-ანგელოზთა გუნდით, ალილუია, ალილუ-ლია, ალილუია....

ციხის ობსერვატორია

გისოსებიანი ვიწრო სარკმლიდან ქვის გალავანი და გალავნის ძირა ეზო ჩანდა, გალავანზე გაჩერებული დიდი, მრგვალი საათი ეკიდა. სარკმლის რაფაზე მუდამ ჭიანჭველები მოძრაობდნენ, იქვე კედლის კუთხეში, სადაც სარკმლის ჩარჩო მართკუთხედს ქმნიდა სახლი ჰქონდათ, რომლის შესასვლელს ამობურცული ქვიშის ხვრელიანი გორაკი ამშვენებდა. საათი ზაფხულში მზესავით ანათებდა ეზოს, შემოდგომაზე ეშაფოტზე წვიმაში ჩამოხრჩობილი თავივით ეკიდა, ზამთარში ბუქში მოყოლილ თოვლის პაპას ჰგავდა, რომელსაც ისრები უღვაშე-ბივით ცხრის თხუთმეტ წუთზე ჰქონდა დაყენებული, გაზაფხულზე კი დუმფარასავით შლიდა დისკოს. კედელზე რეპტილიები პოდიუმს აწყობდნენ, მორიელეები კუდაბზიკა კუტიურებივით კეკლუცობდნენ და ლოკოკინები კედლის დიზაინით იყვნენ დაკავებული, რომელიც ღამე ფოსფორულ აბსტრაქციას მოგავგონებდა, ვან გოგის სითეთრეში გადასული ცისფერით მოქარგულს. ფეიქარა გამჭვირვალე ფარდებს ქსოვდა მორიგი წარმოდგენისთვის და ეჭვიანი მავრივით ახრჩობდა მსხვერპლს, რომლის ფიტულები ენტომოლოგიური მუზეუმის ექსპონატებივით ქანაობდნენ მცირე ნიაგზეც. ერთგული მაყურებელი ბელურები ბურჟუებივით სამეფო ლოჟაში იბუსებოდნენ, თან ლორწეით აკვირდებოდნენ სპექტაკლს და ხანდახან ნაწვიმარზე, სუფლიორივით მიწიდან ამომძვრალ ჭიანჭველას, სამყაროს დასასრულის მოლოდინში, ოდიპოსივით წინასწარ თვალების დათხრის აპოკალიფსურ გადაწყვეტილებას ყელისჩაკოკლოზინებით უმტკიცებდნენ. გალავნის კიდეში წყლის გუბე იდგა, საიდანაც ცის ანარეკლი ჩანდა, ის ერთადერთი საშუალება იყო ცის დანახვის, წყლიდან კი ტელესკოპივით ჩანს ზეცა, ჰერას ძუძუდან კოსმოსში გადაღვრილი ღია რძისფერი.

ჭექა-ქუხილისას მთელი პარნასის ღმერთები ზევსივით მდგომ ტანდაკორძილ ხესთან იყრიდა თავს, რომლის ფესვები გორგონას თავს მოგაგონებდა და მიდიოდა დრო, უფრო სწორად იკარგებოდა და იდგა მუდმივი ანწყო, უჟამო ჟამი. იკარგებოდა სივრცე და გალაქტიკას იტევდა ღიობი. ღიობი, საიდანაც იწყება ჭეშმარიტი თავისუფლება.

ბავშვობის კუნძული

ძველი სააგურე ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც ახლა ვი-
ლებია წამოჭიმული, თიხის მოსაზღვლად, ექსკავატორით გათხ-
რილი დაჭაობებული წყალსაცავები, ჩვენი ბავშვური ფანტა-
ზიისთვის ბაზალეთიც იყო, აზოვი, მიჩიგანი, რინა, ტიტეკაკაც
და კასპიის ზღვაც. გააჩნია ვის რა გეოგრაფიული „რაზმახი“
ჰქონდა ლეილა ბუილიშვილის საგანში. აფრიანი ფანერის
ტივები და ტაშტები კარიკატურული ტიტანიკებივით ეხეთქებოდ-
ნენ ალიზის აისბერგებს და ნახევარი კილო ტალახიანი
თავებით ამოყვინთულ - „გადარჩენილები“, ტალახით სავსე პი-
რით თავგანწირულად ვუსტვენდით მაშველ ტაშტ-გალერების
„კაპიტნებს“, რომლებიც მაშველი რგოლის მაგივრად ბამბუკის
ჭოკებს გვესროდნენ თავში და სამუდამოდ გვიმეტებდნენ ამფი-
ბიების ოჯახის სრულუფლებიანი წევრობისთვის. თუმცა ჩვენი
შიშით ჭაობში ბაყაყები კი არა, კოლოები, სპეცრეისებით
დაფრინავდნენ. მასხოვს „შაბათიამ“ ჭაობის ბალახით, ერთხელ
იმხელაზე გაბერა, გომბემო ნახევარი საათი ჰაერში დაფშტვია-
ლობდა ძაფმოსხნილი რეაქტიული ბუშტივით და გადმოშ-
ტიმული თვალებით უსაფრთხო „პასადოჩნის“ ეძებდა სასო და
ჭაობწარკვეთილი. მიდიოდა დღეები, წლები. შრებოდა ჩვენი

საუნჯე, ტაშტები დაიცხრილა, კაპიტნები დაიზარდნენ, კოლოებმა პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვეს, ამფიბიები ჩვენ „გადავაფრინეთ“, მაგრამ დღემდე მენატრება სკიპი-კაპიტან გრანტი, შაბათა-ნემო, შოკა-აირტონი (შოკას სულ უარყოფით როლებს ვაძლევდით.), მე-ინჟინერი სმიტი, ა.შ. და დაუოკებელი სურვილი მიჩნდება კრუზოსავით დავებრუნდე ჩემი ბავშვობის მახსოვრობის საიდუმლო კუნძულებს.

ქუთაისელი ორფეოსის ღამე (ექვთიმე რეზო ჭეიშვილის ხსოვნას.)

თუ მწუხრზე, ოლასკურის სასაფლაოზე, ნასვამი, თეკლეს მონასტრიდან „პრობკის“ ტყეზე ფეხით, მოკლეზე, გოჭოურის სავანეში გადასულხართ, აუცილებლად იგრძნობდით ზღვის ნიავის მსგავს შრიალს, რომელიც სულიწმინდის მადლივით, სამყაროს დაშიფრული ანბანის წაკითხვის, ადამის ნიჭის ძალით აღგავსებს და ორფეოსივით, ჰადესის უნებლიე „მუტრიბივით“, ევრიკიდეს კი არა, მთელი მიწისქვეშეთის გამოსახსნელად განგანყოფს, მზად ხარ ძველი საცეცხლე კოშკის ნაშალთან ჩაიმუხლო და იყვირო: მეობას თამალობით, „გამოვედ გარე!“.. და სათაფლიის ქვაბებში გავარდნილი ექო, მისტიური გასაღებივით აღებს ქუთაისის მიწისქვეშა საიდუმლო კარებებს, რომელიც პეტრე ჭაბუკიანს აბარია, როგორც პეტრე მოციქულს სასუფევლის კლიტე.. სათაფლიელმა ოჩოპინტრემ მასწავლა ეს ადგილი. პირველად ბონდო და პიპინია მიქელაძეები მოიმართებინ, მას კოკინია დგებუაძე, სანდრო ფალავა და დანიელა ურია უმშვენებთ მხარს, ცეცხლი მრავალჯამიერი

ისმის საფიჩხიის „მეშვიდე უჩასტკიდან“, მწვანე ყვავილას პანთეონიდან იოსებ ოცხელი, ვალერიან მიზანდარი და ვასილ ამაშუკელი უერთდებიან მოსაუბრე რეზო ტეიშვილს, ზურაბ კუხიანიძეს და მამფორიას. კოშკზე ამოსული დაღვლეჭილი რცხილები ბეჭებში იმართებიან და მეციხოვნეებად გარდაი-სახებიან თვალწინ. ზარები რეკენ! ნაბახუსევი სოსოია ხარაბაძე პეყოია ნიჟარაძეს გადაძახებს: ადექი პეყოია, შე მკვტარო, გონია წავიდვა ტაბურეტკაზე შენმა ბოვშმა საკურთხი, აბა შენ იქეთ არაფრის მაქნისი იყავი და აქეთ რაის მომფიქრებელი ხარ და ინყება სატირული, სევდანარევი სიხარულის ღამე. მე მინახავს ეს საოცარი ღამე, „მზიანი ღამე“, მისვამს მათთან, მიმღერია ხმისჩახლეჩამდე რიჟრაჟამდე, მიტირია ყოვლადწ-მინდას სადღეგრძელოზე, ისე როგორც დედის კალთას აგლე-ჯილს და სიზმრად დანაწვავივით დამრჩენია უპეზე ორი ნაცრემლარი ღარი სასოებად სიზმრად გამოღვიძებული სინამდვილისა....

ნამდვილი ამბავი

ორნი, ორსეს მუზეუმში, ვან გოგის „ვარსკვლავებიანი ღამის“ ტილოსთან იდგნენ ერთნაირად, ერთი განცდით, ერთი შთაბეჭ-დილებით, ერთი ესთეტიური სიხარულით. თითქოს ავტორი მათ მედიუმად ქცეულიყო და მათთვის ტილოს ზეცა გადაეფინა თავზე ჯვრისწერისწინა აღსარების ოლარივით და ორივე გატრუნული უძლურ სიტყვებს ეძებდნენ შემოქმედთან სალა-პარაკოდ. მუზეუმის თანამშრომელმა შეაფხიზლა სამგანზო-მილებიან ტრანსში მყოფნი და ფრანგულად მიმართა:

-აქ ხშირად მოდიან წყვილები ამ სურათთან და საუკუნო საყვარულს ეფიცებიან ერთმანეთს, მაგრამ უკვე გვიანია საყვარლებო, ვიკეტებით, ასე რომ ღამე მშვიდობისა.

მათ პირველად შეხედეს ერთმანეთს, რომელთა თვალებში თანდადან „ვარსკვლავთა ღამის“ კოსმიური ანარეკლი მირაჟივით ქრებოდა და რეალური კონტურები იკვეთებოდა, მათ ერთნაირად გაუღიმეს უნებლიე მაჭანკალს, ერთნაირად მოუბოდიშეს და ერთი მიმართულებით გავიდნენ შენობიდან.

-Je m'appelle Jor დამტვრეული ფრანგულით გაცნო გიორგი სათვალეებიან ღამაზ გოგონას.

-Enchanté. ქართველი ხართ?მე ლანა მეკვია, სუფთა ქართულით მიუგო ღანამ.

-საოცარია, ამდენ მილიონიან ქალაქში ორი ქართველი შევხვდით ერთ მუზეუმში, ერთ დროს, ერთი საყვარელი მხატვრის შემოქმედების სანახავად და ბოლოს ერთი ყველაზე საყვარელი ტილო მოვიტოვეთ გემრიელი ლუკმასავით.

-ღიახ, შემოქმედებას უყვარს საოცრებების მოხდენა. აქ სამუშაოდ იმყოფები გიორგი?

-არა, სამკურნალოდ ჩამოვედი, თირკმლის დონორს ველოდები კლინიკაში.

-მაპატიე,არ ვიცოდი.თუმცა მსგავსი ოპერაციები კარგა ხნის აპრობირებულია, ყველაფერი კარგად იქნება დარწმუნებული ვარ.j.

-ჰო, მაგრამ დონორი არ ჩანს და ყოველდღე მტკივნეულ პროცედურებს გავდივარ. მოდი სხვა თემაზე გადავიდეთ.

-მე დედასთან ჩამოვედი, რვა წელია არ მინახავს და ვინაზღაურებთ დაკარგულ წლებს. ღიმილით უთხრა ღანამ.

გიორგიმ ღანა სახლამდე მიაცილა და შეხვედრა მეორე დღისთვის ლუვრში დათქვეს. მიდიოდა პარიზული დღეები,

პარიზული შარმით და ორი სასწაულებრივ მოსიყვარულე გულის შეერთებით. ორი კვირის თავზე გიორგის ჰიუგოს კლინიკიდან დაურეკეს, დონორის და დანიშნული ოპერაციისთვის მზადების შესახებ აუწყეს. გახარებულმა დაურეკა ლანას.

–ხვალ კლინიკაში ვწვები, უსასყიდლო დონორი გამომიჩნდა, რომელიც თავს არ ამჟღავნებს, ღვთის სასწაულია ლანა, წინასაოპერაციო მოსამზადებელი პროცედურები იწყება და სალამოს ბულვარში შევხვდეთ, იქ მოგიყვები დაწვრილებით ყველაფერს.

–ხომ გეუბნებოდი გიო, ძალიან გამახარე, მინდა გნახო საყვარელო, მაგრამ რამდენიმე დღით დედასთან ერთად ქალაქგარეთ გავდივარ, არ მიწყინო, დარეკვას ვაპირებდი. ძალიან მინდა შენი ნახვა, მაგრამ არ გამომდის. ოპერაცია რომელ დღეს დანიშნება გამაგებინე, ვილოცებ შენთვის. გკოცნი. მალე გინახულებ.

მეორე დღეს გიორგი ჰიუგოს კლინიკაში დაწვა, ოპერაციაც მესამე დღისთვის დანიშნა. ლანას დაურეკა, მაგრამ ტელეფონი გათიშული ჰქონდა. მეორე დღეს პროფესორი შემოვიდა, შესაბამისი პროცედურა ჩაუტარდა მისი მითითებით, გამოელაპარაკა, გაამხნევა. გიორგიმ სთხოვა დონორის ვინაობა ეთქვა, ცოცხალი იყო თუ გარდაცვლილი, რომ მისთვის ან მისი ოჯახის წევრებისთვის მადლობა მაინც გადაეხადა, მაგრამ პროფესორმა აუხსნა, რომ კანონს ვერ დაარღვევდა და კონფიდენციალობას ვერ გაამჟღავნებდა. შემდეგ საუბარში სხვათაშორის დასძინა, რომ კლინიკის ოფთალმოლოგიურ განყოფილებაში გიორგის სამშობლოდან, ქართველი პაციენტი თვალის რქოვანას ტრანსპლანტაციის რიგში იდგა და თუ დროზე დონორი არ გამოჩნდებოდა დაბრმავების საშიშროების წინაშე აღმოჩნდებოდა. გიორგი არც დაფიქრებულა:

-მუსიე პროფესორო, შეიძლება მე გავხდე უსასყიდლო დონორი? პროფესორს მოეჩვენა რომ მოეყურა.

-რას ამბობთ? ადამიანს არ იცნობთ და მისთვის მზად ხართ მხედველობას შეეღიოთ?

-სისხლის ჯგუფს, „დნმ“-ს აქვს მაგ დროს მნიშვნელობა? განა ჩემთვის სრულიად უცნობმა ადამიანმა არ მოილო მოწყალება? მე თანამემამულე რომაა ის მაინც ვიცი და თან ერთი თვალი საკმარისი მგონია სამყაროს აღსაქმელად.

-ჟორჟ, მაგ საკითხზე ოპერაციის შემდეგ ვისაუბროთ, უთხრა პროფესორმა და გავიდა.

გიორგიმ კიდე სცადა ლანასთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. შემდეგ მესიჯში დანიშნული ოპერაციის შესახებ მიწერა და ფიქრებში წავიდა.

თვალეები ინტენსიური თერაპიის პალატაში გაახილა, ექიმმა გაუღიმა და წარმატებული ოპერაციის დასრულება მიულოცა. გადიოდა დღეები, ახალგაზრდა ორგანიზმი სწრაფად ჯანსაღდებოდა, თერაპიის კურსებიც დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლეოდა. ოპერაციიდან მეოთხე დღეს ლანა დაუკავშირდა.

-გიო,არ მიწყინო, შენს შესახებ ყველაფერი ვიცი, პროფესორისგან, უბრალოდ ნებას არ მრთავენ გინახულო, არ მიშვებენ, ალბათ ასეა საჭირო. გენაცვალე, გილოცავ და მიყვარხარ, ექიმმა მაქსიმუმ ათ დღეში შეგიძლია ინახულო.

-როგორ მომენატრე ლანა, სულ შენზე ვფიქრობდი ეს დღეები. ტელეფონზე მესიჯები ნახე?

-გიო, ის ნომერი და ტელეფონი დამეკარგა თუ მომპარეს სამწუხაროდ, ეს ახალი ნომერია.გკოცნი ჩემო კარგო, დროებით.

ორი კვირის თავზე გიორგი, პროფესორის და კლინიკის იურისტის თანხლებით თვალის რქოვანას უსასყიდლო დონორო-

ბის ხელშეკრულებას გაეცნო, პაციენტის სახელი და გვარი ამოიკითხა და გაცემისგან გაფითრდა. გრაფაში ელენე იოსელიანის გვარი, იგივე ლანას გვარი ეწერა. პროფესორმა შეამჩნია შეცბუნება და ჰკითხა ხომ არ იცნობდა პაციენტს, მაგრამ გიორგიმ იუარა, ხელი მოაწერა და პროფესორს კიდევ ერთხელ თხოვა, რომ კანონით განწერილი, მისი კონფიდენციალობა დაცული ყოფილიყო. ორ დღეში ოპერაციაც დაინიშნა.

ლანამ თვალები გაახილა და მშიერის, ველური მადით მოავლო მზერა ირგვლივ მყოფ საგნებს, ყველაფერი ვან გოგის პალიტრით ჩანდა, თავთან უზარმაზარი თაიგული იდგა ბართით: ლანა გილოცავ წარმატებულ ოპერაციას, თვალცრემლიანმა პროფესორმა დღეს მითხრა, ვისაც შენ თვალის რქოვანა გადაუნერგე სწორედ ისაა შენი თირკმლის დონორიო, ასე რომ ჩვენ ორ სხეულში განთავსებული ერთი კი არა, ერთ სხეულად ქცეული ერთი სული ვართ ჭეშმარიტად! დღეიდან შენ ხარ ჩემი თვალები. სიყვარულით, შენი გიორგი.

„მისაფლავებები“

დაჩრჩილული სკივრი დაკოჟრილი ხელებით გამოათრია, საქორწინო სამოსი ხელისკანკალით ამოალაგა, სკივრში მიცვალელებული ჩაანვინა, სიძველით შეყვითლებული ფატა თავზე დაახურა, ხვნიშით ეზოში გამოათრია და იქვე სახელდახელოდ გათხრილ სამარეში ჩაასვენა, იქვე ერთგულ ბებერ ძაღლს, იმედით თავზე ხელი გადაუსვა და ნიჩბით საფლაფზე მიწის დაყრა დაიწყო. ძაღლი ზღაზღვნით წამოდგა და მიწა უკანა თათებით მიახვეტა სამარეს. პატრონმა სიყვარულით გახედა ძაღლს, სიცარიელეს ირგვლივ თვალი მოავლო, პირჯვარი გადაისახა და მეორე საფლაფის გათხრა დაიწყო.

ჯუკულია

ხუთი წლის უნახავი მქონდა მამის საფლავი, „უცხოობაში რაა სიამე“ და როგორც კი ჩანთა მივაგდე სასაფლაოზე გავედი. სავსე მქონდა გული ლოცვით და აღსარებით, ერთი სული მქონდა როდის დავიჩოქებდი მამაჩემის ქვასთან, დავადებდი თავს და მოვუყვებოდი წლებით ნაგროვებ ცოდვა-მადლს. სავანის ჭიშკარი გავალე და კარის ჭრიალმა დაარღვია ჭრი-ჭინების, სასაფლაოების ამ ერთგული მგალობლების კაკა-ფონია, ფეხქვეშ კი შავჯვრიანი მენამული ფერის ხოჭოები შემომეხვივნენ, ეს ერთგული მცველნი ჩვენი მიცვალებულების. მსგავს ხოჭოებს ყურღან-აკლდამების და სავანეების გარდა ვერსად შეხვდებით. მამის საფლავთან ვილაც კაცი იჯდა, ხელ-ჯოხს თლიდა. გულში გავიფიქრე ამ ოჯახაშენებულმა სხვა ადგილი ვერ მოძებნა, კიდე ხის ნაფცქვენები აკლია ამ ხნის უნახავ საძვალეს მეთქი და ის იყო მისალმება დავაპირე, რომ მომესმა ეს კაცი ვილაცას ელაპარაკებოდა. ინტერესით გავ-ყურდი და ყური დავუგდე.

-გახსოვს ბიჭო ნოდარია „მახუტუნა“ რომ არ წევიყვანეთ ალილოზე? სმენა არ გავს თქვა და მერე სახლში „ჩიტი ლობეზე შემოჭდა“ ვუმღერეთ და შაურიანის მაგივრად აივნიდან რომ გადმოქვაფსა თავზე? სიცილი კი არა ღმუილი მინდოდა, მაგრამ ასეთ „აღსარებას“ არ შევსწრებივარ არასდროს, ფეხზე მაგრად ვიბწკინე და სმენად გადავიქეცი. ვიცანი მამაჩემის ბავშვობის ძმაკაცი ჯუკულია კვატაშიძე.

-ბიჭო, გიგლაია „მასკოვსკი“-მ დამირეკა ამას წინათ, ხო არ აციებ ჩვენი ნოდიკოს საფლავსო. მე ვუთხარი, მე კი არა ნოდარია გვითბობს იქით ადგილებს თქვა. ენატრება იმასაც აქაურობა, მარა რა ქნას, ალბათ რო შვეტავენ იტალიურ კუბოში ასი წლის მერე, მაშინ თუ ჩამოვა. ჰე, შენც მომიყევი ახლა

მართო მე რომ მაღაპარაკებ შე კაცო. მაქით რა ხდება, რავაა ჩვენები. მამაჩემი კილო სვამს არაყს? ამ ჯოხს რატომ ვთლი? რატო და დავბრმავდი ნოდარია ორი კვირის წინ, არ გაგიკვირდა რომ არ მოვედი? მარა თქვენ მაქეთ წინასწარ გებულობთ თურმე რა ელოდება კაცს. ერთი ვერ დამირეკე შე უნამუსო, გეგეფრთხილებიე მაინც. მარა ალბათ მოგებზრდა ჩემი ლაყაფი და იფიქრე დაბრმავდეს ერთი, მაგისგან მაინც მევისვენებო, მარა არ გაგივიდა ნომერი, ჩემ ამოიას დავყავარ. ახლა აგერ ჯოხსაც მევილევე და ეგი იქნება ანი ჩემი თვალებიც და კომპასიც. კაი ბიჭი გყავს ნოღია, ყველას უყვარს. შენსავით გული აქ, თბილი. ამბობენ მალე ჩამოვარო, მინდოდა ნახვა, მარა რალას დევინახავ ანი, სამაგივროდ ხმას ხო გევიგონებ, ასაკში რაც შევიდა სულ შენზე უგავს ხმა. ნაბოლარა ბიჭია და სამი გოგოს მერე ნამეტანი გულით გყავს ნაკეთები. გახსოვს ბოვშობაში მანქანა რო დაამტვრია და რაფერ უთხარი, სიბერეში ნაკეთები აბა კაი რა გამოხვიდოდიო? ეჰ ნეტაი იმ დროს. წევედი აბა ანი მე სახლისკენ, არ მეიწყინო, ხვალ კაი ამინდი თუ იქნა ქე გამოგივლი, თუ არადა სიმონას ეთამაშე ჩემი ხელით ნარდი, ბოლოს 3:1 ვაგებდი და ჩემს ჩამოსვლამდე ეგება გამოუგო, თუ არა შემჭამა სიზმრებმა. წამოდგა ნელნელა, წინ ხელჯოხი წაიმძღვარა და სვენებ-სვენებით გაყვა სახლისკენ გზას. მე ვიდექი სიხარულით, სევდით, სიყვარულით სავსე და უსაზღვროდ ბედნიერი, მამაჩემის ნაპატრონებ საფლავზე, რომელსაც არამცთუ მლოცველი, არამედ გამომლაპარაკებელი არ მოკლებია. ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ და ჯვრიანი ხოჭოები დაცოცავდნენ საფლავებზე, ყოველი სული აქებდა უფალს, შორიდან ჯუკულიას „ანტიგონე-ჯოხის“ კაკუნი მოისმოდა!

ოშურეთი

ვიცი კითხულობ ჩემს წერილს, ვხედავ დამაშვრალის სურვილით გინდა ჩაიკითხო, მაგრამ როგორც არასდროს, ისეთი ყურადღებით მინდა თითოეული სტრიქონი გაიაზრო და რაც მთავარია გულისხმაჰყო. სიკვდილი არ არსებობს ბაბუ და რაც არ არსებობს იმის არ გეშინოდეს უნდა კაცს. როცა ჩვენ ვართ ის არ არ არის, როცა ის მოდის ჩვენ აღარა ვართ. მე რაც ვნახე ის კარია, გალაქტიონის „ვარდისფერი“ კარი, რომელიც ადებს უსაზღვრო სამყაროს. გახსოვს ქრისტესისხლა, რომ მონწყვიტე და თითებში გასრისე როგორი ზეთოვანი სითხე დაგიტოვა თითებზე და თითქმის მთელი დღე გიყვებოდი მის „ანატომიას“, სამკურნალო თვისებებზე, მითს რომლითაც პრომეთეს უმკურნალეს, მის მოლეკულურ შემადგენლობაზე, სწორედ ასე, მოლეკულის, ატომური ნაწილაკების, მიკროსკოპული თვალით და ყურით აღიქვამ სამყაროს, ყველა ფერს და ულტრაბგერას ყოველგვარი მონწყობილობის გარეშე. სხეული ჯავშანი ყოფილა ჩვენი, რომელიც გვიცავს წუთისოფელში ამ სიდიადისგან, როგორც სპეციალური სამოსი, კომბინიზონი რადიაციისგან, რადგან ფიზიკურ სხეულს არ ძალუძს ამის დატევა, ის მხოლოდ სულის ნიჭია. სიყვარულიც კი რომელიც სიყვარული გვგონია სუროგატია ამ გრძნობასთან შედარებით რასაც აქ განვიცდი, ამიტომაც წუთისოფლის გაგების ძლიერი სიყვარული ვერ ხარობს დედამიწაზე, ვერ ძლებს სხეულში და მალე „წავს“ ადამიანებს. საკმარისი მაგალითებია: ტრისტანი და იბოლდა, კლეოპატრა და ანტონიუსი, ლანსელოტი და გუინევერა, პარისი და ელენა, ორფეოსი და ევრიკიდე, შექსპირის გმირები და ასე შემდეგ კიდევ უსასრულოდ. „ენგადი“-დან გეხსომება მოხუცი ხევსურის სიტყვები: „ღვთიურ არს სიყვარული, ხორციელ იგემებ-უმაღლ მოჰკლავ მას, იწვოდა მხოლოდ!“ ასეა

ჭეშმარიტად! აქ არ არსებობს მტერი და ყველაზე ახლოს ღმერთს მსოფლიო წმინდანებიდან ლუკა რაზიკაშვილი ჰყავს თავისთან, რომელმაც მოახერხა წუთისოფელში არამცთუ მტრის შეყვარება, არამედ მტრის, როგორც ობიექტის საერთოდ არარსებობა. ახლა ვხედავ პირზე შენეული, ონავრის ღიმილმა გაითამაშა, ვიცი ფიქრობ, ბაბუაჩემი იქედანაც არ ეშვება ფილოსოფიასო და სხვა არაფერი ყოფილა ბაბუ ფილოსოფია თუ არა ღვთის სიბრძნის წვდომა, ტყუილა არ ვთხოვთ თურმე ფსალმუნში: „უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამოგვიცხადენ ჩვენ“, ამ სიტყვების ჭეშმარიტება აქ იხსნება სრულად. თვალწინ დაგიდგა ალბათ აღდგომის მარხვა, ფსალმუნობა, გალობა, პირველი აღსარება, ის სიტყვო რომელიც მსახურებას ახლავს, მაგრამ ეს ყველაფერი საშუალებებია ბაბუ ღმერთთან მისაახლოებლად, მიზანი ღმერთთან, ღმერთში ყოფნა და როგორც ზეთი ვერ შეერევა წყალს, ისე ვერ შეურთდები უფალს თუკი შენი საუნჯე სხვაგან იქნება დაუნჯებული. ასე რომ რწმენა, იმედი, სიყვარული ის სათნოებებია, რომელიც აქ მოგიყვანს, როგორც კიპლინგის კა-სიბრძნემ, ბალუ-ძალისხმევამ და ბაგირა-რწმენამ დააბრუნეს მაუგლი ადამიანებთან. ასე რომ ბაბუ არ შეცბე, წუთისოფელი სხვა არაფერია თუ არა პატარა გასეირნება მარადიული ცხოვრების წინ, არ შეშინდე, რადგან ღმერთმა „არა მოგცვა ჩუენ სული მოშიშებისაი, არამედ ძლიერებისაი და სიყვარულისაი და სიწმინდისაი“.

P. S. და ბოლოს ბაბუ, სულ გიყვარდა მათეს სახარებიდან ამის თქმა ჩემზე, როცა ფარა დაგჭირდებოდა: „ჯერ არსა მიცემა ხარკისა კეისრისა, თუ არა?“ ჰოდა ვაძლევ კეისარს კეისრისას, საბჭოთა ენციკლოპედიის მეორე ტომში ორასი მანეთია ბაბუ, მოიხმარე სიკეთეში.

ჯგირო ვორდა!

კაპიტონა

რაიონში ცნობილმა მონადირე კაპიტონამ ბავშვობაში აბა-შაზე წამიყვანა სათევზაოდ შებინდებულზე, ერთი აცმა წვერა და ბოლოწითელით ხელდამშვენებული მივადექი სახლს და ბუხართან ვახშმის მოლოდინში „იდილიური“ დიალოგი გაიმართა.

- რატო არ შემოუშვი ბაბუა გერმანელები საქართველოში?

ბაბუაჩემმა მათრახის ენას ტარზე გასანთლული თასმა მოუჭიმა, ასანთით მოწვა, მერე სულუგუნის გადაზელაში გართულ ბებიაჩემს გახედა:

- რა გითხარი ლილი, ბალანა არ გაუშვა კაპიტონასთან ერთად ჭალაში თქვა.

- რავა, მოწია რამე?

- მეტი რა უნდა მეწნია, დილას საბჭოთა კავშირის ჰიმნს მღეროდა და ახლა „ზიგ ჰაილ“-ით მესალმება.

- რაოო? ბებიაჩემმა ხელისგულების ქავილით გახედა ბაბუაჩემის ახლადმოჭიმულ მათრახს. ტანში შუშა კიტრის ხორკლებმა დამაყარა და საწყალი კაპიტონა ჩავუშვი თავის სათევზაო ვალინკებიანად ჩემს მიერ უნებლიედ მოწყობილ სასამართლოზე. კი მაფრთხილებდა კაპიტონა, სახლში არ წამოგცდეს ჩვენი ლაპარაკი თუ არა, მე კი გოუძლებ ბიძია ბაბუაშენის პანდურს, შენ გაკვივლებენ ტყვედ ჩავარდნილი პარტიზანივითო, მარა არ დაფუჭერე.

- კიდევ რაო, რა სიბრძნე აფრქვია ბაბუ მაგ ბორომ..

- რაო და ბაბუაშენმა ორმოცი გერმანელი ერთად გაუშვა საიქიოში ერთი ბომბითო, უსინდისოდ უკნიდან მიეპარა და ისევო.

–არა, ელე-ბებიაშისი სამ ტელეგრამას გოვეგზანდი, ზურგიდან გეპარებით თქვა. შეიფერა ბაბუამ და სიამაყის ფარულმა ღიმილმა გაურბინა.

–მერე?

–მერე ასე თქვა, იგი მიკვირს, როდის მოასწრო ომი ბაბუა-შენმაო, ფრონტზე რომ გეინვიეს, ეშელონის კარი რუსებმა დოუკეტეს და სამი დღის მერე გერმანელებმა გოულესო.

აქ წამიერ პაუზას ბაბუაჩემის მხრიდან მოჰყვა გრძელი, იტალიური რიტმის, მეგრული თანხმოვნების, ჩემთვის აქამდე უცნობი ალიტერაცია და ზურგიდან მოპარული ბებიაჩემის ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევა, რაც ჩემი მარჯვენა ყურის ლიტვის საზღვრიდან ბლაგოვეშენსკამდე განელვასი გამოიხატა და პირველი ვოკალური მონაცემის გამოვლინება ფალცეტის სახით.

–ხომ გითხარი ავთა, ნუ ეთამაშები ნარდს ფარაზე, მყრალი ენა აქ და მოდებს სოფელს თქვა.

–გაჩერდი შენ მაქ, მიხედე მაგ რძეს. წამო ბაბუა ჩემთან, კაპიტონას სივილს გავაგონებ ჭალადიდში მაგის ნადებერტირალ ნახევარ ძმას.

–მე ყურს ხელი გავუშვი, ბაბუამ შემომხედა, ამის ასე შარაზე გასვლა არ იქნებო და თავი, უფრო სწორად ყური, ყაბალახით ამიკრა. მერე თავის ოთახში შევიდა, იქედან რალაცა შეხვეული ჭიბეში ჩაიღო და მივადექით კაპიტონას ოდას. ჭიშკარში ჭეკამ ერთი მოვალეობის მიზნით დეიყეფა, კუდი გავგიქიცინა და ტყვედ აყვანილი მონასავით წაგვიძღვა „შტაბისკენ“.

–კაპიტონა! ჰაიიტ კაპიტონაა!

–მინარე პატენი? კარში კაპიტონამ გამოყო თავი და პირდაპირ წარბებსშუა დააჯდა პარაბელუმის ლულა.

–„ვა დოკვილა“ ავთა ბიძი, სქანი ჭირიმა.

–გამოიტანე ნარდი, არაყი, მისაყოლებელი აგერ ტაბლაზე.

–ახლავე სქანი ჭირიმა, მარა განიე მაგ ეშმაკის მოგონილი, არ გაგივარდეს, აუფ რა ლამაზია ავთა ბიძია, მაგისგან ქე ღირს კაცის სიკვდილი, წაიფირფერა გულწრფელად.

–შენ არ გელირსება მაგი, უთხრა ბაბუამ და სახელდახელოდ გაშლილ ტაბლაზე ამღერდა ზარი.

პირველი ორი რუმკა არაყის გადაკვრას და ტაბლის ქვეშ კაპიტონას ხოხიალს სიცილ-კისკისით შევხვდი, მერე ძილმა თავისი ქნა, თვალები გამთენიისას გავახილე. ტაბლასთან პარტიზანსკი სატინის ტრუსიკით იჯდა შიშველი კაპიტონა, ნარდი აელაგებინათ და ბაბუას ეხვეწებოდა:

- ჩავიცვამ ავთა ბიძი და ისე დავლიოთ, სირცხვილია სუფრასთან, აგერ ბოვშსაც გვეღვიძა.

- იჯექი მაქ, უყუროს ფრიცები და მოლაღატეები როგორ ისტებიან. აბა გერმანელებმა გოულეს ხომ კარებიო? ხომ გაგიღე და მიგასამარე იმ შენს გაღებულ კარებში, მაგრად რომ კეტავდი წელან შენი ჭკუით. ადე ბაბუ, წავიდეთ ახლა სახლში, სანამ მოგვადგა ბებიაშენი „ცენტრალით.“ მერე საყოვლადწმინდაო შესვა, გალურჯებულ კაპიტონას ჩემზე გადაფარებული ნაბადი მოახურა, კაპიტო გალღვა, ბაბუამ ტაბლაზე დადებული იარაღი აიღო და უთხრა:

- მამაშენი ჩემი ძმაკაცი იყო ბიძი,მართალია თავის სახელზე ურემი არ ყოლია, მარა ასი ურემი ვერ აწევდა იმხელა სიყვარულს იტევდა მისი გული. მე ჩამაკვდა კი იცი ხელში, ბოგირი რომ ამოუბრუნდა. ამ იარაღს მამაშენზე ვიყავი შეპირებული ხის სამზადისს თუ ჩამიდგამდა მაშინ, მარა არ დაცალდა სანყალს. აილე შენი იყოს, ვიცი რომ მოგკვდები მერე მაინც არ მოასვენებ ჩემებს და ჯობია ისევ მე მოგცე, ამაში მაინც დამრ-

ჩები მადლიერი, თორე მეტი არაა ჩემი მტერი შენ ანი ნარდის თამაში ისწავლო.

თვალზე ცრემლომდგარ, გაოგნებულ კაპიტოს ნაბადი მოაძრო, ხელში იარაღი ჩაუდო, კარები მოიხურა, ნაბადი მო-
მახურა და მიჩურჩულა:

–ხომ იცი ბაბუ, აქ რაც ნახე არასოდეს, არავის არ უნდა უთხრა. არავის და არასოდეს!

ვალოდია ბრიგოლავა - კახობის მამიანე

ქუთაისში, რუსთაველის №-ში კაცი ცხოვრობდა, ბავშვობაში მეგონა სული იყო, ჰაერივით შეუმჩნეველი და ოლასკურიდან მონაბერი ჟანგბადივით სასიცოცხლო, ქალაქის ფილტვები და გული, ნატიფი მანერებით, კეთილი ნაკვეთებით, ბუბუნა ხმით. თითქოს მასში ქალაქის სული შეესახლებინა აზრთაგამრიგეს. პროფესიით ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, მაგრამ მისი ყოფა სცდებოდა ფიზიკურ ჩარჩოებს და გაკვეთილი იწყებოდა ოთარ სულაბერიძის, ქორქიას, კოლია ქვარიანის, აღდგომელა გლოველის, ბოჭოლია ლომიძის ჰეროიკული თავგადასავლე-
ბით და მათი ცხოვრების საინტერესო ეპიზოდების გახსენებით:

–ყველაზე დიდი სახეობა კაცობაა გახსოვდეთ ბიჭებო, მერე ხარ კარგი კალათბურთელი, მოკრივე, მოჭიდავე და ტანმო-
ვარჯიშე. ყველა კაცი თავისებურად უკვე სპორტსმენია, მაგრამ ყველა სპორტსმენი ვერაა კაცი. ამიტომ დღეს პატარა ლაშქ-
რობას მოვანყობთ და გაგაცნობთ „სპორტის“ ამ სახეობის ერთ–ერთ წარმომადგენელს. ოლასკურის სასაფლაო ჩვეული მისტიური შრიალით შეგვხვდა. მაღლობზე „მეობას“ ძეგლი ფუძის ანგელოზივით დაჰყურებდა სავანეს. საფლავის ირგვლივ შემოვენწყვეთ, მასწავლებელმა წაიჩოქა, საფლავის გულზე

წაქცეული სანთელი გაასწორა, აანთო, რაღაც ჩაიბუბუნა, გრანიტის სკამზე ჩამოჯდა და მშვიდად დაიწყო:

–ეს ღმერთკაცი ოთარი (მეობა) სულაბერიძე კალათბურთელი იყო, მეორე მსოფლიო ომში, დაზვერვის დროს, პირისპირ ორი გერმანელი ჯარისკაცი შემოეფეთა, ერთი მთლად უწვერული იყო, ის შეყოვნდა, მეობამ დრო იხელთა და ესროლა, თანმხლებმა იარაღი დააგდო, ჩაბარდა და სულთმობრძავ ძმაკაცს მივარდა, რომელიც რაღაცას ეუბნებოდა მშობლიურ ენაზე. რამდენიმე წუთში ხელში ჩააკვდა მეგობარს. თვალზე ცრემლ მომდგარმა გერმანელმა ოთარის რუსულად უთხრა: შენზე თქვა, ისეთი ლამაზი იყო ვერ ვესროლეო. იმ დღიდან შეიცვალა ოთარის ცხოვრება და იმ წუთიდან გახდა ოთარი „მეობა.“ ომი დამთავრდა, ოთარი ჩამოვიდა, მაგრამ ომი მისთვის სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ დამთავრებულა. მან მთელი ცხოვრება ხალხის სიყვარულში გაატარა, მაგრამ ის მუდამ მარტო იყო, მარტოსული, ერთადერთი, როგორც ალუდა, უკეთესი თანასწორთა შორის. რომელიც თემმა კი არ გარიყა, პირიქით შეისისხლხორცა, მაგრამ თავად გამოიჩინა თავი თემიდან, მტრის უსაზღვრო სიყვარულით, რომლის დარდი ძეგლის მჭმუნვარე გამოხედვაშიც კარგად ჩანს. მერე გულის ჯიბიდან სამხედრო „ფლიაშკა“ ამოიღო, მოსვა, ცოტა საფლაავზე დაღვარა, ქვას აკოცა, ჩვენც თვალცრემლიანი რიგრიგობით გამოვემშვიდობეთ, ჩვენც იმ ახალგაზრდა გერმანელთან ერთად მოვეკვდით, ჩვენც იმ ღმერთკაცის დარდის თანაზიარი გავეხდით. სკოლაში როგორ დავებრუნდით არც გვახსოვს, მეექვსე გაკვეთილი იწყებოდა რომ პირველი სართულის სპორტული დარბაზიდან კვილი მოისმა, ყველა გამოცვივდით, სასწრაფოს მანქანა იდგა, სკოლის დირექტორმა ფეხით ფანჯრები ჩალენა, გაიწიეთ მეტი ჰაერი გვჭირდება, მეათე

კლასელი ბიჭები ტიროდნენ, ექიმები ვილაცას სუნთქვით მასაჟებს უტარებდნენ, ვილაცამ იკითხა ვინაა ცუდათო, ვილაცამ ვალოდია გრიგოლავა აღარა გვყავსო, ვილაცამ ნუ აწვალეებთ გარდაცვლილიაო, მეორემ ხელი დაარტყა ხმა ჩაიგდო, ექიმებმა საკაცე მოიტანეს, ვილაცამ პროზექტურა ასხენა, ბიჭები დაიჭაგნენ, საკაცე არავის დაანებეს, მერე კი, როგორც ყოველთვის ყველაფერი სიკვდილის კალაპოტში ჩადგა, გამოჰქონდათ ჩვენი გული, ჩვენი ღმერთკაცების მათიანე, ჩვენი სკოლის და ქალაქის ფუძის ანგელოზი, უბრალო ფიზკულტურის მასწავლებელი, რომელმაც სამარადისოდ დატოვა ჩვენი გულის კერიებში ძალუმად მწველი, გაღვივებული კაცობის ნაღვერდალი..

ღვთისმშობლის დამძკნარი ხელები

აბსოლიტურ სიბნელეში აბსოლიტური სიჩუმე იდგა, მხოლოდ საცეცებით ახერხებდა გადაადგილებას, რომ არა მყარი სხეულები, მისთვის სამყარო არ იარსებობდა, არც სიკვდილი იცოდა რა იყო, რადგან სიცოცხლეს რა ერქვა ვერ გაერკვია. მისი ცხოვრება სიბნელისა და მყუდროების უსასრულო თავისუფლება გამხდარიყო, თუმცა არც ციხე იცოდა რა იყო და არც თავისუფლება. მას ხელის შეხებით აღვიძებდნენ, რაღაც გაურკვეველ ბლანტ და რბილ საგნებს პირში უდებდნენ, ცხელ და ცივ სითხეებს ასმევდნენ, აცმევდნენ და სადღაც მიჰყავდათ კიდევ, სადაც ხან ციოდა, ხან ცხელოდა, ხან ძლიერი ჰაერის ნაკადი ეხეთქებოდა, ხან კიდევ რაღაც ცივი ფაფუკი სხეულები ადნებოდა სახეზე. ძალიან უყვარდა ენაზე დამდნარი მლაშე წვეთები. ბედნიერი იყო და იმ უცნობ ხელებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სიბნელისა და სიჩუმის ღმერთს ეძახდა, მად-

ლობდა იმისთვის, რომ მასზე ასე ზრუნავდნენ. დაძინების წინ ღმერთი შუბლზე ჰკოცნიდა, მაგრამ ტკიოდა განშორება მასთან და გაღვიძებამდე იმ ჯოჯობიერ რეალობაში ყოფნა, რასაც ძილი ერქვა. ჩასთვლემდა თუ არა კაშკაშა სინათლე თვალს სჭრიდა და ყურში აუტანელი ხმაური თავის ქალას ჰხდიდა. ჰხედავდა უამრავ ქაოტურად მოსიარულე სხეულებს, შენობებს, ლითონის სწრაფად მოძრავ ყუთებს, სადაც სხეულები გაშეშებული იხდნენ და გაურკვეველი მიმართულებით გადაადგილდებოდნენ. შიში იპყრობდა და სურდა თავის სამოთხეს სწრაფად დაბრუნებოდა, მაგრამ ჯოჯობიერი გრძელდებოდა. ნათლად ჰხედავდა მის ღმერთს, რომელიც ასე უყვარდა, თუ როგორი დამტკნარი სახე და ხელები ჰქონდა, როგორ კოჭლობით გადაადგილდებოდა, როგორ უმზადებდა საჭმელს, როგორ აცმევდა, აძინებდა, შუბლზე კოცნიდა, ძილი ნებისას უსურვებდა, ტკბილად ლოცავდა და რატომღაც შვილოს ეძახდა: - დედი, ვიცი, რომ გესმის ჩემი და მხედავ, მე ამას გულით ვგრძნობ შვილო, დღეს შენ ორმოცი წლის გახდი, დაბადების დღე გაქვს, 40წლის წინ, ამ დღეს მითხრეს ექიმებმა ბავშვი ფიზიკური ნაკლით დაიბადა, შეგიძლია უარი თქვაო, მაგრამ როდის იყო ღმერთი თავის შექმნილზე უარს ამბობდა. მიყვარხარ, სანამ შენ ცოცხალი ხარ მეც ვიცოცხლებ, გილოცავ შვილო, მაღლობა ღმერთს, რომ სიზმრად მაინც გესაუბრები და შეგიძლია დამინახო. ახლა კი გაიღვიძე, შენი საყვარელი ფიფქებით გადაიპნტა ქალაქი, სასეირნოდ გაგიყვანო უნდა.

„ანწყობილა“

„ანწყობილა“ იყო ერთი მოთამაშე, ფარცხანაყანების ტრასაზე „პობედით“ ავარიაში მოხვდა, მოკვდა და მორგიდან, რომ არ გაეკვეთათ, რამიზია ფულარიანმა შეიპარა, სახლში მოსვენებამდე გზაში გეელვიძა და გოგისვანიძეების რესტორნიდან გონებაში ჩარჩენილი „მრავალჟამიერი“ წეიმღერა. მიიყვანეს საავადმყოფოში, მერე მოსკოვში და ხელახლა ააწყვეს. ბოვშად ვიყავი, მახსოვს პარკში ბაით-ბურთს ეყომარებოდა ვიღაც „ზალიოტნი“ ყასაბებს, ზარს რომ მორჩა, სკამეიკაზე გადაწვა, გააზმორა და კამათლების თვალეებით გახედა ღვთის გამოგზავნილ მსხვერპლს:

– „იუზგარ,“ გინდა დაგენიზლავეები რაც მოგიგე იმაზე, იდაყვზე ვიკბენ, თუ ვერ ვქენი, შენსას დეიბრუნებ და წახვალ მშობლიურ სოფელში, თუ არადა ავტობუსის ბილეთი ჩემზე იყოს.

„ზამასკიანმა“ გახედა თავის ამხანაგს, მოისინჯეს იდაყვები, ვერ მიწვდნენ, შანსი არაა ვერ იკბენო. „ანწყობილამ“ ჩათლახისშვილი ვიყო თუ ოდესმე მემესინჯოს, პროსტა გიყურებთ კაი კაცები ჩანხართ და „ვა–ბანკზე“ მიტომ მივდივარო. სანდომიანი გამომეტყველება ეჭვის საფუძველს არ იძლეოდა, მოსულაო უთხრეს. „ანწყობილა“ წამოჯდა, გეიძრო კოსტუმი, შეისხნა მარცხენა ხელი, უკბინა პლასტმასის იდაყვს, მემეხმარე ერთი კაცურადო უთხრა, დეიყენა ხელი მის ადგილზე და წამოწვა ისევ, თან გასაგონად ჩაილაპარაკა, ეგი რაა ჩემი ძმა, თუ გინდა თვალზე ვიკბენო.. თვალზე კბენის შემოთავაზებამ სიფრთხილე გაუორმაგათ წაგებულებს და გამოცდილი ოფთალმოლოგებივით გუგა-რქოვან-წარბ-წამწამის ჩათვლით მოუსინჯეს ყველაფერი და როცა დარწმუნდნენ თვალი ჭიქის არ იყო, თვით-

დაჯერებული გოიმის ღიმილით დაელოდნენ წაგებულის გამოგებას.

„ანყობილა“ ისევ წამოჭდა, გამოიღო პროთეზი პირიდან, იკბინა თვალზე, დააბრუნა განკუთვნილ ადგილზე, წამოწვა და რაღაცის თქმას აპირებდა, რომ ერთი მეორეს მიუბრუნდა:

-ხო გითხარი ჯუმბერია, არ წვედილთ იქინე, არ დევიქცეთ თქვა! აპარპალებულმა ჯუმბერიამ ძმაკაცს გადახედა და წაილულლულა:

-შენც იქანა არ ისმენდი რამიზია ფულარიანმა რო თქვა მაგარი გამოსირებულია, თამაში არ იცისო?

„ანყობილა“ ნაკბენ თვალს სიამოვნებისგან ისრესდა და გონებაში რამიზიას საწილოს ჰყოფდა. ყახბები „აბა ულა“-ს სახეებით მიუყვებოდნენ გორის დაღმართს.

გელა, იგივე „გედეონ რიხტერი“

ქუთაისში, გაბაშვილის გორაზე, ეგრეთ წოდებულ „ხორხების“ ამოსასვლელში, სახლში რომელშიც გალაკტიონს აქვს ნაცხოვრები ჩემს ძმაკაცს „გედეონ რიხტერს“ ეკუთვნის, გედეონი არც უნგრელია, არც ფარმაცევტულ საქმიანობასთან და მითუმეტეს ბიზნესთან არავითარი საერთო არა აქვს, უბრალოდ ფსევდონიმით ვამჯობინებ მის მოხსენიებას, საკუთარი უსაფრთხოებიდან გამომდინარე, რადგან არის ამის რეალური მიზეზი და თუ რატომ, სწორედ მაგას მოგახსენებთ. გედეონი, კაცი შემკული ყოვლითა სიკეთითა, ბრწყინვალე ოჯახისშვილი, განათლებული, მოყვასი, მეგობარი, დამრტყმელი, ბოჰემური ცხოვრების მოყვარული და ა.შ. მაგრამ სიმთვრალე აქვს ათასი კილო ოქრო ვერ იყიდის და ბევრი რომ არ გავავრძელოთ დღის ათი-თერთმეტი საათია, პარკის ბირჟას გააქვს რუზრუზი,

ამ დროს სასწრაფო მანქანამ გააჩერა და რიხტერების სახლის მისამართი იკითხა, ჩვენც ავუხსენით და თან ერთმანეთს გადავულაპარაკეთ, ალბათ ბებიამისს წნევა აქვს თქო. არ გასულა ორი წუთი და „პაჟარკამანდა“ მოგვადგა იგივე კითხვით, ვაჩვენეთ მათაც და ფილარიამ, ახლა არ თქვათ „პაჟარკამანდა“ მანქანის გასარეცხად გამეიძახაო და დაანვა გედეონის სახლისკენ, რომელიც იქვე ას ნაბიჯშია. ჩვენც წამოვდექით ის იყო და მილიციამაც ჩავვიქროლა. ეტყობოდა ამ დღეს კოჭებში, სამუდამოდ დაგვამახსოვრებდა თავს. მივირბინეთ სახლთან, ქუჩა გადაკეტილი, მეხანძრეები კიბეს შლიან, მეზობლებს სახლიდან ლებები და ბალიშები გამოაქვთ და სახლის ძირში აფენენ, სასწრაფო გედეონის ბებიას ასულიერებს, მილიცია ხალხს უყვირის. გაერიდეთ ტერიტორიასო, მაგრამ ბოლი და ცეცხლი არ ჩანს არსად, ევიხედეთ ზევით სახურავზე და გედეონი ზის მესამე სართულის ძვიდღეზე,

ფეხები გადმონწყობილი აქვს ტაშტში მოჭყვამპალე ბოვშივით, ცალ ხელში თოფით, მეორეში „პოლიტრა“, თმები დაბურძგნული და ყვირის, არ მობედოთ ამოსვლა თუ არა მიგანევთ გალაკტიონსო. ქვევიდან მიდის ხვენწა - მუდარა, არ ქნა გედეონ, შენი ჭირიმე, ჩამოდი აგერ დავლიოთ. იქეთ დედა, აქეთ მამა, ჩვენ, მარა არაა საშველი. ერთმა მილიციელმა წავაჟაკცება შეინდომა:

—არ გრცხვენიათ ახალგაზრდავ, როგორ იქცევი, ახლავე ჩამოდი, მანდ არ ამომიყვანო!

გედეონმა ერთი არაკეთილმოსურნედ გადაიხარხარა და ცაში გასროლილი 2 ნომერი საფანტი კურდღლის კურკლივით გადმოგვავარა თავზე. თანამშრომლებმა კოლეგა დატუქსეს იმპროვიზაციის გამო და გაფითრებულმა თავი „ბობიკს“ შეა-

ფარა. ოქროიამ იცის თავის „გაჭედოლი ხარის“ ამბავი და ცდილობს სალი აზრი შეიტანოს სიტუაციის განსამუხტად:

- დევიშალოთ ჯობია, ნუ მიაქცევთ ყურადღებას, დაცლის იმ ბოთლს და „ატეფჩაი“ ვარ სიმღერ - სიმღერით ჩამოვა ძირს.

ამ დროს მეხანძრეებმა კიბის მიღვმა მოინდომეს და სახურავზე აგლეჯილი შიფერი ნარნარად დეეფშენათ კასკებზე. მეორე მეხანძრემ ჭავლი ჩართო, წნევიანმა შლანგმა ჯერ „პინკ-პონკის“ ბურთივით ახტუნავა, მერე შლანგი ანაკონდასავით გასხმარტალდა, ხელიდან გაუსხლტა და სასწრაფოს მანქანაში სიმწრით მოსულიერებული ბებია, მედპერსონალი და ფილარია გედეონისთვის განკუთვნილ ლეიბებზე მიაფერთხა. ჰიდროშოკმა ფილარიას გენიალური აზრი მოუვლინა და განუწულმა სახელდახელოდ გაგვანდო:

- თქვენ აქედან შეიქცით და მე სახლის უკანა მხრიდან მივეპარები, ავძვრები და გავკოჭავ..

- რაის გამკოჭავი ხარ, დეეტიე მაქანა, რაცხა ერთი კბილი გაქ დარჩენილი, იმასაც ჩამოგიგდებს, არ იცი რაცხა გიჟია? უთხრა ოქროიამ.

- აბა, საქამდე ვუყარაულოთ ბიჯო ამას? „ძალღები“ მაინც არ იდგნენ, ერთი გატეხილი მორფის შუშას დავანახებდი და ჩვენ მიგვასწრებდა სააგურებზე „სახარშში.“ კაროჩე უნდა ევიდე კიბებზე, ახლოს თუ მიმიშვა ჩუმაღ ვეტყვი.

-არ გინდა ფილარია, წერას ყავხარ ყვანილი..

იქნება - არ იქნება, ავალ—არ ახვიდე და ფილომ ბოხი ხმით დაიყვირა:

- რა ამბავია აქანა კაცო, რა ცირკი მოაწყვეთ, მოვრალი კაცი არ გინახიათ, წადით სახლებში, სეირის საყურებლად ხართ მოსული?! თან ცალი თვალით გედეონის რეაქციას ამოწმებდა სახურავზე. მიდი ერთი მიაღვი კიბე თუ ძმა ხარ,

ჩემს ხელში გაზრდილი ბოვშია, ავალ რალაც მაქვს სათქმელი, მაგი თქვენ რო გიყურებთ მიტოა განერვიულებული. აქ ფილო აშკარა თვითშთაგონებასა და გედეონის გულმონწყალებობაზე მუშაობდა. ფილარია ვარ, ამოვდივარ ძმა, მაგარი საჩუქარი მაქ შენთვის, ყურში მინდა ვითხრა და თან სახანძრო კიბის პირველ საფეხურებს შეეთამაშა.

–არ ამოხვიდე ფილარია თუ არა, მოგიწევს ფრთების გაშლა. ჩამოძახა გედეონმა.

–კაი ახლა ნუ გაახურე ძმა. თან ნელნელა უახლოვდებოდა სიკვდილს.

–მე მითქვია, გეუბნები..

–რა იყო ბიჭო, რო იცოდე რა საჩუქარს გიკეთებ და უკვე სახურავის ჟოლოპთან მიუწია, თავი მალლა ასნია რომ გედეონმა წარბებშუა დაადო „ტოზი“, თან ორივე ფეხები ჟოლოპზე მიბჯენილ კიბის წვეროებს მიაჭირა, კიბე ქუჩისკენ გადმოიწია, შეტორტმანდა.


–ე ბიჭო გედეონა არ დამლუპო!

მარა უკვე გვიან იყო, ფილარია კიბის წვეროს ჩაფრენილი, ანძაზე ჩამოკიდებული დროშასავით ფრიალებდა ჰაერში და ლოცულობდა, ღმერთო მშვიდობით დამაგდე ძირსო. კიბემ ერთი შეიტორტმანა, გადაქან-გადმოქანდა, მონყდა ცენტრიდანულ ძალას და გაბაშვილის პარკის ასწლოვან, სუროიან ეკლებში გაადინა ზღართანი. ყველას დაგვაფიწყდა რიხტერები, გედეონი, ბებია და თავგუდმოგლეჯილი ფილარიას სავარაუდო დამინების ეპიცენტრიკენ გავიქეცით, მარა 44 ზომის ფეხსაცმლის გარდა არაფერი ჩანდა, ვილაცამ რიონის ხეობისკენ გადაიხედა, ვილაცამ კატაპულტირების სავარაუდო ტრაექტორიას დაუნყო გამოთვლა, ვილაცამ ხელი ჩეიქნია, რომ ზეციდან ფილარიას გაანგელოზებული მინავლებული ხმა ჩაგვესმა.

–ნიკუშია, აგერ ვარ, მოაყუდებიე მაგ დედამ....ებს კიბე, სანამ აქედანაც ჩამოვარდი. ასწლოვანი ეკლის სუროდან ფილო შავი შაშვივით ნაბავდა თვალებს...



რუსუდან სალუქვაძე



დავიბადე 1952 წლის 29 ნოემბერს, ოზურგეთის რაიონში. აქვე დავამთავრე საშუალო სკოლა სოფელ ლიხაურში. 1972–1978 წწ ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში. 1978 წლიდან 2004 წლამდე ვმუშაობდი ქ.

ბათუმის ბავშვთა პოლიკლინიკაში: უბნის პედიატრად, განყოფილების გამგედ, მთავარი ექიმის მოადგილედ, მთავარ ექიმად. 2005 წ. - 2008 წლებში სოციალური დაზღვევის ერთიან სახ. ფონდის აჭარის ფილიალში: განყოფილების გამგედ, უფროსის მოადგილედ. 2008–2010წლებში ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსი. 2010წლიდან დღემდე სოციალური მომსახურების სააგენტოს აჭარის ფილიალის უფროსის მოადგილე. მყავს ორი ქალიშვილი მარიამ ვასაძე დაბ. 1989წ და ეკატერინე ვასაძე დაბ. 1991წელი მიუხედავად ჩემი პროფესიისა ვარ ადამიანი, რომელსაც ლიტერატურა და ხელოვნება ძალიან უყვარს.

ვინა ვარ ?

ერთი უბრალო ქალი ვარ,

დედა ვარ, შვილი ვარ,

ცოლი ვარ. ცოტაა?

დეიდა, ბიცოლა და დაცა ვარ,

ბებია? არა ბებია ჯერ არ ვარ.

მასწავლებელი, ექიმი, პოეტი, სინამდვილეში არც ერთი არა ვარ.

რა ვქნა, რაცა ვარ ესა ვარ.

ვინა ვარ?

გურული, იმერელი და აჭარელი ვარ,

ჩემი ქვეყნის სადიდებლად

გულმხურვალე მლოცველი ვარ.

ეს ცხოვრება ჩაილია,

ვერ გავიგე,

მე რა როლი მაკისრია, ვინა ვარ..

ლამაზი ვარ თუ გონჯი ვარ,

ორატორი ვარ თუ მუნჯი ვარ,

მხატვარი ვარ თუ ფუნჯი ვარ.

ვინა ვარ?

თავთავების სიმძიმისგან თავდახრილი ჯეჯილი ვარ,

ყვაფილებით მოჩითული მინდორი ვარ,

ტალღით ნაპირს მოტანილი ზღვის ქაფი ვარ,

მწყურვალისთვის წყლის წვეთი ვარ,

უჩინოსთვის მზის შუქი ვარ.

ბევრია?

დილით მინდორს მოფენილი ცვრის ნამი ვარ,

ციდან ქვემოთ მოფარფატე ფანტელი ვარ,

ქარისაგან მოწყვეტილი,

ხის ყვითელი ფოთოლი ვარ,
ოცნებებით ნაშენები დანგრეული გოდოლი ვარ,
ლერწამი ვარ,
ქართველებს გამოვლილი,
მაგრამ გაუტეხელი,
ვფიქრობ კიდევ ბევრი დამრჩა
თქვენთვის გაუმხელელი.

რუსუდან სალუქვაძე-
2016 წელი. მარტი.

რითმად მოსული ფიქრები

წვიმა

განვიმდა, ისევ განვიმდა ღრუბლებმა დაფარა მზე.
მოვიდა, ისევ მოვიდა რაზეც ვოცნებობდი მე.
წვიმამ დამასველა. თმები დამისველა,
გული გამითბო და ფიქრი ამიშალა.
წვიმამ დამასველა. სული დამისველა,
ცრემლი მადინა და ნირი შემიცვალა.
განვიმდა, ისევ განვიმდა ღრუბლებმა დაფარა მზე.
წვიმის შემდგომი ცისარტყელა ნუთუ მესტუმრა მე.
წვიმამ დამასველა. კაბა დამისველა,
გული ამიჩქარა, ვნება ამიშალა.
წვიმამ დამასველა, მარი ჩემთან იყო,
იმან დამამშვიდა, იმან დამიშალა.
განვიმდა, ისევ განვიმდა ღრუბლებმა დაფარა მზე.
საოცარია, ნუთუ წვიმამ დამაბნია მე.
აღარ დავაყოვნე, ლოცვა აღვაფლინე.
ზეცამ ყურად ილო და, წვიმამ გადაილო.

ჰისი ხარ

შენ ჩემი აისი და დაისი ხარ,
ჩემი მაისი და ივლისი ხარ,
სულის ხავერდი და ირისი ხარ,
მაგრამ სხვისი ხარ.
შენ ჩემი ოცნება და ფიქრი ხარ,
ჩემი ლექსების მუზა და აუხდენელი ზღაპარი ხარ,
ვირტუალური სამყარო და სიზმარი ხარ,

იქ მხოლოდ ჩემი ხარ.

შენ ჩემ დიდი ტკივილი და წუხილი ხარ,
მოწმენდილ ცაზე გაჩენილი ელვა და ქუხილი ხარ,
უეცრად მოვარდნილი ღელვა და გრიგალი ხარ,
ჰოდა ჩემი ხარ.

შენ ჩემი პრელუდია და ფინალი ხარ,
სულში ჩაღვრილი მელოდია და მირაჟი ხარ,
ჩემი გრძნობებით ავსილი სასმისი ხარ
და მაინც მისი ხარ.

შენ ჩემი ეპილოგი და პროლოგი ხარ,
ჩემი მონოლოგის დილეგი ხარ,
თეთრად ნათენები ღამეების დილეგი ხარ,
ჰო, ისევ ჩემი ხარ.

ერთია

შენთვის თქმული ყველა სიტყვა ჩემი სისხლი წვეთია,
ეს ლექსები, შენთვის თქმული, გითხარ ერთადერთია.
შენ კი ჩემი არა გჯერა, შენთვის ეს სულერთია,
მე მომავლის არა მჯერა, გზა ხომ ერთადერთია.
ვერ გამიგია მე ამ გზაზე რა დამმართია,
რაც თავს დამატყდა ღვთით მოვლენილი
საჩუქარია თუ სასჯელია,
თუ ათასმეერთე განსაცდელია.
იქნებ უბრალოდ აბურდული ძაფის ნართია,
ან მე არ ვიცი და ეს დიდი სიყვარულია.
ღვთით ბოძებული კი არა, თვით ღმერთია,
ჰო, ის ეგეთია, ერთია ერთადერთია.

მუხრანი

მუხრანის ლექსების კრებულს თაროზე შემოვდებ,
ან სულაც გაჩუქებ.

ტაძარში წავალ, სანთლებს დაგინთებ,
ლოცვებში მოგიხსენებ, განსაცდელს აგარიდებ.

თუ ძალიან მთხოვ გულის კარს გაგიღებ,
შენი სარკმლის ქვეშ სასთუმალს დავიდებ,
სიზმრებში გეწვევი და არ მოგასვენებ.

მე შენი გულისთვის ყველაფერს გაგიღებ,
მთელ ჩემს სამყაროს ფიანდაზად დაგიგებ
და ფეხქვეშ გაგიგებ.

არ მიმატოვო დედას გაფიცებ.

თუ მიმატოვებ, თავს დამანენებ

ამასაც გაგიგებ და გაპატიებ,

ტკივილს მალამოდ დავიდებ და რომ ვარსებობ არ შეგახსენებ.
შენც ნულარ გამიხსენებ.

წავალ ამ ქვეყნიდან, გარდავიცვლები,

არაფერს დაგიბარებ, არაფერს დაგიტოვებ.

შენს ხსოვნას დავიტოვებ. ალბათ გამიგებ.

ვერასდროს დაგივიწყებ.

მთელს ამ სასწაულს მე გულში ჩავიდებ და თან წავიდებ.

არა, მხოლოდ ერთ სურათს,

ფარვანას და მუხრანის ლექსებს დაგიტოვებ.

ზოგჯერ გამიხსენებ?

ოცნება

ფრთები, რომ მქონდეს ვიფრენდი ცაში,
რამდენს ვოცნებობდი მაშინ
იადონი ვყოფილიყავ, მეგალობა დარში.
დრომ კი მართოდ დამტოვა ქარში,
ოცნებები დაიტოვა ვალში.
ნუ მიწყენ, ეხლა მხოლოდ დარდი თუა ქალში,
იქნებ, უბრალოდ ერთად გვევლო მთასა და ბარში.

მინდა

მინდა გულის ნადები
გამანდო დარდიმანდო
და შენი დარდი მანდო.
ბედაურივით მარდო,
რად მემუქრები იცოდე
არ მომიყვანო მანდო.
შენ ჩემო ვარამო და დარდო,
უეცრად გაშლილო ვარდო,
არ დაიდარდო.
მინდა ჩემი სიცოცხლე
მარად შენ განდო.

ბათოვდება

შენით ლამდება და შენით თენდება,
ყოველი დღე შენით მშვენდება,
გატეხილი გული მთელდება და
ოცნებები შენდება.

ყოველდღე იგივე მეორდება,
შენი თვალები ისევ მეფერება,
სუნთქვა მეკვრის და მიჭირს დალოდება,
შიში მიპყრობს, ნეტავ რა მელოდება.

მე შენი ნახვა მენატრება,
აცემციმებული თვალები მელანდება,
ჩვენი სიშორე მედარდება და
აზრები აღარ მებადება.

შენზე ფიქრში

დილა თეთრად მათენდება,
ლექსებს დავწერ
სანამ სულში გათოვდება.

აცვივდება, ცხელი გული
უსათუოდ გაცივდება.

გათოვდება, დაველოდოთ
აღბათ მალე გათოვდება.

წუთი

კიდევ ერთი წუთი დამელოდე
მე ხომ დიდი ხანი გელოდე,
შენს ჩემთან მოსვლას ველოდე,
მხოლოდ ერთი წუთი დამელოდე.
კიდევ ერთი წუთი მაჩუქე,

რამდენი მოგონება მოვაქუჩე,
სევდა სულში მივაყუჩე,
მხოლოდ ერთი წუთით
შენი თავი მაჩუქე.
კიდევ ერთი წუთი დამითმე,
ცეცხლის ალი დამინთე,
გული სიყვარულით ამინთე,
ერთი წუთით შენი თავი დამითმე.
მე ამ წუთს გადავაქცევ საუკუნედ,
ამ წუთით გავინათებ უკუნეთს,
მე ამ წუთს გადავაქცევ ოკეანედ
და წვეთ წვეთად ვიმყოფინებ საუკუნედ.

ჩემთან ჩიტი მოფრენილა

შორი გზიდან ეს რა ჩიტი მოფრენილა,
ფრთამაღლი და ფრთაფარფატა.
მინდორ ველი ყვავილებით მოფენილა,
სიომ მათი სურნელება ირგვლივ უხვად მიმოფანტა.
ცის ტატნობზე მზე დღეს ისევ ამოსულა,
სინათლე და მცხუნვარება ირგვლივ ისევ მიმოფანტა.
გაზაფხული სულში ისევ მოფრენილა,
ჩემს ცხოვრებას კიდევ ერთი დიდი გვერდი ჩაემატა.
ბნელ ღამეში ნახეთ მთვარე ამოსულა,
მთვარემ შუქი ჩემთვის უხვად გაიმეტა.
სიყვარული სულში ისევ მოფრენილა,
ჩემს დარდიან დღეებს, ცოტა სიხარული დაემატა.
შორი გზიდან ჩემთან ჩიტი მოფრენილა,
ეს მცირედი საჩუქარი ღმერთმა ჩემთვის გაიმეტა.

სიმშვიდე და სიმყუდროვე ირგვლივ ისევ მოფენილა,
ტკივილი და მწუხარება შემსუბუქდა გაიფანტა.
მადლობა უფალო
მადლობა უფალო
დღევანდელი დღისთვის,
მზისთვის, მთისთვის, ზღვისთვის, ცისთვის,
რომ მასწავლე ვილოცო ვისთვის, რისთვის.
მადლობა უფალო
განვლილი გზისთვის,
კარგი მამისთვის და კარგი ქმრისთვის,
დედისთვის, ღისთვის, ყველაზე მთავარი რაც გამაჩნია
ჩემი შვილებისთვის.
ჩემი სახლისთვის, დიშვილებისთვის, მეგობრებისთვის,
მეზობლებისთვის, ჩემი ქვეყნისთვის,
რწმენისთვის, ენისთვის, ქართველობისთვის,
საქმისთვის, ღიმილით მოცემული საღმისთვის.
მადლობა უფალო
აწყმოსთვის, მომავლისთვის,
კიდევ მრავალი დღის ბედნიერად გათენებისთვის,
სულში განფენილი ცისარტყელისთვის,
მოფრენილი სიყვარულისთვის.
მადლობა უფალო
მიტევებული ჩემი ცოდვებისთვის,
წასულთა საფლავზე დადებული ლოდებისთვის,
გაზიარებული გოდებისთვის,
განცდილი ტკივილისთვის, სინანულისთვის,
სიხარულისთვის, სიყვარულისთვის.

მადლობა უფალო

რაც მქონდა იმისთვის,
რაც მაქვს ამისთვის,
რაც განმიცდია,
რაც გამაჩნია,
რაც მელოდება იმისთვის.
მადლობა უფალო ყველაფრისთვის.
უფროდ ფრენისთვის, აღმაფრენისთვის.

ზ ე ვ ს ი

შენ ზევსი ხარ ჭეჭა ქუხილის ღმერთი,
ელვის, ზღვის და ჩემი მბრძანებელი,
სტერეოტიპების მრბეველი,
შეუბრალებელი.
მე კიდევ თევზი, ზღვიდან
ღელვის დროს გამოძევებული,
უჭაერობით სულის მლაფავი,
საცოდავად მოფართხალე, მიტოვებული.
ჰოდა გევედრები ისევ ააღელვე
ზღვა უკიდევანო,
იქნებ ტალღები შემეხოს
და გონს მომიყვანოს.
ბევრს ხომ არ ვითხოვ, სულ მცირედს
შენი მრისხანება, რომ არ შემეხოს,
რომ შემეყვარო, ზღვაში ცურვის ნება ისევ რომ მომცე,
არ მიმატოვო და არ მიგანო.

ბ ა ბ ე ე ც ე ე ვ ი

საიდან მოვედით, სად მივდივართ,
რისთვის ან ვისთვის მოვედით,
გიკითხავთ? ერთხელ მაინც.
ან კითხვის დასმას რა თავი სტკივა,
პასუხის გამცემი ვინ არის,
პასუხი არ არის.
და მაინც კითხვები მუდმივად ისმება,
რა გვინდა, ვინა ვართ, რანი ვართ, რას ველით,
დაჟინებით ითხოვენ პასუხს მაინც და მაინც,
მადლობა უფალს, რომ პასუხი არ არის,
მაგრამ კითხვები ისმება მაინც.
ესაა სამყარო, რეალობაც აი ეს არის.
ჰოდა ამ ყოფას უნდა შევეგუო,
ვერსად გავექცევი,
გემუდარები ისე ნუ მომექცევით,
რომ ვერ შევეგუო,
თორემ გაგექცევით.
თუმცა რა, სულ ტყუილად ვდიდგულობ მგონი,
ცხოვრებას ვერსადაც ვერ გაექცევი.

სანთლად დანთიებული
/ვუძღვნი ნიკოლოზ ფუტკარაძეს/

ჩემი ქვეყნის დარდი მკლავს და რომ არ გითხრა არ იქნება,
რამდენ ჭირს და რამდენ ვარამს შეესწრო და გაუმკლავდა.
ვით გაუძლო ამდენ ღალატს, ძალადობას, მტარვალობას,
ამდენ შურს და ამდენ პარვას მიწის, ზეცის, მზის და ზღვისა,
სულის, ხორცის, ნამუსისა, ბევრიც კიდევ თვით ქართველმა
გააჩუქა, გაასხვისა.

ვფიქრობდი და მივხვდი ბოლოს დღემდე ის რამ მოიყვანა,
საოცრება არ არის, რომ ვერავინ ვერ დაიმონა?

საიდუმლო ამოვხსენი გულზე ცოტა მომეფონა.

შენისთანა შვილის გამჩენსს, შენისთანა შვილის გამზრდელს
აბა ვინ რას დააკლებდა. საწუთროში ყველაფერს, ხომ
თვით უფალი განაგებდა.

სანთლად დანთიებული, შუქად განფენილო,
სითბოდ დაღვრილო და ლოცვად აღვლენილო.

ძალიან მინდა მოგეფერო,

მოგელააციცო.

ჩემი ქვეყნის სადიდებლად არასოდეს ჩამქვრალიყო,
არ დაღვენთილიყო, არ დამშვრალიყო.

გული არ გატეხილიყოს, რწმენა არ დაკარგულიყოს,
წარსული გხსომებოდეს, აწყმობ გტკიოდეს,

მომავლის გჭეროდეს, ყველაფერს კარგს მოსწრებოდე,
გაიხარე და ჩვენც გაგვახარე.

გაზაფხულია გავიმანისებ

გამთრის სუსხს აღარ დავიდევ,
სულს მზის სითბოთი ავივსებ,
კალათს იებით ავივსებ და კიდევ,
გულს სიყვარულით გავივსებ, გავიმაისებ.
ბროლის სასახლეს ავივებ,
ფიქრებით შენთან მოვიფრენ,
ფარდაგს ვარდებით მოვიფენ,
კალთას სასთუმლად დავიდებ.
დარდს თავთან აღარ დავიდებ,
მწუხრს ცისკრით ისევ გავითევ,
თვალს ცრემლით აღარ დავივსებ,
გაზაფხულია გავიმაისებ. r.s

საოცარი მგზავრობისას დანერვილი ლექსი

ბათუმიდან თბილისისკენ მივემგზავრებით,
ვაგონი გაივსო ხალხით, მგზავრებით.
დამმგზავრებია ქალბატონი,
თანამზრახველი.
ჩქაროსნული მატარებლით
ვმგზავრობდით ნელა,
გზაში სიჩქარე თანდათანობით
სულ მიინელა,
მაგრამ არ ვდარდობდი,
რადგან თვალს მტაცებდა—
კლდეებს აკრული იისფერი ღილილოები,
გზის ნაპირებზე აფეთქებული ყაყაჩოები,
ბაიებით გაყვითლებული მდელოები და

გვირილებით მოფენილი მინდორ—ველები.
აღვის ხეთა გრძელი მწკრივი,
მუხიანის ჩრდილი,
წიწვოვან ტყის სიხასხასე ფერთა
ბევრჯერ შემეფეთა.
ჩქარი მატარებლით მივდიოდით ნელა,
წიფის გვირაბში ისევ ისე ბნელა,
ბათუმს ვშორდებოდით და
თბილისს ვუახლოვდებოდით ნელა. რ.ს.
სევდიანი ზღაპარი
მე ცისარტყელის მშვილდი მოვზიდე
და გავისროლე თეთრი ისარი,
ცაბე ვარსკვლავი ფრთხილად მოვწყვიტე,
თან გავატანე წმინდა უსტარი.
ისარი მიზანს მოვახვედრე
და თრთოლვით ვუმზერდი,
მართლა ის არი?
ჩემს ცის ტატნობზე ზეიმობდა
მზე თვის ზენიტში.
ბედნიერების მწვერვალების დაპყრობა შევძელ,
ჩემი პატარა ზღაპარი შევექმენ,
მაგრამ დიდი ხნით შენარჩუნება
ვერა, ვერ შევძელ.
ნირი იცვალა ცისკრის ფერებმა,
შავმა ისრებმა საფალი გზა გადამისერა,
ავმა სვე-ბედმა ჩამომიარა,
რაც, რამ გამაჩნდა ჩამომძარცვა, ჩამომინაცრა.
ვერ წარმოიდგენთ, არ გინახავთ
უხმოდ ქვითინი, ჩუმი ბლავილი დაჭრილი ირმის,

მთელი ცხოვრება თვალთ,
რომ ხედავ, გულში რომ ისმის.
მარტოობის კაემნად ვიქეც,
სასონარკვეთამ დამიპირა გადაბირება.
ვემსგავსე ჩინარს,
დამეხილივით ტოტებდამტვრეულს ,
ჩუმს და უჩინარს.
მადლობა უფალს მან შემიბრალა,
ორი ფოთოლი შემინარჩუნა.
საოცრებაა, დღემდე მოვედი და
მასულდგმულებს მათი ფერება.

რ.ს.

ნუ ვივინყებთ

მე,
შენ,
ის.
სხვა
ამ მიწაზე ვიშვით.
საუკუნოდ ეს ქვეყანა
მოვიტანეთ ვიშვით.
დღემდე წინაპართა დანთებული
ცეცხლით ვინვით, ვიღწვით.
საქართველოს
მზე,
მთა,
ცა,
ზღვა

გულში ჩავიკარით რიდით.
არასოდეს არ ვყოფილვართ
დაზაფრული შიშით.
კავკასიონს მიჯაჭვული ამირანი
ნუ გგონიათ მხოლოდ მითი.
წარსულსა და აწყმოს შორის
უნდა გავდოთ ხიდი.

მე,
შენ,
ის,
სხვა

ვერ ვთანხმდებით ბევრში.
ზოგს იმედი გასჩენია
ბაზალეთის ტბაში
ჩაძირული აკვნისა,
ზოგს ალგეთს შობილის ლეკვების მგლისანისა,
ზოგს ღვთიშობლის კალთისა,
ზოგს რისა და ზოგს რისა,
სხვა ქვეყნის თუ კავშირების ხოტბისა,
ზოგსაც კიდევ შეწირული ხოხბისა,
ცოტას კი ძალისა გენისა ჩვენისა.

დრო გადის და ჩვენი ქვეყნის
მზე,
მთა,

ცა,
ზღვა

ჩაგვლევია ხელში.
გვიანდება აღარ კმარა
ხელის ცემა მკერდში.

არ გვიშველის მხოლოს ვაი-ვიში,
ნუ ვივინყებთ
მე,
შენ,
ის,
სხვა,
ამ მიწაზე ვიშ.

ჩემო გაზაფხულო

ჩემო გაზაფხულო,
ჩემო სიყვარულო,
ჩემო წარსულო და
ჩემო მომავალო,
ჩემო სიხარულო.

ჩემს მანვლილ მზას

თვალი კიდევ ერთხელ
უნდა გადავაფლო.
ჩემო მწუხარებაე,
დარდო და ტკივილო,
ჭრილობის ნაჭდეფო,
გულში ჩარჩენილო,
დრო გასულა და
ვერაფრით მორჩენილო.
გულო გატეხილო,
ცხოვრებაე გათელილო,
სულო დაჩოქილო.

ჩემო წარსულო და
ჩემო მომავალო,
ჩემო სიყვარულო.
უნდა მომიტევეო
ჩემო გამჩენელო,
თავი კიდევ ერთხელ
უნდა გავიხელო,
ლექსი დავწერო და
ჰანგი ავაჩქროლო.
არსებობის აზრი
აღარ უნდა ამოვეყოლო.
რაში გავაქროლო,
ანყმოს ჩავუქროლო,
დარჩენილი სავალი გზის
აღმართები ავიქროლო,
დაღმართები ჩავიქროლო.
ჩემო წარსულო და
ჩემო მომავალო,
ჩემო სიხარულო,
ჩემო გაზაფხულო.

სევდა

მარტოობის სევდამ
გამიყენა დაღმართს,
წლები ცალ—ცალ შთანთქა,
დარჩენილი დღენიც
ჩაილევა მალ—მალ.
მარტოობის სევდამ გულში გამიარა,

მერე აღარ გაიარა,
მერე დარდად გადაიქცა,
მერე ლოდად გადაიქცა,
ჩემი ძლიერება დაეცა,
მაგრამ არ წაიქცა, არ გაიქცა.
ცალ–ხელამ და
ცალ–უღელამ
ეს გზა სიმწრით გავიარე,
წუთისოფელს თვალი–თვალში გავუყარე,
ხნული ისე გავატარე.
ჩვენ განგებამ შეგვახვედრა
და ასევე მისი ნებით
დაფრჩით ასე ცალ–ცალ.
მარტოობის სევდა
ჩემს გულს ისე მძიმედ აწევს
„ამწევ, რომ ვერ ასწევს“.
მაგრამ მაინც
შენს ცას,
ჩემს ცას,
ანათებენ ვარსკვლავები,
ღმერთმა ნუ ქნას, რომ ისინიც დარჩნენ ცალ–ცალ.
ჩვენ კი მათი სხივოსნება
გაგვინათებს, ერთად გავლილ
და ცალ–ცალ გასავლელ გზასაც.
და ერთს გეტყვი ეს ცხოვრება
მაინც ღირდა ამაღ.

მიყვარხარ

შენ სიყვარულით სავსე,
სასმისი მომანოდე და
მეც შევსვი დაუფიქრებლად,
სულმოუთქმელად.
სიტყვებმა აზრი,
დაკარგეს მაშინ
და მეც მოგენდე უთქმელად,
ჩემი გრძნობების გამოუთქმელად.
ამის გაგებას მოვანდომე
მთელი ცხოვრება და ახლა გეტყვი
მიყვარდი, მახსოვხარ,
ჩემთან ხარ, მიყვარხარ,
და მეყვარები, და მესსომები დაუსრულებლად.



დალი შენგელია



დაიბადა 1954 წლის 29 აგვისტოს, სამტრედიის რაიონი დკულაში. დედა სობახე ელენე-პედაგოგი, მამა - შოთა ივანეს-ძე შენგელია - მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, იტალიაში გარბალების რაზმში მებრძოლი პარტიზანი იყო. ვსწავლობდი ვ.სტურუას სახ. საშუალო სკოლაში რომელიც დავამთავრე წარმატებით, ლექსებს ვწერდი 12 წლის ასაკიდან, პირველი ლექსი

იყო „სამშობლოზე ფიქრები“, „ჩემი გულისთქმა“ მამა გარდამეცვალა 1973 წელს და ჩემი გეგმებიც შეიცვალა, მაგრამ იმედი არ გადამიწურავს, რადგან სწავლას მონყურებული ვიყავი და სულ ახლის ძიებაში გადიოდა ჩემი ყოველი წუთი და დღე! უსახსრობის გამო გადავწყვიტე ტექნიკურ სასწავლებელში მაინც მეცადა ბედი და 1973წ. მამაზე შავი სამოსით შემოსილმა ჩავაბარე კასპის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, დავამთავრე წარჩინებით და იმავე წელს, ჩავაბარე ი.ჭავჭავიძის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, საღამო დასწრებულზე, რადგან უკვე ოჯახი მყავდა და სხვაგვარად არ ხერხდებოდა.

მყავს სამი შვილი და მეხუთე შვილიშვილს ველოდები, ოჯახი თავისას ითხოვდა და როცა ყველა შვილი დავაბინავე მის მერე უფრო აქტიურად ვიმოღვანე, გავხსენი ფეის გვერდი და ჩემი ლექსები გამოვაქვეყნე. ასე ვიპოვე „ინგას უბანი“ და მიხარია, რომ თქვენთან ერთად ვარ ამ ლამაზ კრებულში.

ცისფერი მთები!

ამბობენ, რომ ცისფერია მთები,
მე ყოველთვის ვიაზრებდი, მწვანედ,
არ მჯეროდა, რომ ცისფერი მთები,
ბუნებრივად ასე გაამწვანეს!
მაგრამ, ერთხელ სასწაული მოხდა,
გზად მავალმა, მთები დავინახე,
არ მჯეროდა, ლურჯი ჩანდა იგი,
შემეშინდა, ჯვარი გადვისახე.
არა ვცრუობ, მართალს გეუბნებით,
პირში ენა გადავყლაპე, თითქოს,
შევყურებდი, მთების ყველა გრეხილს,
ყველა კალთა, სულ ცისფერი იყო!

კოქტეიბსო

რაც გულში გვიდევს,
ვთქვათ ჩვენი სათქმელი,
თუ არა ვხედავთ, რომ
არა გვაქვს საშველი.
ჩვენ კალმით ვიბრძოლოთ,
ეს არის მთავარი,
ღმერთის გზა ვირჩიოთ
და კვლავ სამართალი.

წინაკა მეტად მწარეა,
ამავდროს სიტკბოს შეიცავს!
წითელი, ვაი წითელი,
რა მიმზიდველი ფერია,
რამდენი სისხლი დაღვრილა,
რამდენიც მოგვითმენია,
რამდენი ჩაგვიყლაპია,
მაინც არა გვაქვს საშველი,
ახლა გვაქვს მხოლოდ სათქმელი!
გვიპყრობენ, გვანაკუნებენ,
ვხდებით სამშობლოს ხიზანი,
ჩვენ მათ რალაში ვჭირდებით,
სულ სხვაა, მათი მიზანი!
წითელი და თანაც მწარე,
ხელის ფათური უბეში,
ლპება ზარმაცთა ბუნაგი,
პირსისხლიანი უხეში!
სავნებლად აქეთ მოცოცავს,
ტვინში აქვს ბოროტ მარცვალი,
ჩვენ ვერას გვავნებს, თავს ივნებს,
მას დაექცევა სახლ - კარი.

საქართველო აღორძინდება!

თუ ვიმღერებ, მე ვიმღერებ საქართველოზე,
თუ ვიმღერებთ, ჩვენ, ვიმღერებთ ერთიან ხმაზე,
თუ ვაშენებთ, ჩვენ, ვაშენებთ გაბრწყინებამდე,
ერთიანი საქართველოს წარმოჩენამდე!
მრავალი ხმა, ჩვენი კუთხის სანინდარია,
საქართველოში, მრავალ ბრძოლის, სამალავია,
გაგლიჯეს და გამოგლიჯეს დარჩა პატარა,
ახლა, ზურგს და თავს გგლეჯენ, გვრჩება განა რა!
ერთიანი ხმის ჯაჭვი შევკრათ, მტერი განვდევნოთ,
მათ კი შენების, სიყვარულის გზები ვუჩვენოთ,
თუ ვიმღერებთ, ჩვენ ვიმღერებთ, ერთიან ხმაზე,
ავაშენებთ საქართველოს, მტრების ჯინაზე.

დაიუნჯეთ ცაში !

ნუ მოიხვეჭავ ბილწ სიმდიდრეს,
ვისთვის და რისთვის იგი გჭირდება,
სახელი ხალხში დათესე მუდამ,
იქ მოიპოვე, კრძალვით დიდება.
ვინ დაგიფასებს, შექმნილ სიმდიდრეს,
უმაღურობის გაჩნდება ბზარი,
დრო ჟამი მაინც ნაშლის შენს სახელს,
და სულ გასწიწკნის მას მონაგარი.
ვინ დაგიფასებს? იცხოვრე ჟამით,
არა მოიკლო გულს რაც უხარის,
დანერე წიგნი დატოვე ქვეყნად,
დატკბი ანთე, შენი ბუხარი.
მიეც გლახაკსა, მათ დაეხმარე,

აგროვე ცაში, იქ დაიუნჯე,
და შენ აქ ყველა მოგბაძავს მაშინ,
ეს არის შენი უკვდავ საუნჯეო!

ჯერ ნასვლას არ ვაპირებ!

ტრფობა დამდაგავი, სიმთა რითმებია,
გული გადიღალა, რაც მე მითევია.
სიმთა რხევებია, ნაზი ქმნილებების,
ერთურთის შერწყმა, განცდის, ტკივილების.
ფიქრების ნაკადი, მატება ხილული,
ცხოვრების აზრია, ატოკდა ეს გული.
კერია სიყვარულს მოითხოვს ყოველთვის,
ცეცხლი არ ჩააქროთ, თქვენი მომავლისთვის.
გახსენით შუბლები და კვლავ მოფერებით
გიყვარდეთ ერთურთი, ყოველთვის გამალებით.
უფალი დაგლოცავთ დიდი სიყვარულით,
სიკეთე აფრქვიეთ, შესძელით ეს გულით.
მიჰყევით უფლის გზას და მის ნათებას,
იესოს ლოცვას და მის აღსარებას.
ვარსკვლავთა ნაკადი გზას გაგინათებთ,
განთიადის მზე კი, გულსა გაგიღალებთ.
კარგები იქნებით, სხვებიც თქვენ მოგბაძავთ,
ვერავინ გაგინებთ და ვერავინ დაგძრახავთ.
სხვისი არ გინდოდეთ, თქვენი კი იკმარეთ,
ქვეყნად გაიხარეთ და ქვეყნად იმრავლეთ.
მე ჯერ თქვენთანა ვარ, ნასვლას არ ვაპირებ,
როცა კი ნავალ, სუყველას ავატირებ!

გაზაფხულის დედოფალო,
შენ სამყაროს მშვენიება,
იქნებ გული გამიხარო,
იქნებ, ჩემთან გენება.
გულში, სითბო ილვენთება,
სამყარო კი ლაღდება,
შენ თუ სუნთქვა შეგეკვრება,
ეს სამყარო, წახდება.
გაგაოცა ამ ნათქვამმა,
ჩემო თბილო ფერია?
გათოშილნი, ცინვის შემდგომ,
შენს სითბოსა, ელიან.
გაილიმე-დედოფალო,
გულს დამადე სიამე,
რით ცხოვრობდი, სად იყავი,
მოდი დავჯდეთ, მიაბზე!

ქვეყნის ბედი!

მხოლოდ მჯერა, ქვეყნის ბედი, ღმერთის ხელშია,
მხოლოდ მჯერა მწვანე ხედი, ღმერთის ქმნილია,
ეს სამყარო, სულ სიზუსტით, ღმერთის თვალია,
თუ დავანგრევთ, ამ სამყაროს, ჩვენი ბრალია.
ღმერთი, კიდევ ახალს შექმნის, ახალ ისრაელს,
ის უბრძანებს, ანგელოზებს და ძე მიქაელს,
ახალ მიწას დაულოცავს, ახალ ქმნილებით
და, ვიქნებით, ღმერთისაგან დალოცვილები.

ვეძღვნე დედას!

/ელიკო სობახეს/

(ალეგორია)

ლამაზია ვარდის ბუჩქი,
გაიზარდა დიდი,
სამი ყლორტი გამოიღო,
ზედ, ყვავილი შვიდი.
მრავალი წლის ჟამის გასვლით,
ვარდის ბუჩქი ჭკნება,
არ ელიმის - ილიმება,
ცოცხლობს, არა კვდება,
გაირბინა წლებმა, ჩქარა,
ეკრძალება ღრუბელს,
ებრძოლება, ქარს და წვიმას,
უძლებს, ყველას უძლებს.
ნეტავ მართლა, კვლავ გაუძლოს
ამ, ჟამთაცვლის ელფერს,
გაიხაროს თვის ყლორტებით
და, ყვავილი შერჩეს.
არვინ არ თქვას, ვარდი გახმეს,
წითლად მოელვარე,
დღისით თავზე მზე ელავდეს,
ღამით კიდევ მთვარე!

დედა-ქალი!

მერე რა რომ ქალი ვარ, მართო დავიარები,
გენდერულად თანასწორი და ვარ კაცთა დარები,
სუფრის თავში დავჯდები, თამადადაც დავდგები,
შენი სწორი ვიქნები, არ მიმტყუნებს ძალები.
თუ, თამარი მეფობით კაცებს უტოლდებოდა,
ფეხშიშველას ლოცვებში ღამე უთენდებოდა,
ცხენზე ჯდომა, ჯირითი არ ეძნელებოდა,
და მის სილამაზეზე, შაჰიშაჰი ჰყვებოდა.
ქალი, კაცის სწორია, აზრთა ჭიდილთ საქმეში,
გინდ თამადა იყოს და გამოსცადოთ ძალებში.
ქვეყნის დედა-ბურჯია, იცის რა, რით აკეთოს
და თუ კი გააბრაზებთ, შეიძლება აენტოს.
ქალი, კაცის სწორია, გენდერული ძალებით,
საქართველო ამაცობს, სულ, ჭკვიანი ქალებით.

თაძარში ვილოცე!

შევედი თაძარში,
ავანთე სანთელი,
მოვილოცე და,
ვთქვი ჩემი სათქმელი.
უფალი მისმენდა,
ვეძიე რწმენაში,
გავედი ხილულში,
საუფლოს ზენაში.
იქ მესმა გალობა,
ტკბილი საამური,

უკრავდა, ჩანგი
და, არა სალამური.
ფერების სითეთრემ,
გონება გამიხსნა,
ანგელოზმა კი,
ქარისგან დამიხსნა.
სპეტაკი გარემო,
წესრიგი, ფერები,
ლამაზი ჩიტები,
სულ ცისარტყელები.
ეს იყო ხილვა და,
აღბათ წარმოდგენა,
ისე მოვიჩუქებ,
გადავცლაპე ენა,
გამოვედი კრძალვით,
დავტოვე ტაძარი,
მარტო იქ კი არა,
ის ყველგანა არის!

გამოუცნობი სამყარო!

ასე მჯერა და ასე მგონია,
შეუცნობადი არის სამყარო,
მუდამ ეძებენ და სულ იკვლევენ
ვერვინ ნახა და მოუწოდებენ
უფალს, სად ხარო?
ადამის ნეკნი, ვერსია არის,
უფლის ნებას ვერ აღემატება,
მისთვის ორივე თანასწორია

და მოიყვანა თავის ხატებად.
მას ასე სურდა!
რა გადიტანეს, იმ დლიდან - დღემდე,
ტანჯვა, წამება, დაუდევრობა,
მათ მოახერხეს, ასე თუ ისე,
გამრავლდნენ, შექმნეს შთამომავლობა.
ეს ასე იყო!
ადამი - ქვეყნად პირველი კაცი,
ევა - სიცოცხლის გამგრძელებელი,
ნუთისოფელში გარდაისახნენ,
დრო არის მათი, გამსხენებელი.
ასე იქნება!

ახალგაზრდებს ვჭირდებით!!

ვინ ჩამოვთვალო, ან რით დავიწყო,
იქ ბუმბერაზი წავიდა ყველა,
და საქართველოს ახლა სჭირდება,
დიდი განსწავლა და დიდი შველა.
განათლებისკენ მივმართოთ ყველა,
ნიგნიერებას ჩაუდგეთ, მარად,
ცოდნა შევცვალოთ სწორ მეტყველებით,
არც ერთი უცხო სიტყვები, არა.
განვდევნოთ სტილი, უცხო ლალატის,
არ დავივიწყოთ ჩვენი ილია,
აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი,
შევიწარჩუნოთ ძველი სტილია!

ცხოვრება დროებითია!

პეპლებივით დაფეარფატებთ
როს, გავჩნდებით ქვეყანაზე,
ზოგს, გვაკლია, მიღწევები,
ფულები და სილამაზე.
ცოტა ხნით ვართ მოვლენილი
ამ სამოთხის, ეზო - კარზე,
ლამაზ ჭრელ - ჭრულ პეპლებივით,
ვრეაგირებთ, ყველა ხმაზე.
ვიხალისებთ, ჩვენს ცხოვრებას,
ვეუსფუსებთ და ბიზნესს ვაწყობთ,
ბევრს ვხალისობთ, ბევრსაც ვმღერით,
დღე გავგყავს და თავსაც ვირთობთ.
ზოგს მთელი დღე, მუხლჩახრილი,
მძიმე შრომით ძვრება სული,
ხვალ, რომ ოჯახს მოუტანოს
ოჯახური სიყვარული.
ეს ცხოვრება, დროებითი
სულიერთა, ტკობისაა,
ბედ—იღბალით ისაზღვრება
ქვეყნისა და ღვთისრაობა
მას განსაზღვრავს, მხოლოდ ღმერთი
ის, ჩაჰბერავს, ბედის ქარებს,
პეპლებივით გვაფეარფატებს,
ჩაგვირაზავს ბოლოს კარებს!

ითალიაში-გარიბალდის რაზმში მიბრძოლ მამას!!!

ცრემლი მდის ოდეს, გიხსენებ მამა,
ვაჟკაცობიდან, ტანჯული სულით,
მჯერა წისქვილი, თავს არ დაბრუნდა,
ომი იტვირთე, პატრიოტ-გულით.
ომის ქარ - ცეცხლი გამოიარე,
უცხო ქვეყნებში, იბრძოდი, რისთვის?
რომ ასე მალე წასულიყავი,
გული მიგეძღვნა, უცხო ქვეყნისთვის.
სულ ოცდაშვიდი წელი იცხოვრე,
ის ომი იყოს, მართლაც წყეული!
ტყვიების ჯერი, მხარში ფეხებზე,
ნაიარევი, მკაცრი ჭრილობა,
კაცი კაცური, ყველას ახსოვხარ,
ეგ დარჩა, ჩვენი მამა-შვილობა.
ველარ ვივიწყებ შენს ბოლო სიტყვებს,
გულში ფარული შუქი ანთია,
მიყვარხარ მარად მემახსოვრები,
ეს ჩემი სულის ათინათია.

გაზაფხული და მუსიკა ქნარი

ეს, გაზაფხული, ფერთა წყობაა,
შორიდან მესმა, მე სიმფონია,
ნაირფერებით - აივსო სული,
და ეს სამყარო ჩემი მგონია.
ისმის მუსიკა, წყობა ვით ბგერის,

ვიღაცა უკრავს, ვიღაცა მღერის,
ათბობს, გულს და სულს, ბუნების ფერით,
ნაირფერებით იშლება ველი.
გაზაფხულია, ყვავილთა ფერი,
და ეს მუსიკა სულის შემძვრელი,
ერთურთს ერევა და ირეკლება
მუსიკა ფერი, მუსიკა ფერი.
ყვავილთა წყობა, ნარნარი ქარი,
მიჰქრის და მიჰქრის, ზემოთ ვით მკრთალი,
მუსიკა ყურთა სმენასა სწვდება,
ქარი იტაცებს, ყვავილი ქრება.
ქარმა წაიღო, ბგერა და ქნარიც,
გაქრა ყვავილნიც, ვითარცა მკვდარი,
მოსწყდა გულს სევდა, წამოსკდა ცრემლი,
ორივე გაქრა აღარსად არი.
მუსიკა შეწყდა და ცრემლიც გაშრა,
ქარიც კი ჩადგა, აღარც ყვავილი,
და ველზე დარჩა მწვანე ბალახი,
იყო სონატის გამოძახილი!

სიკეთე ჰქმენი და ქვაზე დადე,
ამბობენ, ხელი მას ელოდება,
თუ ცუდ განზრახვას გულში ჩაიდებ,
ბუმერანგივით დაგიბრუნდება,
ვიაროთ ყველამ სიკეთის გზებით,
ხვალ, ჩვენ არ ვიცით, რა გველოდება,

სიკეთე ისევ სიკეთესა შობს,
იმედით, რწმენით, დაგვიბრუნდება.
სიკეთე ჰქმენი და ქვაზე დადე,
არასდროს არ თქვა, რა მელოდება,
გაიარე და თესე სიკეთე,
ბუმერანგივით დაგვიბრუნდება!

მრავალტანჯულო,
მიწავ, ქართულო,
ედემს სადარო,
შენ დაგიჩოქებს
მთელი სამყარო!
იყავ მხნეობით,
გაუძელ ვარამს,
არ იავდარო
და მოთმინებით
დაელოდე რომ,
კვლავ გაიხარო.
უძლეველი ხარ,
შენ საქართველო!
დაღვრილი სისხლი
მტერს არ შერჩება,
წარმატებისთვის
დღეებსაც ვითვლი,
აღორძინდები
ფრთებს გაშლი მალე,

დაველოდები,
ჩემო სამშობლოვ
შენ გენაცვალე !

ანა კალანდაძის ხსოვნას

ბევრი უბომელი ნიჭიერი ფიქრი,
პოეზია ბრძნული ხოტბით მოკაზმული,
დიდი შემოქმედი, დიდი ჭირნახული,
დაიმსახურეთ ხალხის სიყვარული.
შენი ფიქრები დაუწერელი,
თან მიგაქვს უთქმელი სიტყვა მართალი,
თქვენ წახვედით და ჩვენს პოეზიას,
ან, დააჩნდება სიძველის კვალი.
გზა მშვიდობისა დიდო პოეტო,
გაზაფხულივით, თბილო, ცოცხალო,
მარადიული ცხოვრებით რჩები,
ქართველი ხალხის დიდო მგოსანო!
მშვიდობით! გულში ვიკრავთ შენს ლექსებს,
შენ, იმქვეყნიურ გზამკვლევს მიჰყვები,
უკანასკნელად თავს დაეხრით შენს წინ,
შენს ლექსთა - კონას გაუფრთხილდებით!

წმინდაო დედაჲ!

მსმენელო ღვთისა, ქრისტეს მშობელო,
სამყაროს დედაჲ, რჯულის მფლობელო,
საქრისტიანოს, დედა მშობელო
და სულიწმინდით უცილობელო.
დალოცე ჩვენი დედა-სამშობლო,
ეს კურთხეული მიწა მართალი,
უფალს ავედრე, ეს ჩვენი ხალხი,
რომ, არ დაგვიდგეს, შიშის ზამთარი.
განდევნე მტერი, დაეც თავზარი,
შენს, წილხვედრ მიწას გაუჩნდა ბზარი,
გვჭირდება შენი, ლოცვა და ფარი,
ვიციტ რომ, ჩვენთან სულ ახლოს არის.

სამყარო სიყვარულია!

ციურ სხეულთა ნაკადი ვრცელი,
ზეცა სავსეა ციფ-პლანეტებით,
გლობალურ სივრცეს ედება ბინდი,
ხილული ბინდი ღამის ნათებით.
დიდი ქაოსი უცხო სხეულთა,
უცხო პლანეტთა შავი ხვრელები,
მხოლოდ გვჭირდება, უფალი ღმერთი,
შორს ჩვენგან ბოროტი გარდასახვები.
ჩვენი პლანეტა, სიცოცხლის ძალა,
მშვენიერების მუდმივ მყოფელი,
იცხოვრეთ ტკბილად და სიყვარულით,

ნეტავი, რა გაქვთ გასაყოფელი.
ადამიანმა ის უნდა გასცეს,
რაც სურს, რომ უნდა, მიიღოს სხვისგან,
არ ვუფიქრდებით, ეს სიძულვილი,
ანგრევს სიყვარულს, ბოძებულს ღვთისგან.
განუზომელი არის სამყარო,
ციურ სხეულთა ნაკადი ვრცელი,
ეს სიყვარულით აშენა ღმერთმა,
ჩვენც, სიყვარულით, ჩავკიდოთ ხელი.

სვეტიცხოველი

შმაგი ღრუბელი, ნიშანი ციდან,
ადგილი მწირი, ქვიშა და მყარი,
უბრძანებია მეფე გიორგის,
აქ აშენდესო დიდი ტაძარი.
აგებდნენ, მაგრამ თალი წვებოდა,
ვერ ხერხდებოდა მისი დახურვა,
ლოცვით და რწმენით დღე გადიოდა,
ნიშანი იყო, დამთავრდა ურვა.
სვეტი ნათლისა მყარად დაედო,
აიგო შემდეგ მისი განგებით,
საყრდენი გახდა უფლის ნიშანი,
ყოველი ქვის და ყველა ნაგების.
დგას შეურყვნელი ვითარც განგება,
სასწაულების ნათლის მხილველი,
პირსისხლიანთა დღეთა ვაება,
არ დაკლებია მზაკვრული ხელიც.
ყოველი კედლის ტიხარი, ლოდი,

და განლაგება დიდოსტატური,
დასტაქარია მისი ოსტატი,
დიდოსტატობით გამოხატული.
მთელი სიზუსტით და თვალთახედვით,
ჩაშენებული ლოდი ყოველი,
ყველას ანცვიფრებს მისი სიმტკიცე,
მართლაც უფალი არის მფარველი.
გვერდზე ჩაუდის ორი მდინარე,
ღვთისგან ნაკურთხი წყლისა სახელით,
ამ შენაკადში ნათლავენ ბავშვებს,
და აქა ხდება კვლავ სასწაული.
აქ დიდი მადლი იფრქვევა ზეცით,
აქეთ მოიწვეს კაცი ყოველი,
უფალი იყოს ყველას მფარველი,
და შეგენიოთ სვეტიცხოველი!

მიდი იმზავი!

თუ მზე არ მზეობს, გული არ დარობს,
ჭმუნვამ შეგიპყრო, წვიმის სადარბე,
არასდროს არ თქვა, მე სხვას გავყვები,
ჯავრს ამოვიყრი ამით ჩემს ქმარზე.
გაუძელ ამ ჯავრს, აროს გაექცე,
ჭირი ითმინე შვილთა მზეობით,
დაუნდობელი ცხოვრება სულ გცემს,
გამბედაობის მეოხეობით.
ქალი, ნაზია, ღირსეულთ გვერდით,
ის კაცად აროს გარდაიქმნება,

მისი ვალია ქმარ-შვილის მოვლა,
თავის ქალობის გამოვლინება.
მძიმე წნეხის ქვეშ მყოფი ქალები,
გამოსავალზე დიდ ფიქრს იწყებენ,
ბედმა არგუნა მწარე მანტია,
პასუხისგებას თავზე იღებენ.
თუ მზე არ მზეობს, მიდი იმზევე,
რადგან ერთხელ ხარ ქვეყნად მოსული,
გამოსავალი უნდა იპოვო
და დაივიწყო მწარე წარსული!

დეკემბერი!

დეკემბერი მზიანი,
სუსხი, სულ ქარიანი,
მოგვეპარა ზამთარი,
თოვლი აღარსად არი.
აღარ არის ტალახი,
ამოვიდა ბალახი.
დღე მოკლე და თბილია,
საღამო კი გრილია.
შეიცვალა განედი,
აზიისკენ გავედით.
ველით ორი წელია,
გაქრა თოვლის ფერია.
თოვლი გვინდა ფარფატა
ნეტა რაღამ გაფანტა?

ჩუმი ჩურჩული, შიში დაკარგვის,
დღეს ერთი აზრი, ხვალ კი მეორე,
და გადის წლები განუზომელი,
მე ვიოცნებებ, ვერ ვიქორწინებ!
ასე მრავალი ფიქრობს, გაურბის,
ამ წუთისოფლის დაგებულ მახეს,
და ოჯახები ველარ იქმნება,
ეს ადასტურებს ცხოვრების სახეს,
ამ ჩვენს მომავალს არ უხარია,
დაქორწინება, არც გათხოვება,
ხელის შემშლელი ფაქტორის გამო,
უნვეს მარტოსულს გამოთხოვება.
შესდექ !! ყმანვილნო, ხვალინდელიო დღევ!
ნუ მიეცემით უიმედობას,
სიყვარულია აქა მთავარი,
შეცვლის თქვენს აზრთა ურთიერთობას
დღეს ქართველობა სულ ვცოტავდებით,
თუ გიფიქრიათ აი, ამაზე?
შვილნი, რომ ვზარდე, სულ ვოცნებობდი,
მტობნი, რომ იყოს თვისა მამაზე.
მაშ, გაიხარეთ და სულ იმრავლეთ,
ქართული მიწის ყველა კუნჭულზე,
დაცოტავება მტრის მიზანია,
თქვენ გაიხარეთ ამ ქვეყანაზე!

მინდა შენ ძვირფასო აგიხილო თვალი,
რადგან ჩემთვისა ხარ უნაზესი ქალი,
მინდა მოფერებით დაგიბრუნო ვალი,
გულში გამიჩინე დამდაგავი ალი.
შენი ერთი სიტყვა ჩემთვის მაღამოა,
მზის ამოსვლასავით სიხარულის დარო,
ჩემი სიცოცხლე კი უშენოდ ამაოა,
შენ კი ჩემი გულის ტკბილ მაღამო ხარო!
შენ ხარ ჩემი „ჯულიეტა“ ჩემი საფიქრალი,
მე კი შენი „რომეო“ ვარ ვერვის შემადარი,
არ შემასვა სიყვარულის სანამლაფი მყრალი,
შენნაირი ვარდ - კოკობი ქალი არსად არი.
ფერი - ფური რომ გადაგდის დამინახავ როცა,
მომინდება ალერსი და ჩახუტება შენი,
შვლის ნუკრივით სულ ცახცახებ, მიწევს შენი კოცნა
მეც შენსავით, საპასუხოდ, ლამაზ კოცნას ველი.

მ ზ ა !

როს დაბადება არის მთავარი,
გზა მაშინ ჩნდება, მასზე მავალნიც,
აი, აქ არის ფიქრი მრავალი,
გზები არ გვახსოვს, ჩვენ დავიბადეთ,
ისიც არ გვახსოვს ან როდის გავჩნდით
და როს სამყარო ვიხილე თვალით,
მაშინ გავიგე გზის დიდი არსი,
გზა ულევია, მიდის და მიდის,
მე მას სხვაგვარად ვერასდროს ავხსნი,
გზა არის ჩემი მუდამ სავალი.
თუ გზა ტაძრამდე - მაინც მიგვიყვანს,
აი, ეს არის მართლაც მთავარი,
მაგრამ, გზის ბოლო მაინც ხომ არის??
გზა, რომ დაიწყო, არც კი რამ მახსოვს,
ან სად მთავრდება? ისიც არ ვიცი,
ეს კი ნამდვილად მაშინებს მაფრთხობს.
არ უნდა ამას ფიცი და მტკიცე,
რადგან, დასაწყისს დასასრული აქვს!



ნანა ჩხაიძე



დავიბადე და გავიზარდე ქალაქ ბათუმში. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წარჩინებით დავამთავრე. მყავს მეუღლე და ორი შვილი. 20 წელია მთელი ოჯახი ემიგრაციაში ვიმყოფებით, (კერძოდ-საბერძნეთში). ლექსებს ბავშვობიდან ვწერდი. ხშირად ქვეყნდებოდა სკოლის კედლის გაზეთში. უნივერსიტეტში ვხელმძღვანელობდი მხატვრული ლიტერატურულ წრეს და ვმართავდი ღონისძიებებს. სამი წლის წინ ემიგრაციაში გამოვიდა ჩემი ლექსების პირველი წიგნი „წმინდა საყდარი“, მას მალევე მოყვა „გზა ყვაფილობიდან თოვლამდე“, „ვალი მაქვს შენი, ანუ დედაშვილობა“ (პროზა) „მე ემიგრანტი მქვია“ ლექსები და „გაღმით სამშობლოს მთებია“ {პროზა.}

პირველი სამი წიგნის პრეზენტაცია სხვადასხვა დროს ჩატარდა სალონიკში. წიგნის - „ვალი მაქვს შენი, ანუ-დედაშვილობა“-ს წარდგინება აგრეთვე შედგა თბილისის სამების საკათედრო ტაძარში. მალე მზეს იხილავენ დანარჩენი კრებულებიც.

არ დაწერილა ბოლო აბზაცი

ჩემში ჯერ ისევ ფეთქავს მაისი,
თავის სიტურფეს კრძალვით მაჩვენებს.
ჯერ ისევ მათრობს დილის აისი,
და გაზაფხულის სუნთქვას მაშველებს.
ჩემში ჯერ ისევ ცოცხლობს სიცოცხლე,
არ შეკვდომია სახეს ღიმილი.
გულს სიყვარულის სუნთქვა მიცოცხლებს,
ჯერ ისევ მივსდევ ჩემს გზას ღიღინით.
მზის სხივი ჩემში ჯერ არ ჩამქრალა,
ჯებირებს ვამტვრევ, ვცდები ნაპირებს.
სული ბობოქრობს, ჯერ არ დამცხრალა,
ქართვეხილებთან ბრძოლას ვაპირებს.
ჩემში ჯერ კიდევ ხარობს იმედი,
არ დაწრეტილა სისხლის წვეთები.
ასე მგონია მზესთან მივედი,
ცოტაც კიდევ და ცის წვერს შევწვდები.
ჯერ წასასვლელად ფეხს ისევ ვითრევ,
ჯერ სიყვარული, სიკვდილს არ მაცლის.
ჯერ ისევ ვებრძვი მოვარდნილ რითმებს
არ დაწერილა ბოლო აბზაციც!

არ გატყდე, ხმალო

არ გატყდე, ხმალო, ომში ნაცადო,
და წინაპრების სისხლით ნაპოხო.
მუმლი ჩვენს მუხას შემოვაცალოთ,
გთხოვ, მოლალატის კარს არ მამყოფო.
არ მოისვენო, ხმალო, ქარქაშში,

ახლა ღალატი არ გამიბედო,
ჯერ საძებნი მაქვს მზე თოვლ-ავდარში,
ჩემი შვილების გზა-საიმედო.
არ გატყდე, ხმალო, ჩემთვის ნაჭედო,
ჯერ კიდევ ცრემლი აქვს ჩემს ქვეყანას.
ლომების დედას, გმირთა სამჭედლოს,
შვილების სისხლმა ჯავრი შეჰყარა.
არ დამიჟანგდე, კვლავ მიერთგულე,
ქართველის დედასთან ფიალით დაუდგეთ.
ჩვენ არ დაფრჩებით სხვის ხელ-შემყურე,
კვლავ გვეზრდებიან ლომები ალგეთს!
არ გატყდე, ხმალო, ჩემთვის ნაჭედო,
შენ გნდობ და არა—ვაზნის სატყვიარს.
ჩემო ქვეყანავ, გმირთა სამჭედლოვ,
მალე მოგიჩინებ მაგ გულს ნატყვიარს.

ვიცი, ვინა ვარ

ვიცი, ვინა ვარ და ვიცი, რა ვარ,
არაფინ არ მგავს, არაფის ვგავარ.
ვიცი, რა მინდა და რა - ა რ მ ი ნ დ ა !!!!
რისი დანყება მინდა თავიდან.
ამ ქვეყნად ჩემი აზრებით დავალ,
გზასაც მე ვირჩევ - საითკენ წავალ.
ჩემში მე ჩემი „მე“ მეგულება
და ვიცი მისი ღირებულება.
ვუშვებ შეცდომებს და მაქვს მინუსიც,
ნაკლსაც ვატარებ - როგორც „ვირუსი,“

ჩემი სიტყვების მე მაქვს სასწორი,
და მათ ყოველთვის ათასჯერ ვწონი.
ჩემი აზრი მაქვს და ჩემი ხედვა,
მათ შეცვლას, ისევ, თავად მე ვბედავ.
ვიცი, ვინა ვარ და ვიცი - რა ვარ,
არავინ არ მგავს, არავის ვგავარ !

ია დედის ცრემლია

დედის ცრემლებს იის მოსვლა სცოდნიათ,
დედის ცრემლებს მოჰყავთ თურმე იები.
გაზაფხულზე ნაზად მიტომ მოდიან,
რომ გაგვითბონ გული განაცხიები.
მთის ფერდობზე მოდიან მოკრძალებით,
თვალს ახელენ დამორცხვებულს, რიდიანს,
დაუკოცნეთ იებს ლურჯი თვალები,
მათ თვალებს ხომ დედის ცრემლი ჰკიდია?!.
იებს თურმე სურნელი აქვთ დედების,
მათ თვალებში დედის სხივი კიაფობს.
და სათუთი გრძნობით თუ შევეხებით,
დედის ზღაპარს დედასავით გვიამბობს.
ზამთრის სუსხიც ვერ აშინებთ ძლიერი,
ზოგჯერ თოვლშიც მოდიან და გველიან.
დედის ცრემლებს მოჰყავთ თურმე იები,
ია - თურმე, დედის ნაზი ცრემლია...

მე მაშინია

სიკვდილზე მეტად, მე მაშინებს ის სხვა სიკვდილი,
ცოცხალი რომ ხარ და ცოცხლებში აღარ წერიხარ.
როცა, წარსულის ლამაზ დღეებს, სევდით მისტირი,
როცა გრძნობ, რომ სხვებს სიკვდილივით დავიწყებიხარ.
მე მეშინია ცხვირთან კარის მიჯახუნების
და ჩემს კარებთან იძულებით მოსულ სტუმრისაც.
ფრთებგაუშლელი, გაუფურჩქელი თუ გავხუნდები,
მარტოობისგან ახლობელი თუ არ დამიცავს.
მე მეშინია უმეგობროდ, მარტო ტირილის
და შეჭიდება მარტოდმარტოს ამ ცხოვრებასთან.
მე ეს მაშინებს, თორემ რაა ისე სიკვდილი,
ისე თუ მოვკვდი, ახლოსა ვარ, მაშ ცხონებასთან !

ნამდვილი ბრძნობა

ცრემლი შევნიშნე შენს თვალებში, ცრემლი ნამდვილი,
ასეთი ცრემლი წმინდანებსაც კი არ უნახავთ,
კოცნა გამომყვა, - სიყვარულის უტყვი სამხილი,
წლებს, სიყვარული როგორ წმინდად შემოუნახავთ.
სევდა ვიგრძენი - შენი გულის სიღრმეს ფარავდა,
ეს უთქმელობამ დაგიტოვა უნინ საჩუქრად,
მე დავინახე—ბაგე სიტყვებს როგორ მალავდა -
„მე შენ მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ ! „ - უნდა ეთქვა,
მაგრამ გაჩუმდა.
შენი თვალები მიგზავნიდა ცრემლებს გულიდან,
სულის კივილი ჩამესმოდა ყურში საშინლად,
თურმე უცვლელი დარჩენილა სიყვარულიც და

რაც უწმინდესი არსებობდა - არც ის ნაშლილა.
ცრემლი შევნიშნე შენს თვალებში, -წლობით ნაშრობი,
სიტყვა უთქმელი, ნაწვალეები, ართქმით დაღლილი,
ისევ სიჩუმე ამჯობინე - ჩუმად გამშორდი,
სიტყვა - რაც არ თქვი -
ჩემთვის სწორედ ისაა ნ ა მ დ ვ ი ლ ი !

სარკე

როცა სარკეში შევცქეროდი მე ჩემს ორეულს,
ერთხელ იქედან შემომცინა სულ სხვა ქმნილებამ.
მომავლებდა ნაცნობ სახეს და თან შორეულს,
მეგონა - ბედმა ქილიკობა ჩემი ინება,
რადგან ვხედავდი ჩემს წინაშე ლამაზ არსებას,
დაუმტკნარ სახეს ანგელოზის მზერა შევნოდა,
მისი სინორჩე მაგონებდა მთვარის ავსებას,
გაშლილი თმები თეძოებზე შემოფენოდა.
აშოლტილ ტანზე გაზაფხულის სითბო დაჰკრავდა,
ღიმილი ვარდად ბაგეებზე გადაეფინა.
ოო, ეს ღიმილი ჩემს ახლანდელს - სულაც არ ჰგავდა...
თუმცა თვალებზე ცრემლი ჩემებრ ჩამოეფინა.
გაოცებული უყურებდა გოგო ჩემს სახეს,
დანაოჭებულ თვალებიდან ჩემს ცრემლთა დენას,
მიხვდა, ცხოვრება უმზადებდა მასაც ამ მახეს,
რადგან ვერავინ ვერ აჩერებს ჟამ- წელთა დენას...
თავი ვიგრძენი გავლილ წლებთან დამარცხებულად,
თმებზე ჭალარა თარეშობდა და გულს მიღრღნიდა.
ყმაწვილქალობა გამიფრინდა მორიდებულად...

მე - ანგელოზი მიცქეროდა სარკის სიღრმიდან .
ის ორეულიც სევდიანი იცრემლებოდა,
თავის მომავალს და სიბერეს ჩემში ხედავდა.
ჩემი წარსული მე სარკიდან მომჩერებოდა
და შიგ წაშლილი ყმანვილობა ღიმილს ბედავდა.

უფლის სასწორი

ვიცი, ნაბიჯი ამიწონო, უნდა უფალო,
და შენს სასწორზე უნდა დადო ჩემი ცხოვრება.
სიცოცხლეს ყველა წუთი უნდა გადაუთვალო
და იმ წუთებში, რაც კი ჩემად მომეპოვება.
სასწორის ერთი მხარე, ვიცი, ჩემ კარგს მოითვლის,
ერთ ციდა თეფზე დაიდება ჩემი სიმართლე.
ყველა სიკეთეს და ყველა მადლს უცებ მომითვლი,
მაგრამ გვირაბში გზას ვერ კვალავს ცალმხრივ სინათლე.
რადგან შეცდომებს იმ მეორე მხარეს მიწონი,
იქ უნებლიეც, შეგნებულიც ერთად ფასდება.
ცოდვა-მადლებით, შენს სასწორზე ტონას ვიწონი
და ორმოცი დღე დასჭირდება მათ შეფასებას.
ყველა ნაბიჯი დაითვლება, შენგან უფალო,
ყველა ნაბიჯი შენს სასწორზე გადამონმდება.
როცა განაჩენს გამომიტან, ისე, უბრალოდ,
ჩემი სახელი ვარსკვლავით ზეცას მონყდება.

ვერ მოვდივარ

სკაიპის ეკრანთან ზიხარ და მიყურებ,
სახეზე გატყობ, რომ უცრემლოდ ტირიხარ.
ვხვდები და ტკივილებს ჩემს გულში ვიდუღებ,
თავს ვკიცხავ „როგორი, როგორი შვილი ხარ“?!
გაჩენილ ღარებში იმედის შუქს იდგამ,
კითხულობ - „მითხარი, რომელ დღეს მოდიხარ“?
გიცხადებ – „დუხჭირი ცხოვრება დამიდგა,
ბოდიში...და მაქვთ წელსაც ვერ მოვდივარ“.
გიკრთება სახეზე ღიმილის ნიშნები,
გაყინულ მხერამში ტკივილებს ვშორისობ.
- „ჰო, შვილო, მაგრამ მე იცოდე, ვბერდები,
გაისად იქნება ცოცხალს ვერც მომისწრო“...
ღმერთს შევთხოვ, უღმერთოდ ნურავის განწირავს,
და მეც ნუ წამართმევს შეხვედრის იმედებს.
მშობლის გულს, გაყოფილს ათასგზის ნაწილად,
წამება - ტანჯვისთვის კვლავ ნუ გაიმეტებს.

ჩემი კვალია

სულ ყველაფერი გადაივლის - დროის ბრაღია,
სიყვარულისთვის არ იყავი უბრალოდ შენ მზად.
შენს ნაკვალევთან სხვას რომ ხედავ - ჩემი კვალია,
ვერ მიგატოვე, გამოვყევი შენს გასავლელ გზას.
ნაბიჯს არ უკლო, არ შეჩერდე, სულ წინ იარე,
თუ წაბორძიკდე - შენს იმედად მე უკან ვდგევარ.
შენ ვერც შენიშნე, ჩემი მხრებით როგორ იარე,
სინათლიან გზას რომ მიყვები, - ის შუქიც მე ვარ !

ვერ შემიყვარე - ეს უბრალოდ დროის ბრალია,
ვერ მიგატოვე - შენს ნაბიჯებს ლოცვებით ვსდიე.
შენს ნაკვალევთან სხვას რომ ხედავ - ჩემი კვალია,
უკან მოგყვები და კვალში ვწერ:
„მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ - ძ ლ ი ე რ !“

პირველი ღამე

გედის ყელზე მოგეხვია მთვარე,
ვარსკვლავები აგიკინდა მძივად.
ნატიფ თითებს და ჩამოქნილ მკლავებს,
მთვარის შუქი დაეფინა სხივად.
ნორჩი მკერდი ღამის დამთვრალ შუქზე,
გაზაფხულის კოკორივით ფეთქავს.
სიყვარულით აღმოდებულ გულზე,
ვგრძნობ ჩიტივით და მფრთხალ გულის ფეთქვას.
ვარდის სურნელს სიო ტანზე გახვევს,
გაშლილ თმებში ღამე სურვილს ძერწავს.
თვალეებს ნაბავ, თაფბრუს ისე მახვევ,
ჩემში ვავლენ სურვილუძღებ მეძავს.
ქალწულ ცრემლში აცახცახდა ვნება,
წყურვილებში ჩაიძირა მთვარე.
დღეს სიყვარულს დართული აქვს ნება,
და ალერსში გაეხვევა ღამე.

ხარ საქართველო
(ეძღვნება ემიგრანტ ქართველ ქალებს)

ემიგრანტობის გზას ადგები დაღლილი ფიქრით,
რომ შეიღს და ოჯახს მოუტანო ლუკმა და პური.
ამასობაში დაუნდობლად დრო სწრაფად მიჰქრის,
შენ კი ოჯახში გენიჭება სტატუსი „სტუმრის“
საკუთარ შეილთან გამონახო - გიჭირს -საერთო,
ბავშვის სანაცვლოდ კაცს ეფერო - ძალზე ძნელია.
ფიქრობ: „თუ ღირდა თავგანწირვა ნეტავ, საერთოდ“?..
შენი გმირობა ოჯახისთვის, შენთვის - მკვლეელია !
მაგრამ იცოდე, რომ საზღვრიდან გასულს გერთმევა,
ერთი ოჯახი და შენ ხდები მთლად საქართველო.
რომ დაბრუნდები - დ ე დ ა - ბ უ რ ჯ ი უკვე გერქმევა,
გულში ჩავიკრავს მონატრებულს დედა სამშობლო.
შენ - დედაკაცო, დედაბოძო, დედავ ქართველო,
არ გატყდე, რადგან სიძლიერე შენი ხვედრია.
მხრებზე გადგია ერის სუნთქვა და
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო,
დღეს ერს დედობა გაუწიო - შენი ბედია !
ჭირთა გაძლებას მიჩვეულო ჩემო ქართველო,
დღეს ემიგრანტი გქვია, მაგრამ
ხარ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო!

არ მაპატიო

არ მაპატიო, ღმერთო არც ერთი
ცრემლი - რაც არ მდის გულის სიღრმიდან.
არ მაპატიო, სანთლის ნალღენთი,
რაც არ იქნება სუფთა და წმინდა.
არ მაპატიო—თუ ბოროტების
აქვს ფორიაქი სულს და იშფოთებს.
ნუ დამანახებ მწვანე კორტების
იით მორთვას და ნურც ზამთრის ფოთლებს.
არ მაპატიო, ღმერთო ნაბიჯი,
მიზნად თუ ჰქონდეს სხვისი ზიანი.
გადამიკვეტე კარი კარიბჭის,
არ დამანახო ცა დარ—მზიანი.
არ მაპატიო, არც მლიქვნელობის
და არც სიხარბის არცერთი წამი.
არ მაპატიო, არ - მიმტეველობის,
არ - პატიების ცრემლების წამი.
არ მაპატიო, ძმის საღალატო
გულში გავლილი არცერთი ზრახვა.
არ მაპატიო - რაც გიღალატო,
ნატვრად მარგუნე სამოთხის ნახვა.
ღ მ ე რ თ ო - ამას გთხოვ მუხლებმოყრილი,
ხატის წინ როცა პირჭვარს ვისახავ.
შენს სიწმინდესთან მე თავდახრილი
ნაცოდვილარ სულს ვგმობ და თავს ვილახავ...

ყინულის დედოფალი

გამოუკეტა მზეჭაბუკმა სიყვარულს კარი,
ეკალ-ბარდიან გზებს გაუყვა, გაუჩინარდა.
უნდოდა გულში წაეშალა იმ ქალის კვალი,
ვინაც, ამ ქვეყნად, თავისთავზე მეტად უყვარდა.
თავისი გული ვერ შეკადრა დედოფალს ყინვის,
მაინც, უფალო, თქვი, რატომ ქმნი მათ ლამაზებად?
ვერვინ ხედავდა ვერც ჭაბუკის დასუსხულ ტკივილს,
ვერც იმ ყვავილებს, - რომ უფენდა ფიანდაზებად.
ვერ გაუბედა სიყვარულის თუმცა გამხელა,
შემოინახა გულში, როგორც ტკბილი ზღაპარი.
უმანკო გრძნობას, ქალს - მშვენებას, უფლის ნახელავს,
გულში აუნთო მარტოსულის წმინდა ლამაპარი.
მზეჭაბუკს მერე სიყვარული აღარ სწვევია,
წმინდა სიყვარულს, თურმე ერთხელ მოსვლა სჩვევია.

ღმერთო, რამდენი მქონდა სათქმელი...

ღმერთო, ამქვეყნად რა ცოტა მითქვამს,
თურმე რამდენი მქონდა სათქმელი.
რამდენი სიტყვა სულსაც ვერ ითქვამს,
რამდენს ადულებს გულის სარქველი...
რამდენი განცდა - მზეუნახავი,
ჩემში ფეთქდება და იმალება.
რამდენ ცეცხლს მაფრქვევს მზეთუნახავი,
მისი ხიბლი და იღუმალება...
ღმერთო, რამდენჯერ ვიქეცი ფერფლად,
რამდენჯერ დამწვა მზის ელვარებამ.
რამდენი ღამე გათენდა თეთრად,

რამდენს მოვესწარ - გარდაცვალებას...
ღმერთო, რამდენი რამ მაქვს სათქმელი
და რამდენ უთქმელ სიტყვას ვატარებ...
ვიცი, რომ სცოდავს ბევრჯერ „არმოქმელი“
მაგრამ ზოგჯერ თქმაც - ცოდვით ვატარებს...

ჩემი „ბათომი„

მაგნოლიები ყვავიან ახლა,
ჩემი შავი ზღვის სანაპიროზე.
მე დღესაც მისი სურნელი მახლავს,
თუმცა შევეყურებ ნახატს ტილოზე.
სევდით ვიგონებ, მხატვარი ფუნჯით,
როგორ ცდილობდა ჩემთვის მის შექმნას:
ზღვას ფერი ჰქონდა საოცრად ლურჯი,
და იდილია ამ სურათს ერქვა.
გარინდებული ვიდექი ზღვასთან,
სიხარულს - წასვლის სევდა მპარავდა.
დამშვიდობებდა ვცდილობდი მასთან,
მაგნოლია კი ჩემს ცრემლს მალავდა.
დღეს ისევ ყვავის ბათუმში ვარდი,
მაგნოლიებს სდევთ ზღვის სურნელება.
მაშინ ჩემს ქალაქს სულ ახლოს ვყავდი,
ახლა სურათზე მიწვეს ფერება...
ნახატს ასაკი შემოახუნდა,
მხატვრის ხელწერას ვუცქერ განცხრომით...
მაშინ ნახატში მივეცი ხურდა,
დღეს ძვირფასია სიტყვა „ბათომი“.

მე ემიგრანტი მქვია!

- სევდით მივყვები სხვის ზღვის ნაპირებს,
და ჩემს დავეძებ ქვიანს.

დღეს სინატრული კვლავ ამატირებს-
მე - ემიგრანტი მქვია!

- მიწას ვნატრულობ, რომ ჰქვია ჩემი,
მიწას, რომელიც სუნთქავს.

ზღაპარს, ნაამბობს ნუკრის და შველის,
მამა-პაპას, რომ უთქვამს.

- სისხლად მედება გულში ტკივილი,
და აღარ ვიცი, რა ვქნა,

როცა ჩამესმის ქეთოს ტირილი

და იაფნანამ რა ჰქმნა?!

- მე ყოველდღამე სიზმრად ვნახულობ,
ჩემი წინაპრის საფლავს.

ჩემო სხეულო - არ დამარხულო,

სად გაგიტხრიან საფლავს?

- სად მიწერია ნეტავ ამოთქმა

ჩემი ცოდვილი სულის? . .

ვიცი, მოვასწრებ, მაინც ამოვთქვამ

ჩემს უკანასკნელ სურვილს:

- მე ჩემს მიწაში მინდა დამარხვა,

- მას მშობლიური ჰქვია.

ისიც მეყოფა, დღეს რომ სხვაგან ვარ

და ემიგრანტი მქვია!

- ჩემში ვერაფერს წაშლის ამ სახელს,

ემიგრანტობის ამ კვალს.

მე ნუხელისაც სიზმარში ვნახე,

როგორ მირწევდნენ აკვანს.

- როგორ მღეროდა დედა ჩემს თავთან,
„გამებარდეთ შვილო“ . . .

ნეტავ რა მოხდა, რა დამემართა,
ჩემს თავს ისევ რად ვჩივლობ?!

- ჩემს მონატრებას ცრემლით ვუმზერ და
ვიცი, რომ არის გვიან.

მჭილი დავირტყა მინდა გულზე და
ვთქვა - ნოსტალგია მქვია!

- უკვე წლებია გავდივარ ამ გზას,
დარდია ჩემი მცველი.

უცხო ქუჩებში ნანწალით ნამგზავრს,
თვალს შეეყინა ცრემლი.

- გულში ვიხუტებ ჩემი ბღვის კენტებს,
მინას - მოტანილს მუჭით.

ეკლესიაში ვანთებ ჩემს სანთელს,
როცა სულს სუნთქვა უჭირს.

- ვინ გამიბედავს - მიწოდოს „უცხო“
მე ჩემს საკუთარ სახლში?

მათ, ვინც მიწოდებს ამ სიტყვას ურცხვად,
მინდა ჩაეხედო თვალში.

- ვუთხრა, მივმართო: „ბოდიში ცდებით,
ჩემს გულს ტკივილი ლენავს,

თუ უცხოეთში გავლიე წლები,
ხომ ქართველი ვარ დღესაც“?! .

- მე - ემიგრანტი მხოლოდ მიწოდეთ!
ესეც კი მყოფნის ტყვიად.

მე უსამშობლო არ ვარ, იცოდეთ,
არც უსახლკარო მქვია.

- მე მონატრება მქვია სამშობლოს,
სიშორს ძარღვის კვნესა.
ვინ შეძლებს ამ დარდს, რომ მომაშოროს?
მე ტკივილი ვარ დღესაც.
- ჩემი სათქმელი მაქვს ერთი სიტყვით,
მათთვის ვინც უცხოდ მთვლიან.
ქედს არც მოვიხრი, თამამად ვიტყვი:
„მე - საქართველო მქვია“!
თუმცა ჭრილობა არ მაქვს სახვევად,
გულში ვიდუღებ ტყვიას.
ისიც მეყოფა, დღეს რომ სახელად
მე ემიგრანტი მქვია! . . .

ყველას თავისი შეცდომისთვის ეზღვევინება

ვერც ძველ სიყვარულს ვინატრებ და ველარც იმ ცხენებს.
ადრე ჭიხვინით რომ არღვევდნენ ლამის სიჩუმეს.
ახლა ისე ვარ, თითქოს გუშინ მათრახით მცემეს,
მაგრამ ტკივილებს გაფუძელი - ჩემთვის ვიყურე.
ვიცი, მოვა დრო,სამართალი თავის გზას ნახავს,
მე ვერც ლოდინმა დამლალა და ვერც მოთმინებამ.
და ისე - როგორც ყველა, მხოლოდ თავის მკვდარს მარხავს,
შეცდომისთვისაც ყველას თავისი ეზღვევინება.



თამუნა ჭილაძე



დავიბადე 1989 წლის 29 მარტს ცხინვალში. 90-იანი წლების ომის გამო ოჯახი გადმოვიდა აგარაში საცხოვრებლად, სადაც გავატარე ბავშვობის წლები და დავამთავრე აგარის საჯარო სკოლა. 2006 წელს ჩავაბარე საქართველო ტექნიკურ უნივერსიტეტში „ჰუმანიტარულ სოციალურ ფაკულტეტზე“, რომელიც დავამთავრე 2010 წელს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი შპს „ნიკორა ტრეიდი“-ში მოლარე-ოპერატორად, თბილისში 4 წელი. 2014 წელს დავოჯახდი და ოჯახთან ერთად ვცხოვრობ ფოთში.

მე და ის

მე და ის, ყოველ საღამოს ერთად ვბრუნდებით სახლში.

ორივე ვდუმვართ.

როცა ლამპიონებით განათებულ ქუჩას მივუყვები, ნაბიჯს ვუჩქარებ, ისიც ფეხდაფეხ მომყვება.

ხანდახან შევხედავ ხოლმე. სულ მგონია, რომ რაღაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს.

ძალიან სევდიანია...

ფიქრებში გართულს ბევრჯერ დამვინწყებია მისი არსებობა, მას კი არასდროს მივუტოვებიავარ.

მომყვება სადარბაზომდე, კბეებზეც ჩემთან ერთად ამორბის...

მე კი ერთხელაც არ მომსვლია აზრად, სახლში შემეპატიუებინა.

ვტოვებ სიცივეში და სიბნელეში მარტო.

ის არ მსაყვედურობს...

ხვალ ისევ დამელოდება და სახლში მომაცილებს. ასე იქნება სანამ ცოცხალი ვარ.

ის ჩემი ჩრდილია!

მომგონებიდან

ბავშვობა არასოდეს მომნატრებია, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს. მხოლოდ რამდენიმე ზაფხული მენატრება ჩვენს სოფელში - „ოქონაში“ გატარებული, სადაც დავიბადე და 90-იან წლებში, ომის გამო მოგვიხდა იქაურობის დატოვება, თუმცა ბაბო და პაპა მაინც იქ ცხოვრობდნენ. ზაფხულობით კი ბიძაშვილ-მამიდაშვილებიც ჩავდიოდით დასასვენებლად. მაშინ ათიოდე წლისა თუ ვიქნებოდი..

კარგად მახსოვს სიძველისგან ნახევრად ჟანგმოკიდებული, ცისფერი ჭიშკარი, კართან უზარმაზარი კაკლის ხე, ლობეზე ასული სამურაბე ვარდი და ხასხასა მწვანე ბალახი, მთელ ეზოში.

კაკლის ძირში გოგია პაპას სახელოსნო, სადაც ხერხი, ცული, ლურსმანი და ამისთანა ნივთები ეწყო. იქ უყვარდა პაპას ჯდომა, ხის კუნძზე. თავზე მუდამ ნაბდის ქუდი ეხურა, დაეყრდნობოდა ნიკაპით თავისივე გამოთლილ ხელჯოხს და მეორე მსოფლიო ომში გადახდენილ ამბებს გვიყვებოდა.

ეზოში ბანრები იყო გაბმული, რაც სრულიად უსინათლო ნინა ბაბოს გზის გაკვლევაში ეხმარებოდა. მიუხედავად უსინათლობისა, მას არასდროს ჩაუცვამს ჩუსტები უკულმა, არც ტანსაცმელი... ყურზე მუდამ რადიო ჰქონდა მიდებული, რომლის ანტენაც მავთულით იყო დაგრძელებული, რათა სიგნალი უკეთ მიეღო. ნინა ბაბო, აქედან იგებდა დროს და ქვეყანაში მომხდარ სიახლეებს.

რა თქმა უნდა არ გვქონდა შუქი, არც ტელევიზორი, არც მაცივარი და არც სხვა საყოფაცხოვრებო ტექნიკა. სამაგიეროდ აივნის ქვეშ ღუმელი გვენთო, იქ ვაკეთებდით სადილს და ვაცხობდით პურს.

სახლის პირველ სართულზე, საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა მარანს. ბავშვებს ძალიან გვიყვარდა იქაურობის დათვალიერება. განსაკუთრებით მინაში ჩაფლული ქვევრები მხიბლავდა. ყოველ შესვლაზე თვალს ვავლებდი ტომარაჩამოცმულ საფლავის ქვას, რომელიც ნინა ბაბოს ომში დაკარგული ძმისთვის იყო განკუთვნილი.

მეორე სართულის აივნიდან კარგად ჩანდა ქუჩა, იქიდან ვაკვირდებოდით ავტობუსიდან ჩამოსულ მგზავრებს, რომელიც ჩვენს სახლთან ჩერდებოდა. სახლში შესულები სათამაშოდ

დიდ ყვითელ ოთახს ვარჩევდი, რომელსაც ისევ აჩნდა რუსი ჯარისკაცის ჩექმის ძირი და თითქოს დარდისგან გაჩენილი საკმაოდ დიდი ბზარი. ოთახში უხვად იყო გაფენილი მამიდას შეგროვებულ მცენარეები: ქრისტეს სისხლა, ვირის ტერფა, თავშავა, პიტნა, ღვალო, ასკილი და სხვა.

მამიდა გვივლიდა მთელი ზაფხული დაუღლებლად. არასდროს ეზარებოდა ჩვენთვის ზღაპრის მოყოლა. რა დამაფინყებს "ჭინკა-ჭიჭის" ამბავს. ეს ზღაპრის გმირი მამილუსიამ ჩვენთვის გამოიგონა. ჩემს მეხსიერებაში ის პატარა კუდიანი გოგო ისევ არსებობს, თავისი განწილი თმებით.

სათონის გვერდზე მიშენებულ პატარა ჯიხურში, ქოხი გვექონდა მოწყობილი. იქ გაგვყავდა დრო, სანამ შუადღე გადავიდოდა და ფრონებზე საბანაოდ წავიდოდით. თან ჩვენი ჭრელა ძროხა მიგვყავდა ჭალაში საძოვარზე. ჭყუმპალაობა, რომ მოგვწყინდებოდა, ჩვენივე აწყობილი ანკესებით ვთევზაობდით.

შებინდებისას ჩვენს ვენახში, მოწნულ ქოხში, ასევე მოწნულ ტახტზე გაფენილ თივის ლეიბზე ვისვენებდით. მერე წამოვუვლიდით ახლადჩამოცვენილ ნედლ კაკალს და შავ ყურძენთან ერთად ვჭამდით. სახლში დაღლილ-დაქანცულები ვბრუნდებოდით, წინ, რა თქმა უნდა, ჭრელა მიგვიძლოდა.

რძეს და მანონს გასაცხიებლად ჭაში ვკიდებდით, ბევრჯერ საზამთროც გაგვიციებია.

სასმელი წყალი წყაროდან მოგვექონდა ალუმინის სათლევით. ოციოდე მეტრითაც არ იქნებოდა სახლიდან დაშორებული. თითქმის ამდენივე მანძილი გვაშორებდა რუსი ჯარისკაცების საწვრთნელ ბაზასთან. დიდი ინტერესით ვაკვირდებოდით, ქუჩაში აწყობილი ნაბიჯით, რომ დადიოდნენ, თუმცა შუალამისას მოულოდნელად ატეხილ სროლას, ისე გვექონდა ყური შეჩვეული, არაფრად არ ვავლებდით.

მე და ჩემს დას მუდამ ჩხუბი გვექობდა ჩვენზე ცოტა უფროს მამიდაშვილთან, გიორგისთან. ჩვენი მოსამართლე მამიდა, მუდამ ჩვენს მხარეს იჭერდა და თავის შვილუკას ტუქსავდა. იმასაც რა ექნა, სულ ჩვენ დაგვდევდა კუდში. ცოტა ხანს თუ წამოწვებოდა და წიგნის კითხვას დაიწყებდა, მაშინაც არ ვასვენებდით. ახალი წიგნი რომ აღარ ქონდა. ისევ წაკითხულის კითხვას იწყებდა (ვინ იცის ერთი და იგივე წიგნი რამდენჯერ ექნება წაკითხული).

სწავლის დაწყებასთან ერთად, სოფელს ყველა ვტოვებდით, მომავალი არდადეგების მოლოდინში, სანამ ერთი სასწავლო წლის დაწყების წინაც პაპა არ გარდაიცვალა.

მას მერე იქ აღარ დავრჩენილვართ.

ბოლოს, აგვისტოს ომის წინ. აღდგომას ვიყავით პაპას საფლავზე.

ომის შემდეგ კი ყველაფერი დავკარგეთ.

გოგია პაპას საფლავიც...

მხოლოდ მოგონებები დავგრჩა...

რალაც უცნაურად მეფიქრები პაპი...

ბოხოვ...

ველარ ვერევი თავაშეებულ, ნაცრისფერ დღეებს...
ამ შემოდგომამ თავი რით ვერ გამოიტირა?!
ერთხელ ჩემს გულში, ჩემს საყდარშიც შემოიხედე,
და გაზაფხული მომიყვანე, ფოთლები მტკივა.
როცა ღრუბელი ბუმბულივით გდია ზეცაზე,
როცა ამ ღრუბელს, როგორც ფურცელს ისე დაათრევს
ქარო, მე შენი მძლავრი ფრთებით გადამეფარე,
თორემ ჩემს ბოლო იმედებსაც ქარი წამაგლეჯს.
აღბათ ვერ შევძლებ ცივ ზამთარში თავის გატანას,
თუ კედელივით არ მიდგები ყოველი მხრიდან,
უკვე, ფესვიც კი სასიკვდილოდ დამიავადდა,
გთხოვ, გაზაფხული მომიყვანე, ფოთლები მტკივა.

მე შევიშალე

ლამე ჩვეული მდუმარებით იდგა სარკმელთან
და შემოდგომა გაყვითლებულ ითვლიდა ფოთლებს...
სანამ ზმანება ღრმა ძილისკენ გამიტაცებდა,
ვუმზერდი, ცაზე ვარსკვლავები ბადეს, რომ ქსოვდნენ.
სურდათ დილამდე ეზეიმათ მთვარის ტყვეობა,
თუნდაც გულწასულს სანატრელად ჰქონოდა ელვა.
მთვარე ტუსადი, მაინც ვერსად გაიქცეოდა,
გაიქცეოდა, ამ ვარსკვლავთა ბადიდან ვერსად.
...და მე ვუმზერდი, მშვიდად, ისე როგორც მჩვევია,
რიჟრაჟნატრული მომეჩვენა ახლა ეს მთვარე,
არც შენი სუნთქვა, რიტმშეცვლილი გამომრჩენია,
როს ჩემს ზმანებას მთვარის ნაცვლად გადაეფარე.
კვლავ მდუმარებით, ლამე იდგა, ყველა სარკმელთან

და შემოდგომამ ფოთოლცვენა ისე დაიწყო,
მე შევიშალე, ვიდრე ძილი გამიტაცებდა.
რადგან ეს ღამე, ჩვეულებრივ ღამე არ იყო.

შემოდგომის მხე

შორს ხარ ახლა, შემოდგომის მზესავით,
ხავერდოვან სხივებს მანვდი კონებად,
დამითმია შენთვის მთელი გონება
და წამართმევს შენს გულს, ქვეყნად ვერავინ.
საამოა ერთობ იმის ყურება,
ვაშლებს როგორ უღაჟღაჟებთ ლოყები,
მე ზამთრისკენ კვლავ ხელკავით მოგყვები,
სანამ ყველა კარი დაიხურება.
თბილ ქვეყნებში გაფაცილოთ ჩიტები,
ჩვენც მოგვინყონ ფესტივალი მტრედებმა,
სანამ ყველა კარი დაიკეტება
და ბინდივით ჩვენც არ გავიცრიცებით.
თუმცა შორს ხარ შემოდგომის მზესავით,
ხავერდოვან სხივებს მანვდი კონებად,
დამითმია შენთვის მთელი გონება,
შეგიყვარებს ასე ძლიერ ვერავინ.

იმ სახლს უკან

იმ სახლს უკან, მიმალული ღრუბელია,
ეურჩა და არ გამოყვა წვიმას...
უსასრულო სიყვარულზე თუ გსმენია?
რომ ატარებ და ვერასდროს ცვითავ..
ვერ შევძელი გავყოლოდი ნიავს თუმცა,
ქარს მივუშვერ ატკივებულ ფერდებს,
სანამ, ერთადერთი ფერიც გამიხუნდა,
სანამ, ჩემს გულს, ფეხქვეშ გაგიფენდე-
ჩამოვაკლდე ამ სამყაროს უნდა თორემ,
არ დამზოგავს ზეციური ლანდი,
ყველა ღიმილს შენს არსებას ვუმადლოდე,
რომ შენ ასე ძლიერ შეგიყვარდი.
იმ სახლს უკან, მიმალული ღრუბელია,
ეურჩა და არ გამოყვა წვიმას,
უსასრულო სიყვარულზე თუ გსმენია,
რომ ატარებ, და ვერასდროს ცვითავ.

უსათაუროდ

ახლა ღრუბლები ხის ტოტებზე, როგორც ჩიტები,
სხედან და ურცხვად ასველებენ მიწას გალანტურ,
დღეს, უსათუოდ, შენს მხარეში გამოვფრინდები,
რადგან, უშენოდ, ერთი წუთით ყოფნაც აღარ მსურს.
მე, საფუძველი მოვაკელი ყველა მოლოდინს,
მანც აიშვებს მიჯაჭვული კლდეს ამირანი
და ყოველთვის მაგ ქარიზმით ისე მომწონდი,
ამ მოწონებამ ჩემს სხეულში ფესვი გაიდგა.
შეუსაბამოდ მიმაჩნია ზეცის გოდება,

როცა უშველის ჩემს საწუხარს მაინც არაფერს,
თუ უშენობით გული კვლავაც შემილონდება,
აღბათ ბუნება ღრუბელივით ტირილს დამაჩვენებს
და წვიმის წვეთი ეფერება მინას გალანტურ,
როგორც მეგობარს, როგორც დედას,
როგორც სამშობლოს,
ჩვენ დავესწრებით ღია ცის ქვეშ ზეიმს, გამართულს,
რომ მერე ერთად, გალანტური, მინა დავტოვოთ .

არყოფნიდან სულის ჩადგმამდე

ვირჩევ პერიოდს არყოფნიდან სულის ჩადგმამდე,
რადგან ადვილად შევაჩვიო თავი ჩარჩოებს
და ჩემი ხორცი დედამინას ისე ჩაბარდეს,
რომ, ერთი სიტყვაც, სამდურავი აღარ წამომცდეს.
მედიტაციით გამონვეულ ჩემში სიმშვიდეს
არ ვუფროთხი, ვიცი დამიბრუნებ ისევ ფორიაქს
სულში, როდესაც იმ ღირესთან ახლოს მიმიშვებ,
სადაც დავტოვე არაერთი მწვავე ფობია.
...და დიარემა, ისე მიმზერს, როგორც ცოცხალი,
თუ ვერ გავიგე მაგმურ ქანებს რისი სუნი აქვთ,
აბა, მიწის ქვეშ, რუს წყალივით რატომ ვჟონავდი,
თუ დედამინა კვლავ საეჭვოდ გასუსულია.
ვირჩევ პერიოდს არყოფნიდან სულის ჩადგმამდე,
რადგან ადვილად შევაჩვიო თავი ჩარჩოებს
და ჩემი ხორცი დედამინას ისე ჩაბარდეს,
რომ ერთი სიტყვაც სამდურავი აღარ წამომცდეს.

თქვენ ორს!

არ მინდა ამინდმა გუნებაც არიოს,
თქვენ, ნუთუ არ გჯერათ ამ ჩემი სიტყვების?!
ვკითხულობ დილიდან ჯორჯ გორდონ ბაირონს
და მაინც თქვენს ხმაზე ცეცხლივით ვინთები!
ჩამოხმა გარემო, სიცხეა ისეთი,
რომ სუნთქვა ეკვრებათ გაფიჩხულ გაზონებს,
(ეს ისე), მაგრამ მე ხომ გამოვიქეცი,
მაგრამ მე თქვენს ხმაზე, ხომ მაინც მაჟურჟოლებს?!
ვიფშენეტ ჯერ სხეულზე შემოკრულ სალამოს,
ველი, რომ სიჩუმე თოფივით გავარდეს,
ნებართვის გარეშე შეგბედავთ ამავე დროს-
მოგიწყობთ ჩემს გულში კომფორტულ სავანეს.
თქვენ, ჩემი სიტყვების თუ მაინც არ გჯერათ,
(ეს ისე... ვიცი, რომ თქვენ ჩემზე გიჟდებით)
მომენდეთ და ნდობა იკმარეთ ამჯერად,
მე როგორ მიყვარხართ ვერ გამოგიტყდებით

ჩრდილების თამაში

თრთის გაზაფხული, ვით მერცხალი ფრთამოტეხილი,
აჰა, აპრილსაც წამხდარი აქვს ნირი დღეიდან,
შენ ხარ ჩემს მკერდში ფრესკასავით გამოკვეთილი
და ფიქრთა გუნდი საგალობლებს შენთვის მღერიან.
თვალის ხამხამში მიილია შუქი სინათლის,
კვლავ ხელის მტევანს ვისასთუმლებ, როგორც აქამდე,
მე, რომ მითები მოვიგონე, ნეტავ ვინ დათვლის...
ან ამ ვარსკვლავებს ვინ შეხედავს, მე რომ ვხატავდე.

ტოტებს ასხია მოელვარე წვიმის წვეთები
და ბალში ტიტებს ააფეთქებს სიო ზღაპრულად,
ჯერ ისევ ცაში ღრუბელივით დავეხეტები,
ჯერ ამ შეშლილი სამყაროდან არსად წავსულვარ.

ჩვენს აკვანში თოთო ბავშვი ირწეოდა

ნისლმა, თეთრი, გამოძერწა თოვლის გუნდა,
(თუმცა თოვლი აღარ მოვა ვიცი, რომ...)
რაც ვისურვე ლოცვასავით მომიბრუნდა,
მო და, ერთად გულიანად ვიცინოთ.
დაგემალე, მოვეფარე შინდის ყვავილს,
(ისევ შენი იმედი მაქვს ყვავილო,)
თაკარა მზის ამოსვლამდე შინ ვიყავი,
ახლა წვიმამ მოინდომა, მატეროს.
გაბაფხულდა, ფრინველებმაც იწყეს მოსვლა,
მზე დაგორდა ჭიუხვიდან ლოდივით,
ჩვენს აკვანში, თოთო ბავშვი ირწეოდა,
მომეჩვენა, რომ დასრულდა ლოდინი.
ნისლმა, თეთრი, გამოძერწა თოვლის გუნდა,
(თუმცა თოვლი აღარ მოვა ვიცი, რომ)
რაც ვისურვე ლოცვასავით მომიბრუნდა,
მო და ერთად გულიანად ვიცინოთ.

უჩინარდები

დღეს, (როგორც იქნა)
კვერს მიკრავენ ყოჩივარდები,
რომ სახვალიოდ გაზაფხული
მოსვლას აპირებს,
შენ, გარიჟრაჟზე ვარსკვლავივით
უჩინარდები
და კვალად ტოვებ
სიყვარულის მომცრო ნაწილებს.
მოდის, ზამთარსაც მივუკეტოთ
ერთად კარები,
თუ მარტის თვეში,
თავხედურად ისევ მოთოვა,
მაშ, უარესი გაგიჟებით
შემიყვარდები
და შევიშალოთ...
(არ გაიგონ სხვებმა ოლონდაც)

ჩემი მძარცველი

მესიზმრა, ვითომდა ხელკავით მოგყავდი,
იმ ღამით კვლავ გახდი, შენ, ჩემი მძარცველი,
(არ გკითხავ და პასუხს ამჯერად არც ველი)
...სიზმარშიც ხომ მყავდი...
ჰაერში ქარივით შემორჩა „ვივალდი“
და იქვე ვარსკვლავთა კოლონაც მღეროდა,
ეს მაშინ, ყველასთვის მეძინა მე, როცა,
...სიზმარშიც მიყვარდი...

წერილი საყვარელ მეუღლეს (ირაკლის)

მთვარემ, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი, გულზე შეიბნია და ცის კალთაზე გაინაბა...

ისევ შეუმჩნევლად გამეპარა ძილის საათი, (თუმცა დღეს და ღამეს, უკვე დიდი ხანია, ჩემს ნებაზე ვატარებ)

მიყვარს ღამე... სულს გავამზევებ ხოლმე... ვკითხულობ, ვწერ და ვფიქრობ, ვფიქრობ ძალიან ბევრს...

ყველაზე მეტად ფიქრი მიყვარს, ფიქრში უფრო თავისუფლად გესაუბრები, (არა, თავისუფლად კი არა, ჩემებურად) იქაც ზუსტად ისეთი ხარ, როგორიც რეალურ სამყაროში. არასდროს მოვისურვებ შენს შეცვლას, რადგან ზუსტად ისეთი ხარ, როგორიც მინდა იყო და როგორიც მჭირდება.

მე ფიქრშიც ამაყი ვარ და ახლაც, როცა ვწერ, გული სიამაყით მეფლება, რომ მყავხარ და გიყვარვარ, ჩემი უარყოფითი და დადებითი თვისებების თანხლებით.

მეამაყება, რომ არასდროს ვჩხუბობთ, არასდროს მებუტები... თითქმის არასდროს ვკამათობ და თუ სასწაული მოხდა, მაშინაც ერთმანეთს ვასწრებთ ბოდიშის მოხდას, თუმცა საბოდიშო არც არაფერია ხოლმე. მერე ერთად ვიცინით ორივე.

ახლაც მეცინება... ხშირად ბავშვებივით ვიქცევით... იქნებ გიჟებადაც ვვთვლიან, მაგრამ ესეც მიხარია.

არ ვიცი როგორ ახერხებ, რომ მუდამ შენს ყურადღებას ვგრძნობდე. სადაც არ უნდა იყო, ყოველთვის გგრძნობ.

ჩვენი ურთიერთობა ისეთი უბრალო და უცერემონია, მიჭირს ჩემი თავისგან გამოგყო.

არც ის ვიცი, როგორ ახერხებ ჩემი ფიქრების გამოცნობას, ყველა შენი ნაბიჯი ჩემს სურვილს ემთხვევა (ყოველგვარი წინასწარი შეთანხმების გარეშე)

ხასიათი ტყუპებისა უფრო განსხვავდება, ვიდრე ჩვენი,,
მზესავით თბილი ხარ, ლუნდულა...
ჩემი გაოცება გიყვარს...
მოულოდნელობებით მავსებ...
დანამდვილებით ვიცი, რომ არასოდეს გავხუნდებით,
ერთფეროვნება და გაუფერულება არ გვემუქრება.
ყველა სიტყვას საქციელით მიმტკიცებ...
გიყვარვარ...
მიყვარხარ...
ჰო და წინ, დაუსრულებელი სიგიჟეებისკენ!

წია-წია

მზე მიგზავნის კუთვნილ სითბოს, წია-წია,
ყველა სხივის სიკაშკაშე, შენ ხარო,
სიყვარულმა ფინიშამდე მიაღწია,
ჩემი თავი მსურს სენივით შეგყარო.
გაცრეცილი მეჩვენება უკვე ღამე,
ვიმედოვნებ, ფერმკრთალი ვარ მისთვისაც,
ახლა, ფიქრებს საღამურებს უკერავენ-
ესლა დარჩათ ამ ვარსკვლავებს მისია.
მარტივია, გაღვიძება დილით ყოველ,
მაგრამ შევძლებ არ მახსოვდე წამითაც?
ჩემ გარშემო შეგრძნებები ჯირითობენ
და მეც ერთი სამშვიდობოს გამიყვანს.
მზე მიბრუნებს კუთვნილ სითბოს, წია-წია,
განა ჩემი სიკაშკაშე არ ხარო?
სიყვარულმა ფინიშამდე მიაღწია,
მოდი ახლოს, რალაც უნდა გახარო!

მოყვითალო ნავები

(დაო, მარიაჲ)

ტბის ნაპირას ირწეოდნენ
მოყვითალო ნავები
და ჰაერი გამიზნულად
ჩახუთული მეჩვენა,
რომ იცოდე, როცა ნავალ,
როგორ მომენატრები...
არ ყოფილა ეს წალკოტი
არასოდეს საჩვენო.
სიგიჟემდე, მიზერული
დარჩა მხოლოდ მანძილი,
ჯერ ცხოვრება უმნიშვნელო
ფრაგმენტებად იშლება,
შემოკრული ჩემს ბეჭებზე,
ცოდვა-მადლი მამძიმებს,
საღლა უნდა შევაფარო,
ახლა სული შიშველი.
ისევ ცივა... ამ წვიმებმა
იქნებ კვალიც არიონ,
ტბის ნაპირას ირწეოდნენ
მოყვითალო ნავები,
უცნაურად დამესიზმრე,
წუხელ, დაო, მარიაჲ...
როცა ნავალ, რომ იცოდე,
როგორ მომენატრები...

ბანაფიქრები

სუსხიან სალამოს ფიქრი ჩრჩილივით შეუჩნდა. ჰორიზონტს კი ქარი, თავისი კალთის ქვეშ მალავს. უფრო მეტად მიჩნდება სურვილი დროს გავასწრო. საბუხრიდან ჭვარტლი თოვლის ფიფქივით იბნევა და ოცნებები ზამთრის სურნელით თვრებიან... ვხედავ, როგორ იცვლება წარსული, მომავლით... და მე გარდამავალ ხაზზე მდგომი ვაკვირდები მიწაზე ჩამოყრილ ფოთლებს, რომელიც წვიმამ უკვე ისე დააღპო, რომ შეუძლებელია მათი „წარმომავლობის“ გარკვევა, ისევე როგორც ჩვენი ხვალისდელი დღეა შეუცნობელი. ბუნების არითმია მძიმე სენივით გადამედო და კვირტების გასკდომას ისე ველოდები, თითქოს უკვდავების წამლად უნდა მექცეს ხეთა აყვავილება. ქუჩებში მოლოდინის ბული დგას. გაზაფხულამდე დღეებს თითებზე ვითვლი და სამაისოდ ვარდისფერ პერანგს ვიკერავ... ვიხსენებ იმ დროს, როცა მზე კოცონივით ბრიალებდა ცაზე. მისი ცეცხლოვანი ენა ნაზამთრალ ჭრილობებს მიშუშებდა და მეც განებივრებული ბავშვივით მივყურდებოდი, ხოლმე მის გულთან. ღამ-ღამობით ციციხათელებთან ერთად, სოფლის რუს მივყვებოდი სათავისკენ, რადგან მაშინაც მინდოდა ყველაფრის საწყისს მივწვდომოდი, რასაც შევძლებდი.

...წელიწადი დედამინასავით ბრუნავს. ისევ ამინიოკა სული თავნება ქარმა... წუთიერად ვიმოგზაურე ოთხივე დროში და ისევ სუსხმა გამომაფხიზლა. „გონსმოსული“ ჩემს ვარსკვლავს ვეძებ. იმედი მაქვს, რომ ის ერთ დღეს აუცილებლად მოწყდება და ყველა ოცნებას ამისრულებს!

თავო ჩემო!

(თიკო არაგველს)

დარდმა აგრე იცის, გათრევეს, დაგიმონებს...
თავზარც დასცემია სულ ყველა საფიქრალს,
ნულარას იდარდებ, ქალავ, -გაიგონე!"
მაგ ცრემლთა შეშრობა არადა არ იქნა.
ჭირსამც წაულია, ეშმას მოტანილი,
წინ რა დაუდგება მუხთალ წუთისოფელს,
მიწის შუა გულში, ქალავ, ხომ გაქვს წილი,
ჰო და მაგ სახეზე ღიმილს ნუ იშორებ!
ციდან ანგელოზი, შენი, საკუთარი,
მხრებზე გეფინება ძალის შემმატებლად,
რადგან სული გიდვას, მადლობა უთხარი,
ღმერთსა... და ვაი, რომ ვიცი გენატრება...
დარდსაც მოერიე, ქალავ, - გაიგონე!
თორე საფიქრალი ბარემც იმდენია...
გათრევეს უმონყალოდ, მერე დაგიმონებს,
ისეც უწონავი ცრემლი გიდენია!

ფარდის იქით

ფარდის იქით, შენს სილუეტს თითქოს ვლანდავ
და ვილაცა ექოსავით იმეორებს,
რომ სურვილი, ერთი-ასად გაიზარდა,
შენს გარშემო აგებული ციხე მქონდეს.
გამთბობია თითები, რომ მქონდა ცივი,
როგორც წყალი, მზე ხელებზე დამეწვეთა,
ახლა გულსაც ფანარივით მოგანწვდიდი,
გაგინათოს, მაშინ, როცა ღამე წვება-
ფარდის იქით...

სანაგვე ურნასთან

სულ თოთო აღმოვჩნდი სანაგვე ურნასთან,
მას მერე ცხოვრებას ქუჩაში ვებრძვი და
თქვენ, რომ არ შეწუხდეთ, ჩურჩულით უნდა ვთქვა,
მეც მინდა სახლი და მშობლები, მეც მინდა...
დედაჩემს არ ვიცნობ, არ ვიცი ვინაა,
არასდროს მყოლია მოძმე და მოკეთე
რატომღაც მე მაინც სულ დედას ვფიცავარ,
მიყვარხარ დედიკო, დედიკო, მომხედ!



მარინე ხუჭუა



მარინე დავითის ასული ხუჭუა, დაიბადე 1959 წლის ოქტომბერში ქალაქ სამტრედიაში, სოფელი მელაური.

დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. სამტრედიაში, კულაშის ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში ვმუშაობდი პედაგოგად. ვარ 3 შვილის, 6 შვილიშვილისა და 2 შვილთაშვილის ბებია, ამჟამად

ემიგრანტი, სტამბულიდან.

ეს ქალბატონი მარინეს პირველი კრებულია, წარმატება ვუსურვოთ მას.

სამშობლო ზიჰის სიყვარულია

სამშობლო ალბად ჩუმი ფიქრია
დაულაღვად თან რომ დაგყვება,
სამშობლო ალბად უფრო ნატვრათა
მუხლზე დაცემა და აღსარება.
სამშობლო გულში დაუტეველი
და გაცემული სიყვარულია,
მისთვის ნათევი უძილო ღამე
და ცრემლიანი სინანულია.
ღამე, სარკმლიდან, ცას რომ გახედავ,
უცხო ქუდივით გადმოკიდებულს,
წელში გამართვა რომ აგტკივდება
ზურგზე საპალნე წამოკიდებულს,
უცხო მიწაზე ფეხის დადგმისას
მის სიახლოვეს რომ ვერ განიცდი,
მთვარეც ყუჩდება დამუნჯებამდის
სალაპარაკოდ რომ არ დაგიცდის,
რას არ მიცემდი, სამშობლოს ცის ქვეშ,
გატარებული ერთი ღამისთვის,
მხოლოდ რომ ერთხელ შეგველო თვალი
შეყვარებული შენი ქალისთვის,
მხოლოდ რომ ერთხელ, მხოლოდ რომ ერთხელ,
რომ არ მთავრდება სულში ღმუილი,
სისხლში რომ ყმუის დაბმულ ძაღლივით
ის მონატრება უხმო ზმუილით,
ალბად ესაა სამშობლოს განცდა,
განცდა, რომელიც სულ თან დაგყვება,
განცდა, რომელიც ძარღვებში ფეთქავს
შენში, რომ რჩება და არ მთავრდება....

სამშობლო აღბად მაინც გულია,
სანთლების შუეზე ლოცვა ხატისა,
სამშობლო ჭიშის სიყვარულია
ჭიშის ყივილი შენი ხალხისა.

ნულარ იჩქარაბ

ქარი ანენავს წითელ ფოთლებს შემოდგომიანს,
მზე დაოსილი აუყვება ბინდის შარაგზას,
მე, შენ და ფიქრი, გავუყვებით ბილიკს თოვლიანს,
ნულარ იჩქარებ, დღეს ნამქერმა გზები ჩარაზა.
მოდო ჩამოვჯდეთ, ეს ერთი დღეც გაქრეს უკვალოდ,
მხოლოდ მე და შენ, სიჩუმეში გადავიკარგოთ,
ან რა აზრი აქვს, არსებობას სულში უქაროდ,
წვიმის გარეშე ან კი როგორ გადავიკაროთ.
იღინოს წვიმამ, იშხუილოს ქარმა კარდაკარ,
მე შენ და წვიმა, მე შენ და ფიქრი, ქარი თავნება,
ეს შემოდგომაც დაადულებს მაჭარს თანდათან,
ქარიც ჭენებით ულაყივით გაიქაფება.
მოვა სიმშვიდე, თოვლიანი, გადაპენტილი,
მოგონებები ბუხრის ალში გაიფანტება,
დილას დაასწრებს ნაპერწკლებად მრავალწერტილი...
მოგონებებში არაფერი არ იკარგება.
ქარი ანენავს წითელ ფოთლებს შემოდგომიანს,
მზე დაოსილი აუყვება ბინდის შარაგზას,
მე შენ და ფიქრი გავუყვებით ბილიკს თოვლიანს,
ნულარ იჩქარებ, დღეს ნამქერმა გზები ჩარაზა.

მე და ბუხარი

ტკაცუნობს შეშა, საუბარი გამიბას ვგონებ,
დროდადრო ენას გამომიყოფს, ალბად ხუმრობით,
გარეთ თოვლია, დედოფალი ბუნებას მონებს
და დღეებს ითვლის იანვარიც წუთიწუთობით.
ატკვარცულ წვივებს დაეხალათ წითლად ხალები,
მამლის ყივილმაც განთიადი შემოაპარა,
ჩანაცრულ ბუხარს დაუკოცნა ძილმა თვალები,
მურიან სახეს მინავლული ცეცხლი აფარა.
მე და ბუხარი... გადარჩენილ ნაკვერჩხლის სითბოს,
დროდადრო, რკინის საცეცხლურით ვჩიჩქნი ფიქრიან,
ბუხარი, როგორც გარდასული დღეების სიტკბო,
წლები კი, წლები ქარიშხლებთან ერთად მიქრიან.
მე და ბუხარი... იანვარმაც სული დალია,
დილა თენდება თებერვლის და გარეთ ქარია.

მათი მახარებელი

დავხურე წიგნი და შემოვრჩი მათესთან,
მეზვერის სუფრაზე იესოს პურობა,
თვით სიტყვა უფლისა, ცოდვილის კარებთან,
განწმენდა სულის და ზეცასთან სტუმრობა,
ჩვენს გულში, ჩვენს ირგვლივ რამდენი ცოდვაა,
უფალი თმენით და ლოდინით დავლაღეთ,
სალბუნად სნეულთა გულსა შიგ ლოცვაა,
ძალითა ლოცვითა, სინათლით ავმალლდეთ.
მიხარის ქართველი, მხნე, გამრჯე მარჯვენით,
მტკივა და გულს გარეთ ვერ ვუშვებ სნეულებს,

განკითხვაც დამცდა და ნაცყვედრიც რამდენი,
ამაყად მზირალი ვერა ვთმობ ჩვეულებს.
მათესთან სტუმრობამ მტკაველით გამზარდა,
ხინჯის და ცთუნების მიხილა თვალები,
შიგ გულში ტკივილი შლეგივით აზვავდა,
ცრემლებმა სინანულს გაუღეს კარები.
ილხინა სულმა და მომეთბო იმედი,
დავხურე წიგნი და შემოვრჩი მათესთან.

ლექსად დაბათოვა

ტანზე შემოგასკდა კაბა, ლამაზთოლავ,
მყვირალ მუხლისთაფებს მუზით ჩავეხუტე,
ხელი ჩამიცურდა გულის საპირეზე,
ტუჩებს დაგინამავ თუ არ გამებუტე.
ქარი გინიავებს კაბას, ქალისთოლავ,
მე და გული ლამის ერთად წავიქეცი,
სტროფი შემოგხვიე მარცვალაღვისტანავ,
ერთსაც დაგიჩემებ, თუ არ გამექეცი.
ტანზე შემოგასკდა კაბა საალერსოდ,
მზემაც ჩაგიჭყიტა უბე, შეკრულ ბროშით,
ისე მომანყურე ახლა შენი თავი,
თითებს შემოგისხნი ლამაზ ღირკილოში.
ტანზე შემოგასკდა კაბა, ლამაზთოლავ,
გულმა სურვილებად ლექსი დაგათოვა.

იყუჩე

იყუჩე, სიჩუმით გრძნობები თვრებიან,
გრძნობებით თრობა კი ტკივილებს აყუჩებს,
მკერდზე, რომ კვირტები ვნებისგან სკდებიან,
სიბნელე, რომ კივის, სურვილი მამუნჯებს.
ამ ღამით, მე დავწერ ჯერ უთქმელ სონატას,
სიმებზე ჯადოქრის ჯოხებად ვიცეკვებ,
ეს გრძნობა თითების ცეცებით მოვარდა,
ავყევი მუსიკის უნებურ სიცელქეს.
ქუჩაში დავუკრავ მუხლებზე დაცემით,
შენ, როგორც ფარვანა, ძარღვებში დამივლი,
მიყრიან ხურდას და მისმენენ მგზავრები,
ნოტებზე შენ წევხარ შიშველი ქალივით.
იყუჩე, სიჩუმით გრძნობები თვრებიან,
გრძნობებით თრობა კი ტკივილებს აყუჩებს,
ამ ღამით მე დავწერ მუსიკას ვნებიანს,
ნოტებზე წევხარ და უბრალოდ მამუნჯებ.

ისევ ყავა.....უსიგარეტოდ....

სიგარის ბოლქვებს მიუყვება ფიქრი რგოლებად,
ენევი, თითქოს დაცლილია შენთვის სამყარო,
ვსაუბრობთ უხმოდ,ფიქრის ფიქრში განმეორებად,
მეგზურობს ყინვა, სარკმელს ხურავს, უნდა გაგყაროს.
შენ სიგარეტით, მე ყავით ხელში, სამყაროს ბოლო....
ბოლო აკორდი, ბოლო სუნთქვა, ფიქრი რგოლებად,
გაქრა „მე და შენ“, დამიტოვე ხსოვნაში მხოლოდ,
გაჰყევი დღეებს აღარაფრის განმეორებად.
ისევ ღამეა, ისევ ყავა.... უსიგარეტოდ.....
სავარძელი და ფანჯრის მიღმა მთელი სამყარო.

ზამთრისფერი სიყვარული

ჩურჩულს, გამჭირვალეს ჰაერივით,
ვსუნთქავ, შენი ყურის ბიბილოსთან,
სავსეს, მთვარესავით, ღვთაებრივით,
კოცნას დაგიტოვებ ღიღილოსთან.
ციდან ფანტელები, ნება, ნება,
ლამის ნათურებზე ფარფატებენ,
შენი სიყვარულით დაქალემა
ცხელი სახადივით ღაღადებენ.
ლამე გამეპარა ალიონზე,
ცისკარს შეეპარა ალისფერი,
პაპის თითებია ყალიონზე,
თითებს სუნი ასდით ყავისფერი.
პაპა უთენია წამოდგება,
ბებოს მუხლები აქვს შალისფერი,
მზეც რომ შუბის ტარზე შემოდგება,
სითბოდ დაიღვრება ზამთრისფერი..
შენი სიყვარულით დაქალემა
შიშებს ღრუბლებივით ამირევენ,
პაპას, ბებოს მხარზე ჩაეძინა,
ბებოს, პაპის მხრები ამშვიდებენ.

დედა რომ ხარ.....

ისეთი რამ რა უნდა ვთქვა, რაც არ უთქვამს შენტვის მგოსნებს, როგორ უნდა გავილექსო შენს სიყვარულს სხივს რომ მოჰფენს, ან რა რითმა მოვიძიო შენს თვალებს რომ გააოცებს, ერთი უძლები შვილი ვარ, ერთსაც გეტყვი შვებას მომფენს., ვერაფრით ვერ გავიხსენე გამებუტე ოდეს განა? ერთხელ მაინც საყვედური დაგცდა ტკბილი ბაგიდანა?

დედა რომ ხარ, ალბათ მიტომ, ალბათ მიტომ შეგწევს ძალა, ალბათ მიტომ, თვით სიცოცხლეც, მოჩქეფს შენი მკერდიდანა. დედა რომ ხარ და სანყისი, უკვდავების ტოლო, სწორო, როგორ უნდა შეგიყვარო, შენს ზრუნვას რომ გავეტოლო. აბა მითხარ, სხვა ვინ არის ვისზე, ითქმის შენი დარი,

სამშობლო და ღვთისმშობელი, და შენ, ღმერთის შესადარი,

დედა რომ ხარ, ალბათ მიტომ, ალბათ მიტომ ვეძებ რითმებს, ან რა უნდა, როგორ უნდა გითხრა, შენ, რომ გაგაღმერთებს.

და მაინც ნუ მეძვებით.....

ნუ მეტყვით, სადღაა ნამდვილი ქართველი,
სურვილი ყოფაზე ათასჯერ მეტია,
ქართული ფოლადი, ხალიბში ნაფერი,
შეხედეთ ქედებზე გადმოდგა ბერდია,
საჩოხე ბიჭები დაზრდია ფხოველებს,
სვანეთის უშგული ზვიადობს სვანურად,
მეგრელი ამაცობს ცხენებზე ჯირითით,
ტატამზე კახელი ბეჭზე დებს კახურად.
ნიკორის წმინდიდან მოისმის გალობა,
რაჭველის სიღინჯე დახატა მხატვარმა,

ჯვრების და გუმბათთა, წმინდანთა არსობა,
და სვეტიცხოველი.... ვერ დაგვცეს მზაკვარმა.
და მაინც, ცოტაა, ცოტაა ქართველი,
და მაინც, სირცხვილით დავდივართ მაძღრები,
რა მახე დაგვიგეს, რა სისხლად გახელდი,
ო, მტერო, ცბიერო, არასდროს გაძლები.
და მაინც ნუ მეტყვით, სადღაა ქართველი,
სურვილი ყოფაზე ათასჯერ მეტია,
ქართული ფოლადი, ხალიბში ნაფერი,
შეხედეთ, ქედებზე გადმოდგა ბერდია!

ახლა ღამია...

ახლა ღამია და დილის გათენებას
ცაზე ვარსკვლავები ღიმილებად ტოვებს,
მთვარე ფერუმარილს მოაცილებს ვნებას,
გულში ჩაიკრავს და მასთან დაიტოვებს.
მოქანავე ლანდი ეფერება ხეებს,
ნაალერსევ ტოტებს ტოვებს ფუნჯის კვალი,
ფერი გადასვლია გადანახულ დღეებს,
ვაფერადებ ფიქრით, მოგონებით მთვრალი.
ახლა ღამია და საჭინკეში ალბათ
ათამაშებს შიშებს ჭინკებისთვის ალი,
მიუყვები ფიქრით ფეხარეულ შარას,
გაშიშვლებულ ხეებს ეფერება ქარი.
სულში ჩაწნეხილი საალერსოდ მიწვევს,
ტანზე მეტმასნება ღამე ჩემეული,
შიშველ ხეებს ქარი მკლავზე გადაიწვენს,

თითქოს დამიზავდა ჩემი ორეული.
ახლა ღამეა და შენით ავივსები,
დილა გამომტაცებს შენს თავს მკლავებიდან,
ფიქრში ნასტუმრები, ფიქრში ჩაივლები,
სტროფში ჩამირჩები, ტროფობის ზმანებიდან.

ჯიხვის რქაში ჩამოშისხით ზედაშე

შემოდგომა მიყვარს, შემოდგომა სხვაა
მზის სხივებსაც ჩაუშაქრდათ სხივები,
შრიალებენ ფეხქვეშ ხმელი ფოთლები,
სანეტარო სურნელებას მიყვები.
ხეივანი, ვით შედევერი მხატვრისა,
კედელზე რომ თავმომწონედ კიდია,
დახუნძლულა სული გრძნობის მტევნებით,
მაჭრობამდე საცალფეხო ხიდია.
ყვავილობას უმღერიან მაისში
შემოდგომას, ფოთლებიც კი ირთვება,
სათვალავი ამერია ფერების,
ახლა ჩემი გაგიჟება იწყება.
ვერ ამოვდე გრძნობას, ალბათ ლაგამი,
სული დულს და ბობოქრობენ აზრები
სამოთხეა შემოდგომის ფერები
სულ არ მიკვირს შიგ თუ ჩავიკარგები.
მომანოდე ამ ფერებით ავსილი
ჯიხვის რქაში ჩამწყვდეული ზედაშე,
ჩამინანი თმებში ფოთლის გვირგვინი,
ამ საღამოს, ვიყოთ მხოლოდ მე და შენ.

ამ საღამოს, შემოდგომის მწვერვალზე
შენს მკლავებში შემოდგომა ჩაფხვები,
სადედოფლოს იცეკვებენ ფოთლები,
გვიმღერებენ შემოდგომის ქარები.
დავითვრებით შემოდგომის ფერებით,
ჯიხვის რქაში ჩამომისხით ზედაშე,
ამ საღამოს, შემოდგომა ლექსს დაწერს
ამ საღამოს, ვიქორწინოთ მე და შენ!

წითელი როიალი

სცენაზე გიზგიზებს წითლად როიალი,
კლავიშებს აწყდება ბგერები ალერსით,
თითები, თითები, გრძელი, შნოიანი...
გახსნილი დეკოლტე და მთვარის ალერსი.
ლანდების ლიცლიცი დაშვებულ ფარდებში,
სასმისი წითელი ბგერებით ივსება,
მუსიკის მწვერვალზე აკორდის თარეში,
ვნებები, მონოლილ გამებად იცლება.
მუსიკა, ტუჩების ამბორით დამთვრალი,
ირწევა ტანი და ნებივრობს ტალღები,
თვალეები, ზედმეტი ალერსით დამფრთხალი,
და მაინც, ტიკტიკით მიქრიან წამები.
სცენაზე გიზგიზებს წითლად როიალი,
თითები, თითები ვნებებში ჩაინთქა,
მუსიკა მიყუჩდა, ღამის როიალი....
დარბაზი აწყვეტილ რითმებად ჩაიქცა.

წამოდი, იქ, მთებში გავიხიზნოთ

წამოდი, იქ, მთებში, გავიხიზნოთ,
ნისლებს მოვეფაროთ სატიალეს,
მთიული ძმადნაფიცი გვიმასპინძლებს,
მთების სიღიადეს გვაზიარებს.
წამოდი, სიმარტოვით მოვიქანცოთ,
ტყე - ღრე ქალამნებით მოვიაროთ,
სუფთა ჰაერით გამოვძლეთ და
მუხლი სალოცავთან მოვიყაროთ.
მთებში, მზის ამოსვლას ჩავუსაფრდეთ,
მერე კი, გავიხაროთ დაბინდებით,
შუაწყეცხლს მივუჭდეთ მთიულურად,
დავითვრეთ, ბუნების გარინდებით.
ყანწს გადმოგვანოლებს მთიელი და
მთების სიზვიადით იამაყებს,
გვეტყვის, დავრჩეთ კიდევ ერთი ხანი,
მთიელს მასპინძლობა ზარხოშს ადენს.
მერე, ღვინოში რომ ჩავიქცევით,
მერე ვახტანგური დაილევა,
ის, რომ მთისას იტყვის, ჩვენ ბარისას,
ჭერი ცის კიდემდე აინევა.
დილით ბარისაკენ დავუყვებით,
ბახუსს აყოლილი ნაბიჭებით,
მთებმა სიყვარული გვასწავლა და
აღბათ უშენობით გავგიჟდები.
წამოდი, იქ მთებში, გავიხიზნოთ,
ღრუბლებს მოვეფაროთ სატიალეს,
მთებში ნისლია და ქარი ურცხვად,
შენი კაბის კალთებს აფრიალებს.

შენ ქართველი ხარ

შენ ქართველი ხარ, ქართული სისხლის, ჯიშის ყივილი,
შენა ხარ მოდგმა ფარნავაზის, დიდი დავითის,
საუკუნეებს გადაივლის მეფე თამარი
და სიამაყით აგამაღლებს ბრძოლა კრწანისის.
ქართული მიწის ჭრილობაა შენი ტკივილი,
საზღვრებს გადაღმა დარჩენილი გუმბათის ლოცვა,
დღეს გაბნეული ქართველია ჩუმი ტირილი,
ნაკუნ - ნაკუნად აჩეხილი ქართული მოდგმა.
შენ ქართველი ხარ, სიმშვიდეში არ ხარ გაზრდილი,
უმტროდ ცხოვრება ისტორიის ფურცლებს არ სცხია,
დიდმა ომებმა გამოგანართო, როგორც მებრძოლი
და მცველ აბჯარად დაგიტოვა გრემი, ვარძია.
სხვაგან სად ნახავ ფშავ -ხევსურეთს, სვანეთის კოშკებს,
ცათაზიდული, ამაყად მდგარი სათოფურებით,
სხვაგან სად ნახავ სვეტიცხოველს, ბაგრატს, სამებას,
სად დაიამებს თვალი ძველი ციხე ბურჯებით.
შენ ის ხარ ვისაც ომში დედა მუდამ თან გახლდა,
თოფაბჯარასხმულს გიფარავდა მკლავის მშვენება.
შენ ის ხარ ვინაც მიდიოდი ომში სიმღერით,
ხარ დიდება და ჩვენი გენის აღმაშენება.
შენ ქართველი ხარ, სიამაყე სისხლში ნაწრთობი
არ შეგაშინოს შინა გარე მტრების თარეშმა
მირიანის და ნანას ჯვარის შენ ხარ მფლობელი
ღვთისწილხვედრობა მოგანიჭა უზენაესმა.
ქრისტეს პერანგის, მისი კვართის შენ ხარ პატრონი,
შენ ხარ ვენახი, შენ ხარ მუხა ფესვებგადგმული,
შენ ჩვენი ძველი მუხლმაგარი წინაპარი ხარ,
შენ ხვალინდელი იმედი ხარ, მზედ ფეხადგმული.

გასჭერ, განალდე ისტორიის ახალი გვერდი,
შენ ქართველი ხარ და ქართველად დარჩი ბოლომდე,
სამყაროსათვის ერთი მუჭა ერის შვილი ხარ,
ქართველი გქვია და იმედად უნდა ცხოვრობდე!

შენ სადა ხარ სიყვარულო

გაზაფხულმა შეიკვრა მაგნოლიის კაბა,
იასამნებს ჩამოეწნა წყება წყება თმები,
ყვითელგულა ნარცისები სხივად დაიკალმა,
მზის სხივებზე ნებივრობენ მიეთმოეთებით.
გაუშალა მზეჭაბუკმა სადედოფლო ფარჩა,
დედოფალი ნება - ნება აყვა კიბეს ცისა,
ვარდმა ყველას საამებლად ტკბილი ბაგე გახსნა,
მაცრიონულს უმღეროდნენ ქურუმები მზისა.
დატრიალდა სურნელება ტკბილი ბანგის დარი,
აჟღურტულდნენ ჩიტუნები, ბარტყიანობს ბუდე,
ცისფერკაბა იაიამ მიმიბნიდა თვალი,
ხელისგულზე დავისვი და ხარბად შევისრუტე.
აფერადდა არემარე, მზეობს შინ და გარე,
დილის ნამმა დამიცვარა საკოცნელი ბაგე,
სულში სითბოდ ჩამელვარა მთვარიანი ღამე,
შენ სადა ხარ სიყვარულო, შენ სად დამეკარგე?

ქალი? - ქალი მიყვარს ლამაზი და მაცდური
ხანჯლის წვერზე მოცეკვავე თვალებით
მათრობელა ღვინოსავით შუშუნა
სიზმარშიც რომ ვერ სად დაემალეები.
ვნებიანი, როგორც ღამის წყვილიაღი,
მთვარის კალთა მუხლისთავს რომ აკვრია,
კაცის ხელის შეხება და ამბორი
გულისპირს რომ სურვილებად აცხია.

ქალი? - ქალი მიყვარს ამაყი და ძლიერი,
ცრემლის ცვენაც, მარგალიტით შემკული,
ქამანდად რომ გადმოგიგდებს ღირკვილოს,
ფარად უჩანს წარბი კუშტად შეკრული .

ტყედ გაჭრილი ირმის ტანის ლაზათით,
კლდის შვერილზე ამოსული ღიღილო.
ცხადის სიზმრად, სიზმრის ცხადში ახდენა
სურვილებში მონაგარდე მიმინო.

ქალი? - ქალი მიყვარს ქალური ვით შროშანი,
ნიჟარაში ჩამწყვდეული სიგიჟე,
რომ გაექცე გინდა მთების გადაღმა,
და მაინც რომ სურვილებში მიგიმწყვდევეს.

ქალი - ? ქალი მიყვარს მწვერვალებზე ზვიაღი,
სიყვარულში ავაზასთან შეკრული.

ქალი? - ქალი მიყვარს ამაყი და ძლიერი
მაგრამ მაინც ქალურობით შემკული.

ფეხმძიმე ქალი და შემოდგომა

დილა ოქროსფერს ავსებს სასმისებს
მზე სილამაზის ეტრფის აღდგომას
ცისკარს მომდგარა ორი ღვთაება
ფეხმძიმე ქალი და შემოდგომა.
ალერსის ფერი ტყდება სხივებში
და შემოდგომა ბადაგობს ქალში,
სრულყოფილება ავსებს სამყაროს
საგალობელი იღვრება ხმაში.
ფეხმძიმე ქალი და შემოდგომა
მუზა და ლექსი ვნებად დაღვრილი,
მოარხევს სავსე თეძოებს ქალი,
ჟღერს სიყვარული მასში ჩაღვრილი.
ივსება გული, სული მალღდება
ზეცა ნათლდება სხივად მოსილი,
ფეხმძიმე ქალი ავსებს სამყაროს,
მოაქვს ძეობა, ნათვლა, ქორწილი.
გენის დიდება ჰიმნად იღვრება,
რეკენ გუმბათზე ტაძრის ზარები,
უკუნს მოაპობს ქალის დიდება,
ხელიდან ხელში საგოგმანები.
ფეხმძიმე ქალი და შემოდგომა,
ამოუცნობი ორი ფერია,
ფეხმძიმე ქალი საოცრებაა,
ფეხმძიმე ქალი ყველაფერია.

სიყვარულს ჰყვებოდა აპრილი

ვიდექით წვიმაში და სიცივეში,
სიყვარულს ჰყვებოდა აპრილი,
წვეთების მუსიკა სახეზე
გრძნობები ვნებებად აშლილი.
დასველდა გულისპირს პერანგი,
წვიმაა თუ ვნების კვალია,
ვილაცა ჩურჩულებს ამრეზით,
შეხედეთ რა ურცხვი ქალია.
ისმოდა ქუჩაში ტლაშუნი
წვიმის და ტუჩების ამბორის,
უკრავდა მუსიკა რიტმული,
სიმღერას, ჩვენ, კოცნით ვამბობდით.
მას მერე სიგიჟე დამჩემდა,
წვიმაში მაგიჟებს ტანტალი,
მიყურებს მავანის თვალები,
გაგიჟდაო ალბათ, საწყალი.
სიგიჟე თუ ქვია სიყვარულს
მაშ, თქვენი სახელიც მიბოძეთ,
ვერავინ დამაბამს ოთახში,
თუ წვიმა ასველებს გისოსებს.

სიკეთის ზედა

ფიქრებმორეულს მომეძალა სევდა და დარდი,
ვერ გავექეცი, მარწუხებმა გონი მოაშთო,
სულის სიმშვიდევე, რა ულონო, შორეულ ჩანდი,
რა საბრალისად მილიმოდა ბალში ვარდის რტო.
მივუალერსე, ერთგულების ბანგით დამატრო,
ხეთა შრიალმა იავნანის მიმღერა ხმათა,
მზის ჩასვლამ, საოცართა ფერით დამატკბო,
და წუთიერად დამაფინყა სიავე კაცთა.
ვიჯექ დილამდე, ხშირი მქონდა სტუმრიანობა,
სიკეთისა და ბოროტების ფიქრი მწენავდა,
მომნატრებოდა სილაღე და გულმზიანობა,
ცისკარს მზის სხივი უცნაური ფერით კემსავდა.
სხივმა ნათელმა, ჩარაზული, არა ცნო გული,
ყრუ კედლებიდან სინესტე და შმორი დიოდა,
გადაივაკა, რომ ეპოვა სხვა სიყვარული,
თურმე და მზესაც, სიყვარული კაცის შიოდა.
და მე შევიგრძენ, ეს სამყარო წლობით მდინარი,
განა ოდესმე დაგიჩოქებს, ნუ ელი ფუჭად,
დიოდნენ მარად ქარიშხლები გულბოლმიანნი,
ჩაკეტილ კართან სიყვარული ტოვებდა ქუჩას.
სიკეთეს ზედა ბოროტების ელავდა კვალი
ამა ქვეყნისთვის სუსტი იყო და უჩინარი.



ნისლა ავალიშვილი

ნისლია უძილაურის გახსენება



„საერო მონაზონი“ გიწოდე ერთხელ და გაგეცინა, უბოროტო მზერა მესროლე, შერე დაფიქრდი და მითხარი „ეგ სიტყვები ძალიან ბევრიაო ჩემთვის“.

ქუჩაში ვაკვირდები ხალხს, ერთმანეთს მზერას ისე მიაპყრობენ, არაფრის მთქმელი თვალებით რომ ვაკვირდები, ადამიანებს ერთმანეთისთვის სიტბო ენანებათ, სიტყვასაც დაგამადლიან ხანდახან...

შენ სად გქონდა ამდენი სიხარული, რომ სხვებს უნაწილებდი? ან ამდენი სიყვარული როგორ ბუდობდა შენში, რომ გულალალად ფეხქვეშ ფიანდაზებად უგებდი ყველას?

„გული მტკივაო“ ამბობდი, „კიდევ ვიბრძოლებო სიცოცხლისთვის,“ ღიმილით შეუძახებდი შენს თავს. სიტყვა შენი აღერსის ტოლფასი იყო, კიდევ იმედი და მხნეობა სხვებისთვის. შენს ლექსებს და ჩანახატებს ვკითხულობ, ეხლა ვიგებ რატომ გაუჭირდა სიცოცხლეს შენთან. ალბათ მზეს სიტბო შემოაკლდა, ამიტომაც მიგიწვია თავისთან, რათა ყოველ ცისმარე დღეს, შენი სიტბო, სხივებად დაგვინაწილო ყველას.

ნათელით იცხოვრე, ნათელით იცოცხლე, თავადაც ნათელში ხარ მარად.

გიორგი აღნიაშვილი

მინდა წვიმა ვიყო!

ახლა ისე მინდა წვიმად გადავიქცე,
კარი გავალო და შენსკენ გამოვიქცე,
ახლა ისე მინდა, ცრემლად დაგელვარო,
წვიმად დაგეცალო,
სუნთქვად მოვიდე და მერე გაგეცალო.
მინდა წვიმა ვიყო, ლექსად მოვდიოდე,
სითბოთ გელვრებოდე, გულში გიხუტებდე,
ნეტავი მოგაგნო, ნეტავ გიპოვიდე,
ნეტავი მოგნახო, ცრემლად დაგაწვიმდე.
ჩემო საფიცარო, ჩუმად ვჩურჩულებდე,
თვალებში ჩაგხედო მერე შორს წავიდე,
შენი სუნთქვა ვიყო, შენი სულდგმა ვიყო,
მინდა წვიმა ვიყო! მინდა წვიმად ვწვიმდე!

მე ლოცვით ვდგევარ მუხლმოყრილი უფალო შენთან,
მარადისობას შეუერთდა ეს ერთი წამიც,
არ სჩანს სიმშვიდე, არ სჩანს შუქი გვირაბის ბოლოს,
როგორ სევდისფრად შეინისლა უმთვარო ღამეც.
წვიმიან ღამეს მარტოდმარტო დავეხეტები,
მიყვები გზას და ნეტავ საით თავად არ ვიცი,
უვარსკვლავო ცა, ქარი, წვიმა, უმთვარო ღამე,
ნეტავი როდის, სად დამითვლის ცხოვრება წამებს.

როდისმე, ალბათ, დადგება დარი,
ჩადგება ქარი, ცა გაბრწყინდება.
როდისმე ალბათ შენც მოხვალ ჩემთან,
გულში ჩამიკრავ შენს ნაოცნებარს.
როდისმე ალბათ აღარ ვიტყვებ,
სულში ნათელი ჩამელვენთება.
როდისმე წვიმა გადაიდარებს,
და ცისარტყელა იბრწყინებს ზეცად.
როდისმე, ალბათ, აღარ ვიქნები,
შენ მარტოობის გადაგლლის სევდა.
როდისმე, ალბათ, სანთელს დამინთებ,
და ივლი კენტად, ილოცებ კენტად.

სიყვარული

შენ სიხარული მომიტანე აპრილის დილას,
თოვდა ყვავილი, ტყემლის ხეზე ცახცახით თრთოდა,
ყვავილს ნუგეში, გაზაფხულს სითბო მოჰქონდა ჩემთვის,
ცაზე შვიდფერი ცისარტყელა სიყვარულს ქსოვდა.

ისევ გვეძახის

ვერ მოგიშუშეთ მამულო ჩვენო,
მწარე იარა ასე რომ გტკივა,
უზომო ტკივილს რა შეაჩერებს
ჩვენ აფხაზეთი უზომოდ გვეტკივა.
სამაჩაბლოს და აფხაზეთს ვხედავ,
ფიქრში მივდივარ, ზღვის ტალღებს ვერთვი,
შენ ჩემო მიწავ ვინ გაგიმეტა,
შენ ჩემო ზღვაო ვისთან ხარ ვისი.
გადაგვიარა ომმა, გრიგალმა
დაგვრჩა სისხლისღვრა საფლავი ბევრი,
როდემდე უნდა შევტიროთ ზეცას,
გულს არ აკლდება წვეთი ტკივილის.
შენ, ჩემო ცაო, დედაო მიწავ,
შენ, აფხაზეთო, მანდ დაგვრჩა გული,
უფალს ენება ალბათ გამოცდა
ჩენი სულის და ჩვენი სხეულის.
არ გაჩერდება, ეს გული, არა
როდესმე ალბათ ჩვენც დავბრუნდებით,
ჩვენი მიწა და ჩვენი მამული ისევ გვიცდის
და ისევ გვეძახის.



ბეჟა მარბიშვილი



ერთ ლექსში დაწერე შენი ბედისწერა, წასვლასა ჩქარობდი? თუ ბედისწერას ერკინებოდი სიტყვით? იქნებ გვაფრთხილებდი ლექსით. ლექსებს შეეხიზნე, ლექსებით დადიოდი, იქნებ ლექსი იყავი თავად, სტრიქონებში ჩაწურე სიცოცხლის წვეთები და რითმებად მოეფლინე მოყვასს. ბოროტებას ებრძოდი, ისე როგორც

შეგეძლო, სუფთა კაცობით, გულის სიალალით. ბოროტებამ დღე დაგიმოკლა, მაგრამ შენს შვილებში განაგრძობ სიცოცხლეს. შენი ვაჟი ლეგენდად ისმენს შენს ისტორიას, შენივე ლექსებით „კითხულობს“ მამას, შენით ამაყობს და დედისგან ისმენს მითად ქცეული მშობელის ამბავს.

რამდენი მოგისწრია, წიგნად გადაშლილხარ, მკერდზე ამოგიტვიფრავს კაცობის კოდექსი და ლექსად გითქვამს შენი ლამაზი სიყვარულის ისტორია, ფეხზე აგიდგებით, ალავერდს მანდ გადმოვალთ, უფლის წინ გაშლილ სუფრაზე. ამ ქვეყანაზე ჩვენც ხომ სტუმრები ვართ, მანდ მოვალთ უცილოდ როდისმე, ძმურად ადგილი შემინახე, შენს გვერდით მაგ ნაკურთხ სუფრაზე ტრაპეზზე.

გიორგი აღნიაშვილი

მტრედი

ჩემს წინ ჩამომჯდარა,
საფირონის მტრედი
ღმერთმა სამშვიდობოდ,
ფრთები უწყალობა.
ჩემი უჩვეულოდ
დანერილი ბედი...
ჩემი ტკივილების,
თავგასული თრობა.
და... თუ ვერ გავუგებთ,
ვერ ამოვხსნით წარსულს
თუ სიმშვიდე გულებს
ვერ დაეუფლება,
მაშინ ნუ მოელით
უპირობო დასტურს,
რომ არ მქონდა პოეტს
ღრეობის უფლება.
ვხედავ ჭადრებს, მძინართ,
და თებერვლის ამინდს,
ბნელი გადიფერა
მზისგან, საიმედოდ!
ჰოდა, მეც ვიმღერებ
და დავთვრები მაინც
მსურს, მსურს, აღდგომამდე
სული გავიმეტო.
ჩემს წინ ჩამომჯდარა
საფირონის მტრედი...
ვხედავ, ჭადრებს მძინართ
და თებერვლის ამინდს!

ჩემი უჩვეულოდ
დანერილი ბედი,
მე გავთავისუფლდები
და ვიმღერებ მაინც.

ზღვა-ქარაპანი

ძველი დიდებით ველარ იხილავ კონსტანტინეპოლს...
ჰო, გაყინულან საგალობლები სივრცეში თითქოს,
უარვეყოფ მიზანს ესე უგონოდ მონადინებულს,
რომ შევეხიზნო შენი სიშორით მომდინარ სითბოს.
მე დამამშვიდებს, ალბათ, უდაბნო, მისი სავანე,
გამოვიგონებ სიგიჟის ზღვარზე მე შენს ნაბიჯებს
და მირაჟებში მოხეტიალე ზღვა-ქარაპანი
სულში შენსავით ოაზისად შემოაბიჯებს.
შემოიგეღვებს ფიქრში, თან როგორ შემოიგეღვებს,
მოგონებანი... შენი სურნელი სხეულით დამაქვს,
შენი სახელი ჰქვიათ, ძვირფასო ჩემო, იღვებს
და შენი სუნთქვა მელანქოლიად აწევს ძველ ქალაქს.
დავითვლი დღეებს... და ასე ურვით მივალწევ ორმოცს,
სიგიჟეა თუ ამოუხსნელი ფილოსოფია?!
დამარცხებული შენს ლურჯ სიზმარში გადავრჩი, როგორც
გადარჩა ღმერთით მშვენიერი აია-სოფია.
ძველი დიდებით ველარ იხილავ კონსტანტინეპოლს...
სთვლემს მირაჟებში ზღვა-ქარაპანი ოაზისებად,
თითქოს მინარეთს ზეცა უყვება გმირების ეპოსს,
შემოდგომაა და უშენობა სამარისებრად!.

მოვალ..

დავიკარგები, წავალ და წავალ...
ნეტავ იცოდე, რარიგ ვენამე...
თუ მეტყვი, კარგო, დღეს რისთვის დავალ,
ხვალაც ვიცოცხლებ წუთის მესამედს.
ნუ მეტყვი ნუგეშს, მაინც არ მჯერა
ადამის მოდგმის ფერისცვალების.
გაზაფხულს ველი, ჩემო, ამჯერად,
რომ დავიბადო გარდაცვალებით!
არც ისე ცუდად, არც ისე კარგად,
არც ისე ძლიერ ხმაურობს სისხლი.
მე საიდუმლოდ გაგიმხელ ამბავს,
როს მთაწმინდაზე დაწვება ნისლი.
როს მშობიარე ხეების ტანში
დაიბერება ვნება აპრილის,
და იყვავილებს... და მერე ქარში,
ხარჭა ქალივით, ბალებს დაივლის.
როს მომღიმარი მზეები ციდან,
გადმოაფრქვევენ ფერებს სიცოცხლის
და ამოხეთქავს დედამიწიდან
მწვანე სიმბოლო მარადისობის!
გაზაფხულისთვის მეცოცხლა მსურდა...
და ახლაც მოვალ, მოვალ წვალებით.
მე ნარიყალას გავცქერი მუდამ,
ძველი მეტეხის ვკმინავ ზარებით.

სარჩევი

ბიორგი აღნიაშვილი	5
ნანა აბესაძე	36
ანა გელაშვილი	64
ინგა გომიბერიძე	80
ნანა გომოლაური	91
მყვალა დავლაძე	121
მარინე თოფურია	137
ნიკო მარი	156
რუსუდან სალუქვაძე	207
დალი შენგელია	228
ნანა ჩხაიძე	250
თამუნა ჭილაძე	266
მარინე ხუფუა	284
ნისლა ავალიშვილი	302
ბეჟა მარგიშვილი	306

არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შესხენება მომავლის. შენთან მოვალ სუფთა გზით და წრფელი გულით. გაგატანე თვალწილი მარხილები. დამიტოვე გაბზარული ბასილები. არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შესხენება მომავლის. ჰოდა თოვლი, ზამთარი და სიცხვე, გამიყინავს შენგან შემორჩენილ გვირილებს. მზეც გათოშავს გვირილებზე, უპატრონოდ დატოვებულ სიმშვიდეს.

არ მინდოდა გახსენება წარსულის. არ მინდოდა შესხენება მომავლის... და რადგანაც თავს მახსენებ უტიფრად, დამიყარე ეს მზიანი გვირილები, მოაშორე ყინვიანი წებტილები და მითხარი რომ გიყვარვარ!!!

ინგა გოგობერიძე



©ISBN 978 - 9941-0-8732-5